

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**რ უ ს უ ღ ა ნ ბ ა ხ ა რ ი ა**

**ბრიტოლ რობაჰიძე და ქართული პრესა  
(1907–1921 წწ)**

**ქუჩნაღისტიკაში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაკრებლად წარდგენილი**

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

ნაშრომი შესრულებულია ივ.ჯავახიშვილის სახ.  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი  
ასოცირებული პროფესორი: დალი ჩიკვილაძე

თბილისი 2009

## სარჩევნი

შესავალი . . . . .	3
I თავი – ლექციები . . . . .	11
II თავი – თემატური ციკლები და პორტრეტები . . .	58
III თავი – პუბლიცისტიკა . . . . .	81
IV თავი – ენა, ლიტერატურა, თეატრი . . . . .	99
დასკვნა . . . . .	124
ბიბლიოგრაფია . . . . .	132

## შესავალი

გრიგოლ რობაქიძე მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მისტიკური პიროვნებაა.

მოვიდა და ააფორიაქა მიძინებული ხალხი, საზოგადოებრივი აზრი.

მოვიდა და ახალი იდეები მოიტანა.

საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ფილოსოფოსი, პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი. იწვოდა ქართული მზით. უყვარდა ნიცშე და ყველაფერი დიონისური. მისი უაღრესად საინტერესო პუბლიცისტიკა ჯერაც არ არის სათანადოდ შესწავლილი, ეს განსაკუთრებით ითქმის ემიგრაციამდელ პერიოდზე. არადა, ქართული კულტურის მსახურს წუთითაც არ შეუწყვეტია წერა. პრესაში მუდმივად ქვეყნდებოდა გრიგოლ რობაქიძის წერილები ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. მთელი ეს მასალა შეუსწავლელია გასაგები მიზეზის გამო საბჭოთა პერიოდში რობაქიძეს ტაბუ ედო. ხალხის მტრად შერაცხული მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას ვინ გაბედავდა, „გველის პერანგის“ ჩუმად, „იატაკქვეშეთში“ გადაფურცვლაც კი სარისკო იყო. კრებულში „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით“ რევაზ თვარაძე იგონებს, როგორი თრთოლვით ეცნობოდა მისი თაობა აკრძალულ ლიტერატურას გრიგოლ რობაქიძის, ტიცვიან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას. „ამ პროცესს ორგვარი ხიბლი ახლდა, წერს რ. თვარაძე, ერთი რომ, დიდად სახიფათო იყო ამ წიგნთა ხელში აღება (გარკვეულ ვითარებაში ათწლიანი გაციმბირებაც არ გამოირიცხებოდა) და სწორედ ამიტომ საკუთარი გულმაგრობაც გვახვევდა თავბრუს. შემდგომ ამისა, ჩვენს წინაშე გადაიხსნებოდა სულ სხვა პორიზონტები, იღუმალნი და გამოუცნობი სამყარო, ათკეცად მიმზიდველი ამ თავისი შეუცნობლობით. გამორჩეულად გრიგოლ რობაქიძის გამო ითქმის ეს“ (თეთრ... 2003 : 12).

თუ აკრძალული წიგნის ხელში აღებას შეიძლება, ათწლიანი გაციმბირება მოჰყოლოდა, აკრძალულ ავტორთა შემოქმედების შესწავლას ვინ დაგანებებდა... გრ. რობაქიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის კვლევაზე ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა. ქვეყნის მოღალატედ იწოდებოდა პიროვნება, რომელსაც საქართველოზე ფიქრის გარეშე არ უცხოვრია, სტრიქონი არ დაუწერია. სამშობლოს მისეულ გამორჩეულ სიყვარულს აღნიშნავს ყველა, ვისაც თვალი გაუდევნებია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის. გურამ ბენაშვილმა რობაქიძეს „ეროვნული ფესვების მაძიებელი ფაუსტი“ (ბენაშვილი 2005:22) უწოდა. თეიმურაზ მაღლაფერიძემ აღნიშნა, რომ „ქართულ მწერლობაში ცოტა მოიძებნება რობაქიძეზე მეტად პატრიოტიზმით აღბეჭდილი მწერალი. მისი პროზა, პოეზია, დრამატურგია თუ ესეისტიკა, მართლაც რომ, სუნთქავს და საზრდოობს საქართველოთი, აქ ყველაფერი ქართული მზით, მითოსითა და ისტორიით არის გასხივოსნებული“ (მაღლაფერიძე 2005:309).

კომუნისტების დიქტატურის დასასრულს გრიგოლ რობაქიძეს ხალხის მტრის „წოდება“ „ჩამოერთვა“, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა ფიქრი და ანალიზი იმ დანატოვარისა, რაც ქართული აზროვნების ახალ ფუნდამენტს ქმნიდა XX საუკუნის დასაწყისში. მაგრამ მკვლევარები, ძირითადად, მისი პოეზიითა თუ პროზით ინტერესდებოდნენ. თითქმის შეუსწავლელია გრ. რობაქიძის პუბლიცისტური საქმიანობა. შეიძლება ეს იმითაც აიხსნას, რომ ცოტა დრო გავიდა, რაც მის შემოქმედებას დადებული ტაბუ „მოეხსნა“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტური ნაწერები და სალექციო მოღვაწეობის ამსახველი პუბლიკაციები მრავალ ჟურნალ-გაზეთშია გამოქვეყნებული. ბიბლიოგრაფიის არარსებობის პირობებში ამ მასალების სრულად შეკრება დიდ დროს მოითხოვს. ამ დამაბრკოლებელ ფაქტორებს ხაზს უსვამენ სხვა მკვლევარებიც. ა. ნიკოლეიშვილის სიტყვით, მხოლოდ რობაქიძის სრული მემკვიდრეობისა და მისადმი მიძღვნილი მასალების გამოქვეყნების შემდეგ „მიეცემა მკვლევარსაც და ნებისმიერ დაინტერესებულ პირსაც იმის

შესაძლებლობა, რომ სრულყოფილად და ობიექტურად შეაფასოს ის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დამსახურება, რომელიც გრ. რობაქიძეს მიუძღვის მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში“ (ნიკოლეიშვილი 2000:177).

ზემოთქმული იმას არ გულისხმობს, თითქოს გრ. რობაქიძის საგაზეთო მოღვაწეობით არცერთი მკვლევარი არ დაინტერესებულა. ლიტერატორებმა მისი პუბლიკაციების ნაწილი მოიძიეს და შეისწავლეს. ი. ეგვინიძემ გრიგოლ რობაქიძის თვალით დანახული ვაჟა-ფშაველა გაანალიზა და ხაზი გაუსვა, რომ ფშაველი გენიოსი სათანადოდ სწორედ რობაქიძემ გააცნო როგორც საქართველოს, ასევე რუსეთს (ნარკვევები... 2000 : 33-68). ბ. არველაძემ გამოიკვლია იოსებ გრიშაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის პოლემიკასთან დაკავშირებული მასალები (არველაძე 1990:303-314). სონეტისა და რითმის შესახებ გრ. რობაქიძის მოსაზრებები გაანალიზებულია თ. ბარბაქაძის ნაშრომში „ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები პერიოდულ პრესაში“ (ბარბაქაძე 1988). 1917-1918 წლების პრესაში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხების შესწავლისას რ. ვაშაკიძე სხვა ავტორების პუბლიკაციებთან ერთად დაეყრდნო გრიგოლ რობაქიძის რამდენიმე პუბლიცისტურ წერილს (ვაშაკიძე 2006:27-39). ლ. ავალიანმა შეისწავლა რობაქიძის კიდევ ერთი პოლემიკა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ დრამას ეხებოდა. ლ. ავალიანის მართებული დასკვნით, გრიგოლ რობაქიძის, არჩილ ჯორჯაძისა და დიმიტრი უზნაძის ეს პოლემიკა მნიშვნელოვანი იყო: „სანიმუშო და სამაგალითოა მოპაექრეთა ეთიკა პირუთვნელობასა და ობიექტურობასთან შეზავებული, ზრდილი, თავშეკავებული ტონი; პატივისცემისა და მადლიერების გამჟღავნება ერთურთის მიმართ“ (თეთრ... 2003:27). ე. ცხადაძემ შეისწავლა „ლონდაში“ გამჟღავნებული კოლხური მისტერია (ცისკარი 1998), „ენგადის“ მითოსურები ძირები კი ლ. ჯინჯიხაძის კვლევის საგანი გახდა (ჯინჯიხაძე 2004). რობაქიძის რამდენიმე მხატვრულ პორტრეტს დაუთმო ყურადღება ო. ჭურდულიამ (საქართველოს... 1997), სახელგანთქმული მწერლის ესეისტიკით კი თ.

მეფარიშვილი დაინტერესდა (მეფარიშვილი 2005). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ესეები ლიტერატურულ ჭრილშია განხილული და არა პუბლიცისტურში.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების გარკვეული მხარეები მოკლედ მიმოიხილეს ს. სიგუამ (სიგუა 2002), მ. ჯალიაშვილმა (ჯალიაშვილი 1994), ა. გომართელმა (გომართელი 1997), ა. ნიკოლეიშვილმა (ნიკოლეიშვილი 2000)...

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აკაკი ბაქრაძეს. სხვა ლიტერატორებისგან განსხვავებით, მან გრ. რობაქიძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის არა ცალკეული სფეროები, არამედ მთლიანად მისი ცხოვრება და საქმიანობა წარმოაჩინა. ასე შეიქმნა გრიგოლ რობაქიძის ძალიან საინტერესო პორტრეტი „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“ (თბ., 1999).

გრ. რობაქიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა აგრეთვე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული კრებული „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით“ (თბ., 2003).

ქართულმა საზოგადოებამ გრიგოლ რობაქიძე გაიცნო როგორც ნიჭიერი ლექტორი და ორატორი. ასე დაიწყო გრ. რობაქიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ იგი 1908 წლიდან კითხულობდა საჯარო ლექციებს. მხატვარი და საზოგადო მოღვაწე ლადო ჯაფარიძე იგონებს: „განსაკუთრებით დიდი სახელი გრიგოლს 1908-1930-მა წლებმა მოუტანა, როდესაც მწერალი გერმანიიდან დაბრუნდა და ქუთაისსა და თბილისში ქართული მწერლობის საკითხების გარშემო საჯარო ლექციების ქართულ ენაზე კითხვა დაიწყო“ (ჯაფარიძე 2004:234).

საზღვარგარეთიდან მისი დაბრუნების თარიღად 1908 წელია მითითებული ელექტრონულ ენციკლოპედიაშიც ვიკიპედია. ამასთანავე, დაბადების წელიც არასწორად არის აღნიშნული – 1980-ის ნაცვლად 1982.

გრიგოლ რობაქიძის „პირველი და ძალზე ეფექტური გამოჩენის“, ანუ პირველი ლექციის წაკითხვის თარიღად 1908 წელს ასახელებს ლ. ავალიანიც (თეთრ... 2003:15). ამასვე იმეორებს იგი მოგვიანებით გამოცემულ წიგნში „გიჟი დროის“ ქართული მწერლობა: „გრიგოლ რობაქიძე 1908 წელს უცხოეთიდან დროებით ჩამოსვლის მიზეზად ილიას მკვლელობას ასახელებს, პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებს და, რაც მთავარია, – სალექციო მოღვაწეობას იწყებს“ (ავალიანი 2005 : 27).

ამავე აზრს იზიარებს ა. ნიკოლეიშვილი: „1908 წელს მწერალი სამშობლოში ბრუნდება და აქტიურად ებმება შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში“ (ნიკოლეიშვილი 2000:177).

ს. სიგუას მტკიცებით, რობაქიძე „1909 წელს დროებით დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო ევროპული კულტურის პროპაგანდა“ (სიგუა 2002:56). ზოგიერთი მკვლევარი კი გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობის დასაწყისად 10-იან წლებს ასახელებს. რ. დაუშვილის აზრით, ახალგაზრდა ლექტორი პუბლიკას პირველად 1914 წელს წარუდგა (დაუშვილი 2005:66).

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ სინამდვილეში გრიგოლ რობაქიძემ პირველი ლექცია 1907 წლის 21 ნოემბერს წაკითხა. გაზეთმა „ისარმა“ მკითხველს ანონსით ამცნო, სად, როდის და რაზე ისაუბრებდა ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ლექტორი, ამასთან, ლექციის თეზისებიც გამოაქვეყნა. ირკვევა, რომ გრ. რობაქიძეს პირველი ლექცია არა ილია ჭავჭავაძის (როგორც ლ. ავალიანი აღნიშნავდა), არამედ „ეროვნების იდეის“ შესახებ წაუკითხავს. უფრო ზუსტად, ლექციის სახელწოდება იყო „ეროვნების იდეა ფილოსოფიურ იდეალიზმის შეხედულებით“ (ისარი 1907ა : 3-4).

გრიგოლ რობაქიძეს ეს ლექცია პირველად რუსულად, ხოლო შემდეგ საზოგადოების თხოვნით ქართულად წაუკითხავს (ისარი 1907ბ : 3). ამდენად, გაზეთ “ისარში” დაბეჭდილი ინფორმაციით მტკიცდება, რომ რობაქიძის პირველი ქართული ლექცია 1907 წლის 21 ნოემბერს შედგა. ჩვენ მიერ მოძიებული მასალები ნათელყოფს, რომ გრ. რობაქიძეს პირველი

ქართული ლექცია არ წაუკითხავს 1909 წელს, როგორც ამას იგონებს დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში. იგი მემუარებში წერს, რომ ქუთაისში ქართულ ენაზე პირველი ლექცია ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ წაიკითხა რობაქიძემ (კლდიაშვილი 1932ა:321-323). ეს იყო 1909 წლის ნოემბერი. ლ. ავალიანიც იზიარებს იმ აზრს, რომ სწორედ ეს იყო პირველად ქართულად წაკითხული ლექცია, ოღონდ თბილისში 1909 წლის 24 ოქტომბერს (თეთრ... 2003:15).

ჩვენი ნაშრომი არის მოკრძალებული ცდა მისი იმ ნაწერების შეკრება-გაანალიზებისა, რომლებიც 1907-1921 წლებში გამოქვეყნდა. ამასთან, მიმოვიხილეთ არა მხოლოდ საკუთრივ რობაქიძის ნაწერები, არამედ ის წერილებიც, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული. შესავალი და დასკვნითი ნაწილების გარდა, ნაშრომი შეიცავს ოთხ თავს: I – ლექციები, II – თემატური ციკლები და პორტრეტები, III პუბლიცისტიკა, IV – ენა, ლიტერატურა, თეატრი.

„პუბლიცისტიკაში“ მიმოვიხილეთ ის წერილები, რომლებიც აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. ჩვენი აზრით, ეს არის გრ. რობაქიძის საგაზეთო მოღვაწეობის ყველაზე საინტერესო მონაკვეთი. 1917 წლის დასასრული და 1918 წლის დასაწყისი მეტად საყურადღებო დროა. რუსეთში ბოლშევიზმი იმარჯვებს, საქართველოსაც ემუქრება ამ სტიქიაში ჩათრევა. გრიგოლ რობაქიძისთვის კი ერთადერთი „პარტია“ საკუთარი ქვეყანა არსებობს. „ავადი“ (ავადმყოფი) ერი ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, რობაქიძე კი მის გადარჩენას ცდილობს. ამ პერიოდში იგი სულით ხორცამდე პუბლიცისტიკა, რომელსაც მწვავე პოლიტიკურმა საკითხებმა თითქმის მიაღწია პოეზიაც და პროზაც.

გრიგოლ რობაქიძე გამორჩეული პუბლიცისტი იყო არა მხოლოდ პუბლიკაციების მიხედვით, არამედ საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც, ლექციების კითხვით რომ დაიწყო.

როგორც ამბობენ, პირველი პუბლიცისტები მოციქულები იყვნენ. გრ. რობაქიძე ახალი დასავლური იდეების მქადაგებელი, დასავლური კულტურის მოციქული გახლდათ, ამდენად, პუბლიცისტიც. მისი ლექციები



განსაკუთრებულ მოვლენად იქცა იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრებაში. ეს იყო ახალი სიტყვა.

ჩვენი ყურადღების ცენტრში ამ სიახლის გამო მოექცა არა მხოლოდ გრ. რობაქიძის ლექციები, არამედ მისი საზოგადოებრივი და პუბლიცისტური საქმიანობა. რობაქიძე ხალხისთვის კარგად ნაცნობ, გათავისებულ თემებსაც, როგორც იყო, მაგალითად, აკაკის შემოქმედება, ახალი კუთხით წარმოაჩენდა. ჩვენი ნაშრომის ყოველი თავის ბოლოში ხაზგასმით გამოვეყოფთ, თუ რა თქვა პუბლიცისტმა ახალი, საჭირო და საინტერესო, რაც მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკის ისტორიისთვის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გვერდი ავუარეთ მის ლექსებს, რომლებიც ხშირად ქვეყნდებოდა პრესაში. ჩვენი კვლევის საგანი იყო გრიგოლ რობაქიძე, არა როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, არამედ როგორც დროის ბებიაქალი.

რადგან მისი საგაზეთო მოღვაწეობის ზოგადი სურათის ჩვენება გვსურდა, ნაშრომში მიმოვიხილეთ წერილები, რომლებიც გამოქვეყნდა შვიდ ჟურნალ-გაზეთში. ჩამოვთვლით ამ პერიოდისას:

სოციალ-ფედერალისტების გაზეთი „ისარი“ 1907 წლის იანვარში გამოვიდა ივ. მჭედლიშვილის რედაქტორობით, რომელიც ჯერ ვ. გუნიაშვიტყვალა, შემდეგ კი – ე. ავალიშვილია.

ყოველდღიური „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთი „დროება“ 1908 წლის 18 ნოემბერს გამოვიდა. პირველ ნომერს ხელს აწერენ რედაქტორი მარიამ ი. დემურიასი და გამომცემელი თავადი თუმანიშვილი. მეორე ნომერში რედაქტორ-გამომცემლად ივანე სოზიაშვილია მითითებული. წლის ბოლომდე ხან სოზიაშვილია რედაქტორი, ხან აგლაძე, 1909 წლიდან კი მხოლოდ აგლაძე.

საპროგრამო წერილში ხაზგასმულია ქართული გაზეთის გამოცემის სირთულე, სიმძიმე. მხნეობის, მამულიშვილობის იდეალად მათ მე-19 საუკუნის „დროების“ პუბლიცისტები ჰყავთ. „როგორც არ შეუშინდნენ გაზეთის გამოცემის მძიმე ტვირთს ქართული პრესის პიონერები, ისე ეხლაა საჭირო გამაგრება და სიმხნევე. ჩვენს პირობებში გაზეთი ერთ-ერთი

ძვირფასი იარაღია ქართველ ხალხში საღის შეგნების შესატანად და მიმდინარე საკითხების რთული ხასიათის განსამარტავად“ (დროება 1908ა:1). ახალი „დროებაც“ ტვირთის ერთგულად ზიდვას აპირებს და ქართული კულტურის წინსვლა, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება ეიმედება.

1910 წელს გაზეთის გამოცემა შეწყდა.

„ფასკუნჯი“ (1908-1910 წ.წ.) „სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალი“, გამოდის გრიგოლ ტატიშვილის რედაქტორობით. სიტყვაკაზმული მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი – ასეთი გახლავთ ჟურნალის ინტერესთა სფერო. „ფასკუნჯში“ რობაქიძის მხოლოდ ორი პატარა ეტიუდი (ნაწყვეტები ლექციებიდან) დაიბეჭდა. 1909 წელს „დროება“ წერდა: „ჟურნალი („ფასკუნჯი“ – რ.გ.) უპარტოა. ხელოვნება ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია და ყველა ხელს უნდა უწყობდეს მის განვითარებას“ (დროება 1909ა:1). მოწოდებამ, როგორც ჩანს, უშედეგოდ ჩაიარა: 1910 წელს ყოველკვირეული „ფასკუნჯი“ თვეში ერთხელ გამოშვალ ჟურნალად იქცა, შემდეგ კი არსებობაც შეწყვიტა.

ყოველდღიური „სახალხო გაზეთი“ 1909-1914 წლებში გამოდიოდა. რედაქტორ-გამომცემელი, თავდაპირველად, გახლდათ დარია ხრამელაშვილი, შემდეგ – ირ. სონღულაშვილი (1910 წლის 27 ივლისიდან), ნ. კურდღელაშვილი (1911 წლის 18 მარტიდან) და ა. ჭუმბაძე (1913 წლის 3 იანვრიდან). „სახალხო გაზეთის“ უკანასკნელი ნომერი 1914 წლის 31 მაისს გამოვიდა.

1911 წლის 25 მარტიდან ქუთაისში გამოსვლას იწყებს ყოველდღიური გაზეთი „კოლხიდა“ (რედაქტორ-გამომცემელი – ა. ჭუმბაძე). იმ დროს დასავლეთ საქართველოში ქართულ ენაზე პერიოდული გამოცემა არ იბეჭდებოდა. „კოლხიდა“, ძირითადად, ადგილობრივი ინტერესების „ამწონ-დამწონად“ შეიქმნა, მაგრამ ეს ინტერესები უნდა გათვალისწინებულიყო საერთო-საქვეყნო სარგებლობის შესაბამისად. გაზეთი ბრძოლას უცხადებს საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმულ პირად ინტერესებს, თავის პროგრამად კულტურაზე ზრუნვას აცხადებს, სწამს, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა ეროვნულობის გასაძლიერებლად. გაზეთი აცხადებს, რომ მისი

ყურადღება მიმართული იქნება მასებისაკენ, რადგან „თუ კულტურა ერის მასას არა სწვდა, ქვეყანა მუდამ ჩამორჩენილი იქნება“ (კოლხიდა 1911ა : 1).

„კოლხიდის“ ბოლო ნომერი 1913 წლის 1 მაისს გამოვიდა.

„თემი“ ორშაბათობით გამოქვეყნებული ერთადერთი გაზეთი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად ამიერკავკასიაში. ამდენად, მას უნდა შეევესო ის დანაკლისი, რასაც კვირის დასაწყისში, ორშაბათს გამოუცემელი პრესა ქმნიდა.

პირველი ნომერი 1911 წლის 10 იანვარს გამოვიდა. რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ნაფიცი ვექილი გრიგოლ დიასამიძე.

უპარტიო გაზეთის მიზანი ქართველი ხალხის „კულტურული განახლება“, ერის კეთილდღეობა, ერთა შორის გულწრფელი კულტურული კავშირის ჩამოყალიბება და განმტკიცება იყო. სურდა პირადი ინტერესები გამოერიცხა და მკითხველთან უშუალო, სისხლხორცეული ურთიერთობა დაემყარებინა (თემი 1911ა: 1).

„თემს“ ჰყავდა მეორე რედაქტორი – სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც გ. დიასამიძის არყოფნისას ხელმძღვანელობდა გაზეთს.

1915 წლის 18 მაისს „ქაღალდის შიმშილის“ (ქაღალდის ნაკლებობის) გამო ოთხგვერდიანმა „თემმა“ არსებობა შეწყვიტა.

1915-1921 წლებში გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო – „საქართველო“. ორი წლის განმავლობაში რედაქტორი იყო ს. შანშიაშვილი, 1917 წლიდან კი – გრიგოლ ვეშაპელი. შემდეგ, როცა ვეშაპელი გამოეთხოვება რედაქტორობას, ფელეტონში „სიზმრების ახსნა“ ასე დაწერენ: „გრიგოლ ვეშაპელი ნახო, – წუმპეში მოითხვარო ანდა უსათუოდ გეჩხუბოს ვინმე“ (საქართველო 1920ა : 4).

მანამდე კი, 1918 წლის 26 მაისს, გრიგოლ ვეშაპელმა მეფისნაცვლის სასახლეში საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ რუსული თარგმანი. ამ აქტით,

რომლის დედანიც ნოე უორდანიამ წაიკითხა, საქართველო სუვერენულ-დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ამ დრომდე ჯერ კიდევ ათი წელი უნდა მოიკეცოს.

გრიგოლ რობაქიძე საზოგადოებრივ მოღვაწეობას იწყებს.

## I თავი ლექციები

1902 წელს საზღვარგარეთ წასული გრიგოლ რობაქიძე თითქმის ექვსი წლის შემდეგ, 1907 წლის მიწურულს ბრუნდება საქართველოში და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ლექციების კითხვით იწყებს. საჯარო ლექციების ტრადიცია საქართველოში სალონური სადამოებოებიდან იღებს სათავეს და თანდათან უფრო ფართო აუდიტორიებში ინაცვლებს. ლექციებს კითხულობდნენ აკაკი, ე. თაყაიშვილი, ი. ნაკაშიძე, ა. ხახანაშვილი, ი. გომართელი და სხვები, მაგრამ ტრადიციის მიუხედავად გრიგოლ რობაქიძის ლექციები სავსებით ახალი სიტყვა იყო. ქართული კულტურის განვითარებაში მან მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფართო საზოგადოებისთვის ახალი ფილოსოფიურ-ლიტერატურული შეხედულებების გაცნობით. ამასთან, რობაქიძე ღირსეულ ადგილს აკუთვნებდა იმ ქართველ მწერლებს, რომელთა ღვაწლი სათანადოდ არ იყო დაფასებული.

პირველად ქართულ საზოგადოებას გაზეთმა „ისარმა“ წარუდგინა გრიგოლ რობაქიძე როგორც ლექტორი (მისი როგორც პუბლიცისტის ნათლობა კი 1902 წელს შედგა გაზეთ კვალში წერილით „რა არის მოდა?“). ამ დღეებში საზღვარგარეთიდან დაბრუნდა გრ. რობაქიძე, რომელიც თბილისში რამდენიმე ლექციის წაკითხვას აპირებდა, ამცნო მკითხველს 1907 წლის 9 ნოემბერს რუბრიკით „ახალი ამბავი“ (ისარი 1907გ:2). ამასთან, გაზეთი იმ დროისთვის უცნობი ლექტორის ბიოგრაფიიდან რამდენიმე ინფორმაციასაც აწვდის საზოგადოებას: „გრ. რობაქიძე სულ 26-27 წლის ახალგაზრდაა, ლეიპციგის უნივერსიტეტში მან სპეციალურად შეისწავლა ფილოსოფია. შემდეგ გერმანულ ენაზე გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში წაიკითხა რამდენიმე ლექცია. შარშან შემოდგომაზე იგი ლექტორად მიიწვიეს პარიზში რუსულ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც კითხულობდა ლექციებს შემდეგ თემებზე: 1. კრიტიკა ისტორიულ მატერიალიზმისა და 2. სოციალური სისტემა ლავროვისა და მიხაილოვსკისა“ (ისარი 1907დ:2). გაზეთი „ისარი“ აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველოსკენ მომავალმა გრ. რობაქიძემ ოდესაშიც წაიკითხა ლექცია, ლექტორს განზრახული ჰქონდა თბილისის შემდეგ მოსკოვსა და პეტერბურგსაც წვეოდა თავისი ლექციებით, შემდეგ კი კვლავ ევროპაში დაბრუნებულიყო. იმდროინდელი პრესის შესწავლა ცხადყოფს, რომ გრიგოლ რობაქიძე განზრახულზე ბევრად დიდხანს დარჩა საქართველოში და ძალზე ნაყოფიერი სალექციო მოღვაწეობა დაიწყო. რაც შეეხება საზღვარგარეთ ლექციების წაკითხვას, ჩვენს მიერ შესწავლილ ჟურნალ-გაზეთებში ამაზე არაფერია ნათქვამი (გრ. რობაქიძე საქართველოში ისეთი ინტენსივობით კითხულობდა ლექციებს, სხვა ქვეყნებში მოგზაურობის დრო არც დარჩებოდა), თუ არ ჩავთვლით „სახალხო გაზეთის“ ერთ ცნობას: 23 მარტს ბაქოში, ქართული სკოლის დარბაზში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ლექციას თემაზე „ილია ჭავჭავაძე და მისი შემოქმედება“ (სახალხო გაზეთი 1913ა:2). ეს იყო 1913 წელს, ხოლო 1907

წლის 18 ნოემბერს დანიშნული პირველი ლექციის თემად, გაზეთ „ისრის“ ცნობით, ლექტორს აურჩევია „ეროვნული იდეა ფილოსოფიური იდეალიზმის შეხედულებით“ (ისარი 1907ე:2). ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო ლექცია რამდენიმე დღით, 21 ნოემბრამდე გადაიდო (ისარი 1907ე:3). გაზეთმა „ისარმა“ მკითხველს ლექციის პროგრამა გააცნო. პუნქტებად ჩამოთვლილი თეზისებით ირკვევა, რომ ლექტორი ერთმანეთს უპირისპირებდა უნივერსალიზმისა და ინდივიდუალიზმის თეორიებს (იქვე განმარტებულია, რომ უნივერსალიზმი ეროვნების ნაცვლად კაცობრიობას აყენებს წინ, ინდივიდუალიზმი კი ადამიანს). მისი აზრით, აუცილებელი იყო ორივე თეორიის სინთეზი პლატონის „იდეათა თეორიაში“. გრიგოლ რობაქიძე აუდიტორიას უმტკიცებდა, რომ ეროვნების უარყოფა არ შეიძლება და რომ იგი „უნივერსალურ ორგანიზმის კაცობრიობის იდეალური ელემენტია“ (ისარი 1907ზ:3-4).

პირველი ლექცია გრ. რობაქიძემ რუსულად წაიკითხა, 9 დეკემბერს კი იგივე ლექცია ქართულ ენაზე მოასმენინა აუდიტორიას (ისარი 1907თ:3). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლექციის განმეორებით წაკითხვა ლექტორისთვის საუნივერსიტეტო საზოგადოებას უთხოვია. როგორც ჩანს, მან პირველივე ლექციით მიიპყრო ყურადღება.

გრიგოლ რობაქიძემ 1907 წლის დეკემბერში მეორე ლექციაც წაიკითხა. თბილისის საკრებულოს დარბაზში გამართული საჯარო ლექციის ორგანიზატორი ყოფილა ახლადდარსებული ლიტერატურული წრე „იკაროსი“, რომლის წევრადაც ითვლებოდა გრ. რობაქიძე, გაზეთ „ისრის“ ცნობით (ისარი 1907ი:3). ლექციის წინა დღეს კიდევ ერთხელ დაიბეჭდა ანონსი, ხოლო 7 დეკემბერს გამოქვეყნდა გამოსხმაურება ლექციაზე „პლატონიდან სოლოვიოვამდე“.\*

უცნობი ავტორის სიტყვით, ევროპაში მოღადა იყო ქცეული ლაპარაკი მეცნიერების კრიზისზე, რასაც ფილოსოფიისადმი ინტერესის გაცხოველება, მისტიკასა და საბერძნეთის მითოლოგიაში ჩაღრმავება მოჰყვა. მისი აზრით, მისტიციზმი, რომელსაც იგი „ევროპის ფილოსოფიური თვითშეგნების სახიზარ ფორმას“ უწოდებს, გონებრივად ჩამორჩენილ საზოგადოებაში იკიდებს ფეხს მყარად. მაგალითად მოჰყავს რუსეთი, სადაც მისტიკოს სოლოვიოვს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. გრიგოლ რობაქიძე რომ „პლატონისა და სოლოვიოვის მისტიკურ მოძღვრებათა მოსარჩლეთ გამოვიდა“, ავტორი შეშფოთდა როგორც ჩანს, საქართველოშიც მკვიდრდება მისტიციზმიო. მისთვის ბუნდოვანი აღმოჩნდა ლექცია. გრ. რობაქიძის მოსასმენად შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამაც ვერაფერი გაუგო „რთულ და ნისლიან“ მოძღვრებას, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა, რაკი „მისტიკური სამეფო“ იხილავ, ირონია მოიშველია ავტორმა და სკეპტიკური წერილი სახარებიდან მოხმობილი სიტყვებით დაასრულა: „ნეტარ არიან მორწმუნენი...“ (ისარი 1907კ: 3).

\* ვ. სოლოვიოვი (1856-1900) რუსი ფილოსოფოსი, პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, რომლის გავლენაც ბევრმა სიმბოლისტმა განიცადა.

მიმოხილვა ხელმოუწერლად დაიბეჭდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასში რედაქციის თვალსაზრისია გადმოცემული. ჩვენთვის ეს პუბლიკაცია საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც გრიგოლ რობაქიძის ლექციისადმი პირველი უარყოფითი გამოხმაურებაა.

1908 წლის ნოემბერში გაზეთი „დროება“ რუბრიკით „აკაკის იუბილეი“ აქვეყნებდა პოეტის შემოქმედების ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებულ მასალებს. გაზეთის მეშვიდე ნომერში სწორედ ამ რუბრიკაში ჩნდება რობაქიძის სახელი: „ტფ. ადმინისტრაციამ ნება დართო ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობას გამართოს ქართულ ენაზე ლექცია ტფ. საარტისტო საზოგადოების სადგომში. ლექტორად მიწვეულია გ. რობაქიძე, რომელიც წაიკითხავს ლექციას მგოსნის აკაკის მნიშვნელობის შესახებ ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში“ (დროება 1908ბ:2).

ლექციის ზუსტ თარიღს გაზეთი „დროება“ 2 დეკემბერს ატყობინებს მკითხველს: „ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობის ინიციატივით, ლექტორი გრ. რობაქიძე ხუთშაბათს, 4 დეკემბერს, ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში წაიკითხავს ლექციას აკაკი წერეთლის მნიშვნელობის შესახებ“ (დროება 1908გ:1).

4 დეკემბერს დაიბეჭდა პატარა პუბლიკაცია „დღევანდელ ლექციის შესახებ“. „ახალგაზრდა ლექტორი“, – ასე იხსენებს ავტორი გრიგოლ რობაქიძეს. სულ ცოტა ხანში სიტყვა „ლექტორს“ სიამის ტყუპივით მოუცილებლად დაერთვის „ცნობილი“.

თავისთავად ცხადია, რომ ლექცია აკაკიზე მის საიუბილეო დღეებში განსაკუთრებულად საყურადღებო და დამაინტერესებელი იქნებოდა. ფართო საზოგადოება ლექტორთან ერთად კიდევ ერთხელ გადააფლავდა თვალს პოეტის შემოქმედებას, ახალი კუთხით დაინახავდა მას. გრ. რობაქიძის ლექცია ორიგინალური იქნება, თავისებური და საგულისხმო, – ამობობს ბ., ზემოთ ნახსენები წერილის ავტორი და ლექციის პროგრამაზე დაყრდნობით განაგრძობს: „ბ-ნ რობაქიძის აზრით, აკაკი ქართველობის გენიის გამომხატველია, მაგრამ არა შეგნებული, არამედ სტიქიური... აკაკის პოეზიაში თავმოყრილია ყოველივე ის, რაც თანამედროვე ქართველობის სულიერ მდგომარეობას შეადგენს. მაგრამ ეს მდგომარეობა გონების მიერ სასტიკის სისწორით დახაზულ ყალიბში კი არ ჩამოსხმის, არამედ ბუნებრივად და სტიქიურად გადმოსჩქევს აკაკის პოეზიაში“ (დროება 1908დ:3).

დიდი მწერლის შემოქმედების გასაგებად ფილოსოფიური საფუძველია საჭირო. ერთი პოეტის ნაწარმოებები სხვადასხვა კრიტიკოსმა შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით გაითვალისწინოს, სხვადასხვა აზრი გამოთქვან, მაგრამ „თითოეული კრიტიკოსი ახალ-ახალ მშვენიერებას აღმოაჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის მსჯელობას იგი ცხოვრების სიღრმეში ღრმად ჩამხედავ მსოფლიო თვალსაზრისს დააბჯენს. უიმისოდ კრიტიკოსი მკითხველის შთაბეჭდილებათა უბრალო ლექვას ვერ გასცდება“ (დროება 1908ე:3-4), – წერს უცნობი ავტორი.

გრიგოლ რობაქიძე, ცხადია, „შთაბეჭდილებათა უბრალო ღეჭვას“ არ დაიწევდა, საკუთარი მსოფლმხედველობიდან გაანალიზებდა აკაკის შემოქმედებას, მაგრამ საკითხავია, საზოგადოებისთვის რამდენად მისაღები შეიძლება ყოფილიყო მისტიკოსის ნააზრვეი. „ბ-ნ რობაქიძის მისტიკური მსოფლმხედველობა შეიძლება სიმართლედ არ მიგანჩნდეთ, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, ეს მსოფლმხედველობა ისე ფართოდ და ისე კარგად ახსნიდეს აკაკის პოეზიის მშვენიერებათა კარს, როგორც ეს ჯერ ვერც ერთს კრიტიკოსს ვერ მოუხერხებია“ (დროება 1908გ:4).

ავტორის აზრით, ძალზე საინტერესო უნდა ყოფილიყო რობაქიძის მიერ აკაკისა და ილიას, აკაკისა და რუსთაველს, აკაკისა და პუშკინს შორის გავლებული პარალელები. საზოგადოებას კიდევ უფრო დაინტერესებდა ლექციის ბოლო ნაწილი, რომელიც ქართული კულტურის ისტორიაში აკაკის მნიშვნელობას გამოკვეთდა.

ცოტა ქვემოთ ჩვენ შევეხებით აკაკისა და ილიას, აკაკისა და პუშკინს შორის გავლებულ პარალელებს, რომლებიც მოგვიანებით დაიბეჭდა.

ლექცია აკაკის შესახებ გრ. რობაქიძეს რუსულადაც წაუკითხავს ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლში 6 დეკემბერს (დროება 1908ზ: 2). ვერ გეტყვით, რუსულენოვანი აუდიტორია რამდენად იყო დაინტერესებული მეტი შეეცყო ცნობილ პოეტზე, ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულად წაკითხულ ლექციას ხალხი მრავლად დასწრებია. „ლექცია მშვენიერი იყო, უნაკლებო ორატორული ქმნილება; შინაარსითაც საინტერესო და მდიდარი“ (დროება 1908თ:2). როგორც ვხედავთ, ლექციამ ხაზი გაუსვა რობაქიძის ორატორულ ნიჭსა და მის რუდუნებას ფორმისა და შინაარსის სრულქმნისათვის. „დროება“ სასურველად მიიჩნევდა ლექციის დაბეჭდვას, რათა აკაკის შესახებ არსებული ღარიბი ლიტერატურა გამდიდრებულიყო. დღეს ბევრგან შეხვდებით გრ. რობაქიძის ბროშურას „აკაკის ქნარი“.

„დროებაშივე“ რუბრიკით „აკაკის იუბილეი“ დაიბეჭდა მიმოხილვა – „პრესა აკაკის იუბილეოზე“. უცნობი ავტორი საუბრობს „აღზე“, „სავაჭრო გზაზე“, „ფასკუნჯზე“. დიდი ადგილი ეთმობა გრიგოლ რობაქიძის საყურადღებო წერილს „აკაკის ბუნება“, რომელიც მთლიანად არის გადმობეჭდილი აღმანახიდან „აკაკის დღე საქართველოში“.

„მეტად რთულია აკაკის ბუნება: მასში იღუმაღლ არიან ხლართულნი მისი პიროვნება და მისი შემოქმედება...“

აკაკის ბუნება ქართველების ბედის ნატეხია. ყოველი ერი წარმოადგენს სულიერ რეალობას. იდეა პლატონისა, მონადა ლაიბნიცისა, იგი ხორციელდება, ესე იგი, ვითარდება, სრულდება, ისტორიას განიცდის. ამ პროცესში იგი თვალს იხსნის, ცნობას აღწევს, ენას იდგამს, მეტყველებას იღებს. ეს არის ერის პირველი დაბადება“ (დროება 1908ი: 4), – წერს გრიგოლ რობაქიძე.

მაგრამ შეიძლება ერს ისევე მიეძინოს – თვალი დაეხინდოს, ცნობა დაეკარგოს, ენა დაუნღუნდეს. ძილი შეიძლება, ხანგრძლივი აღმოჩნდეს, მაგრამ ერი ისევე იღვიძებს,



თვალს ხელახლა ახელს, ცნობიერება და მეტყველება უბრუნდება. ეს ერის მეორედ დაბადებაა.

გრიგოლ რობაქიძეს ეს ყველაფერი აკაკის ბუნების ასახსნელად სჭირდება. საგულისხმო პარალელი: აკაკი და პუშკინი (აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1896 წელს ნიკო ნიკოლაძემ აკაკისა და პუშკინის პოეზიის ერთგვაროვანებაზე პირველად ისაუბრა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“).

პუშკინი მისთვის რუსობის “პირველი დაბადების” შვილია, აკაკი კი – ქართველობის მეორედ დაბადების.

პუშკინი – დილის, აკაკი კი საღამოს ბინდისას გამოჩნდა.

პუშკინამდე, გრ. რობაქიძის აზრით, რუსთა სული მზეეს გრძნობდა მხოლოდ, უნახავად გრძნობდა და პუშკინიც მის ბრწყინვალე ამოსვლას ელოდა. აკაკიმდე ქართველობის სულს მზე ნანახი ჰყავდა და აკაკიც მის მეორე ამოსვლას სევდიანად მოელოდა.

ავტორის მტკიცებით, პუშკინამდე რუსთა ძალა ბარბაროსობაში იყო მხოლოდ ნაცადი, პუშკინის შემდეგ მიიქცია თავი კულტურისაკენ; საქართველოში კი აკაკიმდეც იყო კულტურა ძლიერ განვითარებული, მას მხოლოდ უნდა განეგრძო ეს ტრადიცია.

პუშკინი – ახალდაბადებული ხალხის პირველი სიტყვა.

აკაკი – გაღვიძებული ხალხის მეორე სიტყვა.

პუშკინი ღალი შემოქმედია, აკაკი კი – მწუხარე. თუ პუშკინის ჩანგი მღეროდა, რადგან მის მუზას ბევრი რამ ახარებდა, აკაკის სტვირი მოსთქვამდა და ტიროდა, რადგან მისი მუზა ნაღვლიანი იყო, ერთი რამ აწუხებდა გამუდმებით, ერთი მოტივი ვასდევდა.

ეს „ერთი რამ“ ხსნის აკაკის ბუნებას. იგი ქართველების ტრაგიზმის მატარებელია. ავტორის აზრით, აკაკის ბუნებაში ქართველობის მებრძოლი სული განსახიერდა. „ამისათვის მისი პიროვნება ქართველთა სახის მსხვერპლად იქცა. აქ არის ჩამარხული საიდუმლოება აკაკის პიროვნებისა და მის შემოქმედებისა: აკაკი ნამდვილი პიროვნებაა მხოლოდ მაშინ, როცა ჰქმნის“ (დროება 1908კ:4). ამ საიდუმლოს ასხნას ავტორი მომავალს ანდობს. აკაკის ბუნებაზე საუბრისას იკვეთება, რომ გრიგოლ რობაქიძისთვის აკაკი მხოლოდ პოეტი კი არა, „ქართველობის იდუმალი თანმეტყველი სახეა“. ქართველის ბედი ამ სახის გამოცნობასაც უკავშირდება.

აკაკიზე ლექციის წასაკითხავად რობაქიძე ქუთაისში მიიწვიეს, 12 დეკემბერს „დროება“ მკითხველებს ამცნობს თარიღსა და ადგილს – 13 დეკემბერი, ქუთაისის თეატრი. აქვეა ცნობა იმის შესახებ, რომ გრ. რობაქიძე იმხანად მუშაობდა ვრცელ რევერატზე შოთა რუსთაველის შესახებ (დროება 1908ლ: 2).

ამ დროისათვის აკაკიც ქუთაისშია, – ქალაქი მის იუბილეს ზემობს.

გრიგოლ რობაქიძის ლექცია ქუთაისელებსაც ძალიან მოსწონებიათ (დროება 1908მ:2).

ეს ინფორმაციები და წერილები, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნდებოდა რუბრიკით „აკაკის იუბილეი“. 1908 წლის „დროებაში“ გრ. რობაქიძე მხოლოდ ამ იუბილესთან დაკავშირებით ჩანს. აკაკისთან ერთად შემდგომაც ერთი-ორჯერ გაივლევებს რობაქიძის სახელი, ამჯერად – გაზეთ „კოლხიდაში“.

1912 წლის ივლისში აკაკი რაჭა-ლეჩხუმში სამოგზაუროდ ემზადება. „კოლხიდასთვის“ უცნობებიათ, რომ გრიგოლ რობაქიძისათვის შეუთავაზებიათ, თან გაჰყოლოდა მსცოვან მგოსანს და მის შესახებ ლექციები წაეკითხა (კოლხიდა 1912ა:2). ორიოდ კვირაში კი გაზეთი პოეტის თანმხლებებს ასახელებს: „თემის“ რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე, მხატვარი კოტე ქავთარაძე, აკაკის ძმისწული ვასილ წერეთელი და სხვ. (კოლხიდა 1912ბ:2). ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო გრიგოლ რობაქიძე ამ სიაში არ ჩანს.

აკაკის მიპატიჟება გურულებსაც გადაუწყვეტიათ, ოცდათხუთმეტი კაცისგან შემდგარი კომისიაც შეუქმნიათ და აკაკიზე ლექციის წასაკითხავად გრ. რობაქიძის მიწვევაც განუზრახავთ (კოლხიდა 1912გ:2). შემდგომ მოვლენებზე „კოლხიდა“ არაფერს აღნიშნავს.

სამიოდე წლის შემდეგ აკაკი „სულიკოს“ მოსმენით გარდაიცვლება.

მისი ბუნებისა და შემოქმედების თავყანისმცემელი გრ. რობაქიძე გამოსამწვიდობებელ სიტყვაში, რომელიც გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა, აღნიშნავს: „რადაც ქედმაღალი და თან უბრალოა ის, რომ ქართველი ერი მიცვალებულს მგოსანს მხოლოდ სახელით მიმართავს: აკაკი. შორეულ დროთა გამოძახილი უნდა იყოს ეს მოვლენა, როცა ყოველი შემოქმედი შვილი იყო ნამდილი ხალხისა და ხალხიც შვილს მხოლოდ სახელით თუ უხმობდა. ასეთი შვილია აკაკი ქართველი ერისა“ (თემი 1915ა: 1).

აქ ვერ ნახავთ მწუხარების გამომხატველ სიტყვებს, ვერც პათეტიკურ დამწვიდობებას, და მაინც, თვით სათქმელის კილო, მშვიდი და უცრემლო, ტკივილს გაგრძნობინებს, ავტორის მიერ განცდილს.

აკაკი ხალხის მგოსანია, ხალხური მომღერალია. მაგრამ ხალხურობა ორგვარია. „არის ხალხურობა, როცა ხალხი თხზავს და შვილი მღერის: ასეთი ხალხურობა პრიმიტიულია, სადა, უბრალო; აკაკის ხალხურობა სხვანაირია. იგი ჰქმნის თვითონ და ხალხი ითვისებს: ასეთი ხალხურობა სტიქიონურია, ღრმა, რთული... იგი ცნაურებაა ხალხის პოტენციისა (შესაძლოებისა), მისი შინა-მხარისა“ (თემი 1915ბ: 2).

გრიგოლ რობაქიძესთან შესისხლხორცებული მითი კვლავაც იწენს თავს. მისთვის პოეზია მითის მქნელობაა. აკაკის პოეტურ ქმნილებებს თამარი გასდევს მითად. „ნამდვილი მგოსნობაც სწორედ ეს არის – წარმოშვა „მითური“ (ანუ „მუსიკალური“ ფართოდ) განცდა“ (თემი 1915გ: 2).

მუსიკალობას თუ ვახსენებთ, ან კი ვინ შეედრება აკაკის. გრიგოლ რობაქიძე საგულისხმო წამებს იხსენებს: ერთხელ სასტუმროში, გვერდითი ოთახიდან მოესმა თურმე აკაკის მეტყველება, სიმღერის მსგავსი, რომელშიც სიტყვებს ვერ გაარჩევდით. შემდეგ

გაუგია, რომ ეს „ჩვეული წამია აკაკის შთაგონებისა: ჯერ მუსიკალური გულ-ნება, შემდგომ – პოეტური იდეა. აკაკი სავსე იყო შთაგონების აღ-ნაკადულით, და, როგორც გადმოგვცემენ, ხშირად უნდა ამდგარიყო ღამით მთვარეულსავით და შემოქმედებაში „დაეცალა“ იგი ნაკადული“ (თემი 1915დ: 2).

აკაკის პოეზიის სტიქიურობაზე, ბუნებრიობაზე საუბრობდა გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის, ლექციასა თუ წერილში. როცა პარალელს ავლებდა აკაკისა და ილიას შემოქმედებას შორის, აღნიშნავდა, რომ პირველის პოეზია ბუნებრივად მოდის, მეორეს კი „ხელოვნურად დამუშავება“ სჭირდება. აკაკი მსუბუქია, ილია – მძიმე. მისი სიტყვით, აკაკი ქმნის და არ ცდილობს, ილია ცდილობს და ქმნის.

აკაკის ლექსის ფორმა და შინაარსი განუყრელია. სიმბოლო და აზრი იმდენად ერთიანია, რომ მკითხველს ხშირად შინაარსი ეცოტავება, მხოლოდ ღამაზე ფორმას ხედავს.

ილიას ლექსში კი ფორმა და შინაარსი ცალ-ცალკე დგას, მკითხველს არა ფორმის სიღამაზე, არამედ აზრის სიღრმე ხიბლავს.

„აკაკიმ აზრი ფორმაში გაადიდა და მით იდეა და სახე განუყრელ, მაგრამ განსხვავებულ ჰქმნა, ილიამ აზრი ფორმაში ასე ღრმად ვერ ჩამოასხა და მით იდეა და სახე განსხვავებულ ჰქმნა, მაგრამ განუყრელი ვერა“ (თემი 1915ე:2).

პრესა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ გრ. რობაქიძის, როგორც ლექტორის, მოღვაწეობას. მის ლექციებს თან სდევდა აღტაცება, დიდი გამოხმაურება, პოლემიკა.

1909 წლის 9 ოქტომბერს „დროება“ მკითხველებს აცნობებს, რომ 20 ოქტომბერს ქართულ თეატრში შესაძლებლობა ექნებათ, მოისმინონ ლექცია – „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ (დროება 1909ბ:3).

მაგრამ ლექცია რამდენიმე დღის დაგვიანებით, 24 ოქტომბერს მოისმინეს. „დროება“ პროგრამას აქვეყნებს. შესავლის შემდეგ ლექტორი მხატვრის ორ ტიპზე ისაუბრებს, – აცნობებს გაზეთი მკითხველს, – მხატვრის ანუ ხელოვანის ერთი ტიპი სხვადასხვა სახედ იქცევა, რათა მათში ცხოველყოს საკუთარი სახე, მეორე კი საკუთარი სახეს ხსნის, რომ სხვადასხვა სახედ აქციოს. ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეტთა ამ მეორე ტიპს ეკუთვნის, „მისი პოეტური შემოქმედება მისი სულიერი დრამაა“ (დროება 1909გ:4).

პარალელი გაივლება შექსპირთან და ბაირონთან.

პირველივე ნაწილში გამოიკვეთება ბარათაშვილის პოეზიის მთავარი მოტივი, –წერს „დროება“. ლექტორი პოეტის შემოქმედებას თარის ხმას ადარებს, როგორც წარსულის ამოკვნესას... მარადიულის შეგრძნება და წარმავალზე ფიქრი...

ლექციის მეორე ნაწილი შეეხება პოეტის მცდელობას – იპოვოს ხსნა სიყვარულში. „სიყვარული მისთვის უზენაესი მსხვერპლია. სხეულება და სულიერება სიყვარულში.

ბარათაშვილი სქესური სიყვარულის სფერაში ხედავს იმავე წარმავლობას, იმავე ამოებებს, – და სულიერი დრამა მისი ღრმავდება“ (დროება 1909დ:4).

პოეტი მარტო რჩება („სული ობოლი“). შველას ამჯერად ბუნებისგან მოელის. მეგობრობს მტკვართან და მთაწმინდასთან.

პროგრამის თანახმად, მესამე ნაწილში ლექტორი ისაუბრებდა იმაზე, რომ ბუნება ვერ შეეღობის განდევნილ სულს. ის კვლავ მარტო რჩება. მხოლოდ რელიგიას შეუძლია მისი ხსნა. ლექციის თანახმად, ეს ერთგვარი ბუნებრივი ცდილებაა... ბარათაშვილს ამოება გაპიროვნებული სახით ევლინება („სული ბოროტო“). ამოება აწვალებს პოეტს შემოქმედების პროცესშიც კი („ვპოვე ტადარი“).

საბოლოოდ, „ბარათაშვილის სულისკვეთება მის სასოს წარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ამ თავისმკვლევლობის წინ იგი უხმობს თავის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს, რომ ქვესკნელში გადაფრინდეს“ (დროება 1909ე:4).

დასკვნაში – ბარათაშვილი და ქართველობა.

პროგრამა მონახაზებით გვიხატავს მთელი ლექციის მიმართულებას და იმდენად ზუსტად არის გადმოცემული, რომ წარმომდგენის ვინაობაზე გვაფიქრებს. პროგრამას ხელმოწერა არ ახლავს, მაგრამ ცხადია, რომ ჯერ არმოსმენილი ლექციის მიმდინარეობას ასე დაწვრილებით სხვა ვერავინ გააცნობდა მკითხველს, თუ არა თავად ლექტორი.

ჟურნალ „ფასკუნჯში“ დაიბეჭდა მცირე ნაწყვეტი რობაქიძის ლექციიდან, სადაც იგი ბარათაშვილის შემოქმედებას ადარებს თარის ხმას, წარსულიდან ამონაკენსს.

„მოგისმენიათ თარი? ჰო, მოგისმენიათ უთუოდ და კიდევ დამწვარხართ! რაღაც საიდუმლებაშია შევებული მისი მატყვევებელი ხმა: ახლო უსმენთ და შორით კი მოგესმით“ (რობაქიძე 1910ა:76).

თარის ხმას გაჰყვებით შორს და ჰკარგავთ სივრცეს, ჰკარგავთ დროს, ჰკარგავთ ხმებს.

მხოლოდ დუმილი.

დუმილი ირგვლივ.

დუმილი თქვენში.

ხვდებით, სხვაგან ხართ, სხვა ქვეყანაში.

„ეს სხვა დროა, საუკუნე მობრუნებული, წარსული აღდგენილი... გული საგულეს ხეთქავს. თარი კი განაგრძობს: მოსთქვამს და ტირის...“ (რობაქიძე 1910ბ: 76).

თქვენ გესმით სევდა იმ ქართა, ნანგრევებს რომ გადაუქროლა. თქვენ გრძნობთ საუკუნეთა კაეშანს.

გრ. რობაქიძის სიტყვით, ეს თითქოს მუსიკა კი არა, დაკარგული მელოდიაა, სადღაც ტყვექმნილი და ახლა გათავისუფლებული.

დაბოლოს, ობლის სულის დაღევა...

„იგი უხმობს მშობელს მუსიკას, დაეძებს დედას, მაგრამ ვერ ნახულობს და სულსა ლევს ობოლი!..“ (რობაქიძე 1910გ:76).

ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ მთელი ლექციის მხატვრული ღირსება ამ პატარა ნაწევრის მიხედვით; ზუსტად მიგნებული და აფერადებული შედარებებით ვიგრძნობთ, რომ ბარათაშვილის პოეზია თარის ხმაა, ის ხმა, რომელიც იქნებ არც მოგვისმენია, მაგრამ მაინც ჩაგვესმის.

იმ დღეს კი, როცა ლექცია იყო დანიშნული, „დროება“ შეახსენებს მკითხველს, რობაქიძე საინტერესო ქართულ ლექციას წაიკითხავსო. ამასთან, ხაზს უსვამს, რომ ლექტორი ახალ სიტყვას იტყოდა ჯერაც სათანადოდ დაუფასებელი დიდი პოეტის შემოქმედებაზე. გაზეთი იმაზეც მიუთითებს, რომ ივანე გომართელი საზოგადოებას გააცნობს პოეტის ბიოგრაფიას (დროება 1909ვ:3).

გრიგოლ რობაქიძის ლექციას არჩილ ჯორჯაძე გამოეხმაურა. მისი ვრცელი წერილი იმ ახლო წარსულის გახსენებით იწყება, როცა ქართველი საზოგადოება პოეზიას სათანადოდ არ აფასებდა და შექსპირის დრამებს კარგ წაღას არჩევდა. დრო გავიდა და საზოგადოებამ სიტყვის ფასი იგრძნო, შეძლო რამდენიმე საათის განმავლობაში ყურადღებით მოესმინა ლექცია. აუდიტორიის, ასე ვთქვათ, მომზადებაში ერთ-ერთი მთავარი როლი, უდავოდ, გრიგოლ რობაქიძემ შეასრულა. რაც შეეხება ლექციას ბარათაშვილის შესახებ, მისით რჩეული ქართული საზოგადოების დაინტერესებას, არჩილ ჯორჯაძე ორი მიზეზით ხსნის – ლექციის თემითა და თავად ლექტორით. ავტორის სიტყვით, გრიგოლ რობაქიძე ის ნიჭიერი ადამიანია, „რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველ საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკურ ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი“ (დროება 1909ზ:1).

გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისის მიმოხილვამდე არჩილ ჯორჯაძე ივანე გომართელის გამოსვლას ეხება. ბარათაშვილის მეღანქოლის მიზეზად ი. გომართელს იმდროინდელი საქართველოს უნუგუმო სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა დაუსახელებია: საქართველო პოლიტიკურად, პრაქტიკულად, აღარ არსებობდა, ვისი იმედიც ჰქონდა, გაუცრუვდა... ეროვნული ცხოვრება დაკნინდა. იდეალებს მოკლებული საზოგადოება ჯერ სასოწარკვეთილებას მიეცა, შემდეგ კი უდარდელ ცხოვრებას. ივანე გომართელის აზრით, სწორედ ამ ვითარებით იყო გამოწვეული ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმი. არჩილ ჯორჯაძე ფიქრობდა, რომ მისტიკოსი რობაქიძე გომართელის რეალიზმს შეეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა. თუმცა, სანამ ამ საკითხს მიმოვიხილავთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გამოხმაურების ავტორი ლექციის პირველი ნაწილით ნასიამოვნები ვერ დარჩენილა, რაკი ლექტორს აღელვება ვერ დაუოკებია და პათეტიკურად უსაუბრია.

ჩვენ მიერ აქამდე მიმოხილულ მასალებში ეს იყო რობაქიძის, როგორც ორატორის მიმართ გამოთქმული პირველი უკმაყოფილება. მაგრამ იგი საკუთარ თავს არ აპატიებდა, თუკი მღელვარებას ვერ დასძლევდა და თავის ორატორულ ნიჭს ჩრდილს მიაყენებდა.

ლექციის მეორე და მესამე ნაწილში იგი საზოგადოებას წარდგომია, როგორც „ნამდვილი არტისტი“ და თავისი სიტყვის ბატონი, რომლისთვისაც ძალიან იოლი იყო, გაეერთიანებინა აუდიტორია, შეეკრა, ერთი აზრით გაემსჭვალა და მიემხრო.

როგორც აღვნიშნეთ, არჩილ ჯორჯაძე გრიგოლ რობაქიძისგან გომართელის თვალსაზრისთან დაპირისპირებას მოელოდა. იგი გააკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გრ. რობაქიძესაც ბარათაშვილის შემოქმედებისა და სულიერი დრამის მიზეზად საზოგადოებრივი გარემო, წარსული დიდების ნაშთთა ხილვა დაუსახელებია და მაგალითად ელადა მოუყვანია: რას უნდა გრძნობდეს თანამედროვე საბერძნეთში ყოველ ნაბიჯზე წარსული დიდების ნანგრევების მხილველი ადამიანი?! „წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისა, აწმყო – საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისა“ (დროება 1909თ:1).

გრიგოლ რობაქიძის აზრით, „გრძნობა მარადიულისა“ და წარმავალზე ფიქრი არის ბარათაშვილის ლირიკის მთავარი მოტივი, მაგრამ ა. ჯორჯაძისთვის მიუღებელია სოციალ-პოლიტიკური პრობლემის მარადისობისა და ამაოების ფენომენთან დაკავშირება. გამოდის, რომ პესიმიზმი და მარადიულის ძიება მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა პოლიტიკური წყობილება საკმარის საფუძველს იძლევა. ასეთ შემთხვევაში, არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, გაუგებარი იქნებოდა ძლიერი და ამაყი ბრიტანეთის შვილის, შელის პოეზია, რომელშიც, ბარათაშვილის შემოქმედების მსგავსად, ღრმა სევდა და „სახლვარდადებულ ბუნების გადალახვის“ სურვილი ჩანს. „პოლიტიკური დამოუკიდებლობა, გინდ სოციალიზმის დამყარება ვერ დააშოშმინებს ადამიანის გულს, ინდივიდუალობით შევიწროებულს, სიკვდილის წინაშე მდგომარეს და ამ სიკვდილის დათრგუნვის სურვილით შეპყრობილს“ (დროება 1909თ:2), – წერს ავტორი.

არჩილ ჯორჯაძე ხაზს უსვამს სიკვდილისადმი ადამიანების სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას. ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ, სიკვდილი არ გვაშინებს, ერთი ბრძენის ნათქვამის არ იყოს, ადამიანები იმით ვინუგეშებთ თავს, რომ სანამ ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არსებობს და როდესაც სიკვდილი მოდის, ჩვენ აღარა ვიქნებით. მაგრამ პოეტებს ეს ყოველივე არ აკმაყოფილებთ. ამდენად, ავტორის სიტყვით, ნიკოლოზ ბარათაშვილის წვა, მარადისობის ძებნა და ცხოვრების ამაოების შეცნობით გამოწვეული სასოწარკვეთა, არ შეიძლება, მხოლოდ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე ყოფილიყო დაფუძნებული, ეს პოეტის ერთგვარი ფილოსოფიური მიდრეკილებით და მისი „ღირის ესტეტიურის ღრმანახედულებით“ იყო გამოწვეული. ამ საკითხს, არჩილ ჯორჯაძის აზრით, ლექტორმა საკმარისი ნათელი ვერ მოჰფინა და საზოგადოებას შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ბარათაშვილის ღირის მოტივები მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვით იყოს ნაკარნახევი.

ა. ჯორჯაძეს საგულისხმოდ მიაჩნია ილია ჭავჭავაძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კაცობრიობის სევდა ისაა, რომ ეძებს და ვერ პოულობს. ძიებაზე გრ. რობაქიძესაც უსაუბრია ლექციის მეორე და მესამე ნაწილებში, რომლებიც, არჩილ

ჯორჯაძის თქმით, შეუდარებელი ანალიზით ყოფილა გამორჩეული. ლექტორის აზრით, „მერანში“ იხატება სასოწარკვეთა პოეტისა, რომელმაც ნუგეში ვერსად ჰპოვა, – ვერც სიყვარულში, ვერც ბუნებაში, ვერც რელიგიაში. მსოფლიოსგან მოწყვეტილი ბარათაშვილი უფსკრულში ჩანთქმამდე თავის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს უხმობს. ილია ჭავჭავაძე კი „მერანში“ ბედისადმი ომის გამოცხადებას, ზეკაცობისადმი მისწრაფებას ხედავს. ამ მოსაზრებისკენ იხრება არჩილ ჯორჯაძეც, ამასთან, იშველიებს გერონტი ქიქოძის სიტყვებსაც, რომელთა თანახმადაც, „მერანი“ საკუთარ თავთან ბრძოლას, ჩაუცხრობელ ტრაგიკულ კონფლიქტს ასახავს.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოაზროვნე ზოგიერთ საკითხში არ დაეთანხმა ახალგაზრდა ლექტორს, მაინც მადლობას უხდის მას, რადგან, მისი აზრით, ასეთი ლექციები ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისთვის. „სასიამოვნოა, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც კარგის, მკაფიო გამოსახულის ენით ესაუბრება საზოგადოებას პოეზიის და ხელოვნების შესახებ. სასიამოვნოა, რომ ჩვენში გაჩნდა უკვე იმგვარი კატეგორია, რომლისთვისაც საინტერესონი ხდებიან ცხოვრებისა და ხელოვნების ღრმა პრობლემები. ამ საქმეში გრიგოლ რობაქიძეს დიდი დგაწლი მიუძღვის და მადლობის მეტი არა ეთქმის რა“ (დროება 1909კ:2).

გრიგოლ რობაქიძეც მაღლიერებით გამოეხმაურა მიუკერძოებელ კრიტიკას, რომელშიც საერთო შთაბეჭდილების გადმოცემასთან ერთად ლექციის ავ-კარგი იყო მიმოხილული მოზომილი ენით... რობაქიძემ არჩილ ჯორჯაძის ეს წერილი კრიტიკული რეცენზიის ნიმუშად მიიჩნია, რადგან პირად სიმპათია-ანტიპათიას, პირად გრძნობებს კი არა, ანალიზს ეყრდნობოდა: “ნაკლის ჩვენება საწყენი არაა, რადგან არც სრულია არავინ. მაგრამ იგი ჩვენება უნდა იყოს სიყვარულით გამოწვეული და არა შურიანი მძულვარებით“ (დროება 1909ლ:2)

იმის თქმა, თითქოს მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას შეეძლო, წარმოეშვა ბარათაშვილის ლირიკის მოტივები, რობაქიძეს, როგორც ჩანს, არც უფიქრია. აზრის ამგვარ გაგებას საკუთარ დანაშაულად მიიჩნევს იმის გამო, რომ მღვლეარება ვერ დაიოკა. შემდგომ კი, მეორე და მესამე ნაწილში დაუსრულებელ აზრს ვერ დაუბრუნდა, რადგან არ სურდა, ლექციის მთლიანობა დარღვეულიყო.

თქმით კი ამის თქმა სურდა: პოეტი და „ეროვნული სხეული“ ორგანულად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ყოველი მგოსანი ინდივიდია, განუმეორებელი, განსაკუთრებული, განცალკევებული; მას საკუთარი ბუნება აქვს, რომელიც სხვისგან არ გამომდინარეობს და არც სხვამდე დაიყვანება. ამის მიუხედავად, იგი არა თუ მოწყვეტილია, არამედ შესხეულებულია მსოფლიოს. თავის ბუნებას მსოფლიოს განსაზღვრულ ფარგლებში შლის. აქედან რობაქიძეს პოეტის შემოქმედების განსახილველად ორი კრიტერიუმი გამოჰყავს: აბსოლუტური და ისტორიული. „აბსოლუტური თავლსაზრისი ფაქტად აღნიშნავს მგოსნის ბუნებას, მის ერთხელ მოვლენილსა და განუმეორებელს ინდივიდუალობას; ისტორიული თავლსაზრისი

მიზეზებრივ ხსნის, თუ რომელ განსაზღვრულ წრეში მხილდება (და არა იქმნა) მისი ბუნება“ (დროება 1909მ:3).

ასევე განიხილავს ბარათაშვილსაც, რომელიც, გრიგოლ რობაქიძის აზრით, თავისი გენიალური ბუნებით წინ უსწრებდა თანადროულ ქართველობას, მაგრამ, იმავე დროს, მთელი თავისი არსებით ქართველობის, როგორც სულიერი ერთეულის, სხეულს ეკუთვნოდა. თითქოს ძნელია, ამაში არ დაეთანხმო ავტორს, მაგრამ იოლი აღმოჩნდა ჯორჯაძისთვის, როგორც ცოტა ქვემოთ ვნახავთ.

გრიგოლ რობაქიძე იმეორებს, რომ წარსული მარადისობის რომანტიკულ გრძნობას აღვიძებს, აწყო კი აღძრავს სასოწარმკვეთ ფიქრს ცხოვრების ამოების შესახებ (ხაზს უსვამს სიტყვას „აღვიძებს“ და არა „ქმნის“, როგორც ჯორჯაძემ ჩათვალა). ამასთან, ლექტორს საქართველოს დაცემაში ქართველთა შემოქმედებითი ძალის დასუსტება, დაღლა, დაქანცვა უგულისხმია და არა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ამ შემთხვევაში მთავარი სწორედ კულტურული დაღმასვლაა და სოციალური მდგომარეობა, თუმცა ეს საერთო ვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

„მცირე განმარტების“ პასუხში არჩილ ჯორჯაძემ მკითხველს შეახსენა თავისი შეხედულებები, რას ამბობდა ლექტორი და რაში არ ეთანხმებოდა მას ჯორჯაძე. მოიტანა ვრცელი ციტატა რობაქიძის განმარტებიდან: პოეტისა და ეროვნული სხეულის ორგანული კავშირი, შემოქმედების ინდივიდუალური ბუნება, აღმოცენება ეროვნულ ნიადაგზე და შესხეულება მსოფლიოსთან... ჯორჯაძისთვის ნათელი გახდა, თუ რისი თქმა უნდოდა ლექტორს მაგრამ მიუღებელი აღმოჩნდა რობაქიძისეული ორი კრიტერიუმი: აბსოლუტური და ისტორიული. პირველი იმის გამო არ გაიზიარა, რომ პოეტის შემოქმედებითი ნიჭის აბსოლუტიზმის მიხედვით შეფასება ვერ დაუშვა, მაგრამ აღიარა მეორე კრიტერიუმი – ისტორიული. მასში, ჯორჯაძის აზრით, უნდა უნდა შედიოდეს „როგორც მატერიალური გარემო (პოლიტიკური ფორმა მმართველობისა და საწარმოო ძალთა ურთიერთობა), ისე ყოველივე ის, რაც ამ გარემოს გარეშეა აღმოცენებული, ხოლო რასაც პოეტის სულიერ ვითარებაზე აქვს გავლენა – კაცობრიობაში დამკვიდრებული ფილოსოფიური, რელიგიოზური და ესტეტიკური აზრები“ (დროება 1909ნ:2).

არჩილ ჯორჯაძისთვის პიროვნება არ არის ერთხელ მოვლენილი, განუმეორებელი ინდივიდი, რომელიც არა ისტორიული, არამედ აბსოლუტური საზომით უნდა იზომებოდეს. ეს იქნებოდა ემპირიულ მოვლენათა საზღვრების გადაცილება. ავტორი გრძნობს, რომ ისტორიული, ემპირიული ფაქტორები სრულად ვერ ხსნის პოეზიის პრობლემურ საკითხებს. საიდუმლოებები საიდუმლოებებად რჩება. ამის მიუხედავად, არ აღიარებს კვლევის რობაქიძისეულ, არაემპირიულ საზომს, რაიმე მოვლენის მეტაფიზიკური ახსნა მისთვის მიუღებელია. თავადვე აღნიშნავს, რომ ემპირიულ მეცნიერებას წინ ხედება ზღუდეები, რომელთა გადალახვაც ჯერ-ჯერობით არ შეუძლია, კითხვები, რომელთაც ვერ პასუხობს. და მაინც, ა. ჯორჯაძის აზრით, ადამიანმა მეტაფიზიკას არ უნდა მიმართოს – ეს „რაციონალიზმის სულმოკლეობა“ იქნება. შეგვინდოს პატივცემული მოღვაწის სულმა,



თუკი მის პრინციპულობას ამ შემთხვევისთვის შეუფერებლად ჩავთვლით. უარი თქვა პრობლემის ახსნის გზაზე მხოლოდ იმიტომ, რომ არ გინდა დაეთანხმო (არადა, გრძნობ, რომ სწორია), წინ გადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება ვერც რაციონალიზმსა და ვერც ირაციონალიზმში. დიმიტრი უზნაძე ამის შესახებ შენიშნავს: „ჯორჯიის შეხედულება სიმხდალეს იცავს აზროვნებაში“ (დროება 1909:3). არჩილ ჯორჯაძე, იქნებ თავისდა უნებურად, ისეთ აზრს გამოთქვამს, რომელიც რობაქიძის წისქვილზე ასხამს წყალს: ლირიკა ემპირიულად რომც განმარტო, „მაინც დარჩება გამოურკვეველი ერთი რამ – რთული ფსიხიური შემოქმედება პოეტისა, დარჩება გამოურკვეველი შემოქმედების საიდუმლოება და მისწრაფება „მარადიულისადმი“ და უსაზღვროებისადმი, რომელიც პოეტის შემოქმედების საფუძველს შეადგენს“ (დროება 1909:2).

ამის მიუხედავად, კვლავ უარყოფს „აბსოლუტურ საზომებსა“ და “ონტოლოგიურ არგუმენტებს“. არჩილ ჯორჯაძისთვის ყოველივე ეს სასწაულის აღიარებით თავის ხსნა, ამოუხსნელ საიდუმლოზე ფიქრისგან გაქცევაა. თავად კი თავისი ემპირიზმით ვერცერთ კითხვას ვერ სცემს პასუხს. ასეთი ყოფილა ადამიანის ბედი, შემოქმედების საიდუმლო ამოუხსნელი რჩებაო, – ჩივის. ადამიანმა უნდა იღვაწოს ამ „ტრაგიკული მდგომარეობის“ დასათრგუნავად, მაგრამ არაფერ იცის, ეს ღვაწლი გამარჯვებამდე მიიყვანს თუ არა.

გრიგოლ რობაქიძემ ანტიმეტაფიზიკურ შეხედულებას გვერდი აუარა და მასზე მსჯელობა „სხვა დროისთვის“ გადადო, დიმიტრი უზნაძე კი ჯორჯაძეს შეეწინააღმდეგა – თუ მისთვის მეტაფიზიკური აზროვნება უძლურების გამოაშკარავებაა, ჩვენთვის – ძლიერების უტყუარი ნიშანიაო. მისი აზრით, აზროვნებიდან მეტაფიზიკის გაძევება ადამიანის ფილოსოფიური სულის დაქანცვის ნიშანია. ამავე დროს, უზნაძისთვის მიუღებელია რობაქიძის შეხედულებაც, რადგან იგი ფსიქიკის პასიურობის ხარჯზე გარემოს ანიჭებს პრიორიტეტს და, ამდენად, საკითხსაც ვერ წყვეტს. ლექტორის მცდარი აზროვნების საწყისად დიმიტრი უზნაძე გრიგოლ რობაქიძის მიერ აღიარებულ „სულის სუბსტანციონალურად გაგებას“ მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც ფსიქიკა სუბსტანციურია და მხოლოდ რაიმეს ზეგავლენით ხდება აქტუალური. ავტორის აზრით კი, „ფსიხიკა აქტუალურია და არა სუბსტანციონალური, რაიც მხოლოდ გარეშე ბუნებაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი იგივეობის, ენერჯის იგივეობის პრინციპზეა დამყარებული. ფსიხიკა კი შემოქმედების პრინციპით ხასიათდება“ (დროება 1909:4).

დიმიტრი უზნაძე არ ხსნის, რაში გამოიხატება შემოქმედების პრინციპი, ამდენად, დებულება, რომ ფსიქიკა აქტუალურია და არა სუბსტანციური, ამ შემთხვევაში დაუმტკიცებელი რჩება.

ავტორი ვრცლად საუბრობს სულის ორმხრივობაზე (იგი ერთდროულად არის შემოქმედიც და პასიურიც). გაორებული ფსიქიკა ორ მოწინააღმდეგე მიმდინარეობას – შემოქმედ გონებასა და პასიურ გრძნობას მოიცავს. ადამიანში ეს ორი მხარე იბრძვის, რაც ადამიანის ბუნების გარდაუვალი დრამაა. დ. უზნაძის აზრით, გენიალურ

ადამიანების, შემოქმედების არსებაში ასეთი დაპირისპირება ღრმავდება, ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემთხვევაში.

დიმიტრი უზნაძე დარწმუნებულია, რომ ბარათაშვილის პოეზიაზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ იქონიებდა სოციალურ-პოლიტიკური უკუღმართობა. მის სულიერ დრამას ერთადერთი მიზეზი აქვს – „იგი ილტვის, რომ თავისი შემოქმედი სული თავისი გონება **ქმნილ** აბსოლუტის მაგიერ **შექმნილ** აბსოლუტად აქციოს, მას სურს გონებით საჭკერეტი გახადოს განუსაზღვრელი“ (დროება 1909რ:4) (ხაზი აქაც და შემდგომაც ავტორებს ეკუთვნით – რ. გ.). ამავე დროს, ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი ძლიერი, შეუპოვარი გრძნობები აკავშირებს „დროულთან, წარმავალთან, უცაბედთან, ნაცადთან“ და ზღუდავს სულის აბსოლუტად ქმნისკენ ლტოლვას. მათი ბრძოლა სულიერი დრამის მიზეზი ხდება. „მერანი – ეს მისი შემოქმედი, აბსოლუტური სულია. მერანის რბენა, – ამ სულის ლტოლვაა დასრულებულ აბსოლუტად იქცეს. შავი ყორანი – ის გრძნებანია, რომელნიც განუყრელად შეკავშირებიან იმის სულს. რომელნიც წარმოადგენენ გარე ბუნებრივ და ამიტომ დროულსა და წარმავალს ელემენტს“ (დროება 1909ს:4). მათ ებრძვის პოეტის შემოქმედის სული. ბარათაშვილიც სულის მხარეს დგას, მისი გამარჯვება სურს, იგი გრძნობების მონად არ გახდის აბსოლუტურ სულს. ასე ესმის უზნაძეს ბარათაშვილის სიტყვები: „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“.

პოეტი მიეღწვის სულის სრულ თავისუფლებას. ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზე“ სულის გათავისუფლების გზას ესთეტიკურ ტკობაში ხედავს. შევებასაც ჰპოვებს, თუმცა ხანმოკლე, წუთიერს. მაგრამ ესეც დიდად მნიშვნელოვანია, რადგან ცხადს ხდის, რომ თავისუფლება შესაძლებელი ყოფილა.

თუ დიმიტრი უზნაძის მოსაზრებას გავიზიარებთ, უჩვეულო მოვლენის წინაშე აღმოვჩნდებით – ბარათაშვილის პესიმიზმი თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება. მისი სიტყვით, პოეტი „ოპტიმისტურად“ გრძნობს, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

დასკვნის სახით უზნაძე წერს, რომ ბარათაშვილის სული „ესთეტიურ ტკობის“ გრძნობათა დეღვისაგან განმარტოვდება. მისი მტკიცებით, სწორედ ასე უნდა გვესმოდეს განმარტოების პრობლემა საზოგადოდ და, კერძოდ, ბარათაშვილის პოეზიაში და არა ისე, როგორც ეს გრიგოლ რობაქიძეს დახატა თავის „წარმტაც ლექციაში“.

დიმიტრი უზნაძის თქმით, გრ. რობაქიძე შემოქმედისა და გარემოს ურთიერთობაში უპირატესობას მეორეს აძლევს – სუბსტანციური ფსიქიკა გარემოს ზეგავლენით ხდება აქტუალური. ნამდვილად ასე ფიქრობდა თუ არა რობაქიძე, შეგვიძლია, გავარკვიოთ მისი წერილით „შემოქმედი და გარემო“, რითაც უპასუხა ორივე ოპონენტს – არჩილ ჯორჯაძესაც და დიმიტრი უზნაძესაც.

თავდაპირველად, მოიტანა ვრცელი ამონარიდი თავისი „მცირე განმარტებიდან“, სადაც საუბრობდა მგოსნისა და ეროვნული სხეულის ორგანულ კავშირზე. პოეტის ინდივიდუალიზმზე, ამასთანავე, მსოფლიოსთან შესისხლხორცებაზე, შემოქმედების

შეფასების აბსოლუტურ და ისტორიულ კრიტერიუმებზე. შემდეგ აღნიშნავს, თუ რაში დაეთანხმნენ და რაში შეეწინააღმდეგნენ ჯორჯადე და უზნადე. არჩილ ჯორჯადის სვლას მეტაფიზიკის წინააღმდეგ არ დაუპირისპირა თავისი თვალსაზრისი, – სხვა დროს განვიხილავო (თუმცა, დაპირება არ შეუსრულდება), ხოლო თავისი ნააზრვეის უზნადისეულ არასწორ გაგებაზე საგანგებოდ შეაჩერა ყურადღება. წერილში გრიგოლ რობაქიძე განმარტავს, რომ, მისი აზრით, სუბსტანცია „თვისგნითვე“ ხდება აქტუალური და არა რაიმეს ზეგავლენით. აქ იმალება შემოქმედების საიდუმლო. რობაქიძისთვის გარემო ფართო ცნებაა. მასში ერთიანდება ყოველი არსი, მათ შორის, ყოველი შემოქმედი. ამ მხრივ, „გარემო თვითონ მსოფლიოა, რომელიც კერძო ინდივიდუალობის მიმართ დროისა და სივრცის საზღვრებში **გარემდგომი** გამოდის“ (დროება 1909ტ:2). მაგალითისთვის იღებს „ადამიანის შეცნობას (сознание)“. ერთი შეხედვით, ის პიროვნულია, კერძო. მაგრამ თუ დაუკვირდებით, მივხვდებით, რომ იგი ყოველადია, უნივერსალური. „ადამიანის შეცნობა მსოფლიო ფუნქციაა კაცობრივის შეცნობისა. აზრი და სიტყვა სხეულებია უნივერსალურის შეცნობისა; პირველიცა და მეორეც გულისხმობს ადამიანთა ფსიხიურ ერთობას. და ეს ერთობა ის მოვლენაა, რომელიც ტრანსცენდენტალურ შეცნობად ისახება“ (დროება 1909უ:2).

ყოველი სულიერი არსება „გრძნეულია“. იგი სივრცის შეგრძნებით არჩევს თავის „მეს“ სხვა საგნებისაგან, დროის შეგრძნობით კი საზღვრავს თავისი სულიერი მდგომარეობის მომენტებს. თვითონ „გრძნეულება კი (Sinnlichkeit, чувственность) უნივერსალურია, ყოველადი, კერძობისა და პიროვნულისაგან გამოუყვანელი. და ამ ხრივ, სივრცე და დრო უნივერსალური ფორმებია კაცობრიულის გრძნეულებისა“ (დროება 1909ფ:2). ასეა კანტის მიხედვით – სივრცე და დრო იდეალურია, „გარნა **იდეალობა** სივრცისა და დროისა სრულებით არ ნიშნავს მათს **სუბიექტოვობას**, როგორც ეს კანტს ეგონა. პირიქით, თუ სივრცე და დრო უნივერსალური ფორმებია გრძნეულებისა, მაშ, ობიექტურნიც უნდა იყვნენ ისინი“ (დროება 1909ქ:2). ასეა თუ ისე, ადამიანის შეცნობა ყოველადის შეცნობის მსოფლიო ფუნქციააო, – იმეორებს გრ. რობაქიძე. „შეცნობაში“ იგულისხმება ცნობიერება (сознание და არა сознать) მისი მეშვეობით, ჩვენ შევიცნობთ გარშემომყოფთ. სხვა არსის რეალობის შეცნობაში რაციონალიზმი ვერ გვიშველის. „ლოგიურის ცნებისაგან გამოიყვანება მხოლოდ გონებრივი პოტენცია და არა თვითონ ცხოველი და კონკრეტი სინამდვილე“ (დროება 1909დ:2). მხოლოდ უნივერსალურ შეცნობას შეუძლია, დაგვეხმაროს. მსოფლიო შეცნობით ჩვენ ისევე შევიცნობთ სხვათა რეალობას, როგორც საკუთარ სინამდვილეს.

სულიერი არსი და გარემო ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს. ისინი ერთ განუყრელ მთელს წარმოადგენენ, ამასთანვე დაპირისპირებულთ, რადგან განსხვავებულნი არიან. ასევე ითქმის შემოქმედსა და გარემოზე. შემოქმედი უერთდება მსოფლიოს და მის გარემოში შლის თავის ინდივიდუალობას. მაგალითი – სიტყვა ყოველადი, უნივერსალური.

შემოქმედი, როგორც „მსოფლიო შეცნობის“ ნაწილი, თავისუფლად ხმარობს მზად დახვედრილ სიტყვას. ენა გარემოს ეკუთვნის, შემოქმედი ამ ენით გამოთქვამს თავის „სულისთქმას“. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოს გარემოში შლის თავის განუმეორებელ ბუნებას. შემოქმედი ისე წვდება და ითვისებს მსოფლიოს, რომ მხატვრულად გაშლის მას, როგორც საკუთარს.

მსოფლიო მხოლოდ იმით არ განისაზღვრება, რაც დღეს არის, არამედ იმითაც, რაც უნდა იყოს, რაც იქნება მომავალში. ამ ქმნის პროცესში ვითარდება, სრულდება, განვითარების გარკვეული საფეხურები ისტორიულ გარემოდ იქცევა. შემოქმედი მის საზღვრებშია მოვლენილი და „ისტორიულ ამხილებს“, ამჟღავნებს საკუთარ ვინაობას. ასეა ყოველ ქმნილებაში. ერთი მითი, ზღაპარი, ლეგენდა, შეიძლება, მძლავრი თემა გახდეს მრავალი შემოქმედისთვის. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ერთმანეთისგან დროითა და სივრცით დაშორებული ხალხი ხშირად ერთსა და იმავე მითოლოგიას ქმნის.

მაგრამ, შეიძლება, გაჩნდეს კითხვა: სად არის შემოქმედი, გენიოსი, რომელიც გადალახავს საზღვრებს? შემოქმედი თავისსავე ქმნილებაშია განსახიერებული. ამდენად, ყოველი შემოქმედი ინდივიდია და არა, ასე ვთქვათ, სხვისგან მიღებული. მისი ინდივიდუალურობა მხატვრულ ქმნილებად ჩამოისხმება. ხელოვანი განუმეორებელია. შოთა რუსთაველი რომ არ დაბადებულიყო, ცხადია, არ გვექნებოდა „ვეფხისტყაოსანი“.

გრიგოლ რობაქიძე საინტერსოდ ხსნის ისტორიულ საზღვრებში მომწყვედეული შემოქმედის შერთვას უსაზღვროებასთან. მსოფლიოს განვითარების ისტორიული საფეხურები წარმავალია. ამის მიუხედავად, მათ „სიმბოლური სინამდვილე აქვთ. ყოველი წარმავალი მოვლენა იღუმალ უჩვენებს და უთითებს დასრულებულ მთელისაკენ, მარადიულის მხრისაკენ... შემოქმედი იღებს წარმავალსა და მის სიმბოლოს გვიჩვენებს. სიმბოლო იღვას სხეულია... შემოქმედი წარმავალს იღებს, მაგრამ არა როგორც შემთხვევითს, არამედ როგორც სიმბოლურ სინამდვილეს და ამ სინამდვილეში იგი სხავს „იდეალურად-აუცილებელს“ (დროება 1909წ:3).

შემოქმედების მთელი ფილოსოფია ასე მოკლედ გადმოსცა გრ. რობაქიძემ საზგასმულ სიტყვებში, მაგრამ საუბარი ამით არ დაუსრულებია. წარმავლის სიმბოლურ სინამდვილედ გარდაქმნით შემოქმედი დროის საზღვრებს სცილდება და მსოფლიო მარადისობას უახლოვდება. გენიოსი თავისი პიროვნული საზღვრებიდან გამოდის და მსოფლიოს მჭკრეტელი ცნობს მის მრავალ საიდუმლოს. ასეთი გენიოსია მინდია.

რეალური და იდეალური სამყაროს არსებობას გრიგოლ რობაქიძე ტრაგიზმის მიზეზად მიიჩნევს. ადამიანს არ აკმაყოფილებს რეალური, იდეალური კი ჯერ არ განხორციელებულა. ეს წინააღმდეგობა მას ტანჯავს, ხოლო მხატვრულ სახეში ჩამოსხმული იდეალი, სიმბოლური სინამდვილე, უქარებებს ტანჯვას. ავტორის აზრით, აქ წარმოიშობა ტრაგედია, რომელიც ხელოვნებაში ასახვის შემთხვევაში თვით ტანჯვასაც კი სიამოვნებად აგრძნობინებს ადამიანს. ეს არის ესთეტიკური სიამოვნება. მაგრამ

რჩეულნი ამითაც არ კმაყოფილდებიან. მათ უნდათ არა უბრალოდ ჭერეტა, არამედ – საქმე, რეალობად ქცეული სიმბოლო. სხვათა შორის, აქ იბადება რელიგიური ღტოლვაც.

ასე წარმოუდგენია გრიგოლ რობაქიძეს შემოქმედისა და გარემოს ურთიერთობა. ერი სულიერია. „ბედი ქართლისას“ შემქმნელს არ შეიძლებოდა, ეს არ ეგრძნო. „მის სულის სიღრმეს ამოდრავებდა ქართველობის, როგორც სულიერ სხეულის ყოფა-არყოფა (საზოგადოდ და არა პოლიტიკურად); ეს პრობლემა მისივე პიროვნული პრობლემა იყო... ჯერ კერძო პიროვნების სიკვდილი ჰგერის ადამიანს მსოფლიო ფიქრებს, და რა გასაკვირია, რომ ბარათაშვილის მუზას მთელი ერის ყოფა-არყოფით ვნებულს, მსოფლიო ფიქრებში შეეცურა და მისცურავს კიდევ“ (დროება 1909წ.3), – ასკენის გრ. რობაქიძე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი საუკუნეებს გადალახავს. წარმავლობის შემცნობს მსოფლიო ამაოებაზე ფიქრი მოიცავს. აქ იმალება მისი შემოქმედების საიდუმლო. რობაქიძის აზრით, ბარათაშვილი სულიერ დრამაში დარჩა როგორც აბსოლუტი. „განმარტოებული, „ობოლი სული“ პანთეისტურად ერთვის სამყაროს „მერანის“ ფრენილი გადაჭრით“ (დროება 1909წ.3).

ვერ ვიტყვი, საბოლოოდ დაეთანხმენ რობაქიძეს არჩილ ჯორჯაძე და დიმიტრი უზნაძე თუ თავიანთსავე პოზიციაზე დარჩნენ. ერთი კია, – პასუხები არ დაუბეჭდავთ. სავარაუდოა, რომ შემოქმედებისა და გარემოს ურთიერთკავშირის რობაქიძისეული ანალიზი, საკუთარი ნააზრების დაწვრილებითი გაცნობა და განმარტება მათთვის მისაღები აღმოჩნდა, ყოველ კითხვას გაეცა პასუხი. თუმცა, ისიც შესაძლოა, ჯორჯაძეს მაინც არ ეღალატა რაციონალიზმისთვის და სამუდამოდ ვერთგულა აუხსნელი საკითხებისათვის.

პოლემიკა სასიამოვნოდ, მოკრძალებით წარიმართა. ერთმანეთის შეხედულებებს არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ პატივს სცემდნენ, ეთიკის ნორმებს იცავდნენ. ეს იყო დახვეწილ მოაზროვნეთა პაექრობა ჭეშმარიტების დასადგენად, რომელიც პოლემიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად რჩება.

გრიგოლ რობაქიძისთვის „ხელოვნური“ და „ნამდვილი“ სინამდვილის თემა ამით არ ამოწურულა, ამის შესახებ მას უსაუბრია სხვა ლექციაშიც 1910 წლის მარტში.

„რელიგია მშვენიერებისა“, რომლის პროგრამაც „დროებაში“ გამოქვეყნდა, ოსკარ უაილდის შემოქმედებას მიეძღვნა.

ლექტორის სიტყვით, უაილდი „ესთეტიურ სინამდვილის“ მოციქული იყო და ახალი მოძღვრების, „მშვენიერების რელიგიის“, ასე ვთქვათ, მანიფესტი შექმნა.

ოსკარ უაილდი იყო მეტად ნიჭიერი ხელოვანი, რომელსაც გრ. რობაქიძის აზრით, ბადალი არ ჰყავდა არაკის შექმნაში. საჯარო ლექციაში რობაქიძემ „სალომე“ განიხილა.

სალომე – წარმართული ხანა: სხეულის სიღამაზე და ვნებით ტკბობა.

იოქანაანი – ქრისტიანული ხანა: სულის მშვენიერება და ნეტარება.

მათი ვერშეერთება და დაღუპვა.

„უაილდი მით იყო მნიშვნელოვანი, რომ მან ააგო მშვენიერების რელიგიის ტაძარი და მანვე დაანგრია იგი. ასეც უნდა მომხდარიყო. შეუძლებელია სინამდვილის უარყოფა: ვინც მას უარყოფს, იგი მას საშინელებით მოვევლინება“, (დროება 1910ა:4) როგორც ღორიან გრეის, – განმარტავდა ლექტორი. – უაილდმა თავისი ცხოვრებითაც დაგმო, უარყო განყენებული ესთეტიზმი და ახალი პორიზონტი იხილა.

ამ ლექციამდე ხუთი დღით ადრე დაიწყო „დროებამ“ პირველ გვერდზე ანონსის ბეჭდვა, წინა დღეს კი ასეთი შეცდომა გაიპარა: „დღეს ლექტორი ნ. ი. აბრამოვიჩი წაიკითხავს მესამე ლექციას „ადამიანი მომავალში“ (ფრიდრიხ ნიცშე). ხვალ იგივე ლექტორი წაიკითხავს მეოთხე ლექციას „რელიგია მშვენიერებისა და ტანჯვისა“ (ოსკარ უაილდი)“ (დროება 1910ბ:3). ეს გრიგოლ რობაქიძის ლექცია იყო, აბრამოვიჩმა კი ვ. თ. კომისარჟევსკაისა და თანამედროვე თეატრზე ისაუბრა. (დროება 1910გ:1).

გრ. რობაქიძის ლექციას ძალიან დაუინტერესებია აუდიტორია. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება მეტად დაშორებულია ევროპულ ლიტერატურას, მსმენელნი მაინც გაიტაცა ახალმა და მეტად საინტერესო თემამ, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ გასაგებად ახსნა“ (დროება 1910დ:4), – წერს „დროება“.

როგორც ყოველთვის, ღრმა, მდიდარი შინაარსი, მხატვრულად ჩამოსხმული ფორმა, ორატორის არტიზტიზმი და მხურვალე ტაში...

ლექციის შესავალში რობაქიძეს აღუნიშნავს, რომ ერის გაერთიანებისა და ძლიერებისათვის ტერიტორიაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს სულიერ კულტურას, რომლის განვითარებისათვის ევროპულ მწვერალთა გაცნობაც არის საჭირო.

გრიგოლ რობაქიძეს ოპონენტი გამოუჩნდა ვლადიმერ ბაქრაძის სახით, რომელსაც ლექტორის ეს განცხადება, როგორც ჩანს, სასაცილოდ არ ეყო. „ჩვენ თუმცა გაგვეცინა, მარა მაინც მოუთმენლათ ველოდით, როგორ დააკავშირებდა ბ. რობაქიძე ისეთ, თუმცა ანტისაზოგადოებრივ, მარა საინტერესო მოვლენას, როგორც არის ოსკარ უაილდის პოეზია, ტერიტორიის საკითხთან“ (დროება 1910ე:2). საიტერესოა, როგორ მოახერხა ბაქრაძემ ლექტორის აზრის ამგვარად გაგება. გრ. რობაქიძეს, როგორც „დროების“ ცნობიდან ვიგებთ, უთქვამს, ტერიტორიულთან ერთად კულტურული გაერთიანებაც არის საჭირო და ამისთვის ევროპულ მწვერალთა, მათ შორის, უაილდის გაცნობაც აუცილებელიაო. ლექციის თემა პოეზიისა და ტერიტორიის კავშირი არ იყო, ამდენად, ბაქრაძის შეუსაბამო ცნობისმოყვარეობა ვერ დაკმაყოფილდებოდა. რაკი აზრს დამახინჯებულად იგებდა, სიცილის გარდა რა დარჩენოდა: „როდესაც შემდეგ ბ. რობაქიძემ გვაუწყა, რომ ოსკარ უაილდის პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ერის კულტურულ, სულიერ გაერთიანებაშიაო, ჩვენ ისევ ვერ შევკავებთ სიცილი“ (დროება 1910ვ:2). არ ვიცით, „ჩვენ“-ში საკუთარი თავის გარდა ვინ უნდა ეგულისხმა მაშინ, როცა, როგორც „დროება“ წერს, მთელი აუდიტორია ყურადღებით უსმენდა ლექტორს და აღტაცებას ლექციის დასასრულს მხურვალე ტაშით გამოხატავდა.

ვ. ბაქრაძე ისეთ უძღურებას აწერს გრ. რობაქიძეს, რომ მისგან მეცნიერებაზე მსჯელობის მოთხოვნას უშედეგო საქმედ მიიჩნევს. „თუმცა ისტორიული ფაქტები, მეცნიერული ისტორია ჩვენ გვასწავლის, რომ სულიერ გაერთიანებას წინ უძღვის ნივთიერი, რომ კულტურული გაერთიანება შეუძლებელია მანამდის, სანამდის ერი არ გაერთიანებულია ნივთიერათ, მარა ზედმეტი იქნებოდა ბ-ნ რობაქიძისაგან მოგვეთხოვა ისტორიული ფაქტების ცოდნა და მეცნიერებაზე მსჯელობა – ეს აღემატება მის ძალდონეს“ (დროება 1910ზ:2).

გრ. რობაქიძე უპასუხებს, რომ არ არსებობს არავითარი „მეცნიერული ისტორია“, რომელიც ამტკიცებს, ნივთიერი გაერთიანება სულიერს წინ უძღვისო. მარქსის ამგვარი პიპოთეზა კი თავად ნიჭიერმა მარქსისტებმაც უარყვეს. ამასთან, მისი ლექციის თემას ეს არ წარმოადგენდა. მაგრამ თუ ამ საკითხზე კამათი სურს ბაქრაძეს, ჯერ ჩემს წერილებს, ჩემს შეხედულებებს გაეცნოს და მერე ვუპასუხო.

„მშვენიერების რელიგია“ ბაქრაძეს „უსაქმურობის სანქციად“ მიაჩნია, ხოლო რობაქიძე – მის მოციქულად. გრიგოლ რობაქიძე არათუ მომხრე იყო ამ თეორიის, არამედ, რამდენადაც გამოქვეყნებული ინფორმაციით ვხვდებით, საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. აჩვენებდა „ნამდვილი სინამდვილისა“ და გამოგონილი, „ხელოვნური სინამდვილის“ შუა გაწოლილ უფსკრულს. უაილდის მაგალითზე სურდა, აეხსნა, ეჩვენებინა განყენებული ესთეტიზმის, „უსხეულო“ სიმბოლიზმის, დეკადენტური განცდის საშინელება და მაცდურობა. ამდენმა გაუგებრობამ რობაქიძეს გაოცებით აკითხვინა, ნეტავ, საერთოდ იყო თუ არა ვლ. ბაქრაძე ლექციაზე და თუ იყო, საით ჰქონდა სმენა მიპყრობილიო.

ლექციას გამოეხმაურა პ. დადვაძეც, რომელმაც თავისი და რობაქიძის შეხედულებები ისე აურია ერთმანეთში, რომ გარჩევა ჭირს. რობაქიძემ მაინც „მოახერხა“ და გამოკვეთა სათქმელი, მივეყვით მას.

როგორც პროგრამიდან ირკვევა, გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, რომ ადამიანი გრძნობს თავის „უსრულობას“ და სიკვდილის საშინელებას, სიყვარულში კი განიცდის უკვდავებას. მაგრამ ნაღვლობს, რაკი ეს გრძნობა რეალობაში ვერ ისხამს ხორცს და ქმნის ხელოვნებას. იგი იწყებს სიცოცხლეს ხელოვნებით და ასე განიცდის იგი სიყვარულს, მეგობრობას...

დადვაძე კი წერს, რომ ამაყი სული, რომელიც ზიზღს უცხადებს სიკვდილს, თავს აფარებს ოცნების მხარეს. ეს სიმბოლური სინამდვილე „აღძრავს სურვილს მარადის ნეტარებისას, მარადის მეგობრობისას, მარადის სიყვარულისას“ (დროება 1910თ:2). ეს გრ. რობაქიძის შეხედულების არაზუსტი გადმოცემაა.

დადვაძე უპირისპირდება ლექტორს, რომელსაც დეკადანსი გარყვნად, გახრწნად მიაჩნია. ეს დიდი შეცდომაა, რადგან დეკადანსი არისტოკრატიული სულის გოდებააო, – ფიქრობს ავტორი და თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს დიონისოსა და აპოლონის ბრძოლა. ამის დაკავშირება დეკადანსთან ისე ბუნდოვანია, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ. რობაქიძემაც გვერდი აუარა, – განხილვა შეუძლებელიაო. დეკადანსი კი მისთვის

ნამდვილად „გახრწნაა, დაშლაა მთლიანობისა, სულის დაავადებაა. შეიძლება, ამგვარი დაშლით, როგორც მარცვალის გახრწნით, მთლიანი ყვაილი აღმოცენდეს, მაგრამ თვითონ პროცესი ამგვარი გარდაქმნისა ერთგვარი ავადმყოფობაა“ (დროება 1910ი:2).

დორიანის დაღუპვის მიზეზად დადვაძე საზოგადოებას, მის სულიერ ავლა-დიდებას მიიჩნევს, რამაც ვერ შეიწვნარა დორიანის მშვენიერება. რობაქიძე კი დორიანის ტრაგედიას ჭეშმარიტი სინამდვილის უარყოფასა და ხელოვნური სინამდვილით არსებობაში ხედავს. მისი სხეული ლამაზი რჩებოდა, მაგრამ სული მახინჯდებოდა. ხელოვნურმა სინამდვილემ ვერ იხსნა, უარყოფილმა რეალობამ შური იძია. დორიანმა თავი მოიკლა.

პ. დადვაძე თავის ნააზრევად წარმოუჩენს მკითხველს სალომესა და იოქანაანის მახასიათებელ შტრიხებს – პირველის ხორციელებასა და მეორის სულიერებას. მეტიც, ლექტორს ბრალს სდებს – ნათლად ვერ გვაძენო, რომ ის, რაც აქვს სალომეს, არა აქვს იოქანაანს და რაც აქვს იოქანაანს, არა აქვს სალომესო. ლექციის პროგრამიდან ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძე ხაზს უსვამს სალომეს ხორციელ, ხოლო იოქანაანის სულიერ მშვენიერებას. სალომე სხეულის თვალთ იყურებოდა, იოქანაანი – სულისა. ამის გამო ისინი ვერ შეერთდნენ ერთმანეთს და დაიღუპნენ.

დადვაძე კი ამ აზრს თავად მიიწერს. საერთოდაც, მის წერილში გრ. რობაქიძის თვალსაზრისები ფართოდ არის გამოყენებული საკუთარი გონიერების სადემონსტრაციოდ, ავტორის მიუთითებლად. ამიტომ მკითხველისათვის ძნელია მათი შესხედულებების განცალკევება. ეს იოლდება მაშინ, როცა საუბარია პროგრამაშივე გამოთქმულ აზრზე, როგორც მოხდა სალომესა და იოქანაანის დახასიათების შემთხვევაში.

გრიგოლ რობაქიძის ლექციამ არჩილ ჯორჯაძეს მისცა ბიძგი, დაეწერა ვრცელი სტატია ნავსაყუდელის ძებნაზე. მსჯელობს სიცოცხლის აზრის მნიშვნელობისა და საიდუმლოების გაგებაზე, რასაც საუკუნეების მანძილზე ცდილობს ადამიანი. განიხილავს ფილოსოფიურ და სოციალურ პესიმიზმს. უსოვარი დროიდან ვეკებთ ნავსაყუდელს ატმანსა და ნირვანაში, სიჩუმესა და ღმერთში, აბსოლუტსა და მსოფლიო სულში... უაილდის მოღვაწეობაც ამ ძებნის გაგრძელებად მიაჩნია ავტორს. მაგრამ ეს ყოველივე ამაოა. „გრიგოლ რობაქიძემ ნათლად დაგვანახა თავის ლექციაში „რელიგია მშვენიერებისა“ ამაოება ამ ძებნისა და ხაზგასმით წარმოგვიყენა ახალი გამარჯვება „ტრაგიკულისა“ (დროება 1910კ:2).

სიმბოლურ და რეალურ სინამდვილეზე საუბარი ლექციასა და მის გარშემო გამართული პოლემიკის დროს გრ. რობაქიძეს ამით არ შეუწყვეტია, განავრცო კიდევ.

უცნობი ავტორი “Un d'on” მიმოიხილავს ლიტერატურულ სადამოს, რომელშიც მონაწილეობდნენ აკაკი, კიტა აბაშიძე, ახალგაზრდა მწერლები. მისი სიტყვით, სადამოს ცენტრი გრიგოლ რობაქიძის მჭევრმეტყველური ლექცია იყო (კოლხიდა 1911ბ:3), რომელიც



ცალკე წერილით გააცნო მკითხველს. ლექციის სათაური ავტორს არ მიუთითებია, მაგრამ თემა წერილის პირველივე სტრიქონიდან ჩანს: „ლექტორი ხელოვნური შემოქმედების ბუნების ნათელყოფას სცთილობდა და კერძოთ იგი ჩვენი ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობასაც ეხებოდა“ (კოლხიდა 1911გ:4). ავტორი კმაყოფილია ლექციის „წარმტაცი და ნათლათ გამოსახული“ ფორმით, მაგრამ არ ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებებს.

ლექციის შინაარსი კი ასეთი იყო: ჩვეულებრივი, ყოველდღიური სინამდვილე იწოდება „ხელოვნური სინამდვილის“ მოელვარე სხივთა ლაპლაპში. ეს სიმბოლური სინამდვილე უფრო ნამდვილია, ვიდრე ყოველდღიური სინამდვილე. ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდა მარადიულია, უფრო „ნამდვილი სინამდვილეა“, ვიდრე ემპირიული ქალი ჯოკონდა. „ხელოვნური სინამდვილე“ ემპირიულს არ უერთდება და არ ითქვიფება, რადგან მასზე მალდა დგას.

ხელოვნური სინამდვილის წვდომისა და ქმნის, ჩვენთვის დამკვიდრების უნარი მხოლოდ კოლექტიურ სულს აქვს. წერილის ავტორისათვის ეს განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა. ხელოვანი მუდამ განსაკუთრებული ინდივიდია, ამდენად, ინდივიდუალური სული უნდა იყოს შემოქმედების სუბიექტი. მაგრამ ლექტორმა „შემოქმედი პიროვნების სულში კოლექტიური სულის არსებობა აღმოაჩინა და ხელოვანი სწორეთ იმდენათ დასახა ხელოვნური შემოქმედების სუბიექტათ, რამდენათაც იგი კოლექტიური სულის მატარებელი არის. ამგვარად, აღმოჩნდა, რომ ხელოვნური სინამდვილის შემოქმედების პიროვნების ფარგლებში კოლექტიური სული მოქმედებს, მაგრამ მოქმედებს არა აბსტრაქტულათ, როგორც განყენებული კატეგორია, არამედ კონკრეტულათ როგორც **ცოცხალი არსი**“ (კოლხიდა 1911დ:4).

ხელოვანს ეს კოლექტიური სული ეროვნული სულის სახით ევლინება, მზად ხდება ენა და ერის ისტორია. ამ ნიადაგზე შლის იგი თავის შემოქმედებას, რომელიც „მეტყველებაა ერის ენისა და ზოგადი განმეორებაა ერის ისტორიისა“ (კოლხიდა 1911ე:4). თუ ერმა სულიერი ერთიანობა დაკარგა, თუკი იგი იშლება და დაღუპვის გზაზე მიექანება, შემოქმედება ყოველ ფასეულობას მოკლებული იქნება. აქ კოლექტიური ეროვნული სული კვდება. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ქართველი ერი სწორედ დაშლის პროცესშია, ამიტომ ლიტერატურაც უმწეო გახდა. წერილის ავტორი მოელოდა, რომ ამის შემდეგ ლექტორი ნიკო ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების „უადრესობას“ უარყოფდა, მაგრამ ის სხვა გზას გაჰყვა და შემოქმედების პრობლემის გადაჭრაში ახალი მომენტი – **ტანჯვა** შემოიტანა. იგი იმდენად ძლიერია, რომ ნამდვილი, მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა შეუძლია მაშინაც კი, როცა ეროვნული სული იშლება. ლექტორის თქმით, ჩვენმა მწერლებმაც ამით მიადწიეს „ხელოვნურ სინამდვილეს“. მაგრამ ეს არ ეხება თანამედროვე მწერლობას. ლიტერატურის საშინელი კრიზისი გაგრძელდება მანამ, სანამ გამოჩნდება ხელოვანი ძლიერი ტანჯვით.

შემოქმედების პრობლემაში ტანჯვის შემოტანა მიუღებელია “ნ დ’ონ“-ისთვის. რა ლოგიკური კავშირი არსებობს ტანჯვასა და ერის სულს შორის?

გრიგოლ რობაქიძესაც არ სჯეროდა, რომ ტანჯვა ერის სულის მაგიერობას გასწევს. ამის შესაძლებლობაზე კითხვა შეიძლება მაშინ დაიბადოს, როცა ერის სული მკედარია. ლექციაში კი საუბარი იყო ერის სულის ავადმყოფობაზე. ლექტორის განმარტებით, როცა ერის სული ავადმყოფია (როგორც, მაგალითად, ქართველი ერის სული), მაშინ მის ნიჭიერ შეილებს (როგორებიც, მაგალითად, არიან ნიკო ბარათაშვილი, აკაკი, ილია), ამ ავადმყოფობის ტიპილით დატანჯულებს, „შეუძლიათ მშობელი ერის სულის შესაძლო (პოტენციალურ) სახედ გამოწვევა; და ხელოვნებაც, სხვათა შორის, სწორედ ამაშია“ (კოლხიდა 1911ვ:3).

“Un d'on” გრ. რობაქიძის ლექციის ნაკლად თვლის მისთვის გაუგებარ დებულებას – შემოქმედების სუბიექტი კოლექტიური სულია და არა ინდივიდუალური. ლექცია კი მთლიანად ამაზე იყო აგებული. ამდენად, თუ ვინმეს ეს დებულება არ აკმაყოფილებს, მისთვის ლექცია მნიშვნელობას კარგავს. ავტორი ლექტორისაგან ამ დებულების უფრო ვრცელ და ნათელ განმარტებას მოითხოვდა.

გრიგოლ რობაქიძის აზრი ასეთია: „კოლექტიურ სულში ხელოვანი (სუბიექტი შემოქმედებისა) შემოქმედების წყაროს ნახულობს. კოლექტივობა და ინდივიდუალობა მეორგანულად მაქვს აღებული და მათი მექანიურათ განწვევება, ჩემის აზრით, ყოვლად შეუწყნარებელია“ (კოლხიდა 1911ხ:3). ამის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, ვრცლად ისაუბრა 1909 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „შემოქმედი და გარემო“.

უცნობი ოპონენტი “Un d'on” რობაქიძის ლექციაზე საუბრისას ცდილობდა, მიეღო პასუხები კითხვებზე, რომლებიც დარბაზში ყოფნისას აღეძრა. „მცირე განმარტებამ“, როგორც ჩანს, საკვებით დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა, რადგან შემდეგ აღარ გამოუთქვამს გრ. რობაქიძის შეხედულებების საწინააღმდეგო მოსაზრებები. მის წერილში იყო ფიქრი, განსჯა და არა – სუბიექტური მიდგომა, განცდები თუ ახირება.

მისგან განსხვავებით, გრიგოლ რობაქიძის ერთ-ერთი ოპონენტი ლევან მეტრეველი ლექციებიდან დარჩენილ შთაბეჭდილებებს აღწერს. მისი სიტყვით, ლექტორი აუდიტორიას ლამაზი სიტყვებით ათრობდა, აზრიანს კი არასდროს არაფერს ამბობდა. „ბნეი რობაქიძის ლექციაზე მხოლოდ შთაბეჭდილებით შეიძლება ლაპარაკი“ (დროება 1909ვ:3).

თუ ასეა, რატომ ედავებოდა ლექტორს არჩილ ჯორჯაძე, რაში არ ეთანხმებოდა დიმიტრი უზნაძე?! მათი პოლემიკა მხოლოდ შთაბეჭდილებებით არ იფარგლებოდა, თვალსაზრისთა შეჯერება-გაზიარებას ეფუძნებოდა. თუმცა, შთაბეჭდილება, თავისთავად, სუბიექტური განცდაა და ამის გამო მეტრეველს ვერავინ შეედავება.

აზრის ნაკლებობა არა, მაგრამ სიტყვების ათამაშება სხვებმაც წამოაძახეს გრ. რობაქიძეს, – ფორმა იმდენად ფერადი და დახვეწილია, რომ შინაარსი იწრდილებათ. მას

კი, უბრალოდ, არ შეეძლო, სიტყვა მოუზომავად მოესროლა, სათქმელი რიტმით არ გამოეწკიპა. რობაქიძის ნაწერი თავად ავტორს ჰგავდა, ბოლომდე დიღებშეკრულს და ნაკეთებდაჭიმულს.

ზემოთ აღნიშნულის გარდა ლ. მეტრეველი კიდევ ერთ, შეიძლება ითქვას, მძიმე ბრალდებას უყენებს გრიგოლ რობაქიძეს. მისი მტკიცებით, ცნობილ ლექტორს ოტო ვეინინგერისთვის მოუპარავს აზრები იბსენის, ასევე, სქესისა და სიყვარულის შესახებ, პლაგიატზე აუგია ორი ლექცია. ეს დაუჯერებლად გვეჩვენება, თუმცა, სხვა არაფერი გვეთქმის ჩვენ, ვისაც მხოლოდ სხვათა გადმოცემით გვექმნება შთაბეჭდილება გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე. ერთი კია, – ძალიან ძნელია, პლაგიატორად წარმოიდგინო კაცი, რომელსაც ლიტერატურის ქურუმს უწოდებდნენ.

მეტრეველის ბრალდება ღირსების შემბლადავი იქნებოდა ამაყი რობაქიძისთვის, ამის მიუხედავად, საპასუხო წერილის ტონში აღელვებას ვერ შეატყობთ. მშვიდად აბეჯითებს: “ჩემს რუსულ ლექციაში („სქესი და სიყვარული“) ვეინინგერის წინააღმდეგ გამოვედი და ეხლაც წინააღმდეგი ვარ” (დროება 1909ძ:3). თუ ასეა, საოცარია, როგორ დასწამეს მას პლაგიატობა?! ყველაფერი გაირკვევა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ვეინინგერი გარკვეულწილად იცავდა პლატონის ტრადიციებს, რომელთაც რობაქიძე მისდევდა და ითვალისწინებდა.

რაც შეეხება გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებას, რომელიც ვეინინგერს ეწინააღმდეგებოდა, მეტრეველმა, როგორც ჩანს, პირველწყაროს არასწორ გადმოცემად ჩათვალა, წერს კიდევ, შეცდომები იყო. ლექტორს აღუნიშნავს, რომ ადამიანი წარმოადგენს არა მთელს, არამედ – ნახევარს ან უფრო მცირე ნაწილს. იგი ეძებს თავის „დანაკლისს“, რათა იქცეს მთელად. ამ მთლიანობას იგი საპირისპირო სქესში პოულობს. მეტრეველის აზრით, ეს არის დამახინჯება ვეინინგერის შეხედულებისა, რომლის თანახმადაც, ყოველ ადამიანში არის მამაკაციც და დედაკაციც, მაგრამ იგი საქვეყნო ასპარეზზე ცალად არის დარჩენილი. იმისათვის, რომ შეიქმნას „ახალი ერთეული“, “უმაღლესი სიმთავრე“, იგი უნდა დაწყვილდეს. კონტექსტებიდან ჩანს, რომ ლ. მეტრეველი „სიმთავრეში“ გულისხმობს მთლიანობას, სისრულეს, მთელს. ამდენად, დაწყვილების შემდეგ იქმნება მთლიანობა – მთელი მამაკაცი და მთელი დედაკაცი.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ რობაქიძეს არათუ მცდარად გადმოუცია ვეინინგერის აზრი, არამედ სულ სხვა რამ უთქვამს. აქ ჩვენ პლაგიატს ვერ ვხედავთ, პირიქით, ეწინააღმდეგება ვეინინგერის თვალსაზრისს. განმარტებაში გრ. რობაქიძე, სხვათა შორის, წერს, რომ დაწყებული აქვს კრიტიკული წერილი ვეინინგერის ნააზრევის შესახებ, რომელშიც ნათლად გადმოიცემა მისი შეხედულებები.

ლექტორთან შეკამათებით, ვფიქრობთ, ლ. მეტრეველი დაუპირისპირდა საკუთარ სიტყვებს: „თავდება ლექცია. ყველა სცდილობს თავის აზრში შეადგინოს მოკლე კონსპექტი ნათქვამის და გაგონილისა, მაგრამ, ვაი, გაცდება... აზრები სადღაც მიჰქრებიან, იკარგებიან... გონება რჩება ესე სახტად“ (დროება 1909წ:3). თუ აზრი უკვალოდ გაქრა,

ვერც შეეკამათები, მის საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყვი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ გახსოვს, რა ითქვა, ლ. მეტრეველს კი პოლემიკის სურვილი გაუჩნდა.

რაკი იგი მხოლოდ შთაბეჭდილებების გადმოცემის სურვილით იწვოდა, დავტოვოთ თავის პიროვნულ განცდებთან და სუბიექტურ ხედვასთან...

1901 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში გრიგოლ რობაქიძე იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტში სწავლობდა. დაახლოებით ათი წლის შემდეგ რატომღაც კვლავ მოისურვა სწავლის გაგრძელება იმავე უნივერსიტეტში იმავე ფაკულტეტზე. ამჯერად რვა სემესტრი დახურა, მაგრამ სწავლა მაინც არ დაუსრულებია.

1911 წელს „კოლხიდა“ შენიშნავს: „გრ. რობაქიძე ჩამოსულა თბილისში და მოკლე ხანში ლექციას წაიკითხავს ნიცშეს ფილოსოფიის თაობაზე“ (კოლხიდა 1911თ:3).

გერმანელი ფილოსოფოსი ადამიანის ნამდვილი „მე“-თი არის დაინტერესებული, გენიალური ინტუიციით სწვდება მას. რობაქიძეც, თავის მხრივ, იყენებს რაციოსაც და ემოციასაც, რათა ჩასწვდეს ნიცშეს ფილოსოფიას, მის ბუნებას. ლექტორი არა მხოლოდ ამჯერად ცდილობდა აგტორის „მე“-ს გადმოცემას. მისი ლექციები ყოველთვის იყო „ამა თუ იმ მწერლის ან კიდევ ფილოსოფოსის სულის გადმოცემა, რამდენადაც ის მათს ნაწარმოებებში გამოიხატება“ (თემა 1911ბ:3).

„თემში“ დაიბეჭდა 18 მაისის ლექციის პროგრამა.

შოპენჰაუერის განცდა, ძველ ინდოელთა მისტიკა. „ადამიანის „მე“ მისგან გამოსვლაში ისახება“ აქედან – განდევნილობა და საიდუმლო ჭერება ნირვანაში – ეს დებულება ნიცშემ უფრო აშკარად ელლინთა სულიერ კულტურაში გამოსახა დიონისოს სახით... დიონისიური დითირამბი ელლინთა ტრაგედიაში სწორედ მუსიკალური წრეგადასულობაა: თვითონ დიონისო ხომ წრეგადასულია ყოველთვის... ადამიანის ნამდვილი „მე“ ყოფის მიმალულ კუნჭულში არსებობს და თავს იჩენს ხოლმე მუსიკით მთვრელობაში: იგი თითქოს უბრუნდება ადამიანის ყოველდღიურ არსებას“ (თემა 1911გ:2).

გრიგოლ რობაქიძე იზიარებს მარადის მობრუნების იდეას, თუმცა, გავა ცოტა ხანი და დაწერს პატარა ნოველას „Maia“, ლეგენდაზე აგებული. მითი ხომ განუყოფელი იყო მისგან.

თუ მდინარის ძილს დაუდარაჯდები, თან ყოველივეს დათმობ, მდინარისა და მთვარის ნაშობ საუცხოო ასულს იხილავ. მეწისქვილის შვილიშვილი მიადწევს სასურველს და წყლის ქალი შეუყვარდება. „ოქროს თმა ნაკადულად გადმოშვებულა მის უხვს მკერდზე და ღურჯი ტალღა მაცდურ თვალებად გახსნილა მის ტურფა სახეში“ (თემა 1913ა:3). ერთ პაემანზე აღთქმულს დაარღვევს ვაჟი – ნაგრძნობი მშვენიერების ხილვა მოუნდება და ქვად იქცევა. წყალი ეაღერსება მისკენ დახრილ ლოდს და ლოკვით აღნობს. „ნულა შეხედავ მას, მოგზაურო: თუ ვინმე გიყვარს, ტრფიალს შეგინელებს ცივი ნაკადულით“ (თემა 1913ბ:3).

მაია ფერისცვალებას, ილუზიას, მოჩვენებას აღნიშნავს მითოლოგიაში.

მაგრამ ეს ორი წლის შემდეგ დაიწერა. ჯერ კი მარადის მობრუნებაზე კითხულობს ლექციას.

„აზრი ამ მობრუნებისა იმაში მდგომარეობს, რომ გარდაქმნას იდეალურად ნამდვილ „მემ“ ადამიანის ყოველდღიური არსება“ (თემი 1911დ:2).

მეორე იდეა – სიყვარული შორეულისადმი: „ადამიანს უნდა უყვარდეს შორეული ანუ მისი ნამდვილი „მე“ (თემი 1911ე:2).

ყოველდღიურობა აფერხებს „მეს“ განხორციელებას. ამდენად, უნდა დაითრგუნოს. აქ მეორე იდეა გადადის მესამეში: „ეს არის ნება ძალისადმი და უღმობელობა ყოველის ყოველდღიურობის მიმართ“ (თემი 1911ვ:2).

ამას „ხესთაადამიანის იდეა“ აგვირგვინებს.

მშვენიერი წრეგადასულობა (მუსიკალური თრობა, „მეს“ დაკარგვა, თავდავიწყება, მსოფლიოსთან შეზიარება) – დიონისო.

საუცხოო ჭკრეტა “მზის თვალთ” – აპოლო.

მათი თანხვედრა – ახალი ადამიანი და ნიცშეს შეშლა: „აქ დიონისიური ვნება-აშლა სხეულდება აპოლოს ჭკრეტით, – და იბადება ახალი ადამიანი, ახალი „მე“, ანუ ზესთაადამიანი. ეს შეხვედრა დიონისოსა და აპოლოსი ისე ძლიერი იყო ნიცშეს განცდაში, რომ უკანასკნელმა ვერ დაიტია ეს მატყვევებელი სინათლე და შეიშალა“ (თემი 1911ზ:2).

ეს სტრიქონები ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ დასაწყისში მითითებულია, რომ ლექციის „ზოგადი მიმდინარეობა“ ლექტორის გადმოცემულია. გრიგოლ რობაქიძის ენა აშკარად იკითხება და იგრძნობა, პროგრამა ვისი დაწერილი უნდა იყოს.

არ დაგვავიწყდეს, ის-ისაა დაიწყო მე-20 საუკუნის ათიანი წლები და რუსული ენა მეტად მოღურია. ბევრს „ქართული არ ეხერხება“ და რუსულით იწონებს თავს.

თავდაპირველად რობაქიძეც კითხულობდა ლექციებს რუსულად. მის გამოსვლებს რუსულ ენაზე, თანვე წერას, ეჭვის თვალთ უყურებდნენ და აკრიტიკებდნენ. საპასუხოდ იგი წერდა: „რობაქიძე ქართველი პოეტია და მოაზრე. გამოდის ხანდახან პარალელურად რუსულ ენაზე: წერით თუ თქმით. ესეც იმდენად, რამდენადაც საჭიროა ეს მისი ქართული ხაზისათვის... ვარშავაში განზე გადგომა შესაძლოა, საქართველოში – არა: მით უფრო ტფილისში, საცა უცხო ელემენტები მრავალია. საჭიროა ამ უცხო ელემენტებს თავი დაანახვო, რომ არა ხარ „პროვინციალი“. ამას მნიშვნელობა აქვს. მე თუ ხანდახან „რუსულად“ გამოვიდვარ, მხოლოდ ამ აზრით. მე შემიძლია, ათჯერ “რუსულად” გამოვიდე, მაგრამ თანვე ასჯერ „ქართულად“ გამოვალ“ (ბაქრაძე 1999ბ:149).

რაც შეეხება მის ქართულს, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა აღტაცებული იყო. უმდიდრესი ლექსიკა, უკიდურესად დახვეწილი ფორმები, რიტმი... უკვირდათ კიდევ, – სად ისწავლაო ასე ტკბილქართული?!

ნიცშეზე წაკითხული ლექციის მოსმენის შემდეგ ემოციებით აღსავსე აკაკი წერდა: „ვამბობ გიხაროდენს... ამისრულდა წადილი. ენაზე ის ჩემის თვალთ, რაც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მენატრებოდა: ქართველი ინტელექტენტი, თავისთავად მოაზრე

და არა საუცხოვო გრამოფონი!! ცხადად იხედებოდა, რომ ყოველი მისი სიტყვა მისივე საკუთარი იყო, გრძნობა-გონებაში ქართულად გამობრძმედილი“ (თემა 1911თ:2).

აკაკისთვის ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი, მოაზროვნე, სიახლეების შემომტანი ლექტორი იმედია, პირველი მერცხალია. „მეშიდე ცამდე აფრენილი ვამბობ სიხარულით: კურთხეულ იყოს მომავალი!“ (თემა 1911თ:2).

ოც წელიწადში გრიგოლ რობაქიძეს საზღვარგარეთ წასვლა და სიცოცხლის ბოლომდე ემიგრანტობა ერგება წილად, საქართველოში მის სახელს ტაბუ დაედება...

ლექცია კი გერმანელ ფილოსოფოსზე „მართლა მშვენიერი იყო: ორიგინალური, დამთავრებული ფორმისა და შინაარსის მხრივ, კარგად წაკითხული“ (თემა 1911კ:2). ამის მიუხედავად, ქართველი ელიტარული საზოგადოება, რომელიც ცირკში, ბაღებსა თუ სხვა ადგილებში სიამოვნებით ატარებს დროს, უკვე აღარ სწყალობს სავსე აუდიტორიებით განებივრებულ რობაქიძეს.

რა მოხდა? ამდენი თბილი გამოსმაურება რომ არა, იქნებ გვეფიქრა, თითქოს ლიტერატორმა ვერ შეძლო ლექციის სათანადოდ მომზადება. სწორედ რომ პირიქით. კიდევ უფრო მეტად დაუხვეწავს ფორმაც და შინაარსიც, სიღინჯე და სიმტკიცე შეუმატებია, როგორც წერს გაზეთი „კოლხიდა“ (კოლხიდა 1911თ:2).

ინტელიგენციის დაუინტერესობის მიზეზს ზუსტად ხსნის „მან-წილი“-ს ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი ტერმინით „მოდის გილიოტინა“. მაგრამ აქამდე მოსასვლელად რობაქიძემ შორი გზა გამოიარა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, სასულიერო სემინარია, 1901 წლის რამდენიმე თვე ტარტუს უნივერსიტეტში, საიდანაც, როსტომ ლომინაშვილის (გრიგოლ რობაქიძის დისშვილის) სიტყვით, გარიცხეს სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო. თუმცა, აკაკი ბაქრაძის ცნობით, უნივერსიტეტის საბუთებით, სადაც იგი მოხსენიებულია უადრესად მოწესრიგებულ და ბეჯით სტუდენტად, ეს არ დასტურდება (ბაქრაძე 1999გ:30).

1902 წლიდან გრ. რობაქიძე სწავლას აგრძელებს ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. მისი დასრულების შემდეგ ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა უნივერსიტეტში ისმენს ლექციებს მისთვის საინტერესო საგნებში.

1908 წელს ბრუნდება საქართველოში, სადაც სულ ცოტა ხანში „ჩვენს ნიჭიერ ლექტორს“ მხსნელ ანგელოზად ნათლავენ. ოცდარვა წლის „ცნობილი ლექტორი“ ღერძად იქცა, რომლის ირგვლივ ტრიალებს პრესა.

სამი წელი არც კი გასულა და მის ძველებურად მშვენიერ ლექციებს ინტელიგენცია ზურგს აქცევს.

გუშინ – Робакидзе-Бог.

დღეს – Робакидзе вышел из моды (თემა 1911ლ:3).

კიდევ ეს არის მოდის გილიოტინა, რომელზეც უმისამართოდ მოხეტიალე ინტელეგენციამ აიყვანა ლიტერატორი, ორატორი, საზოგადო მოღვაწე. „ეს

დამახასიათებელი თვისებაა საზოგადოებისა, რომელიც განსაზღვრულ კრიტერიუმს მოკლებულია და ყოველ ქარის დაბერვაზე მზათ არის მიმართულება და სიმპატიები გამოიცვალოს“ (თემი 1911მ:3).

ციტატა მოტანილია უაღრესად საინტერესო და საჭირობო სტატიიდან, რომელსაც ხელს აწერს „მან-წილი“. ცნობილი არ არის, ვინ იყო ამ ფსევდონიმს ამოფარებული. აკაკი ბაქრაძე ვარაუდობდა, რომ ინიციალებს მიღმა მიხეილ წერეთელი იდგა.

„მან-წილი“ ანალიზებს გრიგოლ რობაქიძის ლექციებს ლაიპციგში წაკითხულიდან დაწვებული „ფრიდრის ნიცშეს“ ჩათვლით.

ლიტერატორის ერუდიცია და ორატორული ნიჭი, ლექციების ლოგიკურობა და მთლიანობა ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. ამიტომაც ყოველთვის სავსე ყოფილა აუდიტორიები. მაგრამ „მან-წილი“ არ იწონებს რობაქიძის მუდმივ მცდელობას, ჩაწვდეს ავტორის სულს. კი, ბატონო, ფსიქოლოგიური მხრით საინტერესოა, „თუ რამდენად წვდა „მე“ „მე“-ს, თუ რამდენად მთლიანია, სრული და მართალი გადმოცემა ამა თუ იმ მწერლისა. ამ მხრით გამორჩეული ლექციები გრიგოლ რობაქიძისა მართლა დიდ-მნიშვნელოვანი არიან როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც“ (თემი 1911მ:3). მაგრამ, ავტორის აზრით, „განცდის ლექციები“ ობიექტური ვერ იქნება.

იმ დროს, როცა რუსეთი განმთავისუფლებელი მოძრაობის იდეებით იყო გატაცებული, რობაქიძე მარქსიზმს გამოხატავდა. ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვებზე მუდამ მტკიცე პასუხებს იძლეოდა.

შემდეგ იყო პარიზი, რუსი ინტელიგენტები და ფილოსოფიური იდეალიზმი. საქართველოში ჩამოსულს მისტიკური იდეალიზმი არ გამოადგა. ლექციებმა იმპრესიონისტული ხასიათი მიიღო („მან-წილი“ იმპრესიონიზმს არ იწონებს – ცვალებადობას აჩვენებს ხალხს). კრიტიკულ გარჩევას მოკლებულ ლექციებში საზოგადოებრიობა არ შეიგრძნობა. უამისოდ, ავტორის აზრით, გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობა ნახევრდება. ლექციის საუკეთესო ვარიანტად „მან-წილი“ ძველისა და ახლის სინთეზს მიიჩნევს: ერთი მხრივ, სიფხიზლე, საზოგადოებრივობა, ცხოვრებასთან მეტი კავშირი, მეორე მხრივ, შინაარსიანობა, ფორმა, სიღინჯე.

„თემის“ რედაქცია ყველაფერში არ ეთანხმებოდა ავტორს, მაგრამ მისი ვრცელი სტატია მაინც დაბეჭდა, როგორც მახვილი გონებისა და მზერის მიერ განხილული და ემოციებზე ნაკლებად დაყრდნობილი (თემი 1911მ:3).

„ფრიდრის ნიცშეს“ თბილისელების შემდეგ ქუთაისელებმა მოისმინეს. გაზეთი „კოლხიდა“ რუბრიკით „ახალი ამბები“ მკითხველებს ამცნობს, როდის წაიკითხავს ლექციას „ჩვენი ნიჭიერი ლექტორი“. ორატორს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე. განსაკუთრებით მოსწონებიათ ლექციის მეორე ნაწილი,

რომელიც ხალხისთვის „უფრო მარტივი და ადვილი გასაგებიც“ ყოფილა (კოლხიდა 1911კ:2).

„კოლხიდადან“ ირკვევა, რომ რობაქიძეს სხვადასხვა დაბა-ქალაქში წაუკითხავს ლექციები. გაზეთი ინფორმაციას ჯერ კიდევ მაშინ აწვდის მკითხველს, როცა ამ განზრახვას იგებს: „გრ. რობაქიძე ამ ზაფხულს ფიქრობს პოპულარული ლექციების კითხვა მოაწყოს ჩვენს დაბა-ქალაქებში“ (კოლხიდა 1911ლ:2).

ორი კვირის შემდეგ, 26 ივნისს, „ახალი ამბავის“ სვეტში ქვეყნდება ინფორმაციული შენიშვნა: „პირველი ლექცია ცნობილმა ლექტორმა გრიგოლ რობაქიძემ კიდევ წაიკითხა დაბა ხონში. ლექციას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, ლექციამ საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე“ (კოლხიდა 1911მ:2). ლექციის თემა აღნიშნული არ არის.

მანამდე კი, 10 ივნისს, ქუთაისის თეატრში გრ. რობაქიძეს ქართულად წაუკითხავს ლექცია „ხელოვნება და სინამდვილე“, რომელიც თბილისში რუსულად მოისმინეს. „კოლხიდაში“ ორიოდ სიტყვით არის გადმოცემული ლექციის გეგმა (კოლხიდა 1911ფ:2).

ლექციას ოპერატიულად გამოეხმაურა შ. ნ. – რობაქიძის ყველაზე სუსტი ოპონენტი, რომელიც, ასე ვთქვათ, დვარჯნილებით ცდილობს ფონს გასვლას. მისი წერილიდან აზრის გამოტანა იმდენად ძნელია, რომ თავს შევიკავებთ ჩვენეული ინტერპრეტაციისაგან, პერიფრაზებისაგან და რამდენიმე ამონარიდს მოგაწვდით.

არც თუ ისე მოკლე „მოკლე შენიშვნა“ ორ „დაუძლეველ უმწეობაზე“ საუბრით იწყება, რომელთა შორისაც, ავტორის აზრით, ტრიალებს ადამიანის შემეცნების განვითარება. „შეუერთებლობა დაქსაქსულისა და დაუქსაქსველობა შეერთებულისა; ეს იგივე სინტეზი და ანალიზია, ონტოლოგიის სფეროში გადატანილი. განცალკევება იდეალურისა რეალურისაგან, სამარადისოს წარმავალისაგან ამავე მდგომარეობას გამოხატავს“ (კოლხიდა 1912დ:2). ეს „მეცნიერული“ მოსაზრება დაქსაქსულის შეუერთებლობისა და შეერთებულის დაუქსაქსველობის შესახებ, ჩვენთვის მეტისმეტად „ღრმაა“, თანაც ვერ ვხვდებით, რა კავშირი აქვს ამ ყოველივეს რობაქიძესთან. ავტორი კი აკადემიური ენით განაგრძობს: ადამიანის შემეცნებითმა ნიჭმა შეძლო ონტოლოგიური მთლიანობის გარღვევა, მაგრამ „თვითონვე ვეღარ დასძლია თავის მიერვე ამოძრავებულ ძალებს. სინამდვილე, რეალობა შუა გაპოზილი დარჩა“ (კოლხიდა 1912ე:2).

შემდეგი აბზაციდან ის მაინც ირკვევა, რომ ორგვარი სინამდვილე არსებობს: „პირველი – დროული და ვრცეული, რაც ხდება აქ და მეორე – იდეალური, რომლის უწინარესი განმარტებაც აუცილებლათ უარყოფითი, თვით დროულობისა და ვრცეულობის უარისყოფაა“ (კოლხიდა 1912ვ:2).

აქ, ალბათ, მარადისობაზეა საუბარი. თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად ავტორს პითაგორას თეორემა მოჰყავს. „პითაგორეს თეორემა აქ და დღეს ჩვენ მიერ დამტკიცებული შავ დაფაზე თეთრი მელნით არის გამოხატული. წავშლით დაწერილს,



მოესპობთ დროულსა და ვრცეულ პირობებს, მაგრამ პითაგორეს თეორემა ამით არ მოისპობა“ (კოლხიდა 1912ზ:2).

თვითონვე უკვირს: აქ ხელოვნება რა შუაშია, ეს მათემატიკააო! რობაქიძემ ხაზი გაუსვა ამ გაოცებულ წამოძახილს – „აქ ხელოვნება რა შუაშია?!“ (კოლხიდა 1912თ:2). „შ. ნ.-ს „შუაშია“ ეწერა და არა „შუაშია“. თუ ეს კორექტურული შეცდომა არ არის, მაშინ ნიუანსში გამოხატული მახვილი ირონიაა.

უცნობ პოლემისტს პითაგორას თეორემის მარადიულობა თურმე ასეთი დასკვნისთვის სჭირდებოდა: „აშკარაა – ხელოვნება კიდევ რომ ქმნიდეს იდეალურს, იგი მარტო არა ქმნის მას“ (კოლხიდა 1912თ: 2).

ისე ჩანს, თითქოს გრიგოლ რობაქიძეს ხელოვნებისთვის თავგანსაცემად ადამიანის მოღვაწეობის ყველა სხვა სფერო დაეწიებინოს, ეს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია მისგან. ამასთან, ლექციის თემა ხელოვნება და სინამდვილე იყო და არა – მათემატიკა და სინამდვილე. რობაქიძემ პასუხად დაწერა: „მარადისობა, მათემატიკით გამოსახული და მარადისობა, ხელოვნებით გამოხატული, – სხვადასხვა სახის არიან. თეორემა მუდამ განყენებაა და განყენებულად დარჩება, მხატვრული სახე კი ყოველთვის ცოცხალია და ინდივიდუალობათ იშლება“ (კოლხიდა 1912კ:2-3). დეტალური ახსნა თავად ლექცია იქნებოდა, ამდენად, პასუხი მოკლე იყო.

ვრცელი „მოკლე შენიშვნა“ საყურადღებოს ვერაფერს გვეუბნება გრ. რობაქიძის ლექციის აკადრებზე. ამიტომაც, ვფიქრობთ, დაწვრილებით მიმოხილვა არ ღირს.

ამასთან, წერილის ენა, ფილოსოფიურ ცნებათა ხორაზე რომ არაფერი ვთქვათ, ისე დახლართული და შეუსაბამოა, რომ რობაქიძესაც გაუჭირდა გაგება. „ავტორს ან სიტყვა არ ემორჩილება საზოგადოთ, ანდა ქართული ენით პირველად ცთილობს განყენებული აზრის გამოთქმას: მის წერილში აზრი სიტყვას ებრძვის და შესაფერ გასაგავლს ვერ ნახულობს“ (კოლხიდა 1912ლ:3).

ავტორი კი ღრმად არის დარწმუნებული თავისი „მოკლე შენიშვნის“ დიდ მნიშვნელობაში. გრიგოლ რობაქიძეს სიღრმე დაუწუნა, თავისი ნააზრევი კი ერთადერთ სწორ გზად, ჭეშმარიტებად მიაჩნია. ჩემი დასკვნა, როგორც ყველა ხედავს, სრულად ეწინააღმდეგება მისასო, – ამბობს ავტორი. ვერ ვხვდებით, ყველაში ვის გულისხმობს. საერთოდ, პოლემიკურ წერილში ჯერ მოკლედ გადმოსცემენ იმ დებულებებს, რომლებსაც არ ეთანხმებიან, შემდეგ კი უპირისპირებენ თავიანთ არგუმენტებს. შ. ნ.-ს არ გადმოუცია გრ. რობაქიძის თვალსაზრისი. ამდენად, არა თუ ყველას, არამედ მხოლოდ მას, ვინც ლექცია მოისმინა, შეეძლო განესაზღვრა, რამდენად „არასიღრმისეული“ იყო გრ. რობაქიძის აზრები და რამდენად ეწინააღმდეგება მას პოლემიკური წერილის ავტორის დასკვნები.

ამ ლექციას კიდევ ერთი უცნობი ავტორი (X) გამოეხმაურა, ოღონდ მან წინ გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებები წამოსწია და კომენტარი ბოლოსთვის შემოინახა: „პირველ ნაწილში ავტორი ვერ იდგა იმ სიმაღლეზე, რომელიც ჩვეულებრივი არის ხოლმე

მისთვის, ხოლო მეორე ნაწილში მან შეძლო თავის თავის პოვნა და კეთილშობილური აღტაცებით გადმოგვცა თავის საინტერესო აზრთა მიმდინარეობა“ (კოლხიდა 1912მ:3). აქ ახალი არაფერია, ადრე სხვების მიერ ნათქვამის გამეორებაა. მთლიანობაში კი უცნობი ავტორის „შემოქმედება და სინამდვილე“ ლექციის შინაარსის გადმოცემა იყო. ქვესათაურად ასეც ეწერა: „გრ. რობაქიძის ლექცია“.

ადამიანის შემოქმედების ნაყოფი სინამდვილეა, მაგრამ არა ჩვეულებრივი, „ზედაპირული“. ხელოვნება არსებულის გამეორება არ არის. ხელოვნებისა და სინამდვილის კავშირი „ხელოვნური შემოქმედების ფილოსოფიის“ ძირითადი პრობლემაა. გრ. რობაქიძის ლექციის პირველი (თეორიული) ნაწილიც მის გარშემო ტრიალებდა.

ამბობენ, რომ ხელოვნება მასალას ცხოვრებიდან იღებს, მაგრამ მისი „კონკრეტული განსახიერება“ ხელოვანის იდუმალი შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია. გრ. რობაქიძეს ეს ყალბი, უსაფუძვლო თეორიად მიაჩნია. მისი აზრით, მასალას ვერ აკრეფ, თუკი თავიდანვე არ იცი, რისთვის გსურს იგი. „ხელოვანი იმთავითვე თან ატარებს იდეას და ისწრაფვის მის გამოთქმას ამა თუ იმ საშუალებით და სწორეთ ეს იდეა არის, რომ სარწულათ უდევს ყოველს ხელოვნურს აღტაცებას. ამგვარათ, ხელოვნება გაობიექტება, განივთება, განსახიერება არის ხელოვანის შინაგანი არსისა და ამიტომ იგი ბევრათ უფრო ნამდვილი არის, ვიდრე ჩვეულებრივი ზედაპირული სინამდვილე“ (კოლხიდა 1912მ:2).

ლექციის მეორე ნაწილში გრ. რობაქიძემ იმსჯელა იმაზე, შესაძლებელია თუ არა ელინისტური ხელოვნების განახლება და რამდენად წარმატებული აღმოჩნდა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ რეინჰარდტისეული დადგმა. ელინთა გახსენებისას იგი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდა საყვარელ თემას – დიონისოსა და აპოლონის კულტს და მისგან წარმოშობილ ტრაგედიას.

წარმოიდგინეთ, რომ ხართ ერთგვარ თავდავიწყებაში და მთელი თქვენი სულიერი არსება “ადვირახსნილი შეუჩერებლობით” მიიღტვის წინ. ეს დიონისეს კულტის საფუძველია. მაგრამ ასეთი მდგომარეობა ადამიანის ჩვეულებრივი თვისება არ არის, გონება ყოველთვის კრიტიკულად უყურებს შინაგან ლტოლვას, ყოველ მოქმედებას. აქ უკვე აპოლონის საშუალებით მთავრდება დიონისოს კულტი. წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დვთაებამ გონება წარსტაცა ადამიანს. იგი დიონისურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ხოლო თუ ადამიანი თავის ნაბიჯებს გონების თვალს ადევნებს და ნაგრძნობს იმდენად გამოსატაცს, რამდენადაც ამას გონება უკარნახებს, მდგომარეობა აპოლონისეულია.

განცდა – დიონისო.

განცდილისთვის თვალყურის დევნება – აპოლონი.

„დაუპირდაპირეთ ეს ორი მხარე ერთი მთლიანი მდგომარეობისა ერთი-მეორეს და თქვენს წინ წარმოიშვება თვატრი თავისი ორი ელემენტით: მსახიობი და მაყურებელი“ (კოლხიდა 1912ო:3). თუ მსახიობთა განცდაზე მაყურებლების გამოსხაურებასაც წარმოვიდგენთ, ბერძენთა ქორო დაგვიდგება თვალწინ. „ასეთი იყო ბერძენთა თვატრი

და ბერძენთა ტრაგედია. ხოლო იგი, როგორც ხელოვნება, შედეგი იყო მათი შინაგანი არსის განსაკუთრებული თვისებისა, მათი სულისა“ (კოლხიდა 1912პ:3).

რეინჰარდტი დამარცხდა. ბერძენთა ტრაგედიის განახლება ვერ შეძლო. ბერძენთა და თანამედროვეთა სული სხვადასხვაგვარია. ორესტი და ჰამლეტი – ეს ელინთა და თანამედროვეთა სულია. პირველი მთლიანია, მეორე კი – გაპოზილი, გაორებული.

ასე მოკლედ, ძირითად შტრიხებში გადმოსცა უცნობმა ავტორმა ლექციის შინაარსი. როგორც ვხედავთ, აქ არის სიახლე – გრიგოლ რობაქიძე უპირისპირდება გავერცელებულ შეხედულებებს ხელოვნებისა და სინამდვილის კავშირზე. მისი პარალელებიც საკითხს ყოველთვის განსხვავებული კუთხით აჩვენებს. ქართულ საზოგადოებას იგი ახალი იდეების გამავრცელებლად მოეველინა. თანაც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ თბილისითა და ქუთაისით.

1910 წელი. გრ. რობაქიძე მოხისში მიუწვევიათ ლექციის წასაკითხავად თემაზე: „პლატონიდან ლეიბნიცამდე და ლეიბნიციდან სოლოვიოვამდე“ (დროება 1910ლ:4).

1912 წლის 16 ივნისი. გრიგოლ რობაქიძე ჭიათურაში კითხულობს ლექციებს რუსთაველსა და ვაჟა-ფშაველაზე (კოლხიდა 1912ჟ:2-3).

26 ივნისი. გაზეთ „კოლხიდას“ ცნობით, გრიგოლ რობაქიძეს ლექციები ზედიზედ სამ დღეს უნდა წაეკითხა ჯერ სენაკში, შემდეგ – აბაშაში, ბოლოს კი – სამტრედიაში (კოლხიდა 1912რ:3).

9 ივლისი. „გრ. რობაქიძის ლექციას საჩხერეში ბლომათ დასწრებია ხალხი“ (კოლხიდა 1912ს:2).

11 სექტემბერი. „გრიგოლ რობაქიძე ამ მოკლე ხანში ბათომსა და სოხუმში წაიკითხავს ლექციებს“ (კოლხიდა 1912ტ:2).

12 სექტემბერი. „გრ. რობაქიძის ლექციას ქ. გორში მრავალი ხალხი დასწრებია; ლექტორს აღტაცებით შეგებებია საზოგადოება და ლექციასაც კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია“ (კოლხიდა 1912უ:2).

21 სექტემბერი. „სოხუმში გრ. რობაქიძის ლექციას ხალხი ბლომათ დასწრებია. ლექცია მოსწონებითა და აღტაცებით მიგებებიან ლექტორს“ (კოლხიდა 1912ფ:2).

ჭიათურაში რუსთაველზე წაკითხულ ლექციაში გრიგოლ რობაქიძეს აღვნიშნავს, რომ ლიტერატურულ კრიტიკას ჯერაც ღირსეულად არ შეუფასებია „ვეფხისტყაოსნის“ აურაცხელი საუნჯე. რადგან ლექციისთვის განკუთვნილ განსაზღვრულ დროში „შეუძლებელია იმ აუარებელ მარგალიტთა განხილვა, რომელიც ასე უხვად დაუთესია აქ დიდებულ შოთას თავის მადლიანი ხელით“ (კოლხიდა 1912ქ:2), ამიტომ მხოლოდ ერთ „უჩინარ ობოლ მარგალიტზე“ – სილამაზის, მშვენიერების გრძნობისა და სიყვარულის ელინურ შეგნებაზე – შეუჩერებია ყურადღება. მისი აზრით, ძველ ბერძენთა თავგანისცემა სილამაზისადმი იხატება მერეუოვსკის „იულიანე განდევლის“ იმ ადგილში, სადაც აღწერილია იულიანეს მიერ აფროდიტეს ქანდაკების ნახვა. ეს ნაწყვეტი, რობაქიძის მიერ ნათარგმნი, დაიბეჭდა წინა წელს „კოლხიდაში“.

„იულიანემ აღაპყრო მკრთალნი თვალნი, მიეყრდნო კედელს, ჩაიკლა სუნთქვა და განაბა სული. ეს იყო იგი. თავხდით ცისქვეშ ტაძრის შუა გულს იდგა ახლად შევებული ქაფისგან, ცივი, თეთრი აფროდიტა – ანადომენა მთელი თავისი ურცხვი სიტიტვლითა. ღმერთქალი თითქო ღიმილით გასცქეროდა ცასა და ზღვას, უკვირდა მათი შეენება და ჯერც არ იცოდა, რომ იგი მისი საკუთარი შეენებაა, ცასა და ზღვაში, ვით მარად სარკეთა შორის აღსახული. საცმელის შეხება არ ურაცყოფდა მას. ასეთი იდგა იგი, სრულიად უმანკო და მთლად ტიტველი, როგორც ეს მუქ-ლურჯი ცა, მის თავს ზემო გადაშლილი“ (კოლხიდა 1911ო:3).

დრო გაჩერდა...

ყრმა მოხიბლული და მოწყურებული უყურებდა ქაღალმერთს.

მუხლი მოიყარა აფროდიტეს წინაშე. გულზე ხელებდაკრეფილი, მადლა თავაწეული, სულში მყუდროება ჩასვენებული იდგა მუხლებზე. „და მოერია მას რული, მაგრამ ძილშიაც გრძნობდა იგი ქალის სიახლოვეს: იგი ჩამოდიოდა მასთან ახლო და ახლო. წვრილნი, თეთრნი ხელნი მას ყელს ეხვეოდნენ. ყრმა მიეცემოდა უვნებო ღიმილით უვნებო ხევენასა“ (კოლხიდა 1911პ:3).

ხელოვანის მიერ მარმარილოში გამოსახული ღვთაებრივი სილამაზის ტყვე გახდა იგი.

ეს არის ნამდვილი ელინური თავყვანისცემა სილამაზისადმი, რომელიც გამორიცხავს ცხოველურ გრძნობას. ასე უყვარდათ ელინებს.

გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, ასეთივეა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარული. ის არ ჰგავს აღმოსავლურ ტრფობას. „ვეფხისტყაოსანში“ დახატული უმაგალითო პატივისცემა ქალისადმი, გაღმერთება და თავყვანისცემა ბერძენთა შეგრძნებას უფრო უახლოვდება, ვიდრე – სპარსთა.

მეგობრობასაც არსად ჰქონია ისეთი ფასი, როგორც საბერძნეთში. ტარიელისა და ავთანდილის განსაკუთრებული მეგობრული გრძნობაც ელინურს ჰგავს.

ყოველივე ამაში გრიგოლ რობაქიძე რუსთაველისა და მის თანამედროვე ქართველებზე ძველ ბერძენთა კულტურის ძლიერ გავლენას ხედავს.

დასასრულს, ლექტორი შეხებია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხს. „ხალხური არაკის ნაწარმოების შინაარსათ აღება სრულიათ არ ართმევს ნაწარმოებს ორიგინალობას და ავტორს – გენიოსობას“ (კოლხიდა 1912დ:2). გრიგოლ რობაქიძე აუდიტორიას არწმუნებდა, უსაფუძვლოდ კი არ უნდა ვამტკიცოთ, სპარსულიდან არის ნათარგმნიო, არამედ უნდა ვცადოთ, ჩავწვდეთ იმ შოთას დიდებული აზრების სიღრმეებს, რომლის მეოხებითაც შეინარჩუნა ქართველმა ყრმა თავისი სახეო; თუ შოთამ ჩვენ გვაქართველა, ჩვენ იგი ვარუსთაველოთ.

მეორე ლექცია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას მიეძღვნა. „ვაჟა თუ გენიოსი არა, გენიოსის ნატეხი მაინც არის. იგი მთის შვილია, დიადი გრძნობით და მახვილი გონებით

აღჭურვილი. მისი პოეზია მთის ნაკადის ჩქერთა მშვენიერების ფერადებითაა შეზავებული“ (კოლხიდა 1912ყ:3).

გრიგოლ რობაქიძეს განუხილავს ვაჟას პოემა „გველის მჭამელი“. მინდიაში იგი გენიოსს ხედავდა.

ორივე ლექცია იმდენად დახვეწილი ენით წაუკითხავს ორატორს, რომ საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩენილა და “ვაშას” შეძახილით რამდენჯერმე გამოუხშია ლექტორი.

დაბოლოს, გაზეთი გამოთქვამს სურვილს, რომ ბატონი რობაქიძე ხშირად ესტუმროს ჭიათურას თავისი ლექციებით. „ეს მეტად სასურველია, რადგან მდაბიო ხალხისათვისაც საჭიროა, მოისმინოს ტკბილათ მოუბარის სიტყვა და გაეცნოს ახალ აზრებს“ (კოლხიდა 1912შ:3).

ლექციას გამოეხმაურა უცნობი ავტორი „სონმანი“ წერილით „ჩემი აზრი გრ. რობაქიძის ლექციის შესახებ“ და სხვების მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება გაიმეორა. ავტორი ჭიათურაში წაკითხულ ლექციას არც ეხება, ზოგადად აღნიშნავს, რომ გრიგოლ რობაქიძის ლექციებით ხშირად დამთვრალა, მაგრამ თურმე მაინც გრძნობდა, რომ მიღებული სიამოვნება სრულფასოვანი არ იყო. „დაკვირვებისა და ანალიზის“ შემდეგ მიმხვდარა, თუ რა აკლდა.

„ჩვენს გამონჩენილ ლექტორს ერთი საყურადღებო ნაკლი აქვს... ცთილობს რაც შეიძლება ყოველი მხრით შებოჭოს მსმენელთა გრძნობანი. ამისათვის ის უხვად აფრქვევს ლამაზ სიტყვებს. ერთსა და იმავე ადვილათ გასაგებ აზრს ხშირად მრავალგვარ ლამაზ ფორმაში ახვევს და ისე აწვდის მსმენელთ. მსმენელი მისი პირველი სიტყვის თქმიდან გრძნობადაა გადაქცეული“ (კოლხიდა 1912ჩ:3). ამდენად, წინ იწვევს გრძნობები, რომლებიც ჩრდილავს შინაარსს. ლექციის დასრულების შემდეგ მხოლოდ ლამაზი სიტყვებით გამოწვეული „გულის ამტოკებელი შთაბეჭდილებები რჩება.

ვფიქრობთ, ამ ყოველივეს სათქმელად დიდი „დაკვირვება და ანალიზი“ არ იყო საჭირო, ლ. მეტრეველის წერილის წაკითხვაც იკმარებდა.

რაც შეეხება ავტორის ნათქვამს – ერთსა და იმავე აზრს სხვადასხვა ფორმით აწვდის მსმენელსო – შეეკამათება ყველა, ვინც მეტნაკლებად იცნობს გრ. რობაქიძის შემოქმედებას. მის ნაწერებში ვერსად შეხვდებით ტავტოლოგიას, აზრის გამეორებას. ამას არც ზეპირ მეტყველებაში დაუშვებდა ნიჭიერი ორატორი, მით უფრო, რომ მისი ლექციები ყოველთვის წინასწარ იყო საფუძვლიანად მომზადებული, დაწერილი. სწორედ ფორმისა და შინაარსის სრულყოფა, ერთიანობა იწვევდა საყოველთაო აღტაცებას.

გრიგოლ რობაქიძე ხშირად მუხლებად ჰყოფდა მოპაექრეთა შენიშვნებს და სათითაოდ პასუხობდა. ერთ-ერთი უკმაყოფილო ოპონენტის „ვინ-ხანინის“ წერილიდანაც გამოჰყო მუხლები: „მართალი რომ მოგახსენოთ, წერილის ავტორს არც ძალა შესწევს და არც ინტელექტუალური სინდისი, რომ მას პასუხი გავცე, მაგრამ ის წერილი ისეთი რიხიანი უმეცრებით არის ავსილი, რომ საჭიროდ მიმაჩნია, მისი ავლა-დიდება მკითხველს მუხლა-მუხლა გადაეუშალო“ (კოლხიდა 1912ც:2). რობაქიძის ტონი პირველად გახდა ასეთი

მკაცრი, ცოტა აგდებულიც. გრიგოლ რობაქიძეს პროფესორ ნიკო მარის შესახებ უთქვამს, იგი შესანიშნავი ფილოლოგია, მაგრამ როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, სუსტიაო. „ვინ-ხანიანმა“ მისი აზრი ცოტა სხვაგვარად წარმოაჩინა: რამდენად ნიჭიერი ისტორიკოსია მარი, იმდენად უნიჭო დამფასებელია იგი ხელოვნების ნაწარმოებისაო.

ეს არის ბრალდების პირველი მუხლი.

გრ. რობაქიძე განმარტავს, რომ პროფესორი მარი მას შესანიშნავ მკვლევარად მიაჩნია, რომელიც საოცარი ინტუიციითა არის დაჯილდოებული. სწორედ ამ ინტუიციის წყალობით, ის მკვლარ ქვასაც ალაპარაკებს და უბრალო ნაშთით თეორიასაც ქმნის... მაგრამ ავტორი მკვლევარისგან მეტს მოითხოვს – ესთეტიზმს, რის გარეშეც ნებისმიერი გამოკვლევა ცალმხრივია, ნაკლული, შეიძლება, მცდარიც. რობაქიძე ფიქრობს, რომ ესთეტიზმის არარსებობამ ათქმევინა მეცნიერს, „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი საგმირო მოთხრობის გაღვეპილი ვარიანტიაო. მარის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, „ვეფხისტყაოსანი“ ერთი ჩვეულებრივი თარგმანი ყოფილა. ამაზე დავა დღეს არ ღირს, მაგრამ მაშინ გრიგოლ რობაქიძეს უწევდა, გამუდმებით ემტკიცებინა, რომ მხატვრული ფორმა, ემძღავრი შემოქმედებითი ენერგია ცვლის საფუძვლად აღებულს არაკს. „არაესთეტიკურმა“ პროფესორმა ეს ვერ წარმოიდგინა. სხვა მხრივ, რობაქიძე მარის თაყვანისმცემლად აცხადებს თავს.

მეორე მუხლად გრ. რობაქიძემ გამოყო ბრალდება, თითქოს იგი სხვის აზრებს ისაკუთრებდა: „ვეფხისტყაოსნის“ ელინისტური მხარე, რომელიც აღნიშნული ჰქონდა ნიკო მარს, ლექტორმა თავის აღმოჩენად წარმოაჩინაო, – აცხადებს „ვინ-ხანიანი“. რეცენზენტი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს „ელინისტურ მხარეში“, რობაქიძე კი ლექციაში ეხებოდა სხეულის „ელინურ გრძნობას“ და ამტკიცებდა, რომ რუსთაველსაც იმავე გრძნობით აქვს ნაგრძნობი სხეული... გენიოსი შემოქმედის ინტუიციით, სხეული უბრალო ხორცი კი არა, სხეულის ცოცხალი სახეა, თვით ხილული სულია, ისევე, როგორც გამოქანდაკებული მარმარილო. „ვინ-ხანიანმა“ ვერცერთი მაგალითი ვერ მოიხმო იმის დასამტკიცებლად, რომ მარიც ამას წერდა.

ლექციაში საუბარი იყო „ვეფხისტყაოსანზე“ როგორც არა თარგმანზე, არამედ ორიგინალურ ნაწარმოებზე, რომელშიც გარდაქმნილია ხალხური სიუჟეტი. „ვინ-ხანიანის“ სიტყვით, ეს აზრი ხახანაშვილს ეკუთვნის, გრ. რობაქიძემ კი „თავისად გაასაღა“.

ბრალდება მძიმეა. გამოდის, რომ გრიგოლ რობაქიძე აქა-იქ ამოკრეფდა აზრებს, შეაკოწიწებდა და ლექციაც მზად იყო. ერთმა ოპონენტმაც სცადა, პლაგიატორის სახელით „დაეჯილდოებინა“ ცნობილი ლექტორი, მაგრამ – ამაოდ...

„ვინ-ხანიანის“ ბრალდებაც ადვილად გააქარწყელა გრ. რობაქიძემ. ხახანაშვილი წერს: „შთაგონების წყაროთა ძიება ხალხურ თქმულებათა შორის – ეს გზაა, საკმაოდ განმტკიცებული საერთო ლიტერატურის ისტორიაში... განათლებულმა და ნიჭიერმა მგოსანმა შეძლო გაეკეთილშობილებინა და აქმაღლებინა რომანტიული ინტრიგა უცვლელი ერთგულებისა და ნათელი სიყვარულის გრძნობის იდეითა, ნიჭიერათ შეაერთა

და შეაკავშირა პოემის სიუჟეტი ფსიქოლოგიური დაკვირვებანით და ფილოსოფიური განსჯანითა, მისცა პოემას მხატვრული მთლიანობა და ჩამოასხა იგი ისეთ მომხიბვლელ სალიტერატურო ფორმაში, რომელიც დღემდე პოეტურ ნაწარმოებთა ნიმუშათ დარჩა“ (კოლხიდა 1912ჰ3). მოკლედ, ხახანაშვილის აზრით, რუსთაველმა თქმულებას ლიტერატურული ფორმა მისცა მხოლოდ. რობაქიძე კი ამტკიცებდა, რომ შემოქმედი ცვლის ნასესხებ არაკს, რომელიც ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შექმნა. ანუწვევტივ იმეორებდა, რომ რუსთაველის ქმნილების ფორმა არსებული მასალის უბრალო გალექსვა კი არა, ახალი გენიალური ნაწარმოებია, გამორცეული შემოქმედის მიერ შექმნილი. როგორც ვხედავთ, გრ. რობაქიძეს არათუ მიუთვისებია ხახანაშვილის აზრი, არამედ, პირიქით, საწინააღმდეგო უმტკიცებია.

ამის საპასუხოდ „ვინ-ხანიანს“ ხახანაშვილის წიგნიდან სხვა ციტატა მოჰყავს. „პოეტმა ამ საერთო საქმეს მისცა თვითშემოქმედებითი ნიჭით დრამატიული სისრულე და ფსიქოლოგიური სინამდვილე. ჩაუმატა ფატმანის და შერმადინის სახეები, უფრო მწყობრათ ააგო გმირების დამოკიდებულება, ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი ნათესაური კავშირით განაცალკევა და შეაერთა თანხმობითი ინტერესით და მეგობრული სიყვარულით“ (კოლხიდა 1912წ:2).

არაკის, ფაბულის შეცვლაზე არც აქ არის რამე ნათქვამი. ციტატა კვლავაც ლიტერატურულ დამუშავებაზე, ფორმის დახვეწაზე მიუთითებს. „სახელების ჩამატება“ და „თანხმობითი ინტერესით“ პერსონაჟთა შეერთება შემოქმედებაში ბევრს არაფერს ნიშნავს, ეს არ არის არსებითი. „ვინ-ხანიანმა“ ამ ციტატის მოტანითაც გრ. რობაქიძეს გაუწია სამსახური, მისი აზრის ორიგინალობა დაამტკიცა. ხახანაშვილი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ერთსა და იმავე სიუჟეტზე დაყრდნობილი ხალხური და ინდივიდუალური ქმნილებების მცირედი განსხვავებულობა უბრალოდ ლიტერატურული დამუშავების შედეგია. ერთი სიტყვით, ხალხური თქმულებიდან ადებული ფაბულა ლიტერატურულ ნაწარმოებში არ იცვლება.

გრ. რობაქიძე კი ასევე ღმად არის დარწმუნებული, რომ იცვლება. ამას ადასტურებდა იგი ლექციაშიც და წერილშიც.

შემდეგი მუხლიც იმავე ბრალდებას შეიცავდა. ამჯერად გრიგოლ რობაქიძეს თურმე ივანე გომართელის აზრები მიუთვისებია, ოღონდ თავისებურად შეუზავებია „თანამედროვე დეკადენტის ტერმინებით“. საუბარია „გველის მჭამელის“ განხილვაზე, რომელზეც ი. გომართელსა და გრ. რობაქიძეს სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ. მაგალითისთვის აღვნიშნავთ, რომ თუ ივანე გომართელი ამ პოემაში ოჯახს უყურებს როგორც კერძო საკუთრების პრინციპის გამომსახველს, გრიგოლ რობაქიძისთვის იგი ერთი „სახელოვნო საშუალებაა კერძოების დასაწყისის გამოსახვისას: კაპიტალური ხანაც რომ მოისპოს და დადგეს სოციალისტური, იმ შემთხვევაშიც მინდიას ტანჯვა სულიერ ღრამად დარჩება; მხოლოდ მაშინ მგოსანი კერძოების დასაწყისს სხვა საშუალებით დასახავს“ (კოლხიდა 1912ჰ3). ამდენად, „ვინ-ხანიანის“ ეს ბრალდებაც მორიგი გაუგებრობაა ისევე, როგორც

რობაქიძისთვის დეკადენტური ტერმინების მიწერა. ამასთან, „გველის მჭამელის“ შესახებ წერილი გრ. რობაქიძეს 1911 წელს გამოუქვეყნებია გაზეთში „Русская мысль“, მაგრამ უფრო ადრე, 1909 წლის მარტსა და მაისში ლექციად წაუკითხავს თბილისში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ბათუმსა და ოზურგეთში. ივ. გომართელმა კი თავისი მოსაზრებები „გველის მჭამელის“ შესახებ გამოაქვეყნა 1910 წელს „სხივში“ (კოლხიდა 1912ხ:2).

პოლემიკა შეწყდა. ფაქტებს „ვინ-ხანინი“ ვერსად გაექცა.

გრ. რობაქიძემ ეს წერილი ბორჯომიდან გამოაგზავნა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სათვისტომოს გამგეობამ გულითადი მადლობა უძღვნა იმ პირთ, ვინც ქართული სათვისტომოს სასარგებლოდ ბორჯომში საღამო-მეჯლისის გამართვას შეუწყო ხელი მონაწილეობით, შრომით თუ მატერიალური დახმარებით. განსაკუთრებული მადლობა რამდენიმე სხვა პირთან ერთად (გრიშაშვილი, აბაშელი, მ. ს. კლდიაშვილის ასული...) გადაუხადეს ლექტორს, გრიგოლ რობაქიძეს (კოლხიდა 1912ჯ:2). ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიტანა რობაქიძემ საქველმოქმედო საღამოს გამართვაში, არ მოგვეპოვება. რადგან მას მიმართავენ, როგორც ლექტორს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლექცია ან მოხსენება წაიკითხა.

ცოტა მოგვიანებით გრ. რობაქიძე ქუთაისში ქალთა წრის კრებაზე გამოსულა და მათთვის საინტერესო საკითხზე უსაუბრია (კოლხიდა 1912ჰ:2).

მისი შეხედულებები ამჯერადაც, ალბათ, ისევე საინტერესო იქნებოდა, როგორც იყო სხვა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საკითხების შესახებ. გრიგოლ რობაქიძის ლექციები ახალი ხედვა იყო. ეს სიახლეები ხშირად მიუღებელიც იყო ფართო საზოგადოებისთვის. ახალგაზრდა ლექტორისთვის მეტისმეტ გამბედაობად ჩანდა ძველის დამსხვევა და ახალ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებათა გაცნობა-გავრცელება. ერთ-ერთი ოპონენტი წერდა კიდევ: აკაკიმ რომ ლექცია წაიკითხა, უმრავლესობა არ დაეთანხმა მის მიერ გამოთქმულ აზრებს, მაგრამ არავინ შეკამათებია, მაინც კმაყოფილნი იყვნენო. აკაკი სხვაა, რობაქიძეს კი „ჯერ კრიტიკულად ვუცქერით. მისი ყველა ნათქვამი ჭეშმარიტებად არ მიგვაჩნია და არც ყველა შეცდომას ვაპატიებთ“ (დროება 1909ჟ:3). საპატივებელი გრ. რობაქიძეს არაფერი ჩაუდენია. მას ბევრ რამეს შეცდომად უთვლიდნენ, მაგრამ მოგვიანებით დრომ ცხადყო რობაქიძის მართებულობა.

სიახლე იყო მაშინ ისეთი ლიტერატურული საღამოც, სადაც მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს კითხულობდნენ. „შაბათს, 8 მაისს, 1910 წ. გრიგოლ რობაქიძე გამართავს ლიტერატურულ საღამოს“ (დროება 1910მ:1), – წერს „დროება“. გაზეთის ცნობით, მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ვაჟა-ფშაველას, ნიკო ლორთქიფანიძეს, შიო არაგვისპირელს, იოსებ გრიშაშვილს, კოტე მაყაშიელს, სანდრო შანშიაშვილს... კრიტიკული ეტიუდები უნდა წაეკითხათ კიტა ბუაჩიძეს, ივანე გომართელსა და გრიგოლ რობაქიძეს (ნაწევები ლექციიდან „რუსთაველის შემოქმედება“).

ამ სიახლეს ეხმაურება „სახალხო გაზეთი“: „დღეს ქართულ თეატრში გრიგოლ რობაქიძე მართავს საინტერესო ლიტერატურულ საღამოს, რომელშიც მონაწილეობას



იღებენ ჩვენი ძველი და ახალი მწერლები... ყოველი მონაწილე წაიკითხავს თავის ნაწარმოებს. ასეთი საღამო პირველია ტფილისში“ (სახალხო გაზეთი 1910ა:2).

მეორე დღეს გაზეთიდან მკითხველი იგებს, რომ ჩამოთვლილ მწერალთაგან საღამოს რამდენიმე ვერ დასწრებია: ადამაშვილი (მიხეილ ჯავახიშვილი – რ. გ.), არაგვისპირელი, აბაშიძე, ყიფიანი. მწერლები თავიანთ ნაწარმოებებს რომ კითხულობდნენ, ამით მაინცდამაინც არ აღფრთოვანებულა აუდიტორია. „მონაწილე მგოსანთა და ბელეტრისტთაგან არც ერთს ხეირიანი კითხვა არ შესძლება. ეს ნაკლი ძლიერ ცუდად მოქმედებდა მაყურებელზე“ (სახალხო გაზეთი 1910ბ:3). ეს არ ეხება ვაჟას, რომლის ლექსების „ფორმის მშვენიერებასა და შინაარსის სიმდიდრეს“ ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი. აქვე გაიჟღერებს საყვედური საღამოს მომწეობის გრიგოლ რობაქიძის მიმართ: გრიშაშვილის „კინტოური კუპლეტები“ სრულიად უადგილო იყო და რობაქიძეს ახალგაზრდა პოეტისთვის ასეთი ლექსის წაკითხვა არ უნდა ერჩიო. დაბოლოს, მიმომხილველის სიტყვით, საღამო გამოუხალისებიათ ლექტორებს – გომართელსა და რობაქიძეს.

ავტორი ხაზს უსვამს ლიტერატურული საღამოს მნიშვნელობას: „ასეთი საღამო ჩვენთვის ახალი რამე იყო და დიდს ინტერესს წარმოადგენდა. იმიტომ, რომ მან შეძლო ნათელყო მაყურებლისათვის თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძირითადი მიმართულება“ (სახალხო გაზეთი 1910გ:3).

ასეთი იყო გრიგოლ რობაქიძე – ნოვატორი ლიტერატორი.

მისი ლექციებისაგან ყოველთვის სიახლეს ელოდნენ („ეჭვი არ არის, ბევრ ახალ რამეს გადმოგვცემს ბარათაშვილის შემოქმედებაზე“ (დროება 1909ხ:3); „ბ. რობაქიძე თავისებურ და მეტად საგულისხმო დახასიათებას აძლევს ჩვენის დიდებულის მგოსნის შემოქმედებას“ (დროება 1908ნ:3) და ასე შემდეგ). მის ლექციებს ქართული საზოგადოებისთვის სრულიად ახალ და უცნობ იდეურ მოვლენად მიიჩნევდა არჩილ ჯორჯაძეც.

გრიგოლ რობაქიძემ იცოდა არა მარტო ის, თუ რა უნდა ეთქვა ახალი, არამედ ისიც, თუ როგორ ეთქვა. მისი ლექციები ღრმა შინაარსისა და დახვეწილი ფორმის სინთეზი იყო. „ფილოსოფიური საკითხები ჩვენი საზოგადოებისთვის რაღაც ახალს წარმოადგენდნენ და ამიტომ მით უფრო საჭიროა, მკვლევარმა მასზე მშვენიერის ფორმით იმოქმედოს. ამიტომ კარგად იქცევა რობაქიძე, როდესაც იგი თავის ლექციებს მხატვრულად წარმოსთქვამს“ (დროება 1909ჯ:3), – წერდა დიმიტრი უზნაძე (თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს „კარგი ქცევა“ ხშირად კრიტიკის საგანი ხდებოდა). გრიგოლ რობაქიძე ცდილობდა, თხრობის პოეტურ-ესეისტური მანერით ასეთივე პოეტურ გარემოში მოექცია მსმენელი, რათა მას არა მხოლოდ მოესმინა, არამედ ეგრძნო, ეხილა, ღამის ხელით შეხებოდა მწერალთა სამყაროს, რომელზედაც მოუთხრობდა ლექტორი.

„რაღაც ახალი“ ფილოსოფიური საკითხი იყო ნიცშეს მსოფლმხედველობა, მიუხედავად იმისა, რომ რობაქიძეზე ადრე აბრამოვიჩმა წაიკითხა მასზე ლექცია (დროება

1910წ.3). არ ვიცით, რა ითქვა და როგორ, ერთი კია – მას გამოსმაურება არ მოჰყოლია, მაშინ როცა გრიგოლ რობაქიძის ლექციით აღტაცებული იყო ყველა, მათ შორის, აკაკი. ფართო საზოგადოებამდე ნიცშეს ფილოსოფიის მიტანა რთული, ძალზე რთული იყო, მაგრამ გრ. რობაქიძემ წარმატებით დაძლია ეს სირთულე. ღრმააზროვანი საკითხები ისეთი ფორმით მიაწოდა მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომ გასაგებიც ყოფილიყო და საინტერესოც. ამით ქართველ საზოგადოებას ევროპაში მიმდინარე მოვლენები გააცნო. ეს მხოლოდ ნიცშეს მსოფლმხედველობას არ ეხება.

გრიგოლ რობაქიძე ნაცნობ საკითხებსაც ისე განიხილავდა, რომ ახალ გზას, ახალ პრობლემას წარმოაჩენდა. მანამდე არავის უთქვამს ვაჟა გენიოსიო, რობაქიძემ არა მხოლოდ იქვე, დაადასტურა კიდევ. საზოგადოებამ, როგორც ჩანს, უცებ ვერ გაითავისა გენიოსის არსებობა იქვე, გვერდით. შეფასება გადაჭარბებულად ჩათვალეს. დრომ კი, როგორც უმრავლეს შემთხვევაში, რობაქიძის აზრი დაადასტურა...

ოპონენტებიც კი აღიარებდნენ, რომ გრიგოლ რობაქიძე უბადლო ორატორი იყო. მისი ლექციები, დამაჯერებლობის უნარით გამორჩეული, პუბლიცისტიკაა, რამდენადაც ახალი იდეების დამამკვიდრებლად წარმოჩინდება. ახლის, მანამდე არ- გაგონილის, ყურადღების მიღმა დარჩენილის წამოწევით გრ. რობაქიძე საზოგადოების განათლების დონის ამაღლებას, გემოვნების დახვეწას, ევროპული ხედვის დანერგვას ცდილობდა. აზრის ზემოქმედებით სიკეთის მსახურება, უკვე არსებული თვალსაზრისის ახლებური განფენა და მიმდევრების მოპოვება პუბლიცისტიკის ერთ-ერთი ფუნქციაა.

მას ფართო საზოგადოება უსმენდა აღტაცებული. არა, აღტაცებული კი არა, მონუსხული. „მოსხენებამ გასტანა სამ საათზე მეტხანს და მოსმენილ იქნა იმ ყურადღებით, რომლითაც მხოლოდ გრ. რობაქიძეს უსმენენ საქართველოში“, - წერდა პრესა (ნიკოლეიშვილი 2000:197). მერე კი დიდხანს ურტყამდნენ ხელისგულებს ერთმანეთს. იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, რომ ტაში შეიძლებოდა, უბრალოდ, ზრდილობის გამოც დაეკრათ. მაგრამ ხალხი არ უსმენს მას, ვინც არ მოსწონს (მაგალითად, ილია ბახტაძის ლექციაზე ხალხი მრავლად მისულა, მაგრამ ბოლომდე ლექტორის მეგობრებიც კი არ დარჩენილან. ვერც ზრდილობამ და ვერც მეგობრობამ ვერ აიძულა საზოგადოება, ბოლომდე მოესმინა უინტერესო ლექცია.) (დროება 1910წ:4).

გრიგოლ რობაქიძეს კი უსმენდნენ, იხილდებოდნენ, ფეხზე წამოდგარნი უკრავდნენ ტაშს.

## II თავი

### თემატური ციკლები და პორტრეტები

1913-1914 წლებში გრიგოლ რობაქიძემ „სახალხო გაზეთში“ გამოაქვეყნა წერილების სერია სათაურით „ფოთლები“. ავტორს არსად მიუნიშნებია, რას გულისხმობდა ამ სახელწოდებაში, რატომ წაუმიძღვარა თავის რვა ესეისტურ მონახაზს საერთო სათაური, რომელსაც რუბრიკის ფუნქცია დაეკისრა და მკითხველის ემოცია-ასოციაციებზეა გათვლილი. „ფოთლებს“ ერთი მაგისტრალური ხაზი არ აერთიანებდა, თუმცა, მათი ძირითადი ნაწილი მწერლების შემოქმედების მიმოხილვას დაეთმო.

პირველი „ფოთოლი“ ეძღვნება დ'ანუნციოს. გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, „ის ლათინთა მომხიბლავი გენიის პირმშოა, დანტე ალიგიერის ნამდვილი მემკვიდრე... ანუნციოს გენიალობის ცეცხლის ნატეხს ვერაფერს წაართმევს“ (სახალხო გაზეთი 1913ბ:3).

ბევრი მას მას არცთუ საინტერესო მწერლად მიიჩნევს და მისი რომანების ერთფეროვნებას უსვამს ხაზს, თუმცა, მას განსხვავებული ნაწარმოებებიც აქვს. რობაქიძის აზრით, რომანი ანუნციოს „კლასიკურ სრულობამდე“ ჰყავს აყვანილი. „რომანის სიცოცხლე, სიყვარულის ვნება, ავტორის სახე რომ ვიხმართო, მარმარილოზე დანთხეულ სისხლს გვაგონებს“ (სახალხო გაზეთი 1913გ:3).

გრიგოლ რობაქიძეს ყველაზე მეტად მისი „ტრიუმფი სიკვდილისა“ მოსწონს. ამ რომანის კრედიტოვიდუოსის სიტყვებია – არც უშენოდ და არც შენთან სიცოცხლე არ შემიძლია. ანუნციომ ამ სიტყვებში გახსნა სიყვარულის პრობლემა – უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, რადგან უზომოდ მიყვარხარ, მაგრამ შენთანაც არ შემიძლია სიცოცხლე. ასე იქცევა სიყვარული საშინელ ტანჯვად იქცევა, რომლისგანაც ხსნა ერთია გარდაცვალება.

სქესთა ბრძოლა და ბედისწერა სიკვდილი.

გრ. რობაქიძის აზრით, ამ საბედისწერო ბრძოლის ასახვისას ანუნციომ „არწივის ფრთები“ გაშალა.

„ფოთლების“ ავტორს მოსწონს რომაელთა ამაყი პოზა, მაგრამ არა – ლიტერატურაში, რადგან იგი აქრობს კლასიკურ უბრალოებას, რაც აუცილებელია დიდი ხელოვნებისთვის.

რომანში „ცეცხლი“ კი მანერულობამ სძლია დ'ანუნციოს, რითაც მისი „გენიალობის ნატეხი“ დაიწრდილა.

გრიგოლ რობაქიძე მკითხველს სთავაზობს ერთ შტრიხს მწერლის პორტრეტისათვის: ანუნციოს ვალები დაედო და დიდებული მამული, სასახლითა და მუზეუმ-ბიბლიოთეკით, გაუყიდეს. იგი პარიზში გადასახლდა. მოგვიანებით მშობელმა მხარემ უყიდა მას სასახლე.

ისევ ამაყი პოზა რომაელთა და უარი ცისქვეშ ყველგან ჩემი სახლია.

„აი, პასუხი ნამდვილი პარტიციების შთამომავლისა“ (სახალხო გაზეთი 1913დ:3).

ასე, ესეისტური სტილით, მეტი მხატვრული შტრიხით და ნაკლები ანალიზით ავტორი მკითხველს იტალიელი მწერლის შემოქმედებასთან ერთად მის შინაგან სამყაროსაც, ხასიათსაც აცნობს.

მეორე „ფოთოლში“ ავტორი ეროვნული ერთიანობის აუცილებლობაზე საუბრობს. ერთმა წინადადებამ ერის უძღურება გადაუშალა თვალწინ გრიგოლ რობაქიძეს: ილია ჭავჭავაძის გარშემო ატეხილი დავა, უმჯობესი იქნება, გამოსარკვევად რუსეთის მოწინავე ელემენტებს გადაეცესო, – ამოუკითხავს გაზეთ „თემში“.

„ჯანმრთელი ერი არასოდეს არ მიმართავს გარეშე მხარეს თავის შინაგან უთანხმოების გადასაწყვეტად“ (სახალხო გაზეთი 1913ე:3),– დარწმუნებულია „ფოთლების“ ავტორი. თუ ერი მთლიანია, იგი ჯანმრთელია და ყოველთვის მოეპოვება ძალები გადრმავებული წინააღმდეგობების მოსაგვარებლად, მასში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. შეიძლება ვინმემ ერი მთლიანობად არ ჩათვალოს, რაკი მასში სოციალური ჯგუფები ებრძვიან ერთმანეთს. მაგრამ იდეაში ყოველი არსი მთლიანია. წინააღმდეგობების მიუხედავად, ფიზიკური სხეული მთლიანი ერთეულია. ასევეა სოციალური სხეულიც ერი. მის სიცოცხლეს კლასთა ბრძოლა ვერაფერს დააკლებს. მეტიც, რამდენადაც ღრმაა ეს ბრძოლა, იმდენად ძლიერია ერი. ერთი შეხედვით, ეს პარადოქსულია, მაგრამ რობაქიძე ჭეშმარიტებას უწოდებს.

წინააღმდეგობათა გადასალახავად ერი სხვას მიმართავს მაშინ, როდესაც თავად კარგავს ერთიანობას, მთლიანობას. ასეთი ერი, გრიგოლ რობაქიძის აზრით, „ავადია“, ავადმყოფია.

სადაც მთელი არ არის, არც ნაწილია, ამდენად, არც ბრძოლაა მათ შორის. „ფოთლების“ ავტორი წუხს იმის გამო, რომ მისი ბედკრული სინამდვილე დაქსაქსულობა და კინკლაობაა მხოლოდ. „რუსეთში მრავალი პარტია ებრძვის ერთიმეორეს, მაგრამ ამით ნების პროსპექტს არა ეტყობა რა. ჩვენში კი ორ პარტიას შუაა გამართული ბრძოლა და ქუთაისის ბუღვარი სულ ამ ბრძოლით სუნთქავს“ (სახალხო გაზეთი 1913ვ:3).

თითქმის საუკუნე გავიდა, მაგრამ ჩვენ არ შევცვლილვართ. დღესაც დაქსაქსულები, მოკინკლავენი და უზომოდ პოლიტიზებულნი ვართ. გრიგოლ რობაქიძეს თუ დავეყრდნობით, ერის ავადმყოფობით უნდა აიხსნას ისიც, სხვა ხალხისკენ ხელგაწვიდინი რომ ვითხოვთ შევლასა და მოწყალებას.

თუ ერის დაქსაქსულობა მისი ავადმყოფობის სიმპტომია, მაშინ გამოსაჯანმრთელებლად გაერთიანება იქნება საჭირო. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც „საქართველოს იდეით“ ცოცხლობს, საკუთარი ქვეყანა უყვარს და მასზე ზრუნავს.

ეს ის მტკივნეული საკითხია, საუკუნეების განმავლობაში რომ მოგვედგამს, ემოციურად, ხშირად, პათეტიკურად განვიხილავთ, მაგრამ რეალურად ხელსაც კი არ ვანძრევთ...

გრიგოლ რობაქიძის „ფოთლების“ სერია იოსებ გრიშაშვილის პოეზიაზე საუბრით გრძელდება.

ი. გრიშაშვილს ზოგი ლანძღავდა, ზოგი გუნდრუკს უკმევდა, რაც, გრ. რობაქიძის აზრით, მის ნიჭიერებაზე მეტყველებდა. „გვერდს მხოლოდ უნიჭოს აუვლიან ხოლმე და გრიშაშვილი რომ ფრიად ნიჭიერია, ეს, მგონი, მისი მტრებისათვისაც არ უნდა იყოს უცნობი“ (სახალხო გაზეთი 1913ზ.3).

გავა რამდენიმე წელი და ჩვენ ვნახავთ, როგორ შეიცვლის ავტორი აზრს. მანამდე კი მის საქებრად არაფერს იშურებს, აცხადებს ძლევაშოსილ ხელოვნად, თუმცა, გარკვეულ ფარგლებში ესაა პოეზია, რომლის მოტივიც „ფრთოვანი ეროსი“ და კოცნააო.

გრიგოლ რობაქიძე გრიშაშვილს დეკადენტად თვლის, მიუხედავად იმისა, რომ მასზე გავლენა არ მოუხდენია მოდერნიზმს. ი. გრიშაშვილი აღმოსავლეთის შვილია. ავლაბრის პოეზიის გავლენა მის ლექსებში თამამი შედარებებით იჩენს თავს, თუმცა, რობაქიძის აზრით, პოეტმა აიცილა ავლაბრის ვულგარულობა. ვტორის აზრით, სწორედ აქ უახლოვდება პოეტი მოდერნისტულ პოეზიას, თუმჩა, მხოლოდ რამდენადმე. წერილის ავტორი საგულისხმო რჩევებსაც აძლევს პოეტს: იმისთვის, რომ აღმოსავლელი დეკადენტი აბსურდამდე არ მივიდეს, გაბედულ შედარებებში თავშეკავება უნდა გამოიჩინოს; ამასთან, სიტყვებისა და ფრაზების გამეორებაშიც არ უნდა გადასცილდეს საზღვრებს.

იოსებ გრიშაშვილის მუზა ავტორს კეკლუც ქალწულად წარმოუდგება, რომლის „მზიური კისკასი“ ხალისიან რითმებად იშლება, მაგრამ მუსიკალობით გატაცებულს ხშირად ერღვევა მხატვრული მთლიანობა. ამის მაგალითად გრ. რობაქიძეს მოაქვს სტრიქონი „შენ ღიმილი რითმად გცვივა და ლურჯ წვიმად მთის შაირი“, სადაც ირღვევა პოეტური პარალელი – სატრფოს „რითმად“ სცვივა ის, რაც მისია (ღიმილი), „ლურჯ წვიმად“ კი ის, რაც მას არ ეკუთვნის („მთის შაირი“) (სახალხო გაზეთი 1913თ.3).

ავტორის აზრით, აშული პოეტი ყველასაგან გამოირჩევა თავისი „აღმოსავლური მოდერნისტობით“ და სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი მისი შემოქმედება; “მართალია, გრიშაშვილის პოეზია ვიწრო ფარგლით ისაზღვრება, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ფარგალში იგი ძლევაშოსილი ხელოვანია“ (სახალხო გაზეთი 1913ი.3), – ასეთი მოსწანს იოსებ გრიშაშვილი „ფოთლებიდან“.

გრიგოლ რობაქიძე მწერლის შემოქმედებაში ყოველთვის ეძებს ძლიერ მხარეს. მას მოსწონს ახალგაზრდა მწერალი არისტო ჭუმბაძე როგორც სიტყვისთვის ფერადებით ხორცისშემსხმელი. მართალია, მის სიტყვაში მარმარილო არ არის გამოკვეთილი და არც ბრინჯაოს ჯღერადობა აქვს, – წერს „ფოთლების“ ავტორი, – მაგრამ „ნაირ-ნაირი ფერი, უთვალე ყვაილი, ახალ-ახალი სახე, – ყველა ეს მის ხელქვეით არის... მისი სიტყვა თვალ-მომჭრელ ლანდშაფტად იშლება“ (სახალხო გაზეთი 1913კ.3). იქვეა საფრთხეც „ხორციანობით“ ზედმეტად გატაცება. ძვირფასი სამკაული ლამაზია, მაგრამ მრავლად

ასხმა, აჭრელება, მომხიბვლელობას უკარგავს მას და ლახავს ესთეტიკურ გემოვნებას. ასევე ითქმის სიტყვაზე. გრ. აზრით, ა. ჭუმბაძე იქ, მეტისმეტად ჭარბად იყენებს ფერებსა და ყვაილებს იქ, სადაც მხოლოდ ერთი “მადლიანი ხაზგასმა” საჭირო.

სალიტერატურო სადამოზე არისტო ჭუმბაძეს წაუკითხავს თავისი მოთხრობის („მთის ასული“) პირველი თავი. აკაკის გრიგოლ რობაქიძისთვის ჩაუნჩურჩულებია: შესაძლოა, ეს გახდეს ის მწერალი, რომელსაც შენ მოელო. დღევანდელი გადასახედიდან ეს შეფასება გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ ის ნაწევრები, რობაქიძის თქმით, ნამდვილად მომაჯადოებელი ყოფილა და ამიტომ გადაუმეტებია შეფასებაში აკაკის. მსგავსი რამ არც მანამდე დაუწერია ახალგაზრდა მწერალს და არც მას შემდეგო, – აცხადებს „ფოთლების“ ავტორი.

რობაქიძის სიტყვით, ხელოვნების ქმნილებას პათოსი “აცხოველებს“. პათოსი ნამდვილი ცეცხლი, ღვთიურობის მომასწავებელი (თვითონაც ხომ ამბობდა – ცეცხლით ვიწვი, ჩემი შემოქმედების ცეცხლითო)... ხოლო ა. ჭუმბაძის პათოსს ემუქრება საფრთხე სიცივე და სიმშრადე. ახალგაზრდა მწერლის მანერულობის აღსაწერად გრ. რობაქიძე ასეთ შედარებას მიმართავს: „ჭუმბაძე პათოსის მქლავნების ჟამს უთუოდ მიტროპოლიტის საცმელით იმოსება და მით კლავს მის უსაშველო უბრალოებას“ (სახალხო გაზეთი 1913ლ:3). ამასთან, „ფოთლების“ ავტორის სიტყვით, ა. ჭუმბაძის ნაწერებში ფაბულა მეტად სუსტია, მხატვრის სულში არ არის მომწიფებული. მართალია, გარეგნული ფორმა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ფაბულა მაინც მთავარია. ამიტომ ავტორი მწერალს ურჩევს, მას დიდი ყურადღება მიაქციოს.

კიტა აბაშიძემ ახალგაზრდა მწერალს სიმბოლისტი უწოდა, რაშიც გრ. რობაქიძე არ დაეთანხმა, – ა. ჭუმბაძის ნაწერებში სიმბოლიზმის ვერც ერთ ნიშანს ვერ აღმოვაჩინეთო. „მგოსნური ხატება“, მხატვრული სახის გამოყენება სიმბოლოზმზე არ მიუთითებს, ასე რომ იყოს, ყოველი პოეტი სიმბოლისტი იქნებოდა.

კიტა აბაშიძის შეფასების მიუხედავად, დრომ და ლიტერატურათმცოდნეობამ არისტო ჭუმბაძე სიმბოლისტად არ მიიღო.

გრიგოლ რობაქიძის შენიშვნების ტონი მეგობრულია, ღვარძლითა და შურით არ არის გაუღენთილი (რაც ხშირად იკვეთება ხოლმე სხვათა კრიტიკულ წერილებში). როცა თავად გრ. რობაქიძეს აკრიტიკებდნენ, რამდენჯერ გვიგრძნია, რომ კრიტიკა სახელგანთქმული ადამიანის განქიქების სურვილით იყო გამოწვეული. გრიგოლ რობაქიძე კრიტიკულ შენიშვნებს წერდა იმისათვის, რომ მწერალს მომავალში აღარ გაემეორებინა შეცდომა, გაესწორებინა მწერლური შემეცნების ვექტორი.

მესუთე „ფოთლი“ აღექსანდრე აბაშელის პოეზიის ღირსებასა და ნაკლოვანებას ეხება. გრიგოლ რობაქიძის აზრით, მის პოეზიას „რკვეული ხაზმოსმა, მტკიცე ჭედი და მკაფიო ხატი“ აკლია. ამით ხსნის ავტორი ა. აბაშელის პოეტური სურათების „არა მთლიანობის შთაბეჭდილებას“, ხოლო როცა ამ ნაკლს თავიდან იცილებს, „მძლავრ ხელოვნად“ წარმოჩინდებაო, – ასკენის გრ. რობაქიძე (სახალხო გაზეთი 1913მ:2). წერილის

მცირე მოცულობა ავტორს საშუალებას არ აძლევს, ისაუბროს ა. აბაშელის პოეზიის სხვა მხარეებზე: ეროსის ამოშრეტაზე, ბალმონტის გავლენაზე, რომლისგანაც პოეტი თანდათან თავისუფლდება და სხვა. ამჯერად მას აბაშელის რითმა აინტერესებს.

გრიგოლ რობაქიძისთვის რითმა ის სამკაულია, რომელიც ორგანულად ერწყმის ლექსის სხეულს: „რამდენად სრულია ლექსი, იმდენად თანშეზრდილია მასთან რითმა; მათი ერთი-მეორისაგან გაყოფა სასიკვდილოა ორივესათვის; ლექსი ცოცხლობს როგორც სხეული-ინდივიდუალობა, რითმა სცოცხლობს როგორც მისი ტკბილხმოვანი მონადა“ (სახალხო გაზეთი 1913გ.2). ამ მხრივ, ა. აბაშელის რითმა „ფოთლების“ ავტორისთვის მეტად უნუგეშოა.

ენა ძღვევამოსილი ხელოვანია და თავის სტიქიაში ამზადებს რითმებს. გრ. რობაქიძის სიტყვით, ეს ხშირად ატყვევებს პოეტებს, რომლებიც ბრმად იმეორებენ რითმებს. მზა რითმის გამოყენება პოეტის ნიჭიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

ა. აბაშელის მიერ გამოყენებულ რითმებში ხშირად არ ჩანს ორიგინალობა, საკუთარი მიგნება, ამიტომაც ის სუსტი და ღარიბია. გრ. რობაქიძე იწუნებს პოეტს, რომელსაც იმ დროს „მზის მგოსანს“ უწოდებდნენ. თავადაც „მზის სტილი“ დაურქმევია ლექსთა კრებულისთვის. მაგრამ მზის წამდაუწუმ ხსენება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი „მზის მგოსანია“.

მეგობრული კილოს მიუხედავად, გრიგოლ რობაქიძეს ბრალი დასდევს, ნაკლის აღმოჩენა გიხარიაო. ვინც მე მიცნობს, ამას ვერ დამწამებსო, – იუარა გრ. რობაქიძემ. მის წერილებში ნათლად ჩანს, თუ რატომ ამხელს ნაკლს კრიტიკოსი, მას მწერალთა დახმარება სურს და არა თავის გამოჩენა ან კრიტიკით ვინმეს დაჩაგვრა.

ლიტერატურულ ცხოვრებაში უამრავი ისეთი ფაქტი ხდება, რომელსაც გამომზეურება, მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანა სჭირდება, – სწამს კრიტიკოსს. გრიგოლ რობაქიძის „ფოთლები“ სხვისი ნაკლით ტკბობა და აღტაცება კი არ არის, არამედ მიუკერძოებელი განხილვა, განსჯა, მსჯელობა გახლავთ. „მე ფოთლში ვეხები ნაკლს იმდენად, რამდენადაც მსურს მომავალში იგი აიცდინოს მწერალმა. ეს სასარგებლო იქნება როგორც მისთვის, ისე ქართული პოეზიისთვის“ (სახალხო გაზეთი 1914ა.3), – წერს გრ. რობაქიძე.

მომდევნო „ფოთლში“ ავტორი ნაკლზე არ საუბრობს. ეს არის შტრიხები ალექსანდრე ყაზბეგის პორტრეტისათვის, დაუვიწყარი წამები მისი ცხოვრებიდან, რომლებიც ტკბილმოქართულე ნიკო ლომოურმა მოიგონა და გრ. რობაქიძემ გადმოსცა:

ავადმყოფ სანდროს „შეშლილთა სახლში“ მნახველებმა სანდროს ერთი მისი წიგნი მიუტანეს. “სანდრო ფურცლავს წიგს, დასცქერის უცნაურად. ბოლოს ერთს ფურცელზე შეჩერდება, თითქო რაღაცას ამოიკითხავს, გულს მიიხუტებს უცბად წიგნს და მნახველთა ცოტა მწერალი მაცქერალი ხელს აქნევს მეორეს, თითქო მათ ეუბნება, ამ წიგნს აღარ დაგანებებთო“ (სახალხო გაზეთი 1914ბ.3).

ეს წამი არასდროს დამავიწყდებაო, – წერს გრიგოლ რობაქიძე.

მწერალი, რომელიც ცოცხალ სინამდვილეს ქმნის და არა „სქემატურ ალლეგორიას“, „თვალ-ღია სიზმარს“ ხედავს, რაც, „ფოთლების“ ავტორის აზრით, დამახასიათებელია ალ. ყაზბეგის ფანტაზიისათვის.

ეცნაურა რობაქიძეს ლომოურის მოგონება: სანდრო ჰყოლია სტუმრად გორში. საუბრობენ, უეცრად სანდროს სახე ეცვლება, აქეთ-იქით იცქირება, ლანდებთან საუბარს იწყებს.

– რა გემართება, სანდრო?

– ჩემი გმირები მომელანდნენ და მათ ვესაუბრებოდიო, – საარაფროდ უთქვამს ყაზბეგს (სახალხო გაზეთი 1914გ: 3).

ეს ნამდვილი ფანტაზიაა ძლევა მოსილი ხელოვანისა, ძლიერი ლიტერატურული ფანტაზია, რომელიც აოცებდა გრიგოლ რობაქიძეს.

„ჩვენი პოეზია ეროსის მხრით სუსტია ძალზე... ყაზბეგი ეროტულ ვნების ასახვაში ის ძლევა მოსილი ხელოვანია, რომელმაც არ იცის, თუ რა არის სიძნელე და დაბრკოლება“ (სახალხო გაზეთი 1914დ:3), – წერს ავტორი.

ბოლო „ფოთლი“ ხოტბის შესხმაა აღმოსავლეთის გენიოსი შვილის, უბადლო ხელოვანის რაბინდრანათ თავორისადმი.

1913 წლის ზაფხულში „რუსკაია ვედომოსტში“ გრიგოლ რობაქიძეს „უცნობი და უცნაური“ პოეტის ორიოდე ლექსი წაუკითხავს. „ძლიერი იყო და სულ ახალი გულ-ნება ამ ორიოდე ლექსით გამოწვეული“ (სახალხო გაზეთი 1914ე:3). მიუხედავად იმისა, რომ რობაქიძე ამბობდა, თარგმნა არ მეხერხებო, ერთ ლექსს („ბავშვები ზღვის პირას თამაშობენ“) ისე დაუტყვევებია, რომ უთარგმნია კიდევ. საზოგადოების რეაქციით დაინტერესებულის ლოდინი სასურველად არ დასრულებულა. პატარა ქმნილება, რომელშიც მთელი სიბრძნეა ჩაკირული, არ მოეწონათ ბუნდოვანიო. „შექსპირის „ჰამლეტს“ უბრალო მკითხველი ვერ გაიგებს, ხოლო ამით იგი ქმნილება ოდნავ არ ჰკარგავს თავის გენიალობას, შესაძლოა, რომელიმე სმენა-განუვითარებელს ბეტჰოვენის სიმფონია „აკაფონიად“ მოეჩვენოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბეტჰოვენი „ბუნდოვანია“ (სახალხო გაზეთი 1914ვ:4). ნაწარმოების გასაგებად განვითარების გარკვეული დონეა საჭირო. ამასთან, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ქმნილების ღირსების დასახასიათებლად მთავარი ის ხომ არ არის, გაიგო თუ არა იგი ყველამ, არამედ ის, თუ იმით ვინ რა გაიგო.

„ბუნდოვანმა“ ხელოვანმა მთელი ევროპა დაატყვევა და ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდა. მასში „ისეთი სინათლე დაინახეს, რომელმაც თვალი მოსჭრა ხელოვნების ნამდვილ დამფასებელთ“ (სახალხო გაზეთი 1914ზ:4).

ღვთიურია თავორის მარჯვენა.

გენიალურია მისი შემოქმედება, კითხულობ და მარადისობას გრძნობ, – ასეთია რობაქიძის რეზიუმე...

„ფოთლების“ ავტორს მოაქვს ერთი ლექსი „გიტანჯალიდან“.



დაკარგული სატრფოს ძებნა...

მისი სახლი დიდი არ არის და იცის, რაც გაჰქრა, არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ ვრცელია უფლის საცხოვრებელი. “მის ძებნაში მე მოველ შენს ბჭემდე... მე მოველ მარადისობის საზღვრამდე, საიდანაც არა დაიკარგება რა: არცა იმედი, არცა ნეტარება და არცა სახე, ცრემლებში ხილული. ჰოი, ჩასძირე, უფალო, ჩემი დაცალიერებული სიცოცხლე ამ ოკეანეში, ჩასძირე იგი თვით მის ფსკერამდე; მომეც მე ერთბაშად ძალა, რომ მსოფლიოს ყოველშემცველობაში ვიგრძნო დაკარგული სათუთი შეხება“ (სახალხო გაზეთი 1914თ:4).

სატრფო დაკარგა, მაგრამ გრძნობს, რომ „მარადობის სამთავროში“ არაფერი იკარგება, უფალი ყოველი არსის თავი და ბოლოა. „მარადობის სამთავრო“ ოკეანეა, რომელშიც უთუოდ დასცურავს დაკარგული სატრფო... უფალს ევედრება, მისცეს ძალა ამ ოკეანეში ჩაძირვის, რათა ამით სატრფოს შეხება იგრძნოს. „ამას იქით განა კიდევ წავა სიბრძნე ღამაზ სამოსელში გახვეული?!. სოფლიო ლიტერატურაში ეს რამდენიმე სიტყვა საგალობელად დარჩება მარადის“ (სახალხო გაზეთი 1914თ:4), – ასკენის გრიგოლ რობაქიძე.

ღრმა არის აღმოსავლეთი.

მის გარეშე ქართველებიც მხოლოდ „ფიზიოლოგიური ერთეულნი“ გახდებიან. რუსთაველმა გამოხატა ჩვენი სტილი ელადისა და აღმოსავლეთის სინთეზი. რობაქიძის რწმენით, თუ ამ გზას გადავუხვევთ, უფსკრულში გადავიჩნებით.

ღრმა არის აღმოსავლეთი...

რაბინდრანათ თავორი მისი შვილია – ნამდვილი ქურუმია, მსხვერპლშემწირველი (მისი „გიტანჯალი“ სწორედ „მსხვერპლშემწირვანია“, ავტორის აზრით).

ღრმა არის აღმოსავლეთი...თავორი მის ღვიძლ შვილად დარჩა და ამით ევროპაც დაიპყრო.

ორი წლის შემდეგ გაზეთ „საქართველოში“ ქვეყნდება გრიგოლ რობაქიძის „რაბინდრანატ ტაბორიდან“.

საიდან მოვდი, სად მნახე?

დედამ გულში ჩაიკრა შვილი და უპასუხა: „შენ დაფლული იყავ, ჩემო ყრმავ, ჩემს გულში სურვილის სახით...“

შენ სუფევდი ჩემი ბავშვობის თამაშის დედოფალებში“ (საქართველო 1915ა:3). დედას აოცებს ჯადოსნური ძალა, რომელმაც წვრილსა და სათუთ ხელებში ქვეყნის საუნჯე ჩაუგდო.

თავორი მუდამ ეძებს ღმერთს.

„მე თავს ვიქებდი ხალხთა წინაშე, რომ გიცნობ შენ, უფალო. ისინი მზერენ შენს სახეს ყოველს ჩემს ნაქნარში. ისინი მოდიან და მეკითხებიან მე: ვინ არის იგი? მე არ ვიცი, რა ვუთხრა მათ. და ვამბობ: ჭეშმარიტად, არ ძალმიძს თქმა. ისინი მძრახვენ მე და მიდიან დაცინვითა. შენ კი აქვე ზიხარ, უფალო და იღიმები.“

სამარადო სიმღერებში გარდავაგლენ მე ჩემს მოთხრობას შენზე, უფალო.

... ჰაი, ჰაი, რომ ვინმემ იცოდეს, თუ რას მღერიან ჩემი სიმღერანი?! (საქართველო 1915ბ:3).

ხალხი იცინის, უფალი იღიმება.

მაშინაც და დღესაც ძალზე ცოტამ იცის, რაზე „მღეროდა“ რაბინდრანათ თაგორი...

სახლი ბნელია და განმარტოებული. ქალწულო, „მომეც მე შენი სანათური!“ ქალმა მდინარეს გააყოლა ლამპარი, რომელიც ახლა უმიზნოდ მისცურავს.

„მომეც მე შენი სანათური!“

ქალწულმა ცას შესწირა ლამპარი და ახლა იგი უმიზნოდ იწვის უდაბნოში.

„მომეც მე შენი სანათური!“

ჩემი ლამპარი ჟინუდილთა კარნავალს შევუერთე. „უმიზნოდ იკარგებოდა ცეცხლთა შორის“ (საქართველო 1915გ:3).

მწეურვალს წყალი დავაღვევინე. სახელი მკითხა.

რა გაგიკეთე მე შენ ისეთი, რომ ჩემი სახელი დაიხსომო? – უკვირს თაგორს, – „ხოლო ხსენება მის, რომ მე შევკვლ შენთვის წყალის მოცემა შენი წყურვილის დასანელებლად, არასოდეს მოსცილდება ჩემს გულს და სიტკბოში გაახვევს“ (საქართველო 1915დ:3).

ერთი აღმოსავლური სიბრძნე გაგვახსენდა: ბრძენს ჰკითხეს, რა უნდა დავივიწყოთ და რა უნდა გვახსოვდეს? თუ ვინმეს კეთილად მოექცევით, დაივიწყეთ, ხოლო თუ ვინმე თქვენ მოგექცევით კეთილად, მუდამ გახსოვდეთ! ასეთი იყო აღმოსავლელი ბრძენის პასუხი. ამ მცირე გადახვევის შემდეგ თაგორს დავუბრუნდეთ...

ნაკადულს ქაღალდის ნავები მიაქვს, ბაღის ყვავილებით დატვირთული.

ღირიკულმა გმირმა გაატანა ეს ნავები წყალს, შავი ასოებით დააწერა თავისი და თავისი სოფლის სახელები. იმედი – „ვინმე ნახავს მათ შორეულს უცხო მხარეს და გაიგებს, ვინა ვარ მე“... (საქართველო 1915ე:3).

სიზმარში ხედავს, როგორ მიაქვთ ნავებს ტვირთი სიზმრით სავსე კალათები.

ცაზე ღრუბლები უშვებენ იალქნებს.

ხალხი იცინის...

„ჰაი, ჰაი, რომ ვინმემ იცოდეს თუ რას მღერიან ჩემი სიმღერანი?!“ (საქართველო 1915ვ:3).

„ფოთლების“ სერია რაბინდრანათ თაგორზე საუბრით სრულდება.

1914 წელია... 1 იანვარს გაზეთმა „თემმა“ რამდენიმე პიროვნებას, საზოგადოებასა და გაზეთს ნაკვესებით მიმართა. მათგან მოვიხმობთ ერთს, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს ეძღვნება: „მზესა აქვს ერთი ნაკლი, არ შეუძლიან დაინახოს თავისი თავი (სოკრატე)“ (თემი 1914:3).

პირველი მსოფლიო ომის დროს რობაქიძე ირანშია, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე ნინო დომენსკაია. მასზე ლამაზი ქალი არ შემხვედრია, მაგრამ ძნელი

დასაურევებელიაო, – წერდა გრიგოლ რობაქიძე პირად წერილში. ნინოს მშობლები ბაქოში ცხოვრობდნენ. მეტად მძიმე დრო იყო ომი, შეფერხებული მიმოსვლა, გაჭირვება და ეპიდემია. ნინო დომენსკაია, მეუღლის სურვილის საწინააღმდეგოდ, ქალიშვილთან ერთად ბაქოში გაემგზავრა. ბავშვი დასნეულდა და გარდაიცვალა.

გრიგოლ რობაქიძემ ეს ვეღარ აპატიო ცოლს. მეუღლეები განქორწინდნენ.

რამდენიმე წლის შემდეგ რობაქიძემ გაიცნო ელენა ფიალკინა. მეორე ქორწინება უფრო ბედნიერი აღმოჩნდა, რამდენადაც ელენა მეუღლის წარმართებებისა თუ წარუმატებლობის ერთგული თანამოზიარე იყო სიცოცხლის ბოლომდე. ლეგენდად არის შემორჩენილი ერთი შემთხვევა: უცხოეთში გამგზავრების წინ ფიალკინა ავად გამხდარა. რობაქიძე იძულებული გამხდარა, ბილეთები დაებრუნებინა. შემდეგ შეუტყვია, რომ გემი, რომლითაც უნდა გამგზავრებულიყო, დაიდუბა. ასე იხსნა ცოლ-ქმრის სიცოცხლე ელენა ფიალკინას ავადმყოფობამ. ამბობენ, რომ ამის შედეგ გრიგოლს ეს ქალი თავის ბედისწერად, ფორტუნად მიუჩნევია და მთელი სიმცოცხლის განმავლობაში მისი მადმერთებელი ყოფილა (ჩემთვის... 1996:411). ცნობილია მისი რუდუნება, რომლითაც დასტრიალებდა თავს შიდა წლის განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილ მეუღლეს. ამ წლების განმავლობაში რობაქიძე მორჩილად ითავსებდა მომვლელის, მედლის, დამლაგებლის, მზარეულის, მრეცხავის ფუნქციებს. ეს იყო უმაგალითო თავდადება ავადმყოფი მეუღლის მიმართ. ელენა ფიალკინას გარდაცვალებიდან გავიდა რამდენიმე წელი და გრიგოლ რობაქიძემ მესამედ გადაწყვიტა დაქორწინება. მაგრამ ამაზე შემდგომ...

ახლა კი რობაქიძის წერილების სერია სათაურით „დიონისოს კულტი და საქართველო“.

1917 წელია, ერი გაერთიანებას იწყებს. გრიგოლ რობაქიძე ამ პროცესზე, „ხელმწიფებითი ყალიბის“ საჭიროებაზე მსჯელობს. „ხოლო არის საკითხი სხვა გვარიც: საქართველო, – თუ გინდ ერთობლივი და მთლიანი, – უბრალო გეოგრაფიულ ნაგლეჯს წარმოადგენს თუ იგი ერთგვარი სხეულია მსოფლიო შემოქმედი სულის ცნაურებისა. საქართველოს იდეოლოგიამ ეს საკითხი არც კი იცის“ (საქართველო 1917ა2), – წერს იგი გაზეთ „საქართველოში“.

არსებობენ „მსოფლიო შემოქმედი“ და თუ სრულიად უმოქმედო არა, ნაკლები ფასეულობის შემქმნელი ერები. საქართველო სულიერი სამყაროს ის სახეა, რომელიც მტკიცედ არის ნაკვეთი. ჩვენ ასე გვწამს, მაგრამ საჭიროა დასაბუთება.

გრიგოლ რობაქიძე საქართველოს ისტორიისთვის ნიშანდობლივ მოვლენას გამოყოფს – მსოფლიო მნიშვნელობის დიონისეს კულტზე იწყებს მსჯელობას.

რობაქიძისეული განხილვა ესთეტიკურია. ავტორის თქმით, ეს არის ერთგვარი ცდა იმ მასალების შეკრებისა, რომელიც საქართველოს მომავალ იდეოლოგიას უნდა გაეთვალისწინებინა.

ეს იყო შესავალი, შემდეგ კი მიმოიხილავს, თუ როგორ იჩინდა თავს ეს კულტი სხვადასხვა ქვეყანაში. თავდაპირველად დიონისო თრაკიაში.

საბოს, საბაზიოს, ბასსრეუს, გიგონ, დიალოს ასე სხვადასხვაგვარად უხმობდნენ დიონისოს თრაკიელები.

ღამე, ჟინქლილებით განათებული მთების კალთები.

ორგია. მუსიკა. მუტრიბთა ღრიალი. და ამ გრაილს – „შეშლილობამდის მსიბლავი“ ფლეიტა.

აღტყინებული მედღესასწაულენი, ველურ მუსიკაზე აცეკვებულნი, მეტწილად, ქალები, ერთმანეთს გადახვეულნი, თითქმის შიშველნი, რქებით „თავდამშვენებულნი“: „თმაგაშლილნი, ცალ ხელში გველებით, ხანჯლებს აელვარებენ, სუროში ხვეულებს, დაბოლოს დაეცემიან ზვარაკად განმზადილს ცხოველს. ჰკლავენ, სისხლს სვამენ და უმ ხორცს ჭამენ“ (საქართველო 1917ბ:2).

ამ ერთგვარი მანიით ისინი გადალახავენ პირადულს, ღმერთი გუნდშია, მოცეკვავეთა რკალში გამონდება ხარი-ღმერთი ანდა მიმები ანსახიერებენ მას ბღავილით.

გუნდს ხარ-ღმერთში გათქვევია სურს. ისინი იქცევიან დიონისეს მსახურებად, რადგან მონაწილენი არიან მისი ეპიფანიისა (დაბრუნების, მოვლენის). ღმერთთან შესხეულებულს, ერთადქცეულს უწოდებენ „საბოს“, „საბაზიოს“, – თავად დიონისოს. ანთებულთა, აგზნებულთა, მთვრალთა ბუნება იცვლება. „იქმნება მდგომარეობა, რომელშიც ტკივილს აღარ ჰქვია ტკივილი, ეს გზნებაა, საერთო გზნება...“

სული თითქოს გამოსულია სხეულიდან. ყველას ეუფლება ექსტაზი ანუ ის, რასაც გრიგოლ რობაქიძე „გარდამავალ შეშლილობას“ უწოდებს და საზღვრავს არა როგორც უბრალო სიგიჟეს, არამედ „ჰიერომანიას“ („წმინდა შეშლილობას“), რომლითაც სული ეზიარება ღვთაებას. „აქ იმართება პირველში აფრთოვანების მანტიკა: ისეთი წინახედვა, რომლითაც დიონისოთი ავსილი სული მომავლსა სჭვრეტს. აქედან: „ქადაგად დავარდნა“ და ქადაგება. აფრთოვანების მანტიკის მატარებელნი მენადებია (მენადა: გაპიროვნებული თავდავიწყება ღვთაებითს ავსილობასი და ნეტარი ამოხეთქა ამ ავსილობის უძირო წყალთაგან“ (საქართველო 1917გ:2). იკვეთება მთელი გუნდი წინასწარმეტყველთა („შეწირულთა“): სიბილები და ბაკობები.

დიონისოს კულტი მოედო ელადას. აქ გვხვდება კორიბანტიზმი, რასაც ავტორი დიონისურის მონათესავე მოვლენას უწოდებს – რელიგიურ შეშლილობას. „ავადს“ ჩაესმის სალამურის ხმა, აშლილია, ჭირვეული, ცეკვის ჟინით შეპყრობილი, დემონით გახელებული.

ასეთ „ავადებს“ ცეკვითა და მუსიკით არჩენდნენ, უკმაყოფილებდნენ ჟინს.

დიონისოს კულტს მართავს მეღამპი (ნახევრად მითიური არსება), რომელიც აპოლონის მსახურიც არის. მეღამპმა განსაზღვრა დიონისიების, დიონისეს დღესასწაულების დრო (ნოემბერი ან დეკემბერი) და ადგილი (პარნასის ველი). აპოლონი დიონისეს ართმევს ველურობას. მისი მსახური, ქალი-ქურუმი პითია სვამს წმინდა წყალს, წოვს სამსხვერპლო სისხლს და სამფეხაზე მჯდარი ქადაგებს. ამ სამფეხას ქვეშ დიონისე მარხია. „აქ ისახება დიონისოსა და აპოლოს სიმბოლიური შეერთება: დიონისო როგორც

**ღმერთი ქვეცნაურების, აპოლო როგორც ღმერთი ზესხიფოსნობის“** (საქართველო 1917დ:2).

ელადამ დიონისოს ფენომენი მითოლოგიურად დაამუშავა. „პირველი: დიონისო გამოდის ძველის (ზევის, – რ. გ.) შვილად. დედა პირველი **პერსეფონა** (ბნელეთის ქალი-მთავარი). „დიონისო-პირველი“: **ზაგრეი**: – ტიტანები მიიტყუებენ მას თავისთან სარკის პირისპირ, რომელშიაც იგი მზერს თავის ასახიელებას (პირველი სიმბოლო ინდივიდუაციისა, ანუ განპიროვნების)“ (საქართველო 1917ე:2). ზაგრეი გაიქცევა, იქცევა სხვადასხვა სხეულად (განპიროვნების მეორე სიმბოლო). ბოლოს, როცა ხარად გადაიქცევა, ტიტანები დაეწვიან, გაგლეჯენ (განპიროვნების მესამე სიმბოლო) და ელაპავენ. მის გულს იხსნის ათინა. ძველი გაწერება და ანაცრებს ტიტანებს “პერუნით”(ცეცხლით). ამ ნაცრიდან ადამიანთა მოდგმა წარმოიშვა. დიონისოს გულს ელაპავს ძველი, რომელიც „თიბანელ მეფის ასულთან“, სამელასთან შეერთების შემდგომ წარმოშობს „მეორე დიონისოს“.

მეორე: ადამიანი ორი ელემენტისაგან წარმოსდგება დიონისურისა და ტიტანურისაგან. დიონისური ელემენტი ისწრაფვის შეუერთდეს ახალ დიონისოს “დიად ყოვლადობაში”, ტიტანური ელემენტი კი იკავებს ადამიანს ინდივიდუალიზაციის (განპიროვნების) რკალში. ადამიანის ვალი თავის თავში ტიტანურის მორევაა.

მესამე: ადამიანის სული უკვდავია, მაგრამ არა – თავისუფალი. იგი დაბადებისა და სიკვდილის უსაზღვრო „რკალშია“ მოქცეული. ორფიკული სიცოცხლე არ ათავისუფლებს სულს იმთავითვე. ამისთვის საჭიროა საიქიოს მრავალჯერ „სხვადაქცევა“, სახის ცვლა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ცვალებათა შემდგომ შეუძლია სულს, სავსებით ეზიაროს, ესხეულოს დიონისეს.

მეოთხე წერილში გრიგოლ რობაქიძე დიონისეს საიდუმლოზე საუბრობს და მკითხველს უხსნის, რომ ეს კულტი მსხვერპლის შეწირვაა.

პიროვნულობა ყოველი ბოროტების სათავეა. ინდივიდუალიზმის ღამაში ჭურჭელი, რაც „სხივოსანი ჩვენებაა მხოლოდ“ (ძველი ინდოელების „მაია“), უნდა დაიმსხვრეს და მასში მოქცეული სიცოცხლის ნაკადული „მსოფლიო უძირო დენას“ უნდა შეერთოს. აქ არის მსხვერპლი და შემწირველი.

თავდაპირველად, ცოცხალ ადამიანებს სწირავდნენ მსხვერპლად. ჰეროდოტე მოგვითხრობს: გეტების (ფრაკიელთა ეთნიკური შტო) ღმერთი ზალმოკსისი ლხინის დროს აუწყებს ხალხს, რომ სიკვდილი ცვალებაა. შემდეგ ქვესკნელში ჩადის და მეოთხე წელს ბრუნდება. ამბობს, რომ ის და მისი მსახურნი ცოცხალნი არიან საიქიოს. ყოველ სამ წელიწადში გეტები წილისყრით ირჩევენ მახარობელს, რომელსაც ღმერთთან გზავნიან დავალებითა და თხოვნით. გაგზავნის წესი კი ასეთია: „ერთნი რიგად გაიმართებიან, რომელთაც წინ გამოწვდილი შუბები უჭირავთ, სხვანი წაავლებენ ხელს მახარობელს, მოიქნევენ და შუბებზე დასცემენ. თუ მოკვდა, – ზალმოკსისი მწყალობელია, – ფიქრობენ ისინი; თუ არ მოკვდა განმირული, – მაშინ ისინი სწყველიან მას, როგორც უწმიდურს, –

და მეორეს გზავნიან მახარობლად“ (საქართველო 1917წ:2). მახარობელმა საიქიოს მყოფთ უნდა უთხრას, რომ მათ ცოცხლებად მიიჩნევენ ამ ქვეყანაზე, დაბრუნებული კი გამგზავნელებს აუწყებს, რომ იმქვეყნად სიცოცხლე გრძელდება. მახარობელი ახალი ზალმოკისია, დავალებები ლოცვები ღვთისადმი. სწორედ აქ იკვეთება ადამიანის გაღმერთება – თუ მოკვდა, ღირსია გავზავნის ანუ გაღმერთების.

ცოცხალი ადამიანების მსხვერპლად შეწირვამ, საბოლოოდ, სიმბოლური სახე მიიღო. მოკვდინება „მოკვლის სახიობამ“ შეცვალა, ადამიანი ცხოველმა, განსაკუთრებით ხარმა, რომელიც ველური, დაუცხრომელი წარმომშობი ძალის სიმბოლოა. გარდა ამისა, არსებობს ფალსის კულტი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო.

გრიგოლ რობაქიძის განმარტებით, ხარ-ღმერთის აკუწვა ნიშნავს ტიტანების მიერ დიონისოს დაგლეჯას და ორფეოსის აკუწვას მენადების მიერ.

მეხუთე წერილი დიონისოსა და ხის კულტის კავშირს ხსნის.

„მაგნეზიაში დიონისო დაავიწყდათ. იგი გამოჩნდება ხოლმე გრიგალისაგან გადამტვრეულს ჭადარის ტოტებში“ (საქართველო 1917წ:2). ამასთან, ძველად ცნობილი იყო, რომ დიონისო მუხაში ცოცხლობს. ღმერთი დოდონას წმინდა მუხის ფოთლების შრიალით გამოხატავდა თავის ნებას.

თებეს სვეტები, სუროთი შეხვეული, დიონისოს ასახიერებდა. მის კულტში სურო ხშირად გვხვდება.

შემწირველთა გვირგვინი სხვადასხვა ღმერთის წმინდა ხის ფოთლებისაგან იკვრება: დაფნის, მუხის, ზეთისხილის... ხანდახან გველი იცავს მუხას, როგორც, მაგალითად, კოლხეთში. რობაქიძე განმარტავს, რომ თავად ხე კი არ იყო ღმერთი, არამედ რომელიმე ღმერთს ახასიათებდა... დიონისო ზოგჯერ ხით (განსაკუთრებით, მუხითა და სუროთი) ცხადდებოდა.

მას შემდეგ, რაც მკითხველს დაწვრილებით გააცნობს დიონისეს კულტს, ავტორი ჩვენს უძველეს რიტუალებთან ავლებს პარალელებს. მისი მტკიცებით, საქართველოში დიონისოს კულტის ნაშთები ბევრგან არის შემორჩენილი. კახეთში, სოფელ აწყურაში 14 აგვისტოს თეთრი გიორგობა აღინიშნება. დიდძალი ხალხი (არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ თათარიც და ლეკიც). ეკლესიას გარს შემოუვლის სამჯერ ან შვიდჯერ. წინ ქალები მიდიან, უკან ვაჟები მიყვებიან, რიგრიგობით გალობენ დიდებას. საღამოს ეკლესიისკენ მიეშურებიან. კარიბჭესთან გიორგის რომელიმე მონა დავარდება, საყდარში ისე ვერ შეხვალ, თუ ზედ არ შედგები ან არ გადააბიჯებ. თეთრებში გამოწყობილი ქალი აცეკვდება გატაცებით. დროგამოშვებით კი გმინავს და იკრუნხება.

მოჰყავთ მსხვერპლი რქებზე სანთლებანთებული ხარი. თავს დაეცემიან და თუ ხარი არ დაცხრა, ხალხი ამბობს, ალბათ, მსხვერპლი არაწმინდა გულით არის შემოწირული.

ეს თითქოს ქრისტიანული დღესასწაული მრავალ წარმართულ ნიშანს ამჟღავნებს. გრიგოლ რობაქიძე ცალ-ცალკე გამოჰყოფს პროცესიის იმ მახასიათებლებს, რაც დიონისურს უკავშირდება:

ეკლესიის შემოვლა ღამით გვაგონებს დიონისურ პროცესიას, რომელიც ასევე ღამით იმართებოდა

გუნდების რიგრიგად გალობა დიონისიების მუსიკის თანხლებით ჯივილხივილს ჰგავს.

პროცესიაში ქალების წინ ყოფნა მიგვიტოთებს, რომ აქაც ქალები პირველობენ.

თეთრებში მოცეკვავე ქალი, რომელიც იკრუნხება და გმინავს, შეიძლება ითქვას, პირდაპირი დიონისური აშლილობაა.

წმ. გიორგის მონები იგივენი არიან, რაც დიონისეს მსახურნი.

ქადაგნი სიბილესა და ბაკშიდებს უტოლდებიან.

„ხარი-მსხვერპლი: – ეს დიონისოს გამომსახველი ხარ-ღმერთის ნამდვილი ნაშთია.

ხალხი შესაწირი ხარის შესახებ რასაც ამბობს, გვაგონებს გეტების სიტყვებს ზალმოკისისადმი გასაგზავნი მახარობლის შესახებ – თუ მოკვდა, ესე იგი, ღმერთთან გაგზავნის ღირსია.

კარებში დავადნილი კაცი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლოა.

დაცემულს კაცზე გადაივლიან: ეს უდრის მსხვერპლით ზიარებას უზენაეს არსისას“ (საქართველო 1917თ:2).

ხარის რქებზე სანთლებს ანთებენ. დიონისოს კულტში ხარ-ფეტიშს რქებით სახავენ.

საყდრის რკალზე ძაფს ავლებენ. ძაფი და საერთოდ ქსოვილი დიონისეს ატრიბუტთაგანია.

ამ რიტუალების განხილვის შემდეგ გრიგოლ რობაქიძე ასკვნის, რომ აწყურის დღესასწაული დიონისოს კულტის უამრავ ნიშანს ატარებს და მისი უტყუარი გამოძახილია.

ავტორის აზრით, დიონისიების ნიშნები ფშავ-ხევსურეთშიც არის შემონახული, მაგალითად, ხევის ბერი, დეკანოზი, ხუცესი ხატს რომ ემსახურებიან და მის სურვილს ხალხს უცხადებენ, ეს პითიას მსახურებას უთანაბრდება. გრ. რობაქიძე მიმოიხილავს სხვა დღესასწაულებსაც (ქართლში გერისტაობა, რაჭაში ნაცისურობა, სვანეთში – „ლიმპიარის დღეობა“, აფხაზეთში – პირველყვავილობა ანუ „მიზიტხუ“) და დიონისიების მინიშნებებს პოულობს. ავტორის დასკვნით, დიონისეს კულტი ჩვენში დროთა განმავლობაში მიმქრალა ან სხვა კულტს უმძლავრია, მაგრამ ოდესღაც გავრცელებული რომ იყო, მისი ნაშთები მოწმობს.

მეშვიდე წერილია სიტყვა საბოლოო, სადაც გრიგოლ რობაქიძე ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის მიერ აღქმულ დიონისეზე საუბრობს: „დიონისოს ფენომენი ფრიდრიხ ნიცშემ გადაშალა მთელი მისი უძირო საიდუმლოთი... ნიცშე მიუდგა ჰელადას

ესთეტიური განცდით: **ესთეტიური ათვისება** ეს მთავარი მიზანია ნიცშესი ყველგან“ (საქართველო 1917ი:2).

ამის შემდეგ ავტორი დიონისეს ფენომენის რელიგიური მნიშვნელობაზე მსჯელობს. მისი თქმით, დიონისეს კულტი დაიწყო ალაპით სასაფლაოზე. სიკვდილისა და სიცოცხლის ღმერთი იმ “სახსართ” უნდა გახსნილიყო, სადაც მთავრდება სიკვდილი და იწყება სიცოცხლე. სასაფლაოზე გამართული „ადაპი“ სწორედ ეს “სახსარია”. აქ არა მარტო სიკვდილის საშინელებას განიცდიდნენ, არამედ სიცოცხლის არსსაც გრძნობდნენ. ძველ ხალხთა ცხოვრებაში ხშირად გვხვდება სასაფლაოზე გამართული „სქესური ორგიაზმი“.

„ხულის საქმე“ ჩვენშიც სასაფლაოზე სრულდება, ამავე დროს, იქვე იმართება ღრეობა. უცნაურია, მაგრამ სიცოცხლის ასათამაშებლად სასაფლაოს ვირჩევთ. არ მოიძებნება, მგონი, მეორე ისეთი ხალხი, რომელიც ქართველებით ადვილად ურიგდება სიკვდილის საშინელებასო, – წერს გრ. რობაქიძე.

ქართველობამ მძაფრად განიცადა დიონისურობა. ჩვენს ისტორიას გრიგოლ რობაქიძე დიონისურ მისტერიად აღიქვამდა, რადგან ჩვენ მძაფრად აღვიქვამთ სიკვდილსა და სიცოცხლეს, გაქრობასა და აღდგენას. ძველ ბერძენთა „სიყვარული ბედისადმი“ (ამორ ფატი) ქართველმა ერმა სამ სიტყვაში გამოკვეთა: „რაც მოხდეს მოხდეს“.

რაც უნდა მოხდეს, იგი მაინც დიონისურ გუნებაზეა და მღერის.

„მრავალჯამიერი“ საქართველოში ათამაშებული „დიონისურობის“ ბოლო აკორდია. ასე დასრულდა გრიგოლ რობაქიძის წერილების სერია.

ლიტერატურული პროცესები, ახალი კრებულები, მწერლური ნაკლი და ღირსება ამ და სხვა ლიტერატურულ საკითხებზე საუბარი აუცილებელი იყო მომავლისთვის.

მე-20 საუკუნის ლიტერატურა ჩამოყალიბებას იწყებდა. ცოტაც და... შემოიჭრებოდა მძლავრი ტალღა „ცისფერყანწელების“ სახით. მანამდე კი ლიტერატურულ ასპარეზზე ჩანდნენ ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ა. ჭუმბაძე...

ლიტერატურის სათავეებთან უნდა მდგარიყო ადამიანი, ვინც ღრმად გრძნობდა სიტყვას, არათუ დაწერილს, არამედ ნაგულისხმევსაც კითხულობდა და მიუკერძოებლად მსჯელობდა თეთრსა და შავზე...

ასეთი ადამიანი იყო გრიგოლ რობაქიძე. მისი „ფოთლები“ არ არის აღტაცება სხვათა მარცხით, ეს არის ზრუნვა ლიტერატურის მომავალზე. ამ წერილების ღირსება და ახალი მუხტი სწორედ ესაა.

რაც შეეხება დიონისიების მიმოხილვას, მისი სიახლე არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ქართველ საზოგადოებას ასე ვრცლად გააცნო ელინთა ეს სისხლსავსე კულტი, არამედ მომავალ ქართულ იდეოლოგიას დაუკავშირა და მიმართულება განსაზღვრა.

დიონისოს კულტი თან სდევდა გრიგოლ რობაქიძეს.



ეს კულტი თან სდევდა საქართველოსაც, – ამტკიცებს მისი წერილები. დიონისოს კულტის მსოფლიო მნიშვნელობა გრიგოლ რობაქიძისთვის საშუალებაა, რომლითაც იგი ქართველი ერის ასეთივე მნიშვნელობის სახეს გამოკვეთს.

1917 წელს გრიგოლ რობაქიძემ პორტრეტული ჩანახატების ობიექტებად აქცია კიტა აბაშიძე, ირაკლი წერეთელი, იაკობ ნიკოლაძე, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესიკი, გიორგი შარვაშიძე. ზოგი მათგანი მოსწონდა, ზოგი არა, მაგრამ ობიექტურად ცდილობდა სუბიექტური განცდების გადმოცემას.

ფსიქოლოგია გრ. რობაქიძის გატაცება იყო, ცდილობდა, სულში ჩასწვდომოდა პიროვნებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაეძრა სიტყვა. მის გამო კრიტიკოსი „მან წილი“ მის ლექციებს „განცდის ლექციებად“ მიიხნევდა (თემი 1911რ:2).

გრიგოლ რობაქიძემ კი განცდის ადამიანი კიტა აბაშიძეს უწოდა.

1917 წლის 17 (30) დეკემბერს გარდაიცვალა ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე კიტა აბაშიძე. სამ დღეში რობაქიძის გამოსათხოვარი წერილი-პორტრეტი დაიბეჭდა.

ქართული გენის ხაზგასმა: თმაფაფარა თეთრი მოხუცი, ივერიის ლეგენდარული სილამაზე. მის გვერდით – ვაჟკაცი, გიორგი სააკაძის პროფილით... გურიელის თავადური ოჯახი და ტკბილი ქართული. შემოდის ტანმალაღობა მამაკაცი, სათვალედ პენსნე... ხედები მაშინვე, რომ იგი მამია გურიელის დისწულია, იმდენად იგრძნობა მასში გურიელთა „დინჯი პათოსი“.

რობაქიძისთვის მეტად მნიშვნელოვანია გარეგნობა. აქ ეძებს იგი საერთოს სულთან. აქედან იწყებს წვდომას სიღრმეში.

თავდაპირველად იგი კ. აბაშიძის სახის ორმაგობას აღნიშნავს: „ცალი თვალი ოდნავ უფრო დიდი და პენსნედან ცალ-გვერდა ცქერა ხანდახან; ბაგე თითქო ღიმილით დამტვრეული და შემდეგ ორჭოფილ-შეკავებული... თვალები რომ თბილად გიცქერიან, ხანდახან ბაგეს უცნაური სიცივის ფრთა გადაჰკრავს ღიმილით“ (საქართველო 1917კ:2).

ორმაგობა იმაშიც ვლინდება, რომ კიტა აბაშიძეში გურული და იმერული ხასიათებია შერწყმული. მაგრამ არის წუთები, როცა ორმაგობა ქრება, ჩნდება ესთეტიკური სრულქმნილება, მთლიანი პიროვნება. გრიგოლ რობაქიძეს იტაცებდა აბაშიძის მთლიანობა, გზნება, განცდა. იქრობდა, რომ იგი „განცდის“ ადამიანი უფრო იყო, ვიდრე „წერის“. მიტომ, მისი ნაწარმოებებსაც მხოლოდ ის აღიქვამდა სწორად, ვისაც „განუცდია“ მისი პიროვნება.

ამ სიტყვებით გამოიკვეთა ავტორის პოზიცია კიტა აბაშიძე როგორც შემოქმედი ვერ პასუხობდა მის კრიტერიუმებს. მაგრამ ხშირად ამბობენ, რომ ხელოვანი მხოლოდ ის კი არ არის, ვინც ქმნის, არამედ ისიც, ვინც აღიქვამს. რობაქიძეც ამბობს, რომ ზოგჯერ „განცდა“ „შექმნას“ არ ჩამოუვარდება.

გრიგოლ რობაქიძის ორატორული ნიჭი გულგრილს არავის ტოვებდა. თავის მხრივ, იგი დიდი ინტერესით უსმენდა ორატორებს და მკაცრი შემფასებელიც იყო. კიტა აბაშიძე,

როგორც ორატორი, მოსწონდა: მისი სიტყვები ცეცხლში ნაწრობს აგონებდა, გურიელთა სიტბოს თანდათან რომ კარგავდა და ცივად იჭრებოდა, იმერული მახვილი სარკაზმით.

ოპონენტი დამხობილია.

ენა, ფრაზა, ტემბრი, ტონი, დინამიკა, შინაარსი, ანალიზი... გრიგოლ რობაქიძე ითხოვდა ყველაფერს ერთად, ყველაფერს დახვეწილს.

ეს სინთეზი მან ვერ აღმოაჩინა ირაკლი წერეთელში.

1917 წელია და ი. წერეთელი რუსეთში რევოლუციის ტვინად სახელდება. ღუსული პრესა მისით აღფრთოვანებას არ მაღავეს. უწოდებს მას სიტყვის ოსტატს, სიტყვის მჭედელს, რომელიც ადელეგებს მსმენელს, აჯერებს და აფიქრებს...

ირაკლი წერეთლისადმი მიძღვნილ საქებას სიტყვებს ბევრგან ამოიკითხავთ. ამ დროს სახელგანთქმული ორატორი სამშობლოს ეწვია ლექციით „ომი და რევოლუცია“. გრიგოლ რობაქიძე დაინტერესდა ორატორის ათასჯერ ნაქები ჯადოსნობით. დასაწყისშივე ნათქვამმა რამდენიმე ფრაზამ შეურყია წინასწარ შექმნილი შეხედულება, წერეთელი საშუალო ორატორზე ნაკლები აღმოჩნდა (ყოველ შემთხვევაში, ასეთად მიიჩნია გრ. რობაქიძემ): მოუხეშავი ტემბრი, შაბლონური ფრაზები, სიტყვის გაწელება, დინამიურობისა და ხმის აწევ-დაწევის უგულებელყოფა... (საქართველო 1917ლ:2).

ლექცია შინაარსითაც სუსტი იყო, არც ანალიზი ჩანდა, არც – კითხვებზე პასუხები. გრ. რობაქიძის სიტყვით, ი. წერეთლის გამოსვლა ჰგავდა რეცეპტს წამლების გარეშე.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ჩანს, ერთადერთი ოპონენტი იყო მრავალი მეხოტბის საპირისპიროდ. თავისთავად, განცდა სუბიექტურია, თუმცა, ავტორი ცდილობდა, მიუკერძოებელი ყოფილიყო. ამდენად, მისი კრიტიკული თვალსაზრისის სარჩულად წერეთელ-რობაქიძის იდეოლოგიური აზრთა სხვადასხვაობა არ უნდა მივიჩნიოთ.

გრ. რობაქიძე ხშირად ირწმუნებოდა, ობიექტურობას მუდამ ვიცავო, მაგრამ როცა რომელიმე პიროვნება მის მოხიბვლას შეძლებდა (შემოქმედებითა თუ ქართული რასისტვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით), არც სუბიექტური განცდების გადმოცემას ერიდებოდა (საერთოდაც ხომ შეუძლებელია, სუბიექტი ობიექტური იყოს, ცხადია, მიკერძოებას არ ვგულისხმობთ). ასეთი თბილი დამოკიდებულება ჩანს ქართველი ხელოვანისადმი მიძღვნილ პორტრეტულ ჩანახატში „მოქანდაკე ნიკოლაძე“.

1902 წელს გრიგოლ რობაქიძეს გაუცნია იაკობ ნიკოლაძე: – დაბალი ტანის მოქანდაკე, შავი, ხიჭუჭი თმით, დიდრონი შავი თვალებით, ასირიელის პროფილით...

ხუთი წლის შემდეგ ისინი პარიზში შეხვდნენ ერთმანეთს. გრ. რობაქიძის თქმით, იაკობს ანუ უაკოს დიდი განათლება არ მიუღია, მაგრამ ინტუიციით წვდებოდა დიდ საკითხებს. ნიკოლაძის პორტრეტის ერთი შტრიხისთვის ავტორი საინტერესო შედარებას მიმართავს: „ნატეხი“ სიტყვით ხანდახან ისეთს განცდას მოგაწვდის, როგორც „ბერი“ ხავსიანი ქვა ძველი საიდუმლო წარწერით“ (საქართველო 1917მ:2).

ავტორი ხაზს უსვამს ი. ნიკოლაძის ბავშვურ უშუალოებას. არავითარი გესლი, არავითარი სიავე მის ხასიათში არ ზის. გულახდილი, ლაღი, აღფრთოვანებული, – ასეთია ჟაკო. იგი ნამდვილი ხელოვანია მძაფრად განვითარებული პლასტიკური გრძნობით.

იაკობ ნიკოლაძე ცხოვრებაშიც ხელოვანია. ამასთან, სხვისი კარგი, სხვისი გამარჯვება, წარმატება ხელოვნებაში მას იმდენად უხარია, რომ მსგავსი მაგალითის მოძებნა გაგიჭირდებათ.

როგორც ვხედავთ, ავტორი ხელოვანის დასახასიათებლად მრავალ ისეთ თვისებას გამოჰყოფს, ადამიანის ბუნების სამკაულად რომ მიიჩნევა, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც სხვაა – ნიკოლაძე ქვაში კვეთს ქართველთა გენიას.

წერილის დასასრულს გრ. რობაქიძე გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ ნიჭიერ მოქანდაკეს მატერიალურად ძალიან უჭირს და, საუბედუროდ, სახელოსნო არ აქვს. იგი მიმართავს ქართველ ერს, დააფასოს ხელოვანი და აუშენოს ატელიე, რომელიც ამასთანავე იქნება ქართველი ხელოვანების „ესთეტიური გართობის კუთხე“.

შემდეგი პორტრეტი ასახავს გრიგოლ ორბელიანს როგორც პიროვნებას და როგორც შემოქმედს. გრიგოლ რობაქიძეს არ მორიდებია, ცნობილი პოეტის რითმითა სიღარიბე და სხვა ნაკლოვანებები აღენიშნა.

გრ. ორბელიანში არ არის შემოქმედებითი ნიაღვარი, მაგრამ მასში არის ჯიში, რომელიც ბევრს ნიშნავდა რობაქიძისთვის. ეს არ ეხებოდა სარდალ ორბელიანს, რომელსაც ომში გამოჩენილი სისასტიკით თავის მოწონებაც შეეძლო. ე ეს არ არის ქართული ჟიში.

მაგრამ „სადღერძელო“ ნამდვილი თამადის თქმულია. ეს კი ჩვენი გენია. სხვა მხრივ, ორბელიანი პოეტური ხატებითა და რითმებით მეტად ღარიბი პოეტია. მთელი მისი ინდივიდუალობა, რობაქიძის თქმით, „სადღერძელოშია“ მოქცეული (საქართველო 1917გ:2).

გენის გამო უყვარდა გრიგოლ რობაქიძეს ალექსანდრე ჭავჭავაძე – დენდი, ქართულ-აღმოსავლური დარდიმანდობით.

ალექსანდრე ჭავჭავაძე არისტოკრატი იყო ჩამომავლობითაც, ბიოლოგიურადაც, სულიერადაც, მასში ყოველმხრივ იკვეთებოდა ქართული რასის სილამაზე და რჩეულობა.

გრ. რობაქიძის აზრით, ა. ჭავჭავაძის მსგავსად მაჯამა არავის აუთამაშებია.

„ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის ლექსი იყო „კახური“ სავსე აზარფეშა: ამაშია მისი ძალა, – მაგრამ შესაძლოა, ამაშივე იყოს მისი დაბრკოლება“ (საქართველო 1917გ:2).

გრიგოლ რობაქიძე მას ბესიკის მემკვიდრედ მიიჩნევდა, მაგრამ იმასაც აღიარებდა, რომ ბესიკი უფრო ნიჭიერი შემოქმედი იყო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რობაქიძეს ბესიკი არ უყვარდა, თუმცა, მის ნიჭს პატივს სცემდა. „ბესიკი აღმოსავლეთის შვილია პირში: – მაგრამ აღმოსავლეთის მე პრიმიტივი მონუმენტალობა უფრო მაჯადოებს, ვიდრე ჩუქურთმული ქსოვილი: ეგვიპტეს პირამიდები, ვიდრე სპარსეთის ხალიჩები“ (საქართველო 1917გ:2).

გრ. რობაქიძის სიტყვით, ბესიკი მდიდარია პოეტური სახეებით. მის ლექსში სიტყვებს ვერ გადასვამ, ფრაზა ერთი მთლიანი სხეულია. ეს კია, ზოგჯერ რითმა ისე მოჭარბებულია, რომ ლექსი იზრდილება და იკარგება. რაც მთავარია, მან განავითარა მრავალი ტექნიკური ხერხი, რომლებიც ერთი საუკუნის შემდეგ ფრანგი სიმბოლისტების პრინციპად იქცა. ამ მხრივ, ავტორის აზრით, ბესიკი ფენომენია ქართულ ლიტერატურაში.

ბესიკში აღმოსავლეთი ცხოვრობდა.

რობაქიძეს კი მაინც ელავა ათრობდა, ელავა და დიონისე.

ბერძენთა ხასიათი ნიცშემ იგრძნო და გამოხატა. გრიგოლ რობაქიძემ კი იმდენი საერთო იპოვა ქართულ ხასიათთან, რომ დაბეჭდა „ჰელენები და ქართველები“.

ელინები ნიცშედან: „ძლიერება, ცეცხლი და ძლევა-გაშლა ანტიური მუსიკალი გზნებისა... ცეცხლის დღესასწაულები, პურის ჯეჯილის დღესასწაულები, გაკეთილშობილება იჭვიანობის ბერძენები ყველაზე უიჭვიანესი ხალხი, თავისმკველელობა სიძულვილი სიბერისადმი, სიღარიბესადმი“ (საქართველო 1917კ:2).

ქართველები რობაქიძის სამზერიდან: გამორჩეული ფოლკლორი, ბუნების აყვავილების წარმართული გრძნობა, ცეცხლისა და ჯეჯილის კულტის ნაშთები; კეთილშობილი ეჭვიანობა, სიბერისა და სიღარიბის ზიზღი.

და ასე შემდეგ...

ნაკვეთი სხეული, ჯიში და ზრდილობა, ტემპერამენტი და ინტელექტი, შური და სიცრუე, სიცოცხლე, როგორც თამაში...

გრიგოლ რობაქიძემ იმდენი საერთო იპოვა ორი ხალხის ხასიათებს შორის, თითქოს ერთხეა საუბარი, განუყოფელზე. იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა ძველ ბერძნულ კულტურას და, ალბათ, ამიტომ სურდა, რაც შეიძლება მეტი პარალელი გაეგლო ელინებსა და ქართველებს შორის. ამით იგი ქართული კულტურის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს.

გრ. რობაქიძის მომდევნო პორტრეტი გიორგი შარვაშიძეს მიეძღვნა.

მოდის ცხენოსანი, მოხდენილად მჯდარი, მემკვიდრეობით გადაეცა მას ნამდვილი ცხენოსნობის სიყვარული და უნარი. ჩაცმულობის ქართული ყაიდა, სადა და რჩეული. საოცარი ხმა: „ნელი, ტკბილი, მელოდოური. კილოც ღამაზი, უცნაური ჯადოთი გაუღენთილი“ (საქართველო 1918ა:2). თლილი თითები, სახის სიღამაზე ივერიული, სწორუპოვარი პროფილი. შარვაშიძის უნაკლო აღნაგობამ ათქმევინა ავტორს, საუკუნეებია საჭირო, რომ „ბიოლოგიურმა შერჩევამ“ ასეთი სრულყოფილი ტიპი წარმოშვასო.

გიორგი შარვაშიძე ფლობდა რუსულს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, ებრაულს, აფხაზურს, მეგრულს, იყო მწიგნობარი, ვინაც ზედმიწევნით იცოდა რუსთაველი და ვისთან ბაასიც ყველას სიამოვნებდა.

მისმა გარდაცვალებამ ძალზე დაამწუხრა გრ. რობაქიძე, რადგან ქვეყანას „ქართული რასის“ ნამდვილი ნამდვილი წარმომადგენელი დააკლდა.

გრიგოლ რობაქიძეს უყვარდა ჯიში ყველგან და ყველასი.

უყვარდა ქართული ჯიში და ყველაფერი დიონისური.

საინტერესონი არიან მისი თვალთ დანახული ქართველები. თუ შენიშნავს ჩვენი გენის, რასის „ხაზმოსმას“, აღნიშნავს აღტაცებით, გამოკვეთილად. მას არა მხოლოდ შემოქმედნი აინტერესებს, არამედ, პირველ რიგში, ქართული გენის მატარებელი ადამიანები.

ის ესთეტია და გამორჩეულ ადამიანებშიც ამავეს ეძებს. თამარიც მისთვისქალი-მეფე და გამორჩეული ისტორიული ფიგურა კი არ არის მხოლოდ, არამედ ესთეტიკური ფენომენი (რობაქიძე 1918). მისი შემოქმედებაც ასეთია – ის ყოველთვის ფაქტებს მიღმა იყურება. სიყვარულის გარეშე ენას იშვიათად დაძრავს – მისთვის ვინმეს შემოქმედების განხილვა მხოლოდ მაშინ არის სრული, როცა სიყვარულს ეყრდნობა: ზედგამოჭრილს სიტყვას ბესიკს ვერ ვეტყვი – ამისთვის სიყვარული საჭიროო. განცდის გარეშე არც არაფერს წერს და არც სხვისი დაწერილი მოსწონს.

„ხატოვანი ჩვენება, ემოციურ-სახეობრივი სჯა – ეს გახლავთ მყარი მწერლური პოზიცია... შეიძლება ითქვას, გრიგოლ რობაქიძის მთელი მწერლური პროდუქცია, მისი მემკვიდრეობა არის ესეისტური“ (მეფარიშვილი 2005:22)

ესეისტი რობაქიძე სულში წვდომას ცდილობს, გარეგნული, ფიზიკური ნიშნებით, თვისებებით შინა სამყაროს გასაღებს ეძებს. რობაქიძე მხატვარია კაღმით. რამდენიმე შტრიხით სურათს დასრულებულ სახეს აძლევს. მისთვის მთავარი იყო „ჩვენება“.

„გრიგოლ რობაქიძის სრულიად განსაკუთრებული თვითმყოფადობა წარმოჩინდა არა მხოლოდ წმინდა მხატვრულ ოპუსებში, არამედ მის უმშვენიერეს ლირიკო-პუბლიცისტურ ფრაგმენტებში, ფილოსოფიურ ესეებში, ქარიზმატულ პიროვნებათა ფსიქო-ფერწერულ პორტრეტებში“ (ლიტერატურული საქართველო 2001:3), – წერს გურამ ბენაშვილი.

ნაცნობი სახეები ახალი მზერით, რაკურსით, მოთხოვნითა და გემოვნებით, უცნობი შტრიხებით, – ასეთია გრიგოლ რობაქიძისეული პორტრეტები.

### III თავი პუბლიცისტიკა

გრიგოლ რობაქიძე პუბლიცისტი იყო მთელი თავისი მოღვაწეობით. ყველაფერი, რაზეც საუბრობდა და წერდა, მიზანმიმართული, დამაჯერებელი, სიახლის შემცველი იყო. მისი მოღვაწეობა პრესაში ძალზე საინტერესოა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად საგულისხმო და საყურადღებოა პუბლიცისტიკა.

გრიგოლ რობაქიძე ანალიტიკოსი პუბლიცისტი გახლდათ.

გამორჩეული ენით, გზნებით, ანალიზით, შორსჭერვით, დამაჯერებლობით...

სტატიები, რომლებსაც ჩვენ მიმოვიხილავთ, 1917-1918 წლებში დაიბეჭდა. აქ არის პროტესტი მოძალებული ბოლშევიზმის მიმართ, მაგრამ პროტესტი არა ემოციური, არამედ ასჯერ გაზომილი, დასაბუთებული.

ყველამ კარგად იცის, როგორია 1917 წელი. გადატრიალება, რევოლუცია, ანარქია, პროპაგანდა, ახალი იდეებით თანდათანობითი თრობა.

დრო, რომელიც ბორგავდა.

რობაქიძე გულგრილად ვერ აუვლიდა გვერდს იმ აქტუალურ საკითხებს, რომელთა განხილვასაც ცხოვრება მოითხოვდა. ჯერ კიდევ 1911 წელს გაზეთ „თემში“ „მან-წილი“ წერდა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით რუსეთის გატაცების დროს გრიგოლ რობაქიძე მარქსიზმს გამოხატავდა. „ყოველ ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვას საზოგადოებრივ ხასიათის განსაზღვრულ მიმართულების ნიადაგზე დამყარებული მტკიცე პასუხს აძლევდა“ (თემი 1911ს:3).

1917 წელს, რუსეთის რევოლუციის დროს, გაზეთ „საქართველოს“ გასდევს მოწოდება: „ქართველებო, შეგნებულად, შეერთებულად, დინჯად!“ რუსეთის რევოლუცია სასიხარულოა იმდენად, რამდენადაც იგი საქართველოსთვის თავისუფლების მომტანი გახდება. „რუსეთის დღევანდელი რევოლუცია, ძველი მთავრობის გადაყენება, ძველი რუსეთის დასაფლავება და ახლის აღორძინება საქართველოსთვის მხოლოდ მაშინ იქნება სიკეთის მყოფელი, როდესაც საქართველოს მიეცემა სრული პოლიტიკური გარანტია თავისუფალი პოლიტიკურ თვითარსებისა“ (საქართველო 1917რ:1).

სხვადასხვა ქართული და რუსული დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. საქართველოს ერთიანობა სჭირდება. „საქართველო“ მკითხველს მოუწოდებს, ერთადერთ იდეაზე იფიქროს, იზრუნოს, იღვაწოს – ეს საქართველოს გათავისუფლებაა.

გაზეთი მკითხველებს არწმუნებდა, რუსეთის რევოლუციას და ახალ მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიესალმოს საქართველო, თუკი ის ჩვენი მიზნის განხორციელებაში დაგვეხმარება.

მაგრამ რუსეთში ვინ წუხდა ჩვენი ქვეყნის მომავალზე? ჯერ კიდევ 1911 წლის დასაწყისში გრიგოლ რობაქიძე არჩილ ჯორჯაძეს წერდა: „საქართველოს ბედ-იღბალი

მათ ისე აინტერესებთ, როგორც მარსის მცხოვრებნი. სხვათა შორის, ახალგაზრდა ქართველის ტრაგედია ამაშიცაა“ (ბაქრაძე 1999:55). მართლაც ასე იყო – ყველაფრის მიუხედავად, მუდამ რუსეთს შეეყურებდით იმედის თვალთ, იმედგაცრუებებს არაფრად ვაგდებდით.

1917 წლის ბოლო თვეებში რობაქიძე როგორც პროფესიონალი პუბლიცისტი, შეუნელებელი ტემპით მოღვაწეობს. თითქოს დაავიწყდა, რომ არსებობს ლიტერატურა და სხვა საყვარელი საკითხები, რომლებზეც ადრე წერდა. იგი მთლიანად მოიცვა აქტუალურმა, მეტიც, საბედისწერო საკითხებმა.

გრიგოლ რობაქიძისთვის, როგორც სამშობლოს უკიდევანოდ მოყვარული შვილისთვის, მთავარი ერის კეთილდღეობა, თავისუფლებაა. უფროსის ბოლშევიზმს, რადგან ეჭვი არ ეპარება, რომ მისი მოძალეა კარგს არას უქადის საქართველოს.

პუბლიცისტი ანალიზებს რუსეთში მიმდინარე მოვლენებს.

რუსეთის ტრაგედიის სათავე აბსოლუტურის, უთუოსკენ სწრაფვა და სათუოსთვის გვერდის ავლაა. აქ გრ. რობაქიძე ბერდიაევს, ივანოვს და დოსტოვესკის ეყრდნობა. რუსის სულისთვის თავი და თავი აბსოლუტია. ეს ჩანს ფილოსოფიაშიც, ხელოვნებაშიც, იდეოლოგიაშიც (მაგალითი: ბოლშევიკებს სწამდათ, რომ უკვე სოციალიზმის კარებს მიუახლოვდნენ კაპიტალიზმის გვერდის ავლით.)

აბსოლუტურის ძიებაში რუსეთი ძლიერია. მის ლიტერატურას „მსოფლიო დადი“ აზის. გენია დოსტოვესკი, რომელმაც „პრობლემა დანაშაულისა სულ სხვანაირად წამოაყენა, ვიდრე ეს ძველ ტრაგიკოსებს ეჩვენებოდათ და ახალ ეპოქაში შექსპირს, დოსტოვესკის ამოშლა მსოფლიო ფურცლებზე ყოველად შეუძლებელია“ (საქართველო 1917ს:2).

ნიცშე ამბობდა, რომ თუ ვინმე უნდა ჩაითვალოს მის მასწავლებლად ეს დოსტოვესკია. თავის მხრივ, ნიცშეს გავლენა ბევრმა მოაზროვნემ განიცადა, მათ შორის იყო გრიგოლ რობაქიძე. სხვათა შორის, თვითონ აღნიშნავდა ხოლმე, შეთხზვის მეთოდს მას შემდეგ ვაქცევ დიდ ყურადღებას, რაც ფრიდრიხ ნიცშემ, ოსკარ უაილდმა და დიმიტრი მერეჟკოვსკიმ დამანახვეს მისი მრავალი საიდუმლოებაო.

გრ. რობაქიძე რუსი გენიოსისადმი – დოსტოვესკისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავდა ყველგან, სადაც სიტყვა მოიტანდა. სხვათა შორის, კიტა აბაშიძის პორტრეტისთვის შტრიხად გამოიყენა კამათი თეოდორ დოსტოვესკის მნიშვნელობაზე (აბაშიძე ფრანგული ლიტერატურის მგზნებარე ტრფიალი გახლდათ, რობაქიძე კი რუსულ მწერლობას ანიჭებდა უპირატესობას).

ამ მცირე გადახვევის შემდეგ დაგუბრუნდეთ გრ. რობაქიძის პრობლემურ სტატიას. ყოველ კულტურას ტრადიცია ახასიათებს. რუსეთში კი ტრადიცია არ ყოფილა. ერთმარეგოლუცია რომანოვთა სამასწლიანი არსებობა გააქრო...

აპოკალიფსური სულის ჩამოყალიბებაში ძლიერი რუსეთი უმწვოა „სათუოსა და საშუალოს“ შექმნაში.

იმდროინდელი რუსეთი ანარქიულია. ამას გამუდმებით უსვამს ხაზს ავტორი. ყველაფერი ის, რაც შემდგომი ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა რესპუბლიკის ისტორიულ ღირებულებებად ითვლებოდა, გრიგოლ რობაქიძისთვის ანარქია, ქაოსში გაუჩინარებაა. სასტიკი თვითმპყრობელობის ხელიდან გამოვარდნილი რუსეთი საშინელ ანარქიაში გადავარდა. მისი სული ქაოსს ფრთებზე დაეკიდა, – ფიქრობდა ავტორი, – ისე, თითქოს რუსეთი „მოჩვენება“ ყოფილიყოს მხოლოდ. ამ მოჩვენებებზე საუბრობდნენ წინასწარჭვრეტით დოსტოვესკი და ბელი...

რუსეთს მაქსიმალიზმი შეეღობა „სულის ცნაურებაში“. მაგრამ „ტენიკურსა და სოციალურს კულტურაში გადატანილი მაქსიმალიზმი ისტორიასა და ისტორიულობას პირდაპირ უარყოფს. რუსი გვაგონებს იმ ადამიანს, რომელმაც ავტომობილი უარყო, მხოლოდ მისთვის, რომ ჰაეროპლანი არ შესთავაზეს, – და ახლა ურმით მიხობავს“ (საქართველო 1917ტ:2), – ასე შეაფასა 10-იანი წლების დასასრული გრ. რობაქიძემ.

მთელი ეს საინტერესო წიადსვლა ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, ისტორიასა და იდეოლოგიაში, საჭირო იყო ზემოთ მოტანილი ფრაზის მოსამწიფებლად. მეტად დამაჯერებელ ფაქტებსა და არგუმენტებს თავად მიჰყავხარ ავტორის დასკვნამდე. ერთი ზუსტი შედარებით დაიხატა რუსეთის უმწეობა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. თუ გავიხსენებთ მსოფლიო გიგანტის, საბჭოთა კავშირის არსებობას (თუმცა მის შექმნაში ქართველს მიუძღვის ღირსი წილი), შეიძლება, სადავო გახდეს რობაქიძის მოკვეთილი დებულება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი აღიარებდა ბოლშევიკების მოსალოდნელ ტრიუმფს. ეს კია, არ სჯეროდა ანარქიით მოსულების და, საბოლოოდ, უფსკრულის წყვილადს უწინასწარმეტყველებდა. ჩვენ ყველანი ამის მოწმენი გავხდით.

გრიგოლ რობაქიძისთვის, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის რევოლუცია ანარქია იყო, ისევე როგორც ქვეყნის ყოფა. ამით სარგებლობდა ბოლშევიზმი ანარქიული იდეოლოგიის მქონე ძალა. ეკონომიკურად ისედაც ჩამორჩენილი რუსეთი ომმა უფრო დააქვეითა, წარმოება დაეცა, ტრანსპორტის მიმოსვლა ჩაკვდა, ამას დაუმატეთ რუსეთში შემავალ ერთა დეცენტრალისტური მდრეკილება და მიიღებთ ანარქიისკენ გაქანების ნათელ სურათს. ცხადია, იმარჯვებს ძალა, რომელიც მიჰყვება საყოველთაო ანარქიას. იმ დროისთვის ბოლშევიკებმა უკვე დაიკავეს რამდენიმე პუნქტი და პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტო. მაგრამ პუბლიცისტი მკითხველს არწმუნებდა, რომ ის, ვინც იმარჯვებს ანარქიით, იმავე ანარქიით დაიღუპება.

როგორც ყოველთვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ბოლოთქმა:

„საქართველოსთვის ერთი რამ არის საჭირო: ნუ ვიქნებით უბრალო მორჩილნი იმ ფანტაზიებისა, რაიც პეტროგრადის ნისლში მოელანდებათ. ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვისპოთ“ (საქართველო 1917უ:2).

კვლავ წინასწარჭვრეტა: მოვა დრო და ქართველებსაც დაბანგავს ბოლშევიკური ფანტასმები – დავიწყება იმ სოფლის და ამქვეყნიური სამოთხის ლანდი...



ნისლიანი მოხვეწებაა თვით პეტერბურგი, მისი შვილი, დოსტოვესკი – „ავადი ქაოსი, გენით ნაკვეთი“. „ფანტასმების ქალაქში“ რობაქიძე იმეორებს, რომ რუსეთის არსი ქაოსია, სადაც ხან გენიალური ზმანებები მოგვეჩვენებოდა, ხანაც უფსკრულის პირას იმართება გიჟური არული.

ქაოსის ფრთები ეფემერულია და მზესთან ვერ აგიყვანს.

გრიგოლ რობაქიძე მიზანმიმართულად საუბრობს რუსეთის ანარქიაზე. დროგამოშვებით უბრუნდება და მკითხველს შეახსენებს უფსკრულის სიახლოვეს.

პეტერბურგი რეალობას მოწყდა. იქ ყოველდღე რაღაც ახალი ზმანება იბადება, ზმანება, რომლითაც რუსეთთან ერთად მთელი სამყაროს გარდაქმნა სურს. ამ სურვილში პუბლიცისტი ერთგვარი ფსიქოზს ხედავდა, რუსეთის ქაოტური სულის ნაშობს.

ქაოსი ეს არის სიტყვა, რომელშიც გრიგოლ რობაქიძე მთელი უბედურების ხატს აქცევს. თითქოს მისით აშინებდა მკითხველს, რათა ბოლშევიზმის გავლენისაგან დაეცვა და თავისუფლება მოეწყურებინა. პუბლიცისტი უბედურებად მიიჩნევდა იმას, რომ ფანტასმების ქალაქის ნათქვამს მთელი რუსეთი იმეორებდა. თანაც როდის? რევოლუციის დროს, როდესაც თითქოს თავისუფლება უნდა დამყარებულიყო. “და განა ეს არის თავისუფლება?! თავისუფლება, პირველ ყოვლისა, თავისთავადობაა, ზერედედ აყოლება კი ნამდვილი მონობა“ (საქართველო 1917ფ:4).

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ დამნაშავე ბრბოს უკან უფრო დამნაშავე პუბლიკა დგას, ხოლო მის უკან კიდევ უფრო დამნაშავე პუბლიცისტები დგანან. ბოლშევიზმის იდეოლოგები გამჭრიახი პუბლიცისტები იყვნენ. ზუსტად იცოდნენ, როგორ მოეხდინათ ზეგავლენა ხალხზე, აეყოლებინათ მასები. მათს მოძღვრებაში, ქადაგებაში იდო ეს მუხტი, რომელმაც, საბოლოოდ, დამუხტა კიდევ მილიონობით ადამიანი. გრ. რობაქიძეს უნდოდა, საქართველოსაც დაენახა ის, რასაც თვითონ ხედავდა და აეცდინა მოსალოდნელი უბედურება. ბოლშევიკებმა გათვალეს, თუ როგორ გამოეყენებინათ ანარქია თავიანთ სასარგებლოდ. გრიგოლ რობაქიძე კი ამ ქაოსისგან ქართველთა გარიდებას ცდილობდა.

იმის ნათელსაყოფად, რომ ბოლშევიკები მოახლოებული თავისუფლებისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ, გრ. რობაქიძე ჩაეჭიდა ერთ ფაქტს: უკრაინის სამხედრო გენერალური კომიტეტის წევრი იტყობინებოდა, რომ ბოლშევიკები უკრაინას გასრესას უპირებდნენ (საქართველო 1917ქ:2).

სათავეშივე ეფექტურად, ზუსტად მოხაზული ფრაზა ბოლშევიკთა სამოქმედო პროგრამასა და რეალურ მოქმედებას აპირისპირებს: „ის ბოლშევიკები, რომელთა პროგრამის ერთ-ერთი მუხლი ერთა განთავისუფლებაა, თუ გინდ მათი სრული გამოყოფა... ომს უცხადებენ უკრაინას“ (საქართველო 1917ღ:2).

ბოლშევიკები ერთა საკითხს სოციალისტურ-იმპერიალისტურად წყვეტენ. ისინი შეებრძოლებიან ყველას, ვინც მათ არ მიჰყვება. მაგრამ სანამ ამ დასკვნამდე მივა, რობაქიძე აანალიზებს რევოლუციურ მოძრაობას.

სოციალ-დემოკრატების ნაწილი (მენშევიკები) და სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუცია იყო და რევოლუციური ენერჯია დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად უნდა დახარჯულიყო... მათი აზრით, სოციალისტებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილება უნდა განემტკიცებინათ. მაგრამ გრიგოლ რობაქიძე დარწმუნებული იყო, რომ სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად პირობები არ იყო მომზადებული. მდგომარეობის ნათლად დასახატავად ავტორი კითხვის ფორმას არჩევს: „რა უნდა ქნას სოციალისტმა იმ დროს, როცა სოციალიზმის განხორციელებისათვის ობიექტივი მომენტი სრულიად მომწიფეული არ არის და იმავე დროს მთელი ძალა მას ხელში აქვს ჩავარდნილი?!.. მდგომარეობა ტრაგიკულია მეტად“ (საქართველო 1917:2).

მენშევიკებმა და ესერებმა გამოსავალი ვერ იპოვეს. ბურჟუაზიასთან ერთად მოქმედებას აპირებდნენ და თანვე ემინოდნენ მათი, როგორც შესაძლო კონტრ-რევოლუციონერების, ასე გაორებულები „ჭაობად“ იქცნენ.

ბოლშევიკები უფრო აქტიურები და ემოციურები აყლილები აღმოჩნდნენ. ობიექტურ ფაქტორებს, ლოგიკას გვერდი აუარეს და ანარქიის ნიაღვარს შეუერთდნენ. ეს, გარკვეულწილად, გადახვევაც იყო მარქსიზმიდან, რომელიც სოციალიზმს ეკონომიკური აუცილებლობის შედეგად მოიაზრებს. ბოლშევიკებს სოციალისტობა უნდოდათ და აუცილებლობაზე წინ ფსიქოლოგიური, სუბიექტური მომენტი დააყენეს.

მენშევიკებისა და ესერებისაგან განსხვავებით, რომლებიც დემოკრატიულ რესპუბლიკას ანიჭებდნენ უპირატესობას, ბოლშევიკებს დიქტატორულ ცენტრში უნდოდათ რევოლუციური ენერჯიის მოგროვება. ამ ცენტრის ნება უნდა გახმაურებულიყო და ასრულებულიყო სახელმწიფოს პერიფერიებში. შექმნეს კიდევ ასეთი ცენტრი სახალხო კომისარების საბჭოს სახით.

შემდგომში ცენტრი დაიხვეწა – კრემლი დედამიწის მეექვსედს განაგებდა.

სინამდვილე არ დაემთხვა ბოლშევიკთა წარმოდგენებს. აღმოჩნდა, რომ რუსეთის სახელმწიფოში შემავალი ერები არ აპირებდნენ ბოლშევიკური სოციალიზმის დამკვიდრებას. „აი, სად მარხია ძაღლის თავი: ბოლშევიკები ომს უცხადებენ ყოველ ხალხს, რომელიც ბოლშევიკებს არ მიჰყვება. უკრაინისადმი ომის გამოცხადება ბოლშევიკების მიერ ეს მხოლოდ ერთი რგოლია ბოლშევიკური სულისკვეთებისა. ცენტრალისტები სოციალ-პოლიტიკურად, – ბოლშევიკები ერთა საკითხში სოციალისტ-იმპერიალისტებად გამოდიან“ (საქართველო 1917:2), – ასკენის გრ. რობაქიძე.

არადა, ბოლშევიკები კერენსკის\* სდებდნენ ბრალს ბურჟუაზიულ იმპერიალისტობაში. ისინი მსოფლიოს კაპიტალიზმის უმაღლეს, ე. წ. იმპერიალიზმის

\* კერენსკი ალექსანდრე (1884-1970) თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრი, 1917 წლიდან ესერი, დროებითი მთავრობის თავმჯდომარე.

სტადიაში შესულად მოიაზრებდნენ. ამ რეჟიმის დამსობა და რევოლუციურ მსოფლიოში განფენა საკუთარ მოვალეობად მიაჩნდათ. გრიგოლ რობაქიძე კი თავად მათ დებს ბრალს იმპერიალისტობაში.

საგულისხმოა ისიც, რომ ავტორმა ბოლშევიკური მოძრაობის ნამდვილი მარქსიზმისგან გადახვევაზეც მიუთითა, მაშინ როცა რუსეთის ბოლშევიზმი თავისთავს მარქსისტული მოძღვრების ერთადერთ ჭეშმარიტ მემკვიდრედ აღიარებდა.

1918 წლის იანვარში გრიგოლ რობაქიძემ ისევ გაუსვა ხაზი სოციალისტების „სახელმწიფოებრივ უძღვრებას“.

„ყველა გრძნობს, რომ მარტოდმარტო რღვევა საკმაო არ ყოფილა. საჭირო ყოფილა აგრეთვე შენებაც, – რაიც ძალმოსილს უფლებას ითხოვს უცილოდ. მაგრამ სად არის ასეთი უფლება?“ (საქართველო 1918ბ:2). ავტორის აზრით, ძალმოსილი ხელისუფლების შექმნა სოციალისტებს ფსიქოლოგიურად არ შეეძლოთ.

ერთმა უნდა ბრძანოს, მეორემ შეასრულოს. ასეთი დამოკიდებულება იზრდება მით უფრო, რამდენადაც იზრდება ადამიანთა რიცხვი. ამასთან, „რამდენად იზრდება ეს დამოკიდებულება, იმდენად ნაკლები ხდება აქტივი ძალა რომელიმე წევრის საზოგადოების ვითარებაში. ბოლოს, ეს პროცესი იქამდე მიდის, რომ ხსენებული დამოკიდებულება... ობიექტივდება (ნივთდება), ფეტიშად იქცევა.“ (საქართველო 1918გ:2). ყალიბდება მექანიზმი, რომელიც ადამიანების მიერ არის შექმნილი, მაგრამ ახლა თვითონ მართავს მათს ქცევას. „ხელმწიფებითი უფლება არ არის ისტორიულად სოციალი შეთანხმების ნაყოფი... ხოლო რევოლუცია შეგნებული ჩარევაა ხელმწიფებითი უფლების გარდაქმნაში“ (საქართველო 1918დ:2), – ასკენის გრ. რობაქიძე.

სოციალისტები აცხადებდნენ, რომ ყოველ ადამიანს, კულტურული დონის მიუხედავად, შეუძლია, აქტიურად ჩაერიოს სახელმწიფო ცხოვრებაში. თან ყველას ჰგონია, რომ ადვილად მოუვლის სახელმწიფო საქმეებს. „ხელმწიფებითი უფლებისათვის“ კი აუცილებელია ადამიანის ავტორიტეტი. თუ ყველა „ამხანაგი“ და თანასწორი იქნება, ბრძანება შეუძლებელი გახდება. სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს გარკვეული ძალადობის გარეშე, ავტორის აზრით კი, სოციალისტური თეორია ხელს უშლიდა ძალადობას, შესაბამისად, ასუსტებდა “ხელმწიფებითს” უფლებას. ამდენად, სოციალიზმის ფსიქოლოგიით სახელმწიფოს მართვა შეუძლებლად მიაჩნდა. მაგრამ გრიგოლ რობაქიძემ საკუთარი თვალთ ნახა, რომ ბოლშევიკებმა შეძლეს თეორიის გვერდზე გადადგმა და ძალადობის გამოვლენა, თანაც ისეთი ძალადობის, რომელიც დღემდე საარაკოდ დარჩა. თავად რობაქიძეს ემიგრაციაში ამოხდა სული, სამშობლოს მიწას დანატრებულს... თუმცა, აქამდე ჯერ ძალზე შორია.

რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვის პარალელურად გრიგოლ რობაქიძე საქართველოში მიმდინარე პროცესებსაც ეხება.

მე-20 საუკუნის დასაწყისი მას საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნია, რადგან ახალი ქართული რენესანსის ჩასახვას ხედავს.

მისტიკური სიმბოლო წიწამურის ველი.

„ქართველმა მოჰკლა საქართველოს მძლავრი მხედარი, ხოლო სისხლით შესვრილ ხელს რომ დახედა, მკვლელმა საქართველოს სახე დაინახა. ილია ჭავჭავაძე მსხვერპლია, შეუცნობლად შეწირული საქართველოს საყოფელი სახის ხილვისათვის“ (საქართველო 1917წ:2). ქართველმა იგრძნო საქართველო. აქედან ისახება ქართული რენესანსი.

მაგრამ მას წინ გარკვეული სიძნელეები ელობება: 1. პარტიკულარიზმი, კუთხური განცალკევება; 2. სახელმწიფო მმართველობის ფორმა (არ გვქონდა მტკიცე „ხელმწიფება“. დაქსაქსულნი რუსთა ხელმწიფების ქვეშ გავერთიანდით, მაგრამ მონობით გაერთიანება, გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, საშინელი უცნაურობაა); 3. სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევა, რაც ხშირია ჩვენს ისტორიაში.

ქართული რენესანსისათვის პირობები თანდათან უმჯობესდება. გრ. რობაქიძეს საქართველოს ეროვნულ თავისუფლებაში ეჭვი არ ეპარება. მთავარია, ქართული რენესანსის მონაწილემ იგრძნოს საქართველო და მონახოს თავისი ნამდვილი სახე, შემდეგ კი „შემოქმედი ხელმწიფებით“ უნდა გამოჰკვეთოს მისი სახე კულტურულ შემოქმედებაში.

გრიგოლ რობაქიძე ამაცობს 1917 წლის ნოემბრის ეროვნული ყრილობით, რომელმაც ქვეყანა გააერთიანა, თუმცა, არცთუ ხანგრძლივად.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ეს იყო დრო, როცა სამყარო იცვლებოდა, უბრალოდ იცვლებოდა კი არა, იწვოდა, რობაქიძის თქმით, ქაოსის ფრთებით მიექანებოდა უფსრკულისკენ. რუსეთი კი რევოლუციის ქარიშხალმა წაიღო.

დანიელი პრინციის მარადიული კითხვა: ყოფნა-არყოფნა?

უფსკრულის პირას მიყენებული საქართველო, გრ. რობაქიძის სიტყვით, ვაჟურ ძლიერებას იჩენს. შუღლი, შური, ღვარძლი, გაუტანლობა, უნდობლობა, დაყოფა, „შენ-ჩემობა“ უეცრად გაქრა. თავი იჩინა პოლიტიკურმა გამოცდილებამ, „ხელმწიფებითმა თავისთავადობამ“, ზომიერმა ისტორიულმა პათოსმა.

ყრილობამ აღმოაჩინა, რომ საქართველო პროგრამებზე, ლოზუნგებზე, დოგმებზე დიდი ყოფილა და შვილებს ჰყვარებიათ. ამ გრძნობის გადმოსაცემად ავტორი შედარებას მიმართავს – საქართველო მთელი თავისი „ისტორიული სხეულებით“ განვიცადეთ ისე, როგორც ფშანები განიცდიან ათასი წლის მუხის ფესვებსო.

გრიგოლ რობაქიძე აღტაცებულია ყრილობის ერთსულოვნებით. მისი თქმით, ერი, რომელიც ასეთ სახელმწიფოებრივ შეგნებას ამჟღავნებს, შინაგანად თავის-უფალია და, მაშასადამე, იმთავითვე თავისუფალი. ასეთ დროს ის, უბრალოდ, უხეშ მონობას იცილებს თავიდან.

გრ. რობაქიძე ამ მოვლენას საქართველოს ისტორიის ახალ „მზეოსან“ ეტაპად მიიჩნევს. ამის ნახვის შემდეგ შეგიძლია, მშვიდად დახუჭო თვალები. „მრავალი ქართველი, მომსწრე ამ ისტორიულის წუთების, იტყვის უთუოდ: აწ განუტყვე მონა შენი“ (საქართველო 1917წ:2).

ეს დაიწერა 1917 წელს, გიორგობისთვის 25-ს.

გრიგოლ რობაქიძეს, ალბათ, ნამდვილად ერჩივნა, მაშინ აღსრულებულიყო. სიცოცხლის ბოლომდე, 1962 წლამდე, მას ბევრი იმედი გაუცრუვდება.

ჯერ კი 1917 წელია. პუბლიცისტი მიმოიხილავს მიმდინარე მოვლენებს. მის ინტერესებში ყოველთვის შედის ამ მოვლენათა კავშირი საქართველოსთან.

სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა მანიფესტში ევროპის დემოკრატიის მიმართ, სხვათა შორის, „ოსმალეთის სომხეთის დამოუკიდებლობა“ განაცხადა. დაშნაკელების განმარტებით, იგულისხმებოდა ოსმალეთის სომხეთის სრული სუვერენიტეტის აღდგენა სომხეთი სომხებს: სომხეთში სომხები არიან სრული პატრონები, სხვა ეთნიკური ელემენტები კი უბრალოდ, მოქალაქენი, კანონით დაცული უმცირესობა. გრ რობაქიძის სიტყვით, „საოსმალე სომხეთს“ ტერიტორიული მდგომარეობა არ უწყობს ხელს, აღდგეს როგორც სახელმწიფო სხეული, მაგრამ პატრონისა და მოქალაქის პრინციპი სწორია და ის საქართველოზეც უნდა გავრცელდეს. საქართველოს მთლიან სახელმწიფო ერთეულად აღსადგენად ტერიტორიული მდგომარეობაც უწყობს ხელს. „მხოლოდ იქ, საცა საქართველოს ტერიტორია დასახლებულია არა მარტო ქართველი ერთ, არამედ სხვა ხალხთა ელემენტებითაც, იქ ქართველი ერი უნდა იყოს პატრონი და დანარჩენი კი მხოლოდ მოქალაქენი“ (საქართველო 1917:2). რობაქიძე გამოთქვამს რწმენას, რომ ზემოხსენებული სამართლიანი ფორმულით სომეხი ერი მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქრებს. არწმუნებული ვართ, ეს გადაკრული ნათქვამი ძალიან ბევრ ფაქტს ამოტივტივებს ყოველი ქართველის გონებაში.

გრიგოლ რობაქიძე გურულებისა და სოციალიზმის კავშირსაც შეეხო. აქ მისეული მხატვრული ხვეულები იწვევს წინ: გურიის ნელი სირბილე, ფაქიზი, მსუბუქი, ნარნარი ხაზები, „რბილად მოდუნებული“ სიკეკლუცე...

ამაყნი არიან გურულები, ამაყნი და ფიცხნი, ღირსების გრძნობა აქვთ გამძაფრებული. მათში იგრძნობა ნიცშესეული „მანძილის პათოსი“ „ჩემსა“ და „სხვებს“ შორის. მათი სიფიცხე, ავტორის აზრით, მხოლოდ ექსტია არისტოკრატიული ზვიადობის.

საქართველოში სოციალ-დემოკრატია გურულებმა (ინგოროყვა, ნინოშვილი, ჟორდანიას, მახარაძე, რამიშვილი, ჯიბლაძე, ჟორჯოლიანი...) შემოიტანეს.

საინტერესო მოსაზრებაა: „ისინი გამოვიდნენ სოციალისტებად, რადგან სულით უადრესად აზნაურნი არიან და ყოფით ღარიბნი“ (საქართველო 1917წ:2). დაუმატეთ ამას საერთო ნიჭიერება. „ერთიანობა“, ავტორის აზრით, სოციალიზმის მიღება-გათავისებისთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური წინაპირობაა.

მაინც, მღვდელი ჭილოფშიც იცნობა. გურული აზნაურად დარჩა, მასში ვერ ამოშლით რჩეულობის გრძნობას... გრიგოლ რობაქიძე 1917 წელს საქართველოსა და სოციალიზმის კავშირზე სხვას არაფერს წერს.

ქართველმა ბოლშევიკებმა, მიუხედავად იმისა, რომ რუსების ბრმა მიმდევრები იყვნენ, ვერ მოახერხეს სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნა.

მუშათა კლასი, ძირითადად, მენშევიკებს ემხრობოდა. 1917 წლის ნოემბერში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. ამ დროისათვის სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში პირობები არ იყო მომწიფებული.

მისი თანამედროვე სინამდვილე სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება გრიგოლ რობაქიძეს. „ისტორიული შეგნებულობა“ წინ არ წასულა. ჯერ იყო მსოფლიო ომი, რომელმაც მთელი ხალხები პაიკებად აქცია. შემდეგ რუსეთის რევოლუცია, საშინელი ანარქია, სტიქია, რომელსაც “თხისფეხიანმა რუსეთმა” ვერ გაუძლო. ამ ყოველივემ პიროვნებაც დაშალა ღამის.

ქაოსი ყველგან, ქაოსი და ფანტასმები.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში მეტი მშვიდობა იყო. მაგრამ ქართველები ბედს არასოდეს გაუნებებრებია, ამიტომ ისტორიული სკეპსისი იჩენს თავს: „ვამ, თუ მთელი ეს საშინელება საქართველოში დამთავრდეს უკანასკნელი კატასტროფით“ (საქართველო 1918გ:2).

ასეთი ანარქიის მოძალების დროს ძნელია, იმოქმედო შეგნებულად. ეს, ცხადია, პუბლიცისტმა კარგად იცის. სწორედ ამიტომ ის მუდმივად ცდილობს, იმოქმედოს საზოგადოებრივ აზრზე, მოახდინოს მისი ფორმირება და გაამყაროს: „სტიქიონის ადიდებაში უნდა იკრებდე ყოველს ძაღას, შეგნება თავის თავისა უმძაფრეს სიღრმემდე უნდა ხდებოდეს, სახალხო ნების ენერგია უნდა შეგნებულად ირაზმებოდეს, – და მაშინ, თუ მოგებული ვერ გამოვალთ, თავს მაინც გადავირჩენთ“ (საქართველო 1918გ:2).

სოციალისტური პარტიებისგან განსხვავებით, ქართველ ნაციონალ-დემოკრატებს არ ჰქონდათ პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. მათი ერთგვარი პროგრამა-მაქსიმუმი იყო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი თავისუფლება. მაგრამ პროგრამის საჭიროების საკითხი სუვერენიტეტის შემდგომაც წამოჰყოფდა თავს, ამიტომ გრ. რობაქიძე განიხილავს ორი სახის პროგრამის რაობასა და საჭიროებას სოციალისტური პარტიების პროგრამის მიხედვით.

მათი პროგრამა-მინიმუმი ითვალისწინებდა ბურჟუაზიული წყობილების სრულ დემოკრატიზაციას, ხოლო პროგრამა-მაქსიმუმი ამ წყობილების მოსპობას და სოციალისტური სახელმწიფოს აშენებას. პროგრამა-მინიმუმი იყო ერთგვარი გარდამავალი საფეხური საზოგადოების მოსამზადებლად.

„მომზადების“ გამო პროგრამის ორად გაყოფა შეუწყნარებელია გრიგოლ რობაქიძისათვის. ამას თუ გავეყვით, შეიძლება, საზოგადოება მინიმალური პროგრამის დონეზეც არ იყოს მომზადებული და მაშინ მისი გაყოფაც მოგვიწევს. მეტიც, ყოველი ისტორიული აქტისა თუ სოციალური რეფორმისათვის ცალკე პროგრამის წამოყენება გახდება საჭირო. ამიტომ საღი აზრის მიმდევარი პოლიტიკური პარტიები ერთ პროგრამას ქმნიან. ბუნებრივია, ერთბაშად მისი განხორციელება შეუძლებელია, ეს თანდათან,

საფეხურებად ხდება, თანმიმდევრულად. სხვათა შორის, მარქსსა და ენგელსს „კომუნისტური მანიფესტი“ ორად არ გაუყვიათ, მეტიც, ისინი ამის წინააღმდეგნი იყვნენ.

გრიგოლ რობაქიძე ორად გაყოფილ პროგრამას პოლიტიკურ ორჭოფობად მიიჩნევს, მაგრამ არის სხვა მხარეც. შეიძლება, სოციალისტები პროგრამა-მინიმუმს პრაქტიკულ მიღწევად, პროგრამა-მაქსიმუმს კი იდეალად მიიჩნევდნენ. იდეალთან მიახლოება შესაძლებელია, სრული განხორციელება კი არა. სოციალისტები კი პროგრამა-მაქსიმუმის სრულ განხორციელებას გულისხმობდნენ.

სოციალური თანასწორობა, რომლის დამყარებაც სურდათ სოციალისტებს, რობაქიძის აზრით, უტოპიაა – ადამიანის ფსიქიკა არასდროს განზოგადდება, „მე“ ვერ მოისპობა, ვერ გაითქვიფება „ჩვენში“. კლასიკურად აქვს ნათქვამი კლემენსოს\*: „თქვენი კონცეფცია ერთ მუხლში სცოდნება: ადამიანი, რომელიც დაგჭირდებათ თქვენი იდეის განსახორციელებლად, ჯერ არ არსებობს, თუ გინდ თქვენი თეორია კიდევ განხორციელდეს“ (საქართველო 1918ხ:2). ეს ირონიული ფრაზა ზუსტად ასახავს გრ. რობაქიძის პოზიციას.

ამდენად, ავტორის დასკვნით, სოციალისტური იდეალი ყალბ საფუძველზეა აგებული. დემოკრატიულ პარტიას შეუძლია უფრო მართებული სოციალური იდეალი წამოაყენოს, რომელიც დაემყარება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას. ამას სოციალური სასწაული არ სჭირდება. მიზანი – „ინდივიდუალი თავისუფლება“. შესაბამისად, ნაციონალ-დემოკრატიების ერთიანი, გაუყოფელი პროგრამა გამართლებულია.

გრიგოლ რობაქიძეს განსაკუთრებით არ მოსწონდა კლასობრივი ბრძოლის თეორია. იგი დაწმუნებული იყო, რომ კლასობრივისა და ეროვნულის დაპირისპირებაში კლასობრივისადმი უპირატესობის მინიჭებამ დაღუპა რუსეთის „ხელმწიფობითი ძლევამოსილობა“ და იგივე დაღუპავდა საქართველოს, მისი გამთლიანების იდეას. ამდენად, სასიცოხლოდ მნიშვნელოვნად ჩათვალა ამ პრობლემის განხილვა და გადაჭრა.

მარქსიზმი მხოლოდ კლასობრივ დაყოფას ცნობდა, ეროვნებებად დაყოფას კი უგულვებელყოფდა. კლასთა ბრძოლა, რამდენად სამწუხაროც უნდა ყოფილიყო რობაქიძისათვის, თეორიის საზღვრებს გასცდა და რეალობად იქცა. საქართველოში მცხოვრები წვრილი მესაკუთრეები „რადაც განგებით (თუ გაუგებრობით!)“ სოციალისტურ პარტიას მიემხრნენ. სოფლებში ანარქია გამეფდა, მაშინ, როცა საჭირო იყო გაერთიანება. ის, რომ გლეხისათვის სულერთი გახდა, ვინ იქნებოდა ბატონი – რუსი თუ თათარი – ეროვნული დეკადენსის ნიშანია. კაცობრიობის ისტორია კლასობრივი ნაყოფი როდია, როგორც ფიქრობდნენ სოციალისტები, რობაქიძისთვის უფრო მნიშვნელოვანია ეროვნება. ერი მთელია, კლასი კი ნაწილი. ქართველს ამ ნაწილის წარმოდგენა, გაგება უფრო გაუადვილდა, ვიდრე მთელის, რადგან, ავტორის აზრით, “საქართველოს სხეული

\* ჟორჟ ბენუამინ კლემენსო (1841-1929) – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და ჟურნალისტი.

საფრანგეთის პრემიერ მინისტრი 1906-1909 და 1917-1920 წწ.

ისტორიულად დაავადებულია” (საქართველო 1918თ:2). სოციალიზმის მიმხრობაც ეროვნულ დეკადანსს ამჟღავნებს.

ამდენად, ქართველობას გამოჯანსაღება სჭირდება. ასეთ დროს ერის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზას აირჩევენ პოლიტიკოსები: კლასობრივს ანაცვალებენ ეროვნულს, თუ, პირიქით.

გრიგოლ რობაქიძე თავზარდაცემულია იმით, რომ კლასობრივი ბრძოლის თეორიამ პრაქტიკული განხორციელება დაიწყო საქართველოში. თავს ესხმიან, აყანალებენ, ხოცავენ მემამულეებს, ამოწყვიტეს ციციშვილები, მაღალაშვილები, თურქესტანიშვილები... დაარბიეს ამირჯიბები, ბაგრატიონ-დავითაშვილები... რობაქიძე გაოგნებულია – როგორ წავიდა შეგნებული გლეხი კონსტანტინე ამირჯიბის წინააღმდეგ; იმის წინააღმდეგ, ვინც მთელი სიცოცხლე სოფელს შესწირა იქ ევროპული ცოდნა-გამოცდილების შესატანად და რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში ავლევი უმშვენიერეს კულტურულ სოფლად აქცია.

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ყოველმა ჩვენგანმა ქვეყნის ფიზიკურ დაცვაზე უნდა იზრუნოს. „თუ სამოქალაქო ომში ჩვენ ერთი მეორეს დაგუწყეთ ხოცვა, მაშინ რაღათ გვინდა ან ეროვნული თავისუფლება და ან რაიმე სოციალი იდეალის განხორციელება“ (საქართველო 1918თ:2). თითქოს მარტივი რიტორიკული შეკითხვაა, რომლის პასუხიც ყველამ იცის, მაგრამ, ფაქტია, რომ მას მერეც ბევჯერ დაგვჭირდა ამგვარი შეგონება, თუმცა მაშინაც და შემდგომაც ამაოდ... პუბლიცისტს ეს სიტყვები სასხვათაშორისოდ არ უთქვამს.

სოციალისტებს ძალიან უყვარდათ ლოზუნგები, რომლებიც მყვირალა სიტყვებით გამოირჩეოდა. გრ. რობაქიძეს ასეთი მოწოდებები მრავალი ბოროტების წარმომშობად მიაჩნდა. ბატონები გლეხებს „ყვლეფენ“, „სისხლს სწოვენ“... ისმენდნენ ლოზუნგებს ქართველი გლეხები და ბოლძით ივსებოდნენ. ისმენდნენ ლოზუნგებს და ღვაწლის, დამსახურების, ასაკის მიუხედავად არბევდნენ, ხოცავდნენ ინტელიგენციას, ანთხევდნენ გესლს. ეს მაშინ, როცა ერის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ავტორი მენშევიკებს, მათივე პროგრამიდან გამომდინარე, აკისრებს აგრარული საკითხების მოგვარებისა და აზვირთებული ანარქიის ჩაცხრობის მოვალეობას. თუ ერი სოციალურ წინააღმდეგობათა გაღრმავებას გაჰყვება, თან გადაჰყვება. ეროვნული თვითდამკვიდრება საშურად, სოციალური რევოლუციის ქადაგება კი უადგილოდ მიაჩნია რობაქიძეს.

ამ საერთო უბედურებას თან ერთვოდა აჭარის გაუცხოება, რომელიც შეიძლება, საბედისწერო გამხდარიყო საქართველოსთვის. პუბლიცისტი დააფიქრა იმ ფაქტმა, რომ ღვიძლი ძმა ვეღარ ცნობდა ქართველებს. საქართველოსა და აჭარას შორის არის უფსკრული ისლამი. ავტორის მტკიცებით, ეს არ არის მხოლოდ რჯული, ეს თავად ეროვნებაა. „ისლამში გადასული სული ეროვნულად გვარდება“ (საქართველო 1918კ:2). ამასთან, შეიძლება, ქართულმა ეროვნულმა სულმა ვერ გაუძლო ძლიერ ისლამურ



გაგლენას და აჭარელში რჯულმა სძლია ეროვნებას. ალბათ, ამიტომაც არის, რომ „აჭარელი თავის თავს „თათარს“ უწოდებს, – თუმცა, გვარიანი ქართული სიტყვით“ (საქართველო 1918ლ:2).

ეს მწარე მაგალითი ქართველობას ავალდებულებს, გამოკვეთოს, განამტკიცოს ეროვნული სული. თუმცა ჯერ ფიზიკური გადარჩენის საკითხი დგას.

გრ. რობაქიძე მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმსა და სოციალისტებს, მაგრამ სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა არჩილ ჯორჯაძისადმი. ისიც ხომ სოციალისტი იყო, მაგრამ მისი „მსოფლმხედველობის საგანი ეროვნებაა ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სამშობლო საქართველო“ (კოლხიდა 1911ჟ:2). სოციალიზმი მას ეროვნული პრობლემის გადასაჭრელად უნდოდა. არჩილ ჯორჯაძეს უზომოდ უყვარდა სამშობლო და მისი ხსნის თეორიულ გზებს ეძებდა პრაქტიკული განხორციელებისთვის, მუდამ ეროვნული პრობლემის გარშემო ტრიალებდა. რობაქიძე ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა მას, მაგრამ მთავარი სხვაა – ა. ჯორჯაძის პიროვნული მისწრაფებები, სულისკვეთება, განცდები ეროვნულთან იყო შესხეულებული. ამიტომ უყვარდა იგი გრიგოლ რობაქიძეს. „ქართველ ერს დიდი წინასწარმეტყველი ეჭირვება ცეცხლით შობილი. თქვენ მისი წინამორბედი ხართ“ (მაღლაფერიძე 2005ბ:164), – წერდა იგი არჩილ ჯორჯაძეს 1912 წელს.

საკუთარი ერის მგზნებარე სიყვარული იგრძნობა გრ. რობაქიძის ყოველ სიტყვაში. თუ რამეს აკეთებდა, ქვეყნისთვის აკეთებდა, რასაც წერდა, ერის საკეთილდღეოდ წერდა. ქართველი რასის რაინდობას უსვამდა ხაზს მუდამ. მისთვის საქართველოს ისტორია რაინდული სისხლის ისტორია იყო.

ეროვნულ დეკადენსზე იტყვის რამეს, თანვე სხვაგან აღნიშნავს: „ჩვენს რასას ჯერ წვეთი არ დასცემია. ნურცა გონია ვინმეს ვითომ დამბლის ნიშნები იყოს ჩვენი სხეულის ხერხემალში. შესაძლოა, „სისხლის გამოშვება“ გეჭირდებოდეს: დიდი ხანია, რაც არის დაგუბებული. მაგრამ თუ გამოუშვეს, ქართული ხმალი მაშინ მზის ტვერებში აპრიადდება“ (საქართველო 1918მ:2). მართებულად აღნიშნა ს. სიგუამ - „მხოლოდ გრიგოლ რობაქიძემ მიაქცია ყურადღება ერის სულის სიჯანსაღეს, უარყო გლოვა, სევდა და მომავალს მიაპყრო მზერა“ (სიგუა 2002:238).

ჩვენ ვართ ერი, სიცოცხლის გამაღმერთებელი, მოქეიფე და უდარდელი. ჩვენ ვართ ერი, რომელიც ხმლით იცავდა თავისუფლებას და მუდამ ამაყობდა თავისუფლების მძაფრი, გენებში კოდირებული სიყვარულით.

სწორედ ამ გრძნობისკენ იყო მიმართული გრ. რობაქიძის აქტუალური პრობლემური სტატიები რუსულ ქაოსზე, თავისუფლებასა და მონობაზე, ქართველობის გადარჩენაზე. „ნაკლები ცქერა პეტერბურგისაკენ, – მეტი ყურადღება თავის თავისა, – აი, სადღეისო დევიზი“ (საქართველო 1917ჟ:4).

როცა უკრაინისადმი ომის გამოცხადებას განიხილავდა როგორც ჯაჭვის ერთ რგოლს, თავისთავად, მიანიშნებდა, რომ შემდეგი რგოლი, შეიძლება, საქართველოც აღმოჩენილიყო. ხაზს უსვამდა მოსალოდნელ საფრთხეს – ბოლშევიკები, რომლებიც

ჩვენში უმცირესობას წარმოადგენენ, არ მომძლავრდნენ და საქართველოც ქაოსში არ გაახვიონო. იმისათვის, რომ კარსმომდგარი თავისუფლება არ დაეკარგათ, ქართველებს ფხიზლად ყოფნა მართებდათ. დაყრდნობა საკუთარ თავზე და არა ცქერა პეტერბურგისკენ, თავისთავადობა და არა მონობა, – ეს იყო გრ. რობაქიძის პუბლიცისტის ლაიტმოტივი.

გრიგოლ რობაქიძე შესაშური პოლიტოლოგი იყო და წინასწარჭკვრეტის საოცარი ნიჭი ჰქონდა, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ.

1917 წლის რევოლუცია თითქოს ის იყო, რაზეც საქართველოში ოცნებობდნენ. მონარქია დაამხეს, მაგრამ თავად ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია უძღური და მართვის უნარს მოკლებული აღმოჩნდა. ოქტომბრის რევოლუციამ მეტი ძალა გამოამჟღავნა. დაპირისპირების ბოლო სწორად ივარაუდა გრ. რობაქიძემ: ამ შეხლაში, ალბათ, ბოლშევიზმი გაიმარჯვებსო.

გრიგოლ რობაქიძე ზუსტ პროგნოზებს აწვდიდა საზოგადოებას, მაგრამ მისი ხმა უდაბნოში არავის ესმოდა. პუბლიცისტი მაინც ერთგულად მოღვაწეობდა, ეროვნული პათოსის გამოღვიძლებას ცდილობდა, რათა ფანტასმებს არ დაეხინდა საღი აზრი, შეხედულება, ემოცია...

აქტუალური, უმნიშვნელოვანესი და უახლესი, მიმდინარე მოვლენების დრმა ანალიზი, პარალელები და ეჭვშეუტანელი დასკვნები, – ეს გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკაა. სხვათა შორის, მწვავე წერილებს ხელს აწერს თავისი ცნობილი ფსევდონიმით – გივი გოლდენდი.

ცოტა ხანში გრ. რობაქიძე საქართველოს მთავრობის კანცელარიაში იწვევს სტილისტად მუშაობას, მთავრობის დადგენილებებს ენის ნორმების მიხედვით ამუშავებს.

წლების შემდეგ იგი საბჭოთა მწერლების ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნება. გასაოცარია, იგი ხომ ბოლშევიზმის მუდმივი მოწინააღმდეგე იყო. სოციალისტები კი ძველ წყენას ადვილად არ ივიწყებდნენ. თუმცა, გავა კიდევ რამდენიმე წელი და გრიგოლ რობაქიძეს ხალხის მტრად გამოაცხადებენ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მას რეპრესირება არ ასცდებოდა, რაშიც, ალბათ, თავადაც არ ეპარებოდა ეჭვი. ამიტომაც დარჩა იგი საზღვარგარეთ, სადაც, მის თანამედროვეთა მოგონებებით, დროებით, მეუღლის სამკურნალოდ და თავისი წიგნების გერმანულ ენაზე გამოსაცემად იყო წასული. თუმცა, თავად ემიგრანტი 1952 წლის დეკემბერში ნიკოს კაზანძაკის\* სწერდა: 1928 წელს „მე უკვე შინაგანად გადაწყვეტილი მქონდა დამეტოვებინა საბჭოთა კავშირი... ორ წელიწადზე მეტხანს ვცდილობდი, გამომეგლიჯა თანხმობა გასამგზავრებლად. ბოლოს მივიღე იგი ჩემი დრამის „ლამარას“ წყალობით... საზღვარი

\* ნიკოს კაზანძაკისი (1883-1954) – ცნობილი ბერძენი მწერალი და ფილოსოფოსი. 1946 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე. 1956 წელს დაჯილდოვდა მშვიდობის ორდენით.

რომ გადავლახე, ისე შევებით ამოვისუნთქე, როგორც არასოდეს ჩემს ცხოვრებაში“ (მესხი 1996 : 105-107).

გრიგოლ რობაქიძე იხსნებს, თავდაპირველად როგორი პატივი და დიდება ერგო მას ევროპაში, როგორ ტკბებოდა შემოქმედებითი ცხოვრებით, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. „1933 წელს „ჩაკლული სულის“ გამოჩენის შემდეგ (ბოლშევიკებმა რ. გ.) მთელ ევროპაში გაავრცელეს სატანურად ჭკვიანური აზრი, რომ მე გერმანელი ფაშისტი ვაგხდი“ (მესხი 1996:108).

ასე ჩაიკეტა რობაქიძე გერმანიაში. საქართველოში კი ჭორებს ახალ-ახალი დეტალებით ამდიდრებდნენ: „მანდ, სამწუხაროდ, ყალბი ცნობები ჰქონიათ გრიგოლის შესახებ, თითქოს ნაცისტები იყო, ჰიტლერთან დადიოდა, კავკასიის ფრონტზე იყო და სხვა ამგვარი სისულელეები... როზენბერგთან გაიქცაო, მის მეგობართანო. თავიდან ბოლომდე სიყალბეა ეს. თქვენ ძმას თვალთ არ უნახავს ახლოს არც ჰიტლერი, არც როზენბერგი, არც სხვა არავინ... არავითარი დამოკიდებულება ჯართან გრიგოლს არ ჰქონია. არავითარ როლს არ თამაშობდა ომის დროს“ (ლიტერატურული საქართველო 1987:6), წერს „ხალხის მტრის“ მეგობარი, საქართველოში გავრცელებული ხმებით აღშფოთებული კალისტრატე სალია გრიგოლ რობაქიძის დას, ლიდა რობაქიძეს.

„სატანურად ჭკვიანური აზრის“ გავრცელებას გარკვეული ჯგუფები დღემდე აგრძელებენ. მაგალითად, ერთ-ერთ რუსულენოვან ინტერნეტ-გამოცემაში რობაქიძე მოხსენიებულია კოლაბორანტად, სამშობლოს გამცემად, რომელიც საქართველოში გმირად იქცა. ავტორის აზრით, ცნობილი მწერლის მიერ ჰიტლერისთვის მთელი წიგნის მიძღვნას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. პოპოვი ასევე აკვნის, რომ ქართველ კოლაბორანტებს გერმანელი ნაცისტები განსაკუთრებულად ენდობოდნენ. ამის დასტურად თუნდაც შემდეგი პასაჟი გამოდგება: «Как свидетельствовали несколько попавших в советский плен грузинских легионеров вермахта, перед отправкой на фронт их напутствовали Геринг и Робакидзе. Первый говорил о том, что они должны изгнать из Грузии евреев и большевиков, второй упоминал об одних большевиках. Но не хочется на этом основании утверждать, что, дескать, эмигрантский классик был скрытым антинацистом или по крайней мере противником антисемитизма» (პოპოვი 2009).

უცხოეთში გადახვეწილ მწერალს ფაშისტად და ქვეყნის მოღალატედ გამოცხადება არ აკმარეს, მეგობარ მწერალთა გამოსხაურებაც დაურთეს გულის სატკენად. გაზეთში დაბეჭდილ ამ ცნობილ გამოსხაურებაში მწერლები ისეთი სიტყვებით მოიხსენიებდნენ რობაქიძეს, როგორც, ირაკლი აბაშიძის თქმით, მათ გულშიც არასდროს გაუვლიათ თავიანთი ნამდვილი მოწინააღმდეგეების, მტრების მიმართაც კი. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება ამონარიდი ირაკლი აბაშიძის მოგონებებიდან „ზარები

ოცდაათიანი წლებიდან“. ანდრეი ბელი\* იხსენებს: «...Отмечу, чем я восхищён в моих новых друзьях: ни штриха самомнения, самости, или желания первенствовать; постепенно Яшвили подчеркивает: «Я-то что: Тициан, - вот в чём сила». Табидзе же кивает: « не я, а Паоло». И оба твердят: «Робакидзе, - как жаль, что разъехались с ним» (საქართველოს რესპუბლიკა 2003:4).

ეს ის სიტყვებია, რომლებსაც, ვფიქრობთ, კომენტარი არ უნდა დაერთოს.

---

\* ანდრეი ბელი (ნამდვილი სახელი – ბორის ბუგაევი) (1880-1934 წწ) – ცნობილი რუსი პოეტი, ნოველისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი.

## IV თავი

### ენა, ლიტერატურა, თეატრი

გრიგოლ რობაქიძეს ან აღმერთებდნენ, ან მწვავედ აკრიტიკებდნენ; მისი ახალი იდეები ან მოსწონდათ, ან მიუღებლად თუ გაუგებრად მიაჩნდათ. მასთან ხშირად იმართებოდა პოლემიკა სხვადასხვა საკითხზე.

გრიგოლ რობაქიძის ლექციების გამო გამართული პოლემიკა ნაშრომის პირველ თავში მიმოვიხილეთ, ახლა კი გვინდა, შევეხოთ კიდევ ერთ პოლემიკას სონეტის შესახებ.

გრ. რობაქიძეს და ი. გრიშაშვილს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ამას მოწმობს პირადი წერილები, მოგონებები... გრიგოლ რობაქიძე საკმაოდ მაღალი აზრის იყო გრიშაშვილის შემოქმედებაზე, რის დასტურადაც გამოდგება მისი „ფოთლები“, რომელშიც პოეტის საქებარი სიტყვები უხვად შეგვხვდა.

გავიდა სულ რადენიმე წელი და სონეტის, როგორც ჟანრის ირგვლივ ატეხილი დავის დროს ისინი ერთმანეთის შემოქმედებაზე სხვაგვარად ალაპარაკდნენ.

იოსებ გრიშაშვილმა მონოგრაფიაში „საიათნოვა“ აღნიშნა, რომ საქართველოში სწორი სონეტების შემომტანები იყვნენ კოტე მაყაშვილი, მელიტონ გობეჩია... პოეტმა გააკენწლა „ყანწელების“ ტოლუმბაში რობაქიძე“, რომელმაც აღნიშნა, საქართველოში სწორი სონეტები ჩვენ შემოვიღეთ. ამასთან, გრიშაშვილმა სონეტის სტრუქტურაზეც ისაუბრა – ბოლო დროს რუსი პოეტები სონეტის რითმას აბურთავებენ, სონეტის პირველი ნახევრის რვა სტრიქონს ოთხი სახის რითმით კი არ არ რითმავენ როგორც ეს ძველად იყო არამედ ორი სახის რითმით. სწორი სონეტის მაგალითად ი. გრიშაშვილმა თავისი სონეტები დაასახელა.

გრიგოლ რობაქიძემ თავის პუბლიკაციაში გაიმეორა ზემოთ აღნიშნული სიტყვები და პასუხად წერს, გრიშაშვილმა სონეტების არც ისტორია იცის და არც ფორმა, რომლის შესახებაც უამრავი გამოკვლევა არსებობს. მაგრამ საკმარისია ენციკლოპედიაში ჩახედვაც, რათა გაიგოს „ანბანური დებულება, რომ ძველად კლასიკური სონეტის რვა სტრიქონი იყო გართიშული ორთა რითმით და არა ოთხით“ (საქართველო 1918:3).

სონეტი გოტიკურ ნაგებობას ჰგავს. იგი უნდა გამოიჭედოს ფოლადის მსგავსად. გრ. რობაქიძე ამტკიცებს, რომ საქართველოში მოდერნისტებამდე დაწერილი სონეტები არც „გარე-მხარით“ და არც „შინა-მხარით“ სონეტებს არ წარმოადგენდა. რაც შეეხება გრიშაშვილს, მას „ყარაჩოღღური“ სტილი უფრო ეხერხება, ვიდრე გოტიკის ნათელი და მტკიცე მარმარილო.

იოსებ გრიშაშვილმა გაიკვირვა, რომ მისი „ფაფუკი შენიშვნა“ ყურად არ იღეს – გამომდგარა და აქ „პასუხებს“ მიწერსო. იწყინა, სონეტების ისტორიის უცოდინარობა როგორ დამწამესო და შემდეგ, ცოტა არ იყოს, კმაყოფილებითაც კი დასძინა: „ვინ არ იცის, რომ მე, გრიშაშვილი ერთი „უდიპლომო“ ბიჭი ვარ და ჩემი კისრის აფსკა

ფილოსოფიურ ქობინებით არ არის ნაცემ-ნაგვემი“ (სახალხო საქმე 1918ა:3). ეს დასაძრახი არ არის, ავლაბრის კოლორიტს, შეიძლება, არც სჭირდებოდა ფილოსოფიური განათლება, მაგრამ თავმოსაწონიც არ უნდა იყოს... ყოველ შემთხვევაში, ეს ხელს არ უშლის გრიშაშვილს, განსწავლულ რობაქიძეს ყურის ახევით დაემუქროს: უდიპლომოზა „კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს მე არ შემეძლოს ვეროპულად განსწავლული რობაქიძე ტყუილში დავიჭირო და ყურახეული მივიყვანო იმ საბუთებთან, რომელიც მას ასე ძალიან ეჯავრება“ (სახალხო საქმე 1918ბ:3). ეს საბუთებია ჰაინეს სონეტების რუსული თარგმანი, რომელზე დაყრდნობა მაშინ, როცა ორიგინალი საწინააღმდეგოზე მეტყველებს, არა გვეგონია, საბუთად ვარგოდეს.

რაც შეეხება სონეტის ფორმის შესწავლას, რომლის წყაროდაც, სულ მცირე, ენციკლოპედია მიუთითა გრიგოლ რობაქიძემ, იოსებ გრიშაშვილი გვერდს უკლის და გამოღმა ედავება, თქვენ და თქვენისთანები ენციკლოპედიების, ლექსიკონების საშუალებით წერთ ლექსებს, რომელთაც არც სული აქვთ და არც გულიო.

მართალია, გრიშაშვილი საბუთებთან ყურახეულად მიყვანას ჰპირდებოდა რობაქიძეს, მაგრამ ეს წერილი სიტყვის ბანზე აგდება უფროა, ვიდრე გულდაჯერებული პასუხი. ამის მიუხედავად, ნიშნისმოგებით ამბობს: ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთო! რადგან გაბედეთ და ბანაობა დაიწყეთ, თრთოღვასაც უნდა გაუძლოთო. გრიგოლ რობაქიძემ კი აუთრთოლებლად განაგრძო პოლემიკა. განიხილა ქართული სონეტები და ამით მიუთითა გრიშაშვილს შეცდომაზე. მოკლედ შეეხო მათს შემოქმედებას, ვინც პირველი ქართული სონეტების ავტორებად მიაჩნდა იოსებ გრიშაშვილს.

მაგალითებითა და მოკლე შეფასებებით პოლემისტი იოლად ამტკიცებს, რომ სწორ სონეტად ვერც ერთი მათგანი ვერ ჩაითვლება. სხვათა შორის, სწორ სონეტებად არ მიიჩნევენ ტიცინანისა და გალაკტიონის ადრეულ ლექსებსაც (საქართველო 1918ო:3).

ეს საუბარი უსიამო აღმოჩნდა გრიშაშვილისათვის. „მოდი, ლექსის პოეტურობას თავი დავანებოთ, ვინაიდან მე ყველაზე მეტად ლექსი მიყვარს და თუ ღმერთი გწამთ, ნუ შემაძულებთ მასა!“ (სახალხო საქმე 1918გ:2).

ლექსის სიყვარულს ვინ დაუშლიდა, გრ რობაქიძე ამისთვის კი არ ეკამათებოდა, არამედ, პირიქით, ლექსის ღირსებების ხაზგასასმელად, ღირსებების, რომლებიც არ უნდა დაინრდილოს არასწორი ფორმით, გამეორებული რითმით, სუსტი შინაარსით...

ერთი სტროფი გრიშაშვილის „სონეტიდან“:

„დაჰქრის სიო ფრთაგაშლილი,

ჭავლს ატოკებს, აბუტბუტებს;

ვარდი გულ-მკერდ გაღვლილი

თვალ-ქუქუნა ნამს იხუტებს“... (საქართველო 1918ჰ:3).

ყოველი ადამიანი, რომელმაც დიდიგანტის დონეზე იცის, თუ რა არის სონეტი და როგორი უნდა იყოს იგი, იტყვის, რომ ეს ლექსი მართლაც ვერ ივარგებს სონეტის

ნიმუშად, რობაქიძის შეფასება კი მკაცრად მოკვეთილია: – აქ არც „ნელი სიმძიმე“ იგრძნობა, არც „ჭედი“, აქ მხოლოდ „ცინდრიკიაო“.

ტიციანი და გალაკტიონი თავიდანვე უარყოფდნენ ადრეული ლექსების სონეტობასო, – თქვა გრ. რობაქიძემ და ი. გრიშაშვილმა პასუხად, ცოტა არ იყოს, ავლაბრულ კილოზე იქილია:

„დაშხოშ, ბიჭო!

რა კარგია და!

ამ პოეტებმა მარტო იმიტომ უარყვეს თავიანთი სონეტები (არა ორფა რითმით აკინძულნი), რომ რობაქიძისათვის გაეადვილებინათ სხვათა გაფასება“ (სახალხო საქმე 1918დ:3).

ლოგორც ჩანს, „აღა-ბატონის“ მიერ დაშინებულებს უფიქრიათ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო და უარუყვიათ თავიანთი ლექსები...

ასე საბრალოდ, დესპოტ რობაქიძის ქეშიკ-მსახურებად დაგვიხატა გრიშაშვილმა ტაბიძეები. „აღა-ბატონმა“ კი ამაყი პოზით უპასუხა: „მე არასოდეს არც არავის „აღა-ბატონი“ არ ვყოფილვარ და არც მინდა ვიყო; და გრიშაშვილმავე უნდა იცოდეს, რომ „ყანწელები“ ხათრით არაფერს აკეთებენ“ (საქართველო 1918ჟ:3).

„ჩათრეული“ თუ „ჩაყოლილი“ ტიციანიც გამოხემაურა გრიშაშვილს: „... ჩემს ბავშვურ შეცდომებს (არასწორ სონეტებს რ. გ.) სიყვარულით ვიგონებ... არავის ხათრით არც მე და, მგონია, არც გალაკტიონ ტაბიძეს არ უარგვიყვია ჩვენი ძველი სონეტების შეუსაბამობა. ეს საკუთარი ანალიზის შედეგია... გრიშაშვილი რომ ამგვარი ანალიზის ნიჭს საესეებით მოკლებული არ იყოს, მთელ თავის წიგნზე აიღებდა ხელს“ (საქართველო 1918რ:3).

წიგნზე არა, მაგრამ პოლემიკაზე ნამდვილად აიღო ხელი იოსებ გრიშაშვილმა. მოგვიანებით, 1920 წელს მას გამოუჩნდა დამცველი ფაშალიშვილის სახით.

გრიშაშვილისადმი რობაქიძის „გადამტერებას“ ასე ხსნის ფაშალიშვილი: რობაქიძეს პოეტთან „მოუვიდა პირადი უთანხმოება (ქუთაისში გამართულ სადამოხე), შემდეგ, კამათის დროს (სონეტის შემოტანის თაობაზე), გრიშაშვილმა დაამარცხა რობაქიძე. მერე ფაშალიშვილმა დასწერა ორი წერილი „შვილდოსნელთა“ შესახებ, სადაც რობაქიძის პოეტურობა ავად მოიხსენია და ეს გახდა მიზეზი რობაქიძის სამუდამო გადამტერებისა“ (სახალხო საქმე 1920ა:2-3).

პასუხად გრ. რობაქიძე განმარტავს, რომ გრიშაშვილის სადამოხე ქუთაისში უთანხმოება მოუვიდა სერგო კლდიაშვილთან და არა გრიშაშვილთან. ხოლო რაც შეეხება მის დამარცხებას გრიშაშვილთან პოლემიკის დროს, „ვისაც სონეტი უყვარს და მისი ფორმის რამე ესმის, მას ეს მოთხზული ამბავი სიცილადაც არ ეყოფა“ (საქართველო 1920ბ:3). ფაშალიშვილის ფელეტონები კი თვალითაც არ უნახავს და არ აინტერესებს.

საუბარი იმაზე, რომ რობაქიძე პირადი ინტერესების გამო წერს კრიტიკულ შენიშვნებს, ფუჭია. მაგრამ ფაშალიშვილს მომარჯვებული აქვს ერთი ფაქტი, რომელიც

ადრე ჩვენც აღვნიშნეთ: რობაქიძე უწინ აქებდა გრიშაშვილს, ახლა კი აკრიტიკებს და ასამარებს. მართალია, ცვლილებებისაგან დაზღვეული არის, მაგრამ ფაშალიშვილი ამ ფაქტს თავის სასარგებლოდ ხსნის: „რობაქიძე გაგვიპოეტდა და ამ დარგში დაიწყო „ბაზრის“ ძიება. და ... შეუდგა გრიშაშვილისა და მის თანამოკალმეთა „გაბახეებს“ და „დასამარებს“ (სახალხო საქმე 1920ბ:2).

გრიგოლ რობაქიძე ის კაცი არაა, „ბაზარი“ ეძიოს და სხვაც ამისათვის ლანძღოს. „რობაქიძემ კარგათ იცის... რომ ფიქრი: „ბაზრის“ შოვნისათვის სხვა ამაგო და შენ ამაღლდე, ქვეყნიური ზრახვაა მხოლოდ, რომელიც სწვევიათ კაცუნებს“ (საქართველო 1920გ:3).

გვიან, ემიგრაციაში, გრიგოლ რობაქიძე ისევ გაიხსენებს გრიშაშვილს.

ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილ ლექსში იოსებ გრიშაშვილს ასეთი რამ წასცდენია: უბრძანე მტკვარს, უკან იწეებს დენასო.

1954 წელს რადიო „თავისუფლების“ ეთერით ქართველი მწერლებისადმი მიმართვისას გრიგოლ რობაქიძემ გაიხსენა ეს ფაქტი. „მტკვარი თავის დენას განაგრძობს, მბრძანებელი კი იმ სოფლისაკენ გაისტუმრეს ისე, რომ ამსოფლად ხსენებაც იქნა მისი აღმოფხვრილი. გრიშაშვილი, ალბათ, თითებს იკუნეტს ახლა და ამბობს: რამ დამაწერია ეს უხამსი რამო“. გეტყვით: დააწერია იმ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ, სადაც ყველაფერი აკრძალულია, რაც არაა ნაბრძანები“ (ჩემთვის... 1996ბ:61).

ხუთიოდე წლით ადრე კი ჟურნალში „ბედი ქართლისა“ დაიბეჭდა „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“. გრ. რობაქიძე იხსენებს „კუროსს“: „ერთს მგოსანს რომელიც მის პაწა პოეტურ სამთავროში პოეზიისა ეხლაც მაესტროდ ვთვლი და ახლაც მეგობრული გრძნობით ვიგონებ შორიდან ერთი რვასტრიქონიანი შაირი სონეტად გამოეცხადებინა. გამიწერა ღმერთი და ერთს მიმოხილვაში ღიმილით „ჩავაწვეთე“: თუ არ იცის, რამდენ სტრიქონიანი უნდა იყვეს სონტი, ენციკლოპედიურ ლექსიკონში მაინც ჩაიხედოს-მეთქი. ასტეხა დავა თურმე ამაზეც შესაძლებელი ყოფილა კამათი საქართველოში ატყდა დავა და მერე რა დავა!“ (ჩემთვის... 1996გ:81).

სხვათა შორის, არ ასახელებს იმ მგოსანს.

როგორც ვხედავთ, დრომ, მანძილმა, ძველმა მეგობრობამ მაინც სითბოთი მოაგონა გრიგოლ რობაქიძეს აშუღი პოეტი იოსებ გრიშაშვილი.

გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ სონეტზე როდი მსჯელობდა, იგი მუდამ ცდილობდა, ყოფილიყო იქ, სადაც სჭირდებოდა ახალ ქართულ ლიტერატურას. რადგან იცოდა, რომ ქართველი ერისთვის მწერლობა არ იყო მხოლოდ და მხოლოდ „სიტყვიერება“ არ იყო. მისთვის მწერლობა ბევრად მეტს ნიშნავდა – ქმნიდა მწერლობას და ცოცხლობდა მისით. თავადაც ხომ ქართველი ერის ნაწილი იყო და არც მისთვის წარმოადგენდა მწერლობა მხოლოდ სიტყვიერების სფეროს. განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა ყოველ ქართულ სიტყვას, ზრუნავდა მწერლობის განვითარებაზე მთელი არსებით



პრაქტიკული მოღვაწეობითა თუ თეორიული ძიებანით. ამიტომაც უწოდებდნენ ხელოვნების ქურუმს.

გასული საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში გრიგოლ რობაქიძემ თავისი თანამედროვე მწერლობის პოეზიისა და პროზის მიმოხილვა განიზრახა. მას სურდა, გამოეკვეთა ტენდენცია მე-20 საუკუნის მწერლობისა, რომელიც ის-ის იყო ჩამოყალიბებას იწყებდა, თუმცა, კარგად იცოდა, როგორ რთულ საქმესთან შეჭიდება განიზრახა. ახალგაზრდა მწერლებისადმი მიმართვას გრ. რობაქიძე არჩილ ჯორჯაძის დამოწმებით იწყებს: ჩვენს უახლოეს მწერლობას გარკვეული სახე არ უჩანს და მისი კრიტიკული განხილვა ჯერჯერობით თითქმის შეუძლებელიაო (კოლხიდა 1912 კ2:3). თუმცა, 1912 წელს გრიგოლ რობაქიძე უკვე ხედავდა, რომ მწერლობა „ბუნდოვანი ქაოსიდან“ გამოდიოდა და თანდათან, ნელ-ნელა აყალიბებდა თავის სახეს. ამიტომ გადაწყვიტა ზოგადი ტენდენცია გამოეკვეთა და მიმართა მწერლებს (ი. გრიშაშვილს, ს. შანშიაშვილს, ა. ჭუმბაძეს, ა. აბაშელს, გ. ქუჩიშვილსა და სხვებს), მიეწოდებინათ თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებები. მაშინ გრიგოლ რობაქიძე პეტერბურგში იმყოფებოდა.

ეს მიმართვა თებერვალში დაიბეჭდა გაზეთ „კოლხიდაში“. ავტორი ვარაუდობდა, რომ მაისის ბოლოსთვის სამუშაოს ძირითად ნაწილს დაასრულებდა. იმაზე, თუ როგორ დააინტერესა მისმა წინადადებამ ახალგაზრდა შემოქმედები, შემდეგი ფაქტი მეტყველებს

თექვსმეტმა მწერალმა რამდენიმე თხზულების ნაცვლად თითქმის ყველა ნაწარმოები გაუზავნა კრიტიკოსს. გრიგოლ რობაქიძემ, ბუნებრივია, ამ ზღვა მასალის შესწავლა-დამუშავება ორ-სამ თვეში ვერ მოასწრო. ივნისში მან ისევ მიმართა მწერლებს ღია წერილით და აუხსნა, თუ რატომ ვერ შეძლო დანაპირების შესრულება, რატომ ვერ დაუბრუნა ავტორებს მაისის ბოლოს ნაწარმოებები (კოლხიდა 1912კ3:3). ამის შემდეგ გრ. რობაქიძის ჩანაფიქრის შესახებ პრესა დუმს, თუმცა, ხელოვნების ქურუმი თუ ერთიანად არა, ნაწილ-ნაწილ მაინც მუდმივად მიმოიხილავდა ქართველ მწერალთა შემოქმედებას. ზოგს აკრიტიკებდა მისი დახვეწა-დაოსტატების მიზნით, ზოგსაც დამსახურებისამებრ აქებდა. ამას გარდა, იგი თეორიულ საკითხებსაც იკვლევდა და ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზის განსაზღვრას ცდილობდა.

გრიგოლ რობაქიძეს არ ასვენებდა ქართული სიტყვა. იგი ამაცობდა ძველი ქართული არქიტექტურით, ქართველთა “თვალღია სიზმრების” ამსახველი ფრესკებით, ტაძრებით, მუნჯი ქვები რომ ლოცვებად აამეტყველა, გამორჩეული მრავალხმიანი სიმღერით და იმ ყველაფრით, რაშიც ქართველობის ქართველობა მკლავდებოდა... მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი ქართული სიტყვის ტრფიალი გახლდათ და სწამდა, რომ მისი ბადალი ძვირად თუ სადმე არსებობდა... სწორედ ქართული სიტყვის პლასტიკურობა, მოქნილობა, შეახსენა მწერლებს თავის ერთ-ერთ წერილში, სამშობლოსადმი მიძღვნილ მცირე ოდას რომ ჰგავს. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს თანამედროვე მწერალთა ნაწილს პატრიოტიზმის ნაკლებობა შეამჩნია და ამიტომაც დასჭირდა, მათთვის საგანგებოდ ჩამოეთვალა საქართველოს ღირსებები. ეს, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ 1917

წელი იდგა, ბოლშევიზმის მოძალების ქამი. არავინ იცოდა, ისტორიული ქართველები საით გადასწონიდა საქართველოს.

გრიგოლ რობაქიძე კი ისე უფრთხოდა ბოლშევიზმს, როგორც კეთრს. რუსეთში გამეფებულ ქაოსში საქართველოც რომ არ „ათქვეფილიყო“, ალბათ, საჭირო ჩათვალა, კიდევ ერთხელ შესებოდა მწერლების (რომლებიც, სავარაუდოდ, ამ საქმეში თავის საუკეთესო მოკავშირეებად ეგულებოდა) გრძნობებს, მათს სიყვარულს სამშობლოსადმი.

„აღმოსავლეთისა და დასავლეთის საიდუმლო უღელტეხილი“ ასე მოიხსენიებს ავტორი მამულს, რომელსაც დღეს ხშირად დერეფანს უწოდებენ. მართალია, პოლიტიკაში პოეტურად აფერადებულ სიტყვებს ნაკლები ფასი აქვს, მაგრამ, დამეთანხმებით, ჩვენს ქვეყანას „საიდუმლო უღელტეხილი“ უფრო მიესადაგება, ვიდრე „დერეფანი“. ამ უღელტეხილზე მცხოვრები ხალხი, გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, აღმოსავლეთის „ფიქრმორეული შუადღით“ იწვის და დასავლეთის „საშიშარ სიცხადეს“ ერთვის. „ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს – და ნადიმი იგი მთავარი პანგია ჩვენი ნაჭედი სიტყვისა“ (საქართველო 1917ხ:3).

გრ. რობაქიძეს საქართველოს დამოუკიდებლობა სურდა, სხვაგვარად ჩვენი არსებობა ვერც წარმოედგინა. ქართველ მწერლებსაც მოუწოდებდა, იმ ძნელბედობისა და გაურკვევლობის ქამს ქედმაღლებს წარმოეთქვათ თავდაჯერებით, რომ საქართველო საკუთარ თავს, ფუნქციას ისევე იპოვიდა და მსოფლიოს თავის ნამდვილ სიტყვას ეტყოდა.

სამშობლოზე საუბრისას წერილში ქართველი ფილოსოფოსის თანამდევნი ნიცშე და დიონისეც იხენს თავს. ავტორის რწმენით, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ზარატუსტრას შეუძლია დაბადება, სადაც სულს წამება გამოუცდია, გულს კი – ცეცხლი. „წამება ჩვენი დიონისოს ვნებაა და ცეცხლი ჩვენი სიცოცხლის გენია... წამება და ცეცხლი. ამ ორ სიტყვაში მოქცეულა მთელი ჩვენი სიცოცხლე. მაშ, რა გვიშავს: პირველი გაგვწმენდს ღვთიური მსხვერპლისთვის, მეორე მოგვასხამს ალისფერ მოსასხამს“ (საქართველო 1917ჯ:3).

ამ სიტყვების დაწერიდან ოთხი წელიწადიც არ იყო გასული, როცა საქართველო ნამდვილად გაჰხვიეს წითელ მოსასხამში, ოღონდ იმაში, რომლისგანაც ერის გარიდებას მთელი ძალ-ღონით ამოღ ცდილობდა გრიგოლ რობაქიძე.

ზემოთ თეორიული საკითხების კვლევა ვახსენეთ. ერთ-ერთ წერილში გრ. რობაქიძემ ქართული ლექსი მიმოიხილა და რითმას ჩაუღრმავდა. სათქმელი სტეფან მაღარმეს სიტყვებით დაიწყო: ლექსი არის ენაში ყველგან, სადაც არის რიტმი, ყველგან, აფიშებისა და მეოთხე გვერდების გარდაო (საქართველო 1918ს:2). ფრანგი სიმბოლისტის აზრით, ის, რასაც პროზას უწოდებენ, სინამდვილეში არც არსებობს, რადგან იქაც არის რიტმი, ანუ ისიც ლექსია. მართალია, რითმის სრულიად უარყოფას გრ. რობაქიძე არ ეთანხმებოდა, მაგრამ ისიც ფიქრობდა, რომ მთავარია რიტმი „ლექსის შინაგანი აღნაგობა“ და არა რითმა – ლექსის სამკაული. ამით ხსნიდა იგი გაურითმავი ძველი ქართული სასულიერო პოეზიის პოეტურობას.

ქართულ ლექსს მდიდარი რითმა ამკობს, მაგრამ რობაქიძის თვალში ამას ფასი ეკარგებოდა. მისი აზრით, პოეტებს რითმით ხშირად რიტმი აქვთ დამსხვრეული (ამ მხრივ, შეუცდომელ გამონაკლისად მხოლოდ რუსთაველს მიიჩნევდა). ბესიკიცი კი, რომელიც ლექსის ტექნიკის ცოდნის თვალსაზრისით, დიდოსტატად მიიჩნდა, ურევდა ქალურ და ვაჟურ რითმებს.\* ავტორის მტკიცებით, ამ შეცდომისგან დაზღვეული არ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილიც. გრ. რობაქიძეს მაგალითად მოჰყავს რითმა – მერანი-ყორანი-და შეცდომას განმარტავს: „პირველი იწყება მახვილით „ე“, მეორე – მახვილით „ო“. (საქართველო 1918ტ:2).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრ. რობაქიძის აზრით, რუსთაველის გარდა ასე ყველა ქართველი პოეტი სცოდავდა. ქართული ლექსის კოჭლობა „ცისფერყანწელებმა“ იგრძნეს, მაგრამ ვერ უშეუღეს. „იმის მაგიერ, რომ რაიმე გზით გამართონ იგი, ისინი ლექსის წარმოთქმაში მახვილს გადასმენ ხოლმე არაბუნებითად... ესე იგი, ქალურს რითმას აქცევენ ვაჟურად, მაგრამ ამის გამართლება შეუძლებელია“ (საქართველო 1918უ:2). ეს ალბათ, ერთადერთი მკაცრი საყვედურია, რომელიც მეგობარ „ყანწელებზე“ ოდესმე დასცდენია გრიგოლ რობაქიძეს.

რითმასა და რიტმზე დაფიქრებული ლიტერატორი შეცდომების აღნიშვნის შემდეგ რჩევასაც აძლევს პოეტებს: ვაჟური რითმა ცალკე სიტყვებით უნდა იჭრებოდეს ლექსში, თანაც თანასწორ მახვილიანი ხმოვნით იწყებოდესო. რაც შეეხება ქალურ რითმას, გრ. რობაქიძის აზრით, ცალკე სიტყვები არ არის საჭირო, რადგან სიტყვების შეერთების შემდეგ მახვილი მაინც ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის, ამდენად, რითმა ქალური გამოვა. მთავარია, მახვილით დაწყებული ხმოვანი აქაც ერთი და იგივე იყოს. ლექსის მუსიკალურობისათვის ავტორი აუცილებლად მიიჩნევს ჯვარედინ რითმებს, ოღონდ ისე, რომ „ორფა რითმა“ ქალური იყოს და „ორფა რითმა“ – ვაჟური. ქართული რითმის გამართვა იოლი საქმე რომ არ იყო, გრიგოლ რობაქიძემ კარგად იცოდა, თუმც პოეზიის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს პირობად მიიჩნდა. ამიტომაც მოითხოვდა ამ ტექნიკის დაუფლებას ახალგაზრდა პოეტებისაგან.

რიტმს, მახვილსა და რითმას ორი წლის შემდეგაც მიუბრუნდა გრ. რობაქიძე. იმ დროისათვის, მისი სიტყვით, პოეზიის ახალ სკოლას (უპირველესად, ცხადია, „ცისფერყანწელები“ იგულისხმება, – რ.გ.) ვითარება ნაწილობრივ გამოუსწორებია, ხოლო შეცდომებისგან თავის დაღწევის მიზნით წერილში რჩევებია მოცემული. ყველაზე ნაკლები ადგილი რითმას ეთმობა. გრიგოლ რობაქიძის ფორმულა ასეთია: გასართობი სიტყვები შინაარსით ერთმანეთისგან რაც შეიძლება დაშორებული უნდა იყოს, ხმოვანებით კი, პირიქით, რაც შეიძლება მეტად დაახლოვებული. მსგავსება ჰარმონიულობას ქმნის,

\* ავტორი იქვე განმარტავს, რადგან ქართულ ლექს ერთმარცვლიანი რითმა არ ახასიათებს, ვაჟურს ორმარცვლოვან რითმს ვუწოდებ, ქალურს კი – სამმარცვლიანსო.

სხვაობა კი მსგავსების იგივეობაში გადასვლას უწყობს ხელს. ავტორის აზრით, ქართულ პოეზიაში მეტისმეტად ხშირად ირღვევა ეს ესთეტიკური კანონი. გრიგოლ რობაქიძის დასკვნა კატეგორიულია – ამ პრინციპს რომ მივსდით, ქართული რითმების ცხრა მეთედი გადასაყრელია (საქართველო 1920დ:2).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლექსისთვის რითმაზე უფრო მნიშვნელოვნად გრ. რობაქიძე რიტმს თვლიდა, უშუალოდ რიტმის გამმართველად კი, უპირველესად, მახვილს მიიჩნევდა. იგი ჩაუღმავდა კიდევაც ამ საკითხს.

ქართული მახვილი იმდენად უცნაურია, რომ ზოგი ვერც ამჩნევს, წერდა. ამასთან, ქართულ სიტყვას განსაზღვრული მახვილი არ აქვს. მაგალითად, ფრანგულ ენაში სიტყვებს მახვილი ბოლოს დაესმის, ქართულში კი იგი ადგილს იცვლის: თუ სიტყვა ორმარცველოვანია, მახვილი პირველზე მიდის, თუ სამ ან მეტმარცველოვანია ბოლოდან მესამე მარცვალზე.

გრიგოლ რობაქიძის დაკვირვებით, ქართული მახვილი არც ისე მელოდიურია, როგორც არის ძველბერძნული ენის და არც ისე „აძახითი“, როგორც რუსულის. ის სადღაც მათ შორის არის მოქცეული. ამასთან, ავტორი მთავარ და „ოდნავ“ მახვილს განასხვავებს: მთავარი მახვილი, რუსულის მსგავსად, „აძახითია“, ხოლო მისი მიმყოლი „ოდნავი“ მახვილი ძველბერძნულივით მელოდიური. გრ. რობაქიძის აზრით, სწორედ ეს განაპირობებს ქართული რიტმული სიტყვის მშვენიერებას.

რიტმის გასამართავად, რაც, გრიგოლ რობაქიძის აზრით, სიტყვის ესთეტიკურ ათვისებას გულისხმობს, წერილში რამდენიმე ხერხია აღწერილი. ენაში სიტყვების სახით არსებობს როგორც მზა, ასევე „დასამუშავებელი მასალა“. რობაქიძე განსაკუთრებით არ სწყალობდა იმ სიტყვებს, სადაც ბევრი თანხმოვანია თავმოყრილი. მაგალითად, სიტყვაში „გვწვრთვნიან“ რვა თანხმოვანია ერთმანეთზე მიჯრილი. ავტორის აზრით, ასეთი სიტყვა პოეტმა ან არ უნდა გამოიყენოს, ან უნდა გაშალოს, რათა ლექსი არ დაამძიმოს. მრავალთანხმოვნიანი სიტყვების გაშლის მიზნით თვითონ ხშირად არიდებდა თავს კუმშვას. მაგალითად, წერდა „მტკვარის“ და არა „მტკვრის“. რაკი გრ. რობაქიძისთვის რიტმი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ე.წ. სიტყვების გაშლას იგი პროზაშიც მიმართავდა, თუმცა, ეს ზოგს მაშინაც არ მოსწონდა და დღესაც ეხამუშება ყურს შეუკუმშავი სიტყვები.

რიტმის დარღვევის თავიდან ასაცილებელ მეორე საშუალებად ავტორს „დაბორკილი“ სიტყვის „ხმოვან“ სიტყვებში ჩასმა მიაჩნდა. მიუთითებდა სხვა ხერხზეც: სტრიქონი თანხმოვნებშიჯრილი სიტყვით არ უნდა იწყებოდეს, თავში რიტმული სიტყვა უნდა მოქცეს, რათა მან თანხმოვნებით დაძიმებული სიტყვა თავისი ინერციის ძალით „გაიტანოს“.

წერილში „ქართული რიტმიული“ გრ. რობაქიძე რიტმის გასამართავად ერთ-ერთ ხერხად გამეორებასაც ასახელებს, თუმცა, მისი აზრით, ეს იმდენად ძნელი ხერხია, რომ მხოლოდ მეტრმა უნდა გამოიყენოს. რადგან გამეორება ახსენა, ვერ მოითმინა, სიტყვით არ

გაეშოლტა იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც, მისი მტკიცებით, ეს ხერხი გაამასხარავა. მაგალითიც მოჰყავს: „გაიღიმა ცის ვარსკვლავმა, ცის ვარსკვლავმა გაიღიმა“ – და ასკვნის, ამგვარი გამეორება რიტმის გაშლას კი არა, ცარიელი ადგილების ამოვსებას ემსახურებო (საქართველო 1920გ:3). გრიგოლ რობაქიძეს, ალბათ, შეეძლო, სხვა ავტორთა ნაწარმოებებიდანაც მოეხმო მსგავსი სუსტი ადგილები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გრიშაშვილთან გამართული ძველი მწვავე პოლემიკის გამოძახილი და გახსენება იყო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სტეფან მაღარმესგან განსხვავებით, გრიგოლ რობაქიძე რითმის სრულ უარყოფას და მხოლოდ რიტმის შენარჩუნებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა. გავიდა დრო და ჟურნალში „ბედი ქართლისა“ ემიგრაციაში მყოფმა გრ. რობაქიძემ გამოაქვეყნა „საუბარი კარდუსთან“, სადაც წერდა, ქართული ლექსიკონიდან უნდა ამოვიღოთ სიტყვა „რიტმა“, რომელიც ანტიკურ შაირს არ ჰქონდაო. მისი აზრით, „რიტმა“ რუსულიდან დამკვიდრდა ქართულში. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა, რაკი შესაბამისი ტერმინი არ მოეძებნებოდათ, რიტმისგან განსასხვავებლად იხმარეს „რიტმა“, რაც, ავტორის სიტყვით, მორფოლოგიურად იგივე „რიტმია“. რუსულისგან ნასესხები სიტყვის ჩანაცვლებას გრ. რობაქიძე ქართული „ზმით“ ვარაუდობდა: ჩვენში სიტყვების ერთმანეთთან შეხმიანებას შაირში „მაზმას“ უწოდებდენ, შეკვეცილად ეს „ზმა“ იქნება, ხოლო გართმულის ნაცვლად შეგვიძლია, „გაზმული“ გამოვიყენოთ (ჩემთვის... 1996დ:67).

გრიგოლ რობაქიძის ეს ინიციატივა ქართულმა არ შეისისხლხორცა და „ზმასთან“ ერთად „რიტმაც“ შეინარჩუნა.

სალიტერატურო ენის ზოგიერთ ასპექტს შეეხო გრ. რობაქიძე წერილში „ქართულის გარშემო“, რაც არა ზოგადი კვლევისთვის არამედ საკუთარი თარგმანის გასამართლებლად დასჭირდა.

ქართული ზმნა პირის ფორმებს მკაფიოდ გადმოსცემს, მაგრამ როცა სტილი მოითხოვს, რობაქიძე ხშირად იყენებს პირის ნაცვალსახელებს. მაგალითად, ოსკარ უაილდის „სალომეში“ აღწერილი ავხორცობის, სიგიჟისა და სიკვდილის გადმოსაცემად მთარგმნელმა პირის ნაცვალსახელები ჭარბად გამოიყენა. გრიგოლ რობაქიძემ ამ ხერხს ავტორისეული რიტმის შესანარჩუნებლად მიმართა.. იმ ოპონენტთა საყურადღებოდ, რომლებმაც ნაცვალსახელთა სიმრავლე არ მოიწონეს, მთარგმნელმა ასეთი არგუმენტი მოიშველია: „ქართულ მწერლობაში ფსალმუნი დავითისა შედევერად ითვლება. აღმოსავლეთ რელიგიური ღირიზში ქართულ თარგმანში უმძაფრესი სურნელებით არის გადმოცემული. და მერე?! მთელი ფსალმუნი დავითისა პიროვან ნაცვალსახელების აკცენტუაციით არის ასულდგმულეული“ (საქართველო 1920გ:3). რაც შეეხება კონტრარგუმენტებს, რომ ძველი მწერლობის ენა მე-20 საუკუნეში ნაკლებად მისაღებია, გრ. რობაქიძე არ იზიარებდა. ჯერ ერთი, „სალომე“ ბიბლიის წიაღიდან იშვა, ამდენად, მასში ბიბლიური სურნელი უნდა იგრძნობოდეს. მეორეც, ავტორის მტკიცებით, ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა მკვეთრად არ არის გაყოფილი, ენათმეცნიერებს არ დაუდგენიათ, რომელი ფორმაა სავალდებულო, რომელი – უარსაყოფი. რადგან ქართული

ენის ნორმები იმ დროისთვის საბოლოოდ შემუშავებული არ იყო, გრიგოლ რობაქიძე ძველი და ახალი ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით ნაკლებ კატეგორიულობას მოითხოვდა მე თუ „ვეცხლს“ ვხმარობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველამ უნდა გამოიყენოს, მაგრამ არც იმის უფლებას აძლევს მარუთა შუაშდინარელს, რომ ამ ძველ ფორმს დასცინოსო, წერს ავტორი წერილის მეორე ნაწილში (საქართველო 1920ხ:3). დაბოლოს, გრიგოლ რობაქიძე კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ „სალომეს“ თარგმნისას სიტყვების ძველი ფორმების გამოყენება გამართლებული იყო „ბიბლიის“ სტილის გადმოსაცემად.

ენათმეცნიერის როლთან ერთად გრიგოლ რობაქიძე ბიბლიოგრაფისა და რეცენზენტის ფუნქციებსაც ითავსებდა ხოლმე. იგი ცდილობდა, საზოგადოების ყურადღება მიექცოთ იმ ლიტერატურული თუ თეატრალური მოვლენებისადმი, რომლებიც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

1918 წელს ქუთაისში გამოიცა პოეტური ალმანახი „აისი“, რასაც გრიგოლ რობაქიძე მოკლე მიმოხილვით გამოეხმაურა. ჯერ ალმანახის სახელწოდება შეუქო ახალგაზრდა პოეტებს, შემდეგ კი „ცისფერი ყანწების“ გავლენა აღნიშნა. ავტორის სიტყვით, ჩვენში გაორების მოტივი ვალერიან გაფრინდაშიღმა შემოიტანა და შექმნა „მოკვეთილი სახელიც“ „ორეული“. ამ მოტივს „აისში“ წარმოდგენილი პოეტები მრავალჯერ შეესხიან.

პოეტის შეფასება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მისი წიგნი გაქვს ხელთ, თითო-ოროლა ლექსით ბევრს ვერაფერს იტყვი. ამიტომაც არ განიხილა ვრცლად ალმანახი გრიგოლ რობაქიძემ და თვალის ერთი გადავლევით შემოიფარგლა. ლ. მაჭავარიანს ლამაზი სიტყვები და სახეები შეუქო, რ. გვეტაძეს რითმის სისუსტე და სიღარიბე დაუწუნა „ყვითელ სტრიქონებში“, კ. ნადირაძის „ჩემს ლანდში“ გაფრინდაშიღლის გავლენა იგრძნო, მაგრამ „გამძაფრებული“ სახეები არ დაუკარგა, ისევე როგორც გ. ცეცხლაძეს თავისებური რიტმი... (საქართველო 1918ფ:2).

„აისში“ უკვე ცნობილი პოეტების ლირიკაც გამოქვეყნდა. ვალერიან გაფრინდაშიღზე, პაოლო იაშივილსა და ტიცვიან ტაბიძეზე, ცხადია, ცუდი გადაკრულადაც არაფერი წამოსცდენია, მაგრამ, მეგობარი „ცისფერყანწელებისგან“ განსხვავებით, კვლავაც გაბასრა იოსებ გრიშაშვილი.

ასე, თითო-ოროლა შტრიხით მოხაზული მიმოხილვა გაზეთისთვის მეტისმეტად ლაკონურია, ამიტომაც კლასიკურ ლიტერატურულ მიმოხილვად ვერ ჩაითვლება.

გრიგოლ რობაქიძემ ჟურნალ „ხელოვნების“ ერთ-ერთ ნომერსაც გადაავლო თვალი და თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა მკითხველებს გაზეთ „საქართველოს“ რუბრიკით „ბიბლიოგრაფია“. მიმოხილვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვალერიან გაფრინდაშიღლის ტალანტის აღნიშვნა-დასაბუთებას. ჟურნალში გამოქვეყნებული ორი ლექსიდან ერთს, „ფატა მორგანას“ ავტორი გაფრინდაშიღლის საუკეთესო ლექსებს არ მიაკუთვნებს, განსაკუთრებულად სუსტად ეჩვენება ბოლო ნაწილი, მაგრამ იმასაც

აღნიშნავს, რომ „სასტიკი საზომით“ ხელმძღვანელობს. ის ლექსი სხვა პოეტის (არა „ყანწელის“), რომ ყოფილიყო, გრიგოლ რობაქიძე, ალბათ, მოიწონებდა, მაგრამ ვალერიან გაფრინდაშვილს იგი სხვა მოთხოვნებს უყენებდა მაღალი სტანდარტების შესაბამისად, მისგან მეტს მოელოდა. ის, რასაც „ცისფერყანწელთა“ მეგობარი და დამხმარე რობაქიძე ითხოვდა, გამოჩნდა ლექსში „კალიგულა აშორდია და გაფრინდაშვილი“. მიმომხილველს საქებარი სიტყვები არ დაუშურებია პოეტისათვის. იგი განსაკუთრებულად მოხიბლა შემდეგმა სტრიქონებმა:

„ჩემი ოცნება როგორც ქვაბი ცეცხლზე ჰკივია

მასში სიზმრებთან იხარშება სასტიკი ზღარბი“ (საქართველო 1921ა:4).

გრიგოლ რობაქიძემ ოსტატის გამოცდილი ხელი დაინახა გაფრინდაშვილის წერილშიც „თეატრი ტიტანიკი“, რომელიც, მისი სიტყვით, „საინტერესოა როგორც გადატანა თეატრის ფენომენის ორეულთა სამთავროში“ (საქართველო 1921ბ:4).

სხვა ავტორებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს გრიგოლ რობაქიძე. შალვა კარმელს რითმა არ ასვენებს, ზოგჯერ აწვალებს კიდევცო, შალვა აფხაიძის ლექსი მეტისმეტად აბსტრაქტულიაო, ი. ჭყონიას „სინათლე და ნიანგი“, ფანტაზიის მხრივ, მეტად პრიმიტიულიაო და ასე შემდეგ, ამგვარი ლაპიდარიზმით გამოკვეთს იგი სუსტ მხარეებს, რომელთა გამოსწორებასაც მოელის ავტორისგან.

ასევე მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელია გრიგოლ რობაქიძისეული ხაზმოსმები რუსი პოეტების შემოქმედების დასახასიათებლად. მიმოხილვა კრებულისა „Стихи о России“, რომელშიც ცხრა ავტორის ლექსებია წარმოდგენილი, რუსეთის უცნაურობის აღნიშვნით დაიწყო: „რუსეთმა არ იცის დასავლური სილოგიზმი. რუსეთში იზრდებიან, მაგრამ ვერ მწიფდებიან.

ასე იტყოდა უცნაურს რუსეთზე უცნაური პეტრე ჩაადაევი.

რუსეთი მთვრალია რაღაც სასმელით. დოსტოევსკის გმირები ყველანი მთვრალეები არიან“ (საქართველო 1920თ:2).

ამ საერთო სიმთვრალესთან ერთად, გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, რუსეთში არის სისხლი და სიკვდილი, ამასთან, წამება, ნამდვილი ჯვარცმა. ეს არის ის, რაც ხიბლავდა რუსეთსა და მის ლიტერატურაში ქართველ ფილოსოფოსსა და ლიტერატორს.

ალექსანდრე ბლოკის ლექსების განხილვისას რეცენზენტს ასეთი შედარება მოჰყავს: „თქმა უბრალო და ძაღოვანი, როგორც მიწა“ (საქართველო 1920ი:3).

გრიგოლ რობაქიძე დიდად აფასებდა ანდრეი ბელის შემოქმედებას, თუმცა, აღნიშნა, კრებულში პოეტის სუსტი ლექსი შეუტანიათო. ეს საყვედური კრებულის შემდგენლებს უფრო ეკუთვნის, ვიდრე ბელის, რადგან რეცენზენტმა კარგად იცოდა, რომ მას ბევრად უკეთესი ლექსები ჰქონდა რუსეთზეც და არა მხოლოდ...

რუსი პოეტებისგან ლათინური რასისა და გოთური სტილის სიყვარულით გამოარჩევს მაქსიმილიან ვოლოშინს, ამასთან, აღნიშნავს, რუსეთზე ფიქრისას ეს

ვეელაფერი ავიწყდება და ნამდვილ რუსად, ანუ იდუმალი მზერის მქონე ველურად იქცევაო. მისი ლექსი „წმინდა რუსეთი“ გრიგოლ რობაქიძეს ნამდვილ შედეგად მიაჩნია.

„გახელება და ცოფი“ მოსწონს რეცეზენტს ზინაიდა გიპიუსის ლექსში. გიპიუსი მისთვის ქალთა შორის გამორჩეული პოეტია ვაჟური გონებითა და კაცური ირონიით.

აღვირახსნილობა და ველურობა ხიბლავს გრიგოლ რობაქიძეს სერგეი გოროდეცკის „კონცესიებში“, რაც შეეხება რიურიკ ივნევს, მისი ლექსები, უბრალოდ, არ ვარგაო, – ამბოს. ასე ლაკონური და შეუბრალებელია რეცეზენტი, როცა ლექსში ვერც ტექნიკას შენიშნავს და ვერც გზნებას იგრძნობს.

ვიაჩესლავ ივანოვის „სატანას“ გრიგოლ რობაქიძე წინასწარმეტყველურს უწოდებს. ისიც დასტირის რუსეთს, როგორც დიმიტრი მერეჟკოვსკი. მათი ვაება რობაქიძისთვის ცხადი და გასაგები იყო. სამაგიეროდ, ეუცხოვებოდა ბოლშევიკური რუსეთი და პოეტები. 1920 წლისთვის გრ. რობაქიძე, ფაქტობრივად, ვერც ხედავდა ბოლშევიკ შემოქმედთ.

ბოლშევიკური რუსეთის ახალი ხელოვნების წარმართველად მონუმენტური სტილი მიიჩნევა, მაგრამ მონუმენტალიზმი ჯერჯერობით არ გამოკვეთილაო, წერს გრიგოლ რობაქიძე. „ამის მიზეზი ცხადია. დიდი გარდატეხის პროცესში თვითონ „ტეხას“ გაცილებით მეტი ადგილი აქვს, ვიდრე „ქმნას“ (საქართველო 1920კ:3).

რევოლუცია რუსმა შემოქმედებმა (დოსტოევსკიმ, ტიუტჩევმა, ვიაჩესლავ ივანოვმა, ანდრეი ბელიმ და სხვებმა) წინასწარ იგრძნეს. ქარტეხილების შემდეგაც კვლავ „ძველებმა“ განაგრძეს საინტერესო მოღვაწეობა. ისეთი ახალგაზრდები, რომელთა შესახებაც ღირდა საუბარი, გრ. რობაქიძის აზრით, 1920 წლისათვის რუსეთში არ ჩანდნენ. ამიტომაც „ძველებს“ მიეძღვნა „პოეტები ბოლშევიზიაში“.

ავტორის სიტყვით, ანდრეი ბელი თავის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს უფრო ფილოსოფიურად უმზერს, ვიდრე პოლიტიკურად. „მისი სტიქიონი დაწვა და დაფერფვლაა, მისი ტემპერამენტი – აპოკალიპსური ეპილეპსია. რუსეთი დაიწვის და რუსეთი დასწავავს მთელს ქვეყანას. ნაპერწკალში ახალი სულიერი რასსა დაიბადება: ამას ელის იგი ნევრასტენიული დაუინებით“ (საქართველო 1920ლ:3). ეს მისტიკა უდევს საფუძვლად გრიგოლ რობაქიძის დასკვნას – ბელი ბოლშევიკი პოეტი არ არის. ამ „საპატიო“ წოდებას იგი არც აღექსანდრ ბლოკს ანიჭებს. არც ამ სახელგანთქმული პოეტისთვის იყო ბოლშევიზმი ის, რასაც ბელადები მოითხოვდნენ. მისთვის „ბოლშევიკური ტეხილი ორსული ქალის შვილოსნობაა“ (საქართველო 1920მ:3).

მართალია, ვიაჩესლავ ივანოვისთვის, როგორც დიონისოს ქურუმისთვის, ცალკე ყოფნა, მარტვილობა არ არსებობს და ამ მხრივ იგი ბოლშევიზმს უახლოვდებაო, – ამბობს ავტორი, – მაგრამ არ ერწყმის, რადგან იქ (ბოლშევიზმში) დიონისიურობისთვის ადგილი არ არის.

კონსტანტინე ბალმონტი ბოლშევიზმისკენ გადაიხარა და ლენინს ლექსი უძღვნაო, ბევრჯერ გააგონეს გრ. რობაქიძეს, მაგრამ არ დაიჯერა. ლექსით მიმართვა შეუძლია, მაგრამ ბოლშევიზმს არასდროს მიემხრობაო, ამტკიცებდა. თავისი მოსაზრების



გასამყარებლად მან ბალმონტის სიტყვები გაიხსენა: „მე მესმის ათი ყუმბარა ნიკოლოზ მეორის წინააღმდეგ, მაგრამ მე ათასი ყუმბარა მესმის თქვენი სოციალისტური ყაზარმის წინააღმდეგ“ (საქართველო 1920წ:3), – მიუმართავს ცნობილ პოეტს მავანი ესკრისთვის. გრიგოლ რობაქიძე დრმად დარწმუნებული წერს, რომ ინდივიდუალისტურობითა და ესთეტიკურობით გამორჩეული ბალმონტი ძალზე ჭირვეულია და იშვიათად თუ მოეწონება რამე. ამ სიტყვებით იგი მკითხველს აგრძნობინებს, რომ ინდივიდუალისტ და ესთეტიკური პოეტს ბოლშევიკურ მასებში გარეგის სურვილი არ გაუჩნდებოდა.

შემდეგ გრიგოლ რობაქიძე ვალერი ბრიუსოვზე სათქმელს მოკლედ მოჭრის: იგი ყოველი პოლიტიკური წყობილების დროს კარგად იმუშავებსო, და მაიაკოვსკიზე გადადის. ავტორის სიტყვით, ეს ის პოეტია, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება ბოლშევიკებს და რომლის მსგავსად „თავისუფალი ლექსი“ რუსეთში არავის ხელეწიფება. ამასთან, მეტაფორებით დიდად გამოირჩევა სხვათაგან, გრიგოლ რობაქიძე ვერც მასში ხედავს პროლეტარულ პოეტს და ასკვნის, რომ იმ დროისთვის რუსეთს დიდი პროლეტარული და ბოლშევიკური პოეტი არ ჰყავს.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ რობაქიძემ გასაბჭოებული ქვეყნის ყველა საინტერესო პოეტის შემოქმედება დააჭაშნიკა, მაგრამ პროლეტარიატის სული ვერ იგრძნო. ვფიქრობთ, ამით მან კიდევ ერთხელ მიმართა პრევენციულ ზომას რუსეთის გონიერმა შვილებმა ბოლშევიზმში სიკეთე ვერ აღმოაჩინეს, მით უფრო უვარგისი და ვნების მომტანი იქნებოდა იგი ქართველებისთვის, თუ ჩვენს ქვეყანაშიც გადმოინერგებოდა.

გრიგოლ რობაქიძე ზოგჯერ თეატრალური წარმოდგენების რეცენზიებსაც წერდა ასეთივე ლაკონური სტილით.

„მაღალი მოხდენილი ფიგურა, ნათელი პროფილი. დაქნილი ხმა, არტისტული ტემპერამენტი“ (საქართველო 1920წ:4), ეს კანალოვია, რობაქიძის თვალთ დახახული. დაუმატეთ ამას დიდი ტალანტი, ესთეტიკური კულტურა და მიხედვით, რატომ იგრძნობა ასეთი აღტაცება იმ პატარა პუბლიკაციებში, რომლებიც კანალოვის საღამოს მიეძღვნა. ავტორის თქმით, იმ საღამოს მსგავსი „არტისტული გამარჯვება“ თბილისს იშვიათად უნახავს.

გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებით იმით იყო დაინტერესებული, თუ როგორ წაიკითხავდა ლექსებს საღამოს მთავარი გმირი. სახელგანთქმული ორატორი ძნელად თუ იწონებდა პუბლიკის წინაშე გამოსულთა ხმის ტემბრს, მანერებს, კარგი დეკლარაციისთვის საჭირო სხვა ნიშან-თვისებებს, მაგრამ კანალოვს ასეთი მომთხონი ადამიანის მოხიბვლაც კი მოუხერხებია. მსახიობს გაუქარწყლებია მიღებული თვალსაზრისი იმის შესახებ, თითქოს არტისტები ლექსებს ვერ კითხულობენ. მას ჭეშმარიტი პოეტის მსგავსად წაუკითხავს ლექსები. აუდიტორიას უგრძნია, რომ ორატორი თითოეული პოეტის ფენომენს წვდებოდა. ავტორის აზრით, კანალოვის მხატვრულ კითხვაზე მთელი ტრაქტატის დაწერა შეიძლებოდა, მაგრამ საგახეთო მიმოხილვის ფარგლებს არ გასცდა და წერტილიც მალევე დასვა.

ერცველი არც ის პუბლიკაციაა, რომლითაც გრიგოლ რობაქიძე თეატრალური სეზონის გახსნას გამოეხმაურა. ამ დღეს თეატრის მოყვარულები განსაკუთრებულად ელოდებიან ხოლმე ხელოვნების დღესასწაულის ნახვის იმედით. იმ წელს თურმე მოლოდინმა არ გაამართლა. ჯერ იყო, დარბაზი სანახევროდ ვერ შევსებულა, ამასთან, დასს, ავტორის აზრით, სეზონის გახსნისთვის სწორად ვერ შეურჩევია პიესა. შალვა დადიანის „გუშინდელნი“ გრიგოლ რობაქიძეს პიესად არც მიაჩნდა – დრამატული სცენები უფროაო, ირწმუნებოდა. თანაც, იმერული სცენების აღმწერ დრამატურგს, რომელსაც დაკვირვების ნიჭით ჰქონდა და ლიტერატურული ტრადიციებიც, რეცენზენტის სიტყვით, თურმე ზომიერება ვერ დაუცავს და შარუს გადაუძალავს. შალვა დადიანის ეს პიესა თავისი გროტესკულობით მართლაც ცნობილია, მაგრამ წერილის ავტორს, რატომღაც, სიტყვაც არ დასცდენია პიესის ფსიქოლოგიურ მხარეზე. „გუშინდელნი“ ხალხის ყოფის ზოგად სურათთან ერთად პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პორტრეტებსაც ხატავს. ეს არ არის მხოლოდ სანახაობა.

რეცენზენტი დრამატურგს „ნედლი მასალის“ გამოყენებას საყვედურობს, ანუ, მისი აზრით, ცხოვრებიდან აღებული სახეები ლიტერატურულად არ არის დამუშავებული. ზოგჯერ პიესაში ეს „სინედლე“ იმდენად მოჭარბებული ყოფილა, რომ „საეჭვო ცირკში“ გადაუყვანია მაყურებელი.

მიუხედავად რეცენზიის სიმცირისა, ავტორი ყოველ თემას ეხება, რაც თეატრალურ მიმოხილვას მოეთხოვება, იქნება იგი მსახიობთა ოსტატობა, თავად პიესა თუ დეკორაცია. მსახიობთა თამაში კი მოსწონებია, მაგრამ დეკორაცია იმერეთის კორდებისთვის შეუფერებლად მიუჩნევია. ამიტომაც რეცენზიით ურჩია მხატვარ-დეკორატორს, დავით კაკაბაძის სურათებს შეხედეთ და ნამდვილ იმერეთს დაინახათო (საქართველო 1920:3).

კრიტიკული იყო გრიგოლ რობაქიძის რეცენზია დრამატული სტუდიის პირველი გამოსვლის შესახებაც. ზოგადად, თეატრს დრამა ჰქმნის, ეროვნულ თეატრს კი ეროვნული დრამა. ახალ სტუდიას ეროვნულის ნაცვლად უცხოურში მოუსინჯავს ძალები, რაც რეცენზენტს არ მოეწონა, მით უფრო, რომ ახალბედა მსახიობების უცხოელ პერსონაჟებად გარდაქმნა გაძნელებულა, არაბუნებრივი გამხდარა. ამას გარდა, მისთვის ესთეტიკურად მიუღებელი აღმოჩნდა ბრიოს „სარწმუნეობა“, რომელშიც ეგვიპტელთა სიცოცხლის ნამდვილი სტილი ვერ დაუნახავს. მხოლოდ ნილოსისა და ლოტოსის ხსენება, ცხადია, ეგვიპტეს ვერ წარმოუსახავდა აუდიტორიას. რეცენზენტი რეჟისორს საყვედურობს აგრეთვე იმას, რომ ვერ გათვალა, ყალბი დრამა როგორ დაბრკოლებას შეუქმნიდა. გრიგოლ რობაქიძეს არ მოსწონდა არც რეჟისორის და არც მსახიობთა ოსტატობა, ამით ხსნის იმას, რომ სცენა და დარბაზი წამითაც ვერ გაერთიანებულა. დასკვნა ასეთია: „ხსენებული წარმოდგენა იყო მხოლოდ „ვარჯიშობა“, ამ „ვარჯიშობისათვის“ დიდი ენერგია დახარჯულა, – ენერგია კულტურულად გამოყენებული, და სათვალავში ესეც მისაღებია“ (საქართველო 1920:3). დამეთანხმებით, ეს თავზე ხელის გადასმა, რომელსაც

ახალგაზრდებისთვის გულისგატეხის აცილება ჰქონდა მიზნად, დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა დრამატული სტუდიის წევრებისთვის.

გრიგოლ რობაქიძის კრიტიკის ობიექტად კიდევ ერთი ქართული სპექტაკლი იქცა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში ეროვნული იდეოლოგიის ამადლებასა და განმტკიცებას ქართული სცენაც ემსახურებოდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ერისთავის „სამშობლო“. მისი ეს ღვაწლი ყურადღების მიღმა არ დარჩენია გრიგოლ რობაქიძეს, თუმცა, მხატვრული ღირებულებების თვალსაზრისით ეს პიესა არ აკმაყოფილებდა: ნამდვილი დრამა არ არის, ფაბულის სიყალბე და ფრანგული ორიგინალის სისუსტე ცხადად ჩანსო (საქართველო 1921გ.3), წერს იგი რეცენზიაში რუბრიკით „თეატრი და მუსიკა“. როცა „სამშობლო“ ქართველებში პატრიოტიზმის გასადვივებლად იდგმებოდა, მხატვრული მხარე მეორეხარისხოვანი იყო, ხოლო 1921 წლის დასაწყისში მას პოლიტიკური სარჩული მოცილებული ჰქონდა და ყურადღება სწორედ ფორმაზე მახვილდებოდა. აღმოჩნდა, რომ ასეთი, „უსარჩულო“ „სამშობლო“ მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. ერთადერთი, რაც გრიგოლ რობაქიძეს მოეწონა, დეკორაციები და მასობრივი სცენები იყო. მსახიობთა ოსტატობამ რეცენზენტი ვერ დააკმაყოფილა (შაპს „აღმოსავლური მოღუნება“ და ტირანული სიმკაცრე აკლდა თურმე, ლიონიძეს თავადური იერი, ზოგს თურმე გრიმი არ უვარგოდა, ზოგსაც დიქცია...).

თეატრზე ხშირად წერდა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძის ნამდვილი სტიქია მაინც ლიტერატურა იყო. მას ძალიან უყვარდა შემოქმედისა და შემოქმედების სიღრმეებში წვდომა, დეტალებში ჩხრეკა და მკითხველისთვის მათი წარდგენა. ის ხშირად აცნობდა ფართო აუდიტორიას ევროპაში სახელმწიფოებში, ჩვენში კი ნაკლებად ცნობილ პროზაიკოსებსა და პოეტებს.

„მალარმე და ნოვალისი“, ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი გაზეთ „საქართველოში“ და ორი სახელგანთქმული შემოქმედის მოღვაწეობა წარუდგინა მკითხველს. მათ შორის პარალელები გაავლო, რაც იმუაზინდელ ლიტერატურათმცოდნეობაში პირველი ცდა იყო. ნოვალისი მალარმეზე მთელი საუკუნით ადრე ცხოვრობდა, თუმცა, დროში დაშორებას მათი თანაზიარობისთვის ხელი არ შეუშლია.

გრიგოლ რობაქიძე სტეფან მალარმეს ყველაზე უფრო უცნაურ და გაუგებარ პოეტს უწოდებდა. „მწერალი, რომელიც მოუნახავს ახალს ადგილს ზმნას წინადადებაში, უფრო დაჯერებული უნდა იყოს უკვდავ დიდებაში, ვიდრე დიდებული ორატორი, რადგან ასეთი მწერალი უთუოდ გადავა სხვა მწერლობის მომავალ ქმნილებებში“ (საქართველო 1920რ.3),

ეს მალარმეს სიტყვებია, რომლებშიც ჩანს ავტორის ის თვისება, რობაქიძე „უცნაურობას“ რომ უწოდებს. ოღონდ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მალარმესთვის ყოველი სიტყვა და მისი ადგილი გამორჩეულია. ლექსიკურ ერთეულებს ასე ყოფს: „სიტყვა მყოფარი: აი, პოეზია. სიტყვა ცხოვარი: აი, რიტმი“ (საქართველო 1920ს.3). სიტყვის მნიშვნელობა იმის მიხედვით იცვლება, თუ სად ზის იგი, რას უსწრებს ან რას მისდევს.

პოეტის ოსტატობას სტეფან მალარმე სწრაფად სიტყვების შეთანხმების სწრაფად შერჩევისა და ამით მნიშვნელობათა განუსაზღვრელობამდე გაზრდაში ხედავს. ყველაფერი ისეთივეა, როგორც მუსიკაში, ოღონდ ყოველივე სიტყვიერ აკორდებს უნდა დაეყრდნოს.

ავტორი მალარმეს სხვა ჰიპოთეზასაც წარუდგენს მკითხველს – სიტყვა ნივთის “სულიერი სხეული” კი არ არის, არამედ სინამდვილის ნიშანი უფროა, ქარაგმული მინიშნება. იგი თითოეული აზრის „ინტიმურ უფსკრულზე“ სიტყვის ძვირფასი სახურავის გაშლას მოითხოვს.

სტეფან მალარმეს შემოქმედებაში არის საიდუმლო და ქარაგმები, არის ესთეტიკა და შეგნებული სომნამბულიზმი (მერე რა, რომ სომნამბულიზმი შეგნებას უარყოფს). გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, მალარმესეული პოეტი მთვარეულს ჰგავს, ხოლო მისი სიტყვა თვალახვეული გადადის უფსკრულეზე.

ნოვალისიცი უცნაური და გაუგებარი იყო მალარმეს მსგავსად, იგიც “ფრაგმენტებით ფიქრობდა” და გენიალურ აფორიზმებს ისროდა. გრიგოლ რობაქიძე მკითხველს აცნობს ნაწყვეტს მისი „ფრაგმენტებიდან“: „შესაძლოა, დაწერო ისეთი მოთხრობა, საცა სრულიად არ იქნება შინაგანი კავშირი, მაგრამ საცა, როგორც სიზმრებში, იქნება კავშირი რომელიმე გარეგან საგანთან“ (საქართველო 1920ტ:3). ნოვალისი ისეთ ნამდვილ პოეზიაზე წერს, რომელშიც სიტყვები ყოველგვარ აზრს იქნება მოკლებული, მხოლოდ ალეგორიული საზრისი ექნება და მკითხველზე მუსიკის მსგავსად არაპირდაპირი გზით მოახდენს შთაბეჭდილებას. გრიგოლ რობაქიძის დასკვნით, ამ ფრაგმენტში მალარმეს თითქმის მთელი პოეტიკაა გაცხადებული. თავად რომც არ ეთქვა, ჩვეული დამაჯერებლობისა და სწორედ შერჩეული მაგალითების წყალობით მკითხველს იოლად მიიყვანდა ამ დასკვნამდე.

გრიგოლ რობაქიძეს უყვარდა შემოქმედთა თანმხვედრი აზრების მოძიება. ხშირად მისეული პარალელები მოულოდნელი იყო, ზოგჯერ იმდენად უჩვეულოც კი, რომ გადაჭრით მტკიცებას თვითონაც ვერ ბედავდა. ასე, მაგალითად, ვარაუდის დონეზე მიაწოდა მკითხველს თავისი მოსაზრება რუსთაველისა და მალარმეს ერთი თვალსაზრისის იგივეობის შესახებ: „კვლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“. შესაძლოა, ამ სიტყვებში იყოს შორეული მიწდომით გამოთქმული სწორედ ის, რაც სტეფან მალარმეს აზრს შეადგენს. სახელდობრ პოეტური ქმნილება მთავრდება მკითხველით. თუ მკითხველი ინტუიტიური მიმწვდომია, ლექსი ჰგებულობს ამით. „კაცი ვარგი“ შესაძლოა ასეთი მკითხველი იყოს“ (საქართველო 1920უ:3). ეს ვარაუდი გრ. რობაქიძემ გამოთქვა წერილში „რუსთაველის მსოფლიო მზერა“, რომელიც ორ ნაწილად გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოში“.

გრიგოლ რობაქიძე რიტმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, პოეზია მხოლოდ რიტმული სიტყვა კი არა, საგანთა და მოვლენათა „ათვისებაც“ არისო. პოეტის მზერა გარდაქმნის ყველაფერს, საგნებს სახეს უცვლის, სხვა, ახალი კუთხით წარმოაჩენს. უამისოდ ჭეშმარიტი პოეზია არ იქმნება. „ვეფხისტყაოსნის“

თაყვანისმცემელი რობაქიძე რუსთაველში სწორედ იმ „თავისებურ მსოფლიო მხერას“ ხედავდა, ძირეულად რომ ცვლის საგნებსაც და მოვლენებსაც. წერილის ავტორის აზრით, პოეზია შოთა რუსთაველსაც „სამყაროს თავისებურ ათვისებად“ მიაჩნდა და ამიტომაც უწოდა შაირობას „სიბრძნის დარგი“. გრიგოლ რობაქიძის მტკიცებით, ეს დებულება მე-19 საუკუნეში დასაბუთდა, ასე რომ, რუსთაველმა ამ მხრივაც გაუსწორო დროს. ხოლო რაც შეეხება მის სიტყვებს მიჯნური მელექსის შესახებ („ერთი უნდეს სამიჯნური, ერთსა ვისმე აშიკობდეს“), წერილის ავტორის აზრით, იტალიური რენესანსია ნაწინასწარმეტყველვეი. ასე უყვარდა დანტეს ბეატრიჩე...

„ვეფხისტყაოსანში“ ასახულ მიჯნურობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გრიგოლ რობაქიძე. „მიჯნური შმაგსა გვიქვიან...“ ამ სიტყვებში იგი ელინურ „წმინდა შემლილობას“ ხედავს, ამიტომაც პოეტურ გადაჭარბებად არ ეჩვენება ის ეპიზოდი, სადაც ტარიელი ვეფხეს შეიპყრობს და კოცნა მოუხდება. გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, ამაზე შორს ვერ წავა შემლილობა, სიყვარულით გამოწვეული. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ხიბლს იძენს იმით, რომ რუსთაველის რწმენას ასახავს.

გრიგოლ რობაქიძეს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ორიგინალურობის გამოსაკვეთად თუნდაც ის მიაჩნია საკმარისად, რომ რაინდი ტარიელი სიყვარულში ძალზე რბილია და ცრემლს ღვრის. „არსად ისე არ გამოსახულა ქართველი ვაჟის რასსიული ხასიათი, როგორც აქ“ (საქართველო 1920ფ:3).

სიყვარული ცალობის, დაცილებისა და სიკვდილიდ ძღვევაა, გრ. რობაქიძის სიტყვით. ამ ძღვევას ხედავს იგი ნესტან-დარეჯანის წერილში, რომელიც მთელი პოემის დამამშვენებლად მიაჩნია. თუ სიყვარული სამყაროს გამართლებაა, „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებული ხიბლი გასაგები გახდება. მეტიც, რაკი პოემაში პოეტის რწმენაა ასახული, გრიგოლ რობაქიძის აზრით, ამ ეპიკური ტილოს დაკარგვის შემთხვევაშიც კი დიდი პოეტის სახელი დარჩებოდა რუსთაველს.

„ნათელი პროფილი: მესხური რიტმით გამართული, ნელი, როგორც დიდი შუადღე აღმოსავალის, გონიერი ფრიად: ჰელენთა ცოდნით ამახვილებული, და თან: დამწვარი თამარის შორეული სიყვარულით, რომელიც თითქოს იმისთვის არ სრულდება, რომ არ დაიფერფლოს ღმერთობის ცეცხლი. ამ ხაზებში უკვე მოცემულია რენესანსის სურნელი: მადონას კულტი... პოეტი ჯვარს ეტრფის: ალბათ, ჯვარცმისათვის“ (საქართველო 1920ქ:3), გრიგოლ რობაქიძის რწმენით, ასეთ ლეგენდად დამკვიდრებაც საკმარისი იქნებოდა, რომ შოთა რუსთაველი დიდ პოეტად გვედარებოდა.

გრიგოლ რობაქიძე ქართულ მწერლობაზე ფიქრს არ განშორებია არსად და არასოდეს... 1920 წელს უკვე ჩამოყალიბებულია მწერალთა კავშირი, თავისი ადგილი დაიმკვიდრა პოეზიის ახალმა სკოლამ, მაგრამ, ზოგადად, ახალი მწერლობა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და მის განვითარებას ზრუნვა, ხელშეწყობა სჭირდება. ქართულ რომანზე დაფიქრებული გრიგოლ რობაქიძე 1921 წელს გაზეთ „საქართველოში“ აქვეყნებს წერილს, რომელიც ამობრუნებულ პირამიდას ჰგავს იწყება იმით, რაც

თითქოს ბოლოს უნდა თქმულიყო. სათაური „ქართული რომანი“ გაფიქრებინებს, რომ ავტორი სწორედ ქართულ სქელტანიან პროზაულ ნაწარმოებებს განიხილავს და ბოლოს თავის შეხედულებას დასკვნის სახით დაწურულად შემოგთავაზებს. მაგრამ მუდამ ფორმაზე მზრუნველი გრიგოლ რობაქიძე წერილს აყირავებს და დასკვნით იწყებს: ქართული რომანი არ არსებობს. მას შემდეგ, რაც ძირითად სათქმელს მოჭრის, მიზეზების ძიებით იწყებს თემის გაშლას.

ნამდვილი რომანის არარსებობას ავტორი ერთ სხეულად ჩამოსხმული ქართული ტიპის ჩამოყალიბებლობით ხსნის. საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები ჯერ კიდევ არ გამთლიანებულან, ყველა თავისთვის ცხოვრობს. ის, რომ ქართველი, მესხი თუ კოლხი ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათს ფსიქოლოგიურ ერთობას არ ნიშნავს. „იმერი და ამერი: ეს ყოფის კატეგორიებია უფრო, ვიდრე გეოგრაფიული დაყოფა. ფსიქოლოგიური სხვაობა აქ უმძაფრესია“ (საქართველო 1921დ:2).

გრიგოლ რობაქიძე ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბედუკუდმართობით ხსნის იმას, რომ ეთნიკურმა ჯგუფებმა ერთ ყალიბში ჩამოსახმელად ვერ მოიცაღეს. დაცალკეებული საქართველო თითქოს რუსეთმა გააერთიანა, სინამდვილეში კი გაერთიანების ტენდენცია მოსპო. სამეფო პროვინციად იქცა. იქ, სადაც „მოელი“ უნდა ყოფილიყო, „ნაწილები“ დარჩნენო, წერს გრიგოლ რობაქიძე. (საქართველო 1921ე:2).

რაკი ქვეყანა ვერ გაერთიანდა, პერსონაჟები ცალკეულ კუთხეებს ვერ გასცდნენ. ავტორის დასკვნით, ამიტომაც ვერ ჩამოყალიბდა რომანისთვის საჭირო „სინტეტიური ტიპი“. ვერც დედაქალაქმა შეძლო „ესთეტიკური მსაჯულობა“. სწორედ რომ პირიქით მოხდა აქ ერთმანეთს შეერია და აჭრელდა აღმოსავლეთი და დასავლეთი, აირია სპარსული და სომხური ხაზი, რის შედეგადაც ერთიან ქართულ ყალიბში ჩამოსხმული ტიპის ნაცვლად ყარაჩოღელი მივიღეთ, თუმცა, გრიგოლ რობაქიძეს იმედი არ გადაუწურავს. 1921 წლის დასაწყისია. საქართველო რუსეთის იმპერიიდან გათავისუფლებულია. მართალია, 25 თებერვალი მოახლოებულია, მაგრამ ქართველებისთვის იანვრის პირველ რიცხვებში ძნელი წარმოსადგენი იყო, ასე ხანმოკლე თუ იქნებოდა დამოუკიდებლობა და ასე მალე თუ დაადგამდნენ კვლავაც უღელს, ამჯერად წითელა ბატონების ფერს. ამიტომაც ირწმუნება ავტორი, საქართველოს აღგენის შემდეგ ახალი ხანა დაიწყო, ყველა კუთხემ გაიდვიდა, სატახტო ქალაქიც დღითიდღე იღებს ქართულ სახესო. ეს ის პროცესია, რომლის დროსაც საერთო ქართული ტიპი უნდა „ჩამოისხას“. ამის შემდეგ კი ნამდვილი რომანის დაბადებას წინ არაფერი დაუდგება. გრიგოლ რობაქიძეს სჯეროდა, რომ ეს დრო მოახლოებული იყო, მაგრამ მის პროგნოზში უმნიშვნელოვანესი კორექტივი შეიტანა საქართველოს გასაბჭოებამ. იმ საერთო ქართული ტიპის ჩამოყალიბება, რომელიც დამოუკიდებელიც იქნებოდა და ვიწროკუთხურობისგან თავისუფალიც, გადაიდო...

პოლემიკა სონეტის შესახებ, დიდ თუ ახალბედა შემოქმედთა პოეზიისა და პროზის მიმოხილვა ან ენის რიტმი ძიება ლიტერატურათმცოდნეების საკითხებია და

პუბლიცისტიკასთან საერთო თითქოს ბევრი არაფერი აქვს (შესაბამისად, თითქოს არც უნდა შესულიყო ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში, რადგან მას ლიტერატურატმცოდნეობის საკითხების კვლევის პრეტენზია, ბუნებრივია, ვერ ექნება), მაგრამ გრიგოლ რობაქიძე არც აქ ღალატობს თავისი მოღვაწეობის მაგისტრალურ ხაზს ეროვნულობის წინ წამოწევას. სწორედ ამის გამო მიმოვიხილეთ ეს წერილები. იგი მუდმივად ცდილობს, თანამემამულეებს საქართველოს გამორჩეულობის შეგრძნება არ დაუკარგოს, პატრიოტიზმი გაუღვივოს. თუ ამ სულისკვეთებას ვერ გრძნობს, არც ლექსი მოსწონს, არც დრამა, რადგან იცის, ქართველთა ეროვნულ შეგნებას ყოველდღიურად სჭირდება გამტკიცება. საქართველო ხომ იმდენხანს შედიოდა იმპერიის შემადგენლობაში, რომ ადგილი შესაძლებელი იყო, „სიზარმაცე“ მორეოდა და დამოუკიდებლად ფიქრსა თუ მოქმედებას კვლავაც დიდ მეზობელთან „მეგობრობა“ (რაც სინამდვილეში ყმობა იყო) ერჩია. ამიტომ გრიგოლ რობაქიძე მკითხველის პატრიოტული გრძნობებზე ზემოქმედებას ცდილობდა. ეს იყო როგორც მისი პუბლიცისტიკის, ასევე ლიტერატურული თუ თეატრალური მიმოხილვების განმსაზღვრელი მოტივი. „პოეტები ბოლშევიზიაში“ ორგანულად უკავშირდება იმ წერილებს, რომლებიც 1917-1918 წლებში გამოაქვეყნა გრიგოლ რობაქიძემ. აქაც იკვეთება ავტორის დამოკიდებულება ბოლშევიზმთან, ოღონდ პროტესტის ფორმად არა პირდაპირი, არამედ ირიბი გზაა არჩეული რუსეთის საუკეთესო შეილებმა ეს იდეოლოგია არ მიიღეს, რამდენიმეწლიანმა გამოცდილებამ მათ ბოლშევიზმში ქვეყნისთვის სასიკეთო ვერაფერი დაანახა. ცხადია, მკითხველს არ გაუჭირდებოდა დაესკვნა ის, რასაც ავტორი გულისხმობდა ეს იდეოლოგია არც საქართველოს გამოადგება.

გრიგოლ რობაქიძე უანრისა და შინაარსის მიუხედავად მუდამ ინარჩუნებდა თავის ხელწერას, თავს არიდებდა მშრალ, ინფორმაციულ სტილს და სათქმელს მხატვრულ ყალიბში ასხამდა, რათა ამით მისი ემოციური ზემოქმედების ძალა გაეძლიერებინა. ის, თუ როგორ აღწერს ვირჯინია ვულფი ესეს, ზედგამოჭრილია რობაქიძის სალექციო თუ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე: „... ესეს ყველაზე ნაკლებად ესაჭიროება გრძელი სიტყვები. მისი წარმმართველი პრინციპი მხოლოდ ის არის, რომ სიამოვნება მოგანიჭოს... პირველივე სიტყვიდან უნდა მოვიხიბლოთ და მხოლოდ ბოლო სიტყვაზე უნდა გამოვიღვიძოთ, გამოვფხიზლდეთ. შუაში კი უამრავი რამით უნდა შევიქცეთ თავი – გაოცებით, დაინტერესებით, აღშფოთებით“ (ვულფი 1988:143). რობაქიძის გამორჩეული სტილის შესახებ მარსელ ბრიონის წერდა, რომ თხრობა თვითონ ისხამს სხეულს და ცოცხალ არსებად გადაიქცევა (მესხი 1996:109).

ძნელია წერა გრიგოლ რობაქიძეზე (მით უფრო, მეცნიერული ენით). იგი სისხლით უნდა იგრძნო. თვითონაც მუდამ უნდოდა, მისი შემოქმედება კი არ განეხილათ მხოლოდ, არამედ ვგრძნოთ. მისი ლექციებიც ხომ განცდის ლექციებად მოინათლა. უყვარდა ცეცხლი

თავადაც იწვოდა და სხვებსაც წვადა. განა ცეცხლი გამოითქმის?! მისი გამოთქმა მხოლოდ „გრძნობით“, მხოლოდ „განცდით“ შეიძლებაო, – მისწერა ერთხელ სოფიო

ტატიშვილს (ავალიანი 2005:88). აქვე უნდა აღვნიშნო – წლების წინათ, როცა სამაგისტრო ნაშრომში დავწერე, რობაქიძე სისხლით საგრძნობი მწერალია-მეთქი, არ მქონდა წაკითხული მისი ერთ-ერთი წერილი, სადაც ამბობს: „ისინი, ვინცა არა „ტვინით“, არამედ „სისხლით“ აღიქმევენ „ქართულ არსებას“, ისინი ჩემს შემოქმედებაში განიცდიან თავიანთ გულისფეთქვას, თავიანთ მაჯისცემას“ (ჩემთვის... 1996:88). ბუნებრივია, სასიამოვნო იყო ამ სიტყვების წაკითხვა. ვფიქრობთ, ეს ამართლებს ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის ესეისტურ ელფერს.

გრიგოლ რობაქიძე თანაგანცდას ითხოვდა. ასეთ შემთხვევაში, აღვიღად საგრძნობია ის ტრაგედია, რომელიც, ალბათ, დიდმა პატრიოტმა და ბოლშევიზმის მოძულემ საქართველოს გასაბჭოებისას განიცადა.

1931 წლიდან გრიგოლ რობაქიძე ემიგრანტია. მისი სახელი ჯერ მთელ გერმანიასა და ევროპას მოედება, შემდეგ კი გაწირავენ ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ გამოქვეყნებული ნარკვევების გამო.

მეუღლის გარდაცვალებიდან გავა რამდენიმე წელი და 82 წლის გრიგოლ რობაქიძე მესამედ გადაწყვეტს დაქორწინებას. ფიზიკურად კვლავაც მხნედ გამოიყურება. ეს თავადაც იცის, სიბერეს ვერ ეგუება. მეგობარს, არმინ ზიგრისტს, საკუთარ ფოტოსურათს აჩუქებს წარწერით „შიდილება, ამ კაცს „მოხუცი“ დაარქვა?!“ (ბაქრაძე 1999:29).

რობაქიძე დაქორწინებას ვერ შეძლებს. სიცოცხლის დასასრულამდე რამდენიმე გათენება დარჩა.

1980 წლის 28 ოქტომბერს სვირში დაწყებულმა სიცოცხლემ 82 წელი მიითვალა (სვირი ძველქართულად „მცველს“ ნიშნავს. თვითონაც მუდამ გრაალის მცველად მიაჩნდა თავი). ამ ხნის განმავლობაში ხან ციდან მოვლენილად, ხანაც ხალხის მტრად ნათლავდნენ. თავად რობაქიძე საკუთარი შემოქმედების ძალაში ღრმად იყო დარწმუნებული: „სურთ დღეს ჩემი სიტყვის წაკითხვა ან მოსმენა ძალიან კარგი. არ უნდათ პირადად მე არაფერს ვკარგავ, რადგან საუკუნეებს ველაპარაკები“ (ბაქრაძე 1999:29).

საქართველოდან მოწყვეტილს ანდერძად დარჩა ნატვრა: „როცა მე ამსოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში. სანთელს აანთებს ამ პაწა სალოცავის წინ და ღოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს“ (ჩემთვის... 1996:53).

გრიგოლ რობაქიძის ნეშტი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე განისვენებს. „გრაალის მცველი“ 1962 წლის 19 ნოემბერს უნევაში გარდაიცვალა.

მარტოსული თავისავე ბინაში აღმოაჩინეს გარდაცვალებიდან მეორე დღეს.



## დასკვნა

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძე ქართულ პრესაში 1907 წელს გამოჩნდა. 1907-1921 წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები საგულისხმო დასკვნებისკენ უბიძგებს მკვლევარს. გრ. რობაქიძის პუბლიცისტური ნააზრევი ხშირად ინრდილება მისივე ლიტერატურული წიადსვლებით. ჩვენი ნაშრომი მისი პუბლიცისტური ძიებების წინ წამოწევის ცდაა.

ფილოსოფოსი, ლიტერატორი, ორატორი და პუბლიცისტი გრიგოლ რობაქიძე მთელი თავისი მოღვაწეობით ქვეყნის მსახურების მაგალითს იძლეოდა. ამიტომაც შევეცდებით, შევაჯამოთ ხელოვნების ქურუმად წოდებული ნოვატორის ლიტერატურული თუ პუბლიცისტური მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები:

XX საუკუნის 10-იანი წლების პრესის შესწავლა ნათელყოფს, რომ გრ. რობაქიძის მიერ საგანმანათლებლო მიზნით წაკითხული საჯარო ლექციები ახალი სიტყვა იყო იმუამინდელ ქართულ სინამდვილეში. სწორედ ამიტომ დაინტერესდა ასე ძალიან იმდროინდელი პრესა გრიგოლ რობაქიძით, მაშინ როცა სხვათა ლექციების შესახებ მხოლოდ თითო-ორი ინფორმაციული შენიშვნა თუ დაიბეჭდებოდა. ამ ლექციებით ორატორი დასავლურ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებებს აცნობდა თანამედროვეთ. საქართველოში არსებობდა საჯარო ლექციების წაკითხვის ტრადიცია (ალ. ცაგარელის, ი. თარხნიშვილის, აკ. წერეთლის, ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა მიერ წაკითხული ლექციები), რაც საღონურ ატმოსფეროს არ გასცდენია, გრიგოლ რობაქიძემ კი ფართო საზოგადოების დაინტერესება შეძლო. ამასთან, ლექციების პრესაში გამოქვეყნებით მათი მნიშვნელობა და ზემოქმედების ფარგლები გააფართოვა. ეს დამსახურება კარგად შენიშნეს ქართული მოაზროვნე ინტელეგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა. ერთ-ერთი ლექციის მიმოხილვისას არჩილ ჯორჯაძემ ის უახლოესი წარსული გაისხენა, როდესაც ქართულ საზოგადოებაში სიტყვის არსი დაკნინებული იყო და რუსი მწერლის, პისარევის ზეგავლენით, კარგად შეკერილი წაღა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ვიდრე შექსპირის ცნობილი დრამები. გავიდა ცოტა დრო და იგივე საზოგადოება „იმდენად მომწიფდა, რომ მზად არის, სამი და ოთხი საათის განმავლობაში უსმინოს პოეზიის შესახებ სჯა-ბაასს, უსმინოს არა ისე, როგორც შეგირდები უსმენენ მასწავლებლის გაკვეთილს, არამედ შეგნებულად, ჩაფიქრებით, უნდობლობისა და თანაგრძნობის გამოაშკარავების უნარით“ (დროება 1909ჰ:1). საზოგადოების ამგვარ მომწიფებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი სწორედ გრიგოლ რობაქიძეს მიუძღვის. ამდენად, გასაგები ხდება, რატომ აქვეყნებდა პრესა დაწერილებით მის ყოველ ლექციას და სალექციო საკითხებთან დაკავშირებულ პოლემიკას.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი რთული იქნებოდა „უმწიფარ“ საზოგადოებასთან ოსკარ უაილდის შემოქმედებაზე, დეკადანსზე, პლატონსა და ლაიბნიცზე, იბსენსა და ნიცშეს ფილოსოფიაზე საუბარი. ტიციან ტაბიძის მოგონებით, ორატორს „ერთი ფრაზაც არ შეუცვლია, ერთი მხატვრული სახეც არ მიუტანია მსხვერპლად იმისთვის, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, რაც იმაში უთუოდ ხაზს უსვამდა დიდ მხატვარს“ (ტაბიძე 1916:30). გრიგოლ რობაქიძისთვის ლექციის შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ფორმა, ამიტომაც არ დალატობდა თავის მხატვრულ სტილს. ვფიქრობთ, სწორედ ამით შეუწყო მან ხელი საზოგადოების მომწიფებას, რასაც არჩილ ჯორჯაძემ გაუსვა ხაზი – აუდიტორია აამაღლა, გასაგები გახადა მისთვის ელინთა მსოფლმხედველობაც და ზეადამიანის იდეაც. ყოველივე ეს პუბლიცისტური შემართებით ხდებოდა, პუბლიცისტური პათოსითა და მხატვრული სახეებით აზროვნებით მიიღწეოდა.

გრიგოლ რობაქიძე საჯარო ლექციების თემად არა მხოლოდ უცხოელი ფილოსოფოსებისა თუ მწერლების ნააზრევსა და შემოქმედებას ირჩევდა, არამედ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართულ ლიტერატურას. იგი რუსთაველის თაყვანისმცემელი გახლდათ და მთელი არსებით ცდილობდა, საზოგადოებისთვის გაეცნო „ვეფხისტყაოსნის“ ის ღირსებები, რომლებსაც თავად ხედავდა. გრ. რობაქიძის აზრით, ლიტერატურულ კრიტიკას სათანადოდ, ღირსეულად არ ჰქონდა შეფასებული რუსთაველის ეპიკური ტილოს აურაცხელი სიბრძნე და სიმდიდრე. ამიტომ ლექციებითა თუ საგაზეთო პუბლიკაციებით ცდილობდა, შეეცნო ეს ნაკლი. იგი შეეწინააღმდეგა ნიკო მარის თეორიას, რომლის თანახმადაც, „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული საგმირო მოთხრობის ქართულ, გალექსილ ასლად იყო გამოცხადებული. გრიგოლ რობაქიძე ამტკიცებდა, რომ ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსისთვის ხალხური არაკის აღება იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს ნაწარმოები ორიგინალური არ იყოს, ხოლო მისი ავტორი გენიოსი; რომ ხელოვანის შემოქმედებითი ენერჯია ცვლის აღებულ არაკს და იმის უსაფუძვლოდ დაუინებას, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან იყოს ნათარგმნი, სჯობს რუსთაველის აზრებს ჩაუღრმავდეთ, აზრებს იმ შემოქმედის, ვინც ჩვენ გვაქართველაო.

ასევე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ გრიგოლ რობაქიძე იყო პირველი, ვინც ვაჟა-ფშაველა გენიოსად აღიარა. მართალია, ფართო საზოგადოება მაშინ არ დაეთანხმა მას – შეფასება გადაჭარბებულიაო, მაგრამ დრომ გრ. რობაქიძის წინასწარხედვა დაადასტურა.

უყვარდა რობაქიძეს საქართველო, ქართველი და ქართული ენა. ცოცხლობდა მწერლობით. სიტყვის უპატივცემულობას არავის აპატიებდა. რაკი იცოდნენ, რომ იგი კორექტურულ შეცდომას საბედისწეროდ მიიხნევა, მეგობრები, გამომცემლები თუ ასოთამწიფობნი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ სიტყვის გამაფიქტიშებელი ოსტატის ნაწარმოებთა ბეჭდვას. ერთხელ სანდრო ცირეკიძეს „ანთოლოგიის“ თითოეულ ეგზემპლარში საკუთარი ხელით ჩაუსწორებია გრ. რობაქიძის ლექსში გაპარული შეცდომა, ხოლო თვით გრიგოლ რობაქიძეს პაოლო იაშვილის ლექსში „არტურ რემბო“, რომელიც ათასზე მეტ ეგზემპლარად დაბეჭდილ გაზეთ „ბარიკადში“ გამოქვეყნდა,

კორექტურის გასწორება არ დაზარებია (გაგელი 1921:15). როგორ უნდა გიყვარდეს სიტყვა, რომ ასეთი შრომა არ აირიდო.

გრიგოლ რობაქიძისთვის ქართულ ენაზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა ლოცვა იყო, სიტყვაში მზეს ხედავდა და წარმართივით თაყვანს სცემდა მას. ქართული საკრალურ ენად და საგალობლად მიიჩნდა, ამიტომ განსაკუთრებული მოკრძალებით ეპყრობოდა, უღრმავდებოდა და იკვლევდა მის სიმდიდრეს.

ერის სიყვარულით იყო დამუხტული გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა, რომლითაც იგი ბოლშევიზმის რეალური სახის გამოკვეთასა და ანარქიისგან ქართველების გადარჩენას ცდილობდა. მუდმივად გამოკვეთილად აღნიშნავდა მოსალოდნელ ქაოსსა და მონობას, ცდილობდა, თანამემამულეებისთვის თვალსაჩინო გაეხადა ის, რასაც ხედავდა ბოლშევიზმში და აეცილებინა მოსალოდნელი უბედურება. გმობდა მაქრსიზმს, აღნიშნავდა ამ თეორიის ნაკლოვანებებსა და მის მიმდევართა არათანმიმდევრულობას, ხშირად კი სისასტიკეს. რუსეთში მიმდინარე მოვლენების ანალიზით, იქ გამეფებული ანარქიის აღწერით გრ. რობაქიძე აფრთხილებდა თანამემამულეებს და ნათლად წარმოუსახავდა, როგორი იქნებოდა საქართველოს მომავალი ბოლშევიზმისკენ გადახრის შემთხვევაში.

გრიგოლ რობაქიძე შესაშური პოლიტოლოგი იყო, ფაქტების ღრმა ანალიზით მუდამ სწორ დასკვნებს აკეთებდა. მას შეეძლო წინასწარ გაეჭვრიტა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ასე მაგალითად, გრ. რობაქიძემ ბოლშევიზმის გამარჯვება ივარაუდა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ანარქიით მოსულები, საბოლოოდ, უეჭველად დაიღუპებოდნენ. პუბლიცისტი ზუსტ პროგნოზებს აწვდიდა საზოგადოებას, მაგრამ, ბუნებრივია, მისი სიტყვა ბოლშევიზმის სტიქიურ ძალას ვერ შეაჩერებდა. ცხადია, ამის ილუზია არც ქართულ პრესას ექნებოდა, მაგრამ მაინც ცდილობდა სათანადოდ გამოეყენებინა პუბლიცისტის ნააზრვეი, მისი დახმარებით ეცადა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. იმ საბედისწერო 1917-1918 წლებში გაზეთი “საქართველო” რამდენიმე გამორჩეულ ავტორთან ერთად გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკასაც ეყრდნობოდა, რადგან მიზანი საერთო ჰქონდათ – ეროვნული შეგნების გამოფხიზლება-ამაღლება, თავისუფლება, მოსალოდნელი მონობის თავიდან აცილება. სწორედ ამიტომ არ დაუკარგავს პრესას ინტერესი რობაქიძისადმი, რომელიც ქართველი ერის, სახელმწიფოებრიობის, მოქალაქეობრივობის განვითარების კუთხით მუდამ თანამოაზრედ ეგულებოდა.

გრიგოლ რობაქიძე მთელი არსებით ცდილობდა ეროვნული ენერჯის გამოვლიძებას და ბოლშევიზმისადმი სიძულვილის დანერგვას. მისი პუბლიცისტისთვის თვალის ერთი გადავლება კმარა, რომ დავასკვნათ, საქართველოში რომ დარჩენილიყო, რობაქიძეს რეპრესირება არ აცდებოდა როგორც „კლასობრივ მტერს“. ამიტომაც სიცოცხლის ბოლომდე ემიგრანტობა არჩია.

გრ. რობაქიძის დიდი ორატორული ნიჭი პუბლიცისტისტიკაშიც გამოვლენდა. ყოველთვის ზუსტად აგნებდა სათქმელის ფორმას და გათვლიდა სწორ, დამაჯერებელ სვლებს. ფაქტები, არგუმენტები, პარალელები, საგულისხმო დასკვნები მის პუბლიცისტისტიკაში ისეა შესხეულებული, რომ ერთმანეთისგან ვერ განაცალკევებ. რაც მთავარია, არათუ მხოლოდ სიტყვებში, სტრიქონებს შორისაც იგრძნობა მგზნებარე, მძაფრი, გამორჩეული სიყვარული საკუთარი ერისა და მამულის მიმართ.

კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტური მემკვიდრეობის უანრების მიხედვით დაყოფა ძალზე რთულია, რადგან იგი არ ცნობდა მკაცრ უანრულ ჩარჩოებს, ცნებებით აზროვნებას მხატვრული სახეებით აზროვნებას უთავსებდა. ამდენად, მისი ცალკეული წერილები ჩვენ პირობითად დაფავით უანრების მიხედვით. მაგალითად, მისი ის პუბლიკაციები, რომლებსაც ჩვენ თეატრალური რეცენზიები ვუწოდებთ, კლასიკური რეცენზიის ნიმუშები არ არის, მაგრამ რაკი წინ მაინც ამ უანრისთვის დამახასიათებელი ნიშნები იწვევდა, საჭიროდ ჩავთვალეთ, განგვიხილა როგორც რეცენზიები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრობლემურ სტატიებსა თუ სხვა პუბლიკაციებში გრიგოლ რობაქიძე, ძირითადად, არგუმენტთა ისეთ თანმიმდევრობას არჩევს, რომ მკითხველი თავად მიდის დასკვნამდე. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში იგი გადაბრუნებული პირამიდის მსგავს მეთოდს მიმართავს (მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი მხოლოდ ინფორმაციული შენიშვნისთვის არის დამახასიათებელი, ჩვენ მაინც თვალსაჩინოებისთვის ასე ვუწოდებთ რობაქიძის მანერას) – წერილს მთავარი სათქმელით, დასკვნით იწყებს, კონკრეტულიდან ზოგადისკენ მიდის. შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს პირდაპირი ლიდის სახესხვაობაა, თუმცა, პირდაპირი ლიდის, ძირითადად, ინფორმაციულ უანრებთან გამოიყენება.

გრიგოლ რობაქიძე XX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების მესაჭეა, რისთვისაც იგი ხშირად ითავსებდა ენათმეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის მოვალეობებს. იკვლევდა

ქართულ მახვილს, რიტმსა და რითმას, მეტაფორასა და სიტყვის მხატვრულ ზემოქმედებას... ქებას არ მოაკლებდა ქართული მითის შემქმნელსა და სიახლის მთქმელ შემოქმედს, თუმცა, მკაცრი შეფასებაც იცოდა. ამასთან, მსგავსი შეცდომისგან თავის დაღწევის გზის მიმთითებელიც გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მახვილისა თუ რიტმის განსაკუთრებულობის კვლევაც იმავე მიზანს ემსახურებოდა, რასაც მისი პუბლიცისტისტიკა. ამითაც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საქართველო თავისთავადი, გამორჩეული ქვეყანაა, რომელმაც თავისუფლების გზიდან არ უნდა გადაუხვიოს;

რომელსაც ენობრივადაც ევროპასთან (განსაკუთრებით, საბერძნეთთან) გაცილებით მეტი აქვს საერთო, ვიდრე რუსეთთან.

გრიგოლ რობაქიძე ქურუმივით დასტრიალებდა თავს ახალ ქართულ ლიტერატურას, რომელიც მაშინ იწყებდა ჩამოყალიბებას. ემზადებოდა ახლო მომავალში შესაქმნელი ახალი სახელმწიფოსთვის, რომელსაც ლიტერატურაც ევროპული ტენდენციების მატარებელი, მაგრამ თავისთავადი უნდა ჰქონოდა. 1912 წელს მან ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებების განხილვა და ზოგადი ტენდენციის გამოკვეთა განიზრახა. პრესაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, დაასრულა თუ არა ეს საქმე, მაგრამ სურვილის გამოთქმა, მოწადინება, ლიტერატურულ ნაწარმოებთა შეგროვება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ გრ. რობაქიძე მე-20 საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის საფუძველის ჩაყრას ცდილობდა, ახალი ქართული ლიტერატურის აქცენტების გამოკვეთას ესწრაფვოდა.

კრიტიკა სასიამოვნო რომ არავისთვის არის, ცხადია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გონიერთათვის სასარგებლოა. თუმცა, ყველა ასე როდი ფიქრობდა, თავიანთი სისუსტის დასაფარავად ზოგიერთი გრ. რობაქიძეს ციფს სწამდა, პირადი მტრობა ამოძრავებსო. არადა, მის კრიტიკულ წერილებში ემოციასა და მიკერძოებულობას იშვიათად იგრძნობთ, ყოველი შენიშვნა არგუმენტირებული და დასაბუთებულია. გრ. რობაქიძეს კრიტიკა ილიას მსგავსად ესმოდა „კრიტიკა“ არის განხილვაც, განხილვაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“ (ჭავჭავაძე 1991:38). სწორედ ასე ჩხრეკდა და აფასებდა გრიგოლ რობაქიძე განსახილველ ნაწარმოებებს. იგი დიდ პატივს სცემდა პრესას და არასდროს გაუხდია პირად ინტერესებზე საკინკლავო მოედნად. რობაქიძეს ერთადერთი ინტერესი ამოძრავებდა ახალგაზრდა პოეტებსა თუ პროზაიკოსებს გამოეწვრებინათ თავიანთი შეცდომები და ჩამოყალიბებულიყო მწერლობა, რომელიც დროს გაუძლებდა. გრიგოლ რობაქიძემ ჯერ კიდევ 1912 წელს მიუთითა მწერლებს, რომ „ნაკადულის ჩხრიალი“ და „ნიავის ჩურჩული“, „მზის სხივები“ და „ბადრი მთვარე“ ის შაბლონური მასალაა, რომლითაც ნამდვილი ლიტერატურა არ იქმნება (თემი 1912ა:2).

ცნობილია, რომ მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი გრ. რობაქიძე იყო. ამ საქმეს მასთან ერთად მეთაურობდნენ კოტე მაყაშვილი, შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, ტიცვიან ტაბიძე, დავით კოპალი, ლევან (ლეელი) ჯაფარიძე... მათ შეადგინეს კავშირის წესდება, ჩაატარეს მწერალთა ყრილობა, რომელმაც სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი შექმნილად გამოაცხადა. ეს იყო 1919-1920 წლები. თუმცა, გრ. რობაქიძე მწერალთა „საცნობ-სარჩევი ორგანოს“ ჩამოყალიბებაზე ადრეც ფიქრობდა. 1912 წელს იგი წერდა, რომ ამგვარი ორგანოს დაფუძნება აუცილებელია „დღენაკლული ლექსების“ თავიდან ასაცილებლად და ქართული მწერლობის ასადორძინებლად (თემი 1912ბ:2).

გრიგოლ რობაქიძის კიდევ ერთი დამსხურება საქართველოში მოდერნიზმის წინამძღვრობაა. „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრ. რობაქიძემ. ბ. რობაქიძეზე არ

გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ელობება გაუგებრობის გაღაგანი. იმას არაფრად დაჯდომია ძველ ღირებულებათა გადაფასების კადნიერება, ახალ ძიებათა ფეიერვერკების გასროლა... გრ. რობაქიძეს უთხრეს თავისი დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეტიკური კულტურა გრ. რობაქიძემდე“ (ტაბიძე 1916:29-30), ასკენის ტიცვიან ტაბიძე, რომელსაც პირველ სიმბოლისტად სწორედ გრიგოლ რობაქიძე მიაჩნია. საქართველოში სიმბოლიზმის შემოტანა რომ აუცილებელი იყო, ამაში ეჭვი არ შეჰპარვიათ „ცისფერყანწელებს“, რადგან, ტიცვიანის სიტყვით, „ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბის“ (ტაბიძე 1916:32).

სიმბოლოს გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც პროზასა და პოეზიაში, ასევე პუბლიცისტურ სიტყვაში. ჟურნალში „ბედი ქართლისა“ იგი აღნიშნავდა, ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებსო (ჩემთვის... 1996:81). ის იყო მწერალი რომელიც „უნატიფესი იმპულსებით გრძნობდა ფილოსოფიურ-რელიგიურ და მითოსურ შრეებს და შეეძლო პოეტური მედიტაციების გზით მხატვრულ-პოეტურ ღირებულებებად ექცია ისინი“ (ჯინჯიხაძე 2004:3).

სიმბოლიზმის მეგზურობით გრ. რობაქიძემ ქართული მწერლობის განახლებას შეუწყო ხელი. ცხადია, რომ სიმბოლისტთა გარეშე XX საუკუნის ქართული ლიტერატურა ძალზე დარიბი იქნებოდა. მართალია, მოგვიანებით ის საკუთარ თავს უბრალოდ სიმბოლისტთა მეგობარს უწოდებდა, მაგრამ სინამდვილეში ის წინამძღოლი იყო, ბუნებით ლიდერი. ამირან გომართელის თქმით, ის არა მხოლოდ ერუდიციით, აზროვნებით, გამორჩეული სტილით იმორჩილებდა ახალგაზრდობას და ახდენდა გავლენას სალიტერატურო პროცესზე, არამედ, ცხოვრების წესითაც. ის იყო მოაზროვნისა და ესთეტის ნიმუში (გომართელი 1997:157). გასული საუკუნის 30-იან წლებში მასზე ევროპელები ამბობდნენ: „რობაქიძე თავისი ხალხის ერთ-ერთი ჭეშმარიტი წინამძღოლია და ერთადერთი ნამდვილი ხსნაა ხალხისთვის. იგი ჭეშმარიტად სახალხო პოეტია, როგორც ესქილე, სოფოკლე და ჰომეროსია საბერძნეთისთვის“. (მესხი 1996:108).

გრიგოლ რობაქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა ახალი იდეების განფენით, შეახედა იოქანაანის მოჭრილ თავს, მოასმენინა „ნიცშეს მწვალებელი სიტყვა“ (ტაბიძე 1916:30). პუბლიცისტური პათოსით ლიტერატურულ ძიებებში მომავლის მოაზროვნის აღზრდა დაისახა მიზნად. მანვე „დაანახა ქართულ საზოგადოებას გადაგვარების გზაზე შემდგარს ქართულის სიმშენიერე, სიმძლავრე, დაანახვა და გაიტაცა... მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს“ (კლდიაშვილი 1932:321).

დაბოლოს, შემაჯამებელი ფრაზა გახეთ „თემიდან“: რობაქიძეს „ხვდა ბედნიერი წილი ქართული აუდიტორიის შექმნა“ (თემი 1911:3). დამეთანხმებით, ამით ყველაფერია ნათქვამი გრიგოლ რობაქიძის საზოგადოებრივ-პუბლიცისტური ღვაწლის შესახებ. უკეთეს შეფასებაზე ვერცერთი ორატორი ვერ იოცნებებს. ეს მოკლე ფრაზა

ცხადს ხდის, როგორ აფასებდა მას ქართული პრესა; როგორ ჭირდებოდა გრ. რობაქიძე ქართულ საზოგადოებას და, მათ შორის, მედიას, რომელიც სახელგანთქმული ორატორისა და პუბლიცისტის ნააზრევს საკუთარ აუდიტორიაზე ზემოქმედებისათვის იყენებდა.

## ბიბლიოგრაფია

1. ავალიანი 2005: ავალიანი ლ., „გიჟი დროის“ ქართული მწერლობა, თბილისი, გამომცემლობა „თეთრი გიორგი“, 2005.
2. არველაძე 1990: არველაძე ბ., გრიგოლ რობაქიძის ერთი პოლემიკის შესახებ, აღმ. საუნჯე, №3-4, 1990.
3. ბარბაქაძე 1988: ბარბაქაძე თ., ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები პერიოდულ პრესაში, თბილისი, 1988.
4. ბაქრაძე 1999: ბაქრაძე ა., კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბილისი: გამომცემლობა ღომისი, 1999.
5. ბენაშვილი 2005: ბენაშვილი გ., გრიგოლ რობაქიძე – ეროვნული ფესვების მაძიებელი ფაუსტი, ჟ.კრიტიკერიუმი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალი, №2, 2005.
6. გაგელი 1921: გაგელი ვ., პოეტები სტამბაში, ჟ.მეოცნებე ნიამორები, №6, 1921.
7. გაწერელია 2001: გაწერელია აკ., „გრ. რობაქიძე (რამდენიმე მოგონება), გაზ. ლიტერატურული საქართველო, №2, 2001. გვ. 5.
8. გელოვანი 1998: გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1998.
9. გომართელი 1997: გომართელი ა., ქართული სიმბოლოსტური პროზა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.
10. დაუშვილი 2005: დაუშვილი რ., გრიგოლ რობაქიძე და ანდრეი ბელი, აღმ.ლიტერატურა და სხვა, 2005.

11. ვაშაკიძე 2006: ვაშაკიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა 1917-1918 წლების ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში, თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2006.
12. ვულფი 1988: ვულფი ვ., ესეები, თბილისი, გამომცემლობა ნაკადული, 1988.
13. თეთრ... 2003: თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით, თბილისი, 2003.
14. კლდიაშვილი 1932ბ: კლდიაშვილი დ., მემუარები, თბილისი, 1932.
15. ლიტერატურული საქართველო 1987: „ტკივილი ფესვების“, გაზ. ლიტერატურული საქართველო, №37, 1987, გვ.6.
16. ლიტერატურული საქართველო 2001: „კლასიკოსი“, გაზ. ლიტერატურული საქართველო, №1, 2001, გვ.3.
17. მანველიშვილი 1990: მანველიშვილი აღ., ნარკვევები და წერილები, სან ფრანცისკო, 1990.
18. მალღაფერიძე 2005: მალღაფერიძე თ., მარადი აწმყო, თბილისი: გამომცემლობა, 2005.
19. მესხი 1996: მესხი თ., დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1996.
20. მეფარიშვილი 2005: მეფარიშვილი თ., გრიგოლ რობაქიძის ესეისტიკა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
21. პრესაში. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.
22. ნადარეიშვილი 2002: ნადარეიშვილი მ., პუბლიცისტური ოსტატობის აღფა და ომეგა (ლიდი და დაბოლოება), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
23. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი I, თბილისი: გამომცემლობა, 2000.
24. ნიკოლაიშვილი 1994: ნიკოლაიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. ტ. I, ქუთაისი, გამომცემლობა „მოწამეთა“, 1994.



25. ნიკოლაიშვილი 2000: ნიკოლაიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. ტ. III, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2000.
26. პოპოვი 2009: პოპოვი ა., „ზიზლისა და სიძულვილის“ 200 წელი, (ელექტრონული გაზეთი аргументы и факты, 2009, განთავსებულია 4 ოქტომბრიდან, 2009); მის.: <http://www.aif.ru/politic/article/28446>.
27. რობაქიძე 1910: რობაქიძე გრ., თარის ხმა, ქ. ფასკუნჯი, №1, 1910.
28. რობაქიძე 1918: რობაქიძე გრ., თამარ, გაზ, საქართველო, №90, 1918.
29. რობაქიძე 1991: რობაქიძე გრ., საქართველოს ხერხემალი, გაზ. წიგნის სამყარო, №1. გვ 1.
30. რობაქიძე 2003: რობაქიძე გრ., დრამები, წერილები თეატრის შესახებ, თბილისი, გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“, 2003.
31. საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, ტ. I, თბილისი, 1997.
32. საქართველოს რესპუბლიკა 2003: “ზარები ოცდაათიანი წლებიდან”, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, №349, 2003, გვ. 4.
33. სიგუა 2002: სიგუა ს., ქართული მოდერნიზმი, თბილისი, გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2002.
34. ტაბიძე 1916: ტაბიძე ტ., ცისფერი ყანწებით, ქ. ცისფერი ყანწები, №1, 1916.
35. ჩემთვის... 1996: ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბილისი, 1996.
36. ცხადაძე 1998: ცხადაძე ე., „ლონდა“ – კოლხური მისტერია, ჟურნ. ცისკარი, №2, 1998.
37. ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ, კრბ. თ.5, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1991.
38. ჯალიაშვილი 1994: ჯალიაშვილი მ., თაობიდან თაობამდე, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი“, 1994.

39. ჯამბურია 1998: გრიგოლ რობაქიძის წინასწარმეტყველება, წიგნი „ქართული მწერლობა“, №2, 1990.
40. ჯაფარიძე 2004: ჯაფარიძე ლ., მოგონებები, ჩანაწერები, თბილისი, 2004.
41. ჯინჯიხაძე 2004: ჯინჯიხაძე ლ., გრიგოლ რობაქიძის ენგადი, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2004.

### პერიოდისკა:

1. დროება 1908ა: გაზ. დროება, №1, 1908, გვ.1.
2. დროება 1908ბ: “აკაკის იუბილეი”, გაზ. დროება, №7, 1908, გვ.2.
3. დროება 1908გ: “აკაკის იუბილეი”, გაზ. დროება, №12, 1908, გვ.1.
4. დროება 1908დ: “დღევანდელი ლექციის შესახებ”, გაზ. დროება, №14, 1908, გვ.3.
5. დროება 1908ე: “დღევანდელი ლექციის შესახებ”, გაზ. დროება, №14, 1908, გვ.3-4.
6. დროება 1908ვ: “დღევანდელი ლექციის შესახებ”, გაზ. დროება, №14, 1908, გვ.4.
7. დროება 1908ზ: გაზ. დროება, №15, 1908, გვ.2.
8. დროება 1908თ: გაზ. დროება, №16, 1908, გვ.2.
9. დროება 1908ი: “პრესა აკაკის იუბილეზე”, გაზ. დროება, №18, 1908, გვ.4.
10. დროება 1908კ: “პრესა აკაკის იუბილეზე”, გაზ. დროება, №18, 1908, გვ.4.
11. დროება 1908ლ: გაზ. დროება, №21, 1908, გვ.2.
12. დროება 1908მ: გაზ. დროება, №25, 1908, გვ.2.
13. დროება 1908ნ: “დღევანდელი ლექციის შესახებ”, გაზ. დროება, №14, 1908, გვ.3.
14. დროება 1909ა: გაზ. დროება, №1, 1909, გვ.1.
15. დროება 1909ბ: გაზ. დროება, №223, 1909, გვ.3.
16. დროება 1909გ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. დროება, №227, 1909, გვ.4.

17. დროება 1909დ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. დროება, №227, 1909, გვ.4.
18. დროება 1909ე: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. დროება, №227, 1909, გვ.4.
19. დროება 1909ვ: გაზ. დროება, №236, 1909, გვ.3.
20. დროება 1909ზ: “პოეზიის სამფლობელოში”, გაზ. დროება, №239, 1909, გვ.1.
21. დროება 1909თ: “პოეზიის სამფლობელოში”, გაზ. დროება, №239, 1909, გვ.1.
22. დროება 1909ი: “პოეზიის სამფლობელოში”, გაზ. დროება, №239, 1909, გვ.2.
23. დროება 1909კ: “პოეზიის სამფლობელოში”, გაზ. დროება, №239, 1909, გვ.2.
24. დროება 1909ლ: “მცირე განმარტება”, გაზ. დროება, №240, 1909, გვ.2.
25. დროება 1909მ: “მცირე განმარტება”, გაზ. დროება, №240, 1909, გვ.2.
26. დროება 1909ნ: “მცირე განმარტების” განმარტება”, გაზ. დროება, №247, 1909, გვ.2.
27. დროება 1909ო: “ბარათაშვილის ლირის მოტივები”, გაზ. დროება, №252, 1909, გვ.3.
28. დროება 1909პ: “მცირე განმარტების” განმარტება”, გაზ. დროება, №247, 1909, გვ.2.
29. დროება 1909ჟ: “ბარათაშვილის ლირის მოტივები”, გაზ. დროება, №252, 1909, გვ.4.
30. დროება 1909რ: “ბარათაშვილის ლირის მოტივები”, გაზ. დროება, №252, 1909, გვ.4.
31. დროება 1909ს: “ბარათაშვილის ლირის მოტივები”, გაზ. დროება, №252, 1909, გვ.4.
32. დროება 1909ტ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.2.
33. დროება 1909უ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.2.
34. დროება 1909ფ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.2.

35. დროება 1909ქ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.2.
36. დროება 1909ღ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.2.
37. დროება 1909ყ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.3.
38. დროება 1909შ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.3.
39. დროება 1909ჩ: “შემოქმედი და გარემო”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.3.
40. დროება 1909ც: “გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე”, გაზ. დროება, №242, 1909, გვ.3.
41. დროება 1909ძ: “კიდევ ერთი განმარტება”, გაზ. დროება, №246, 1909, გვ.3.
42. დროება 1909წ: “გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე”, გაზ. დროება, №242, 1909, გვ.3.
43. დროება 1909ჭ: “გრიგოლ რობაქიძის ლექციებზე”, გაზ. დროება, №243, 1909, გვ.3.
44. დროება 1909ხ: “ლექცია გრიგოლ რობაქიძისი”, გაზ. დროება, №236, 1909, გვ.3.
45. დროება 1909ჯ: “ბარათაშვილის ღრის მოტივები”, გაზ. დროება, №252, 1909, გვ.3.
46. დროება 1909ჰ: “”, გაზ. დროება, №257, 1909, გვ.3.
47. დროება 1910ა: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. დროება, №66, 1910, გვ.4.
48. დროება 1910ბ: გაზ. დროება, №67, 1910, გვ.3.
49. დროება 1910გ: გაზ. დროება, №66, 1910, გვ.1.
50. დროება 1910დ: გაზ. დროება, №70, 1910, გვ.4.
51. დროება 1910ე: “სასაცილო ამბავი”, გაზ. დროება, №72, 1910, გვ.2.
52. დროება 1910ვ: “სასაცილო ამბავი”, გაზ. დროება, №72, 1910, გვ.2.
53. დროება 1910ზ: “სასაცილო ამბავი”, გაზ. დროება, №72, 1910, გვ.2.
54. დროება 1910თ: “ოსკარ უაილდი”, გაზ. დროება, №72, 1910, გვ.2.
55. დროება 1910ი: “ოსკარ უაილდი”, გაზ. დროება, №72, 1910, გვ.2.
56. დროება 1910კ: “ნავოსაყუდელის ძებნაში”, გაზ. დროება, №74, 1910, გვ.2.
57. დროება 1910ლ: გაზ. დროება, №72, 1910, გვ.4.
58. დროება 1910მ: გაზ. დროება, №98, 1910, გვ.1.

59. დროება 1910წ: გაზ. დროება, №67, 1910, გვ.3.
60. დროება 1910წ: გაზ. დროება, №77, 1910, გვ.4.
61. თემი 1911წ: გაზ. თემი, №1, 1911, გვ.1.
62. თემი 1911წ: “გრიგოლ რობაქიძე და მისი ლექციები”, გაზ. თემი, №28, 1911, გვ.3.
63. თემი 1911წ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. თემი, №19, 1911, გვ.2.
64. თემი 1911წ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. თემი, №19, 1911, გვ.2.
65. თემი 1911წ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. თემი, №19, 1911, გვ.2.
66. თემი 1911წ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. თემი, №19, 1911, გვ.2.
67. თემი 1911წ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. თემი, №19, 1911, გვ.2.
68. თემი 1911წ: “ნადუღი”, გაზ. თემი, №22, 1911, გვ.2.
69. თემი 1911წ: “ნადუღი”, გაზ. თემი, №22, 1911, გვ.2.
70. თემი 1911წ: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. თემი, №20, 1911, გვ.2.
71. თემი 1911წ: “გრ. რობაქიძე და მისი ლექციები”, გაზ. თემი, №28, 1911, გვ.3.
72. თემი 1911წ: “გრ. რობაქიძე და მისი ლექციები”, გაზ. თემი, №28, 1911, გვ.3.
73. თემი 1911წ: “გრ. რობაქიძე და მისი ლექციები”, გაზ. თემი, №28, 1911, გვ.3.
74. თემი 1911წ: “გრ. რობაქიძე და მისი ლექციები”, გაზ. თემი, №28, 1911, გვ.3.
75. თემი 1911წ: გაზ. თემი, №28, 1911, გვ.3.
76. თემი 1911წ: “გრ. რობაქიძე და მისი ლექციები”, გაზ. თემი, №28, 1911, გვ.3.
77. თემი 1912წ: “ქართველ მწერალთა საყურადღებოდ”, გაზ. თემი, №69, 1912, გვ.2.
78. თემი 1912წ: “ქართველ მწერალთა საყურადღებოდ”, გაზ. თემი, №69, 1912, გვ.2.
79. თემი 1913წ: “Maia”, გაზ. თემი, №119, 1913, გვ.3.
80. თემი 1913წ: “Maia”, გაზ. თემი, №119, 1913, გვ.3.

81. თემი 1914: გაზ. თემი, №156, 1914, გვ.3.
82. თემი 1915ა: “აკაკის ქნარი”, გაზ. თემი, №205, 1915, გვ.1.
83. თემი 1915ბ: “აკაკის ქნარი”, გაზ. თემი, №205, 1915, გვ.2.
84. თემი 1915გ: “აკაკის ქნარი”, გაზ. თემი, №205, 1915, გვ.2.
85. თემი 1915დ: “აკაკის ქნარი”, გაზ. თემი, №205, 1915, გვ.2.
86. თემი 1915ე: “აკაკის ქნარი”, გაზ. თემი, №205, 1915, გვ.2.
87. ისარი 1907ა: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №257, 1907, გვ. 3-4.
88. ისარი 1907ბ: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №272, 1907, გვ. 3.
89. ისარი 1907გ: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №257, 1907, გვ. 3-4.
90. ისარი 1907დ: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №247, 1907, გვ. 2.
91. ისარი 1907ე: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №247, 1907, გვ. 2.
92. ისარი 1907ვ: “ლექციის გადაღება”, გაზ. ისარი, №254, 1907, გვ. 3.
93. ისარი 1907ზ: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №257, 1907, გვ. 3-4.
94. ისარი 1907თ: “გრ. რობაქიძის სახალხო ლექცია”, გაზ. ისარი, №272, 1907, გვ.3.
95. ისარი 1907ი: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №266, 1907, გვ.3.
96. ისარი 1907კ: “გრ. რობაქიძის ლექცია”, გაზ. ისარი, №270, 1907, გვ.3.
97. კოლხიდა 1911ა: გაზ. კოლხიდა, №1, 1911, გვ.1.
98. კოლხიდა 1911ბ: “ლიტერატურული საღამო”, გაზ. კოლხიდა, №143, 1911, გვ.3.
99. კოლხიდა 1911გ: “ლიტერატურული საღამო”, გაზ. კოლხიდა, №144, 1911, გვ.4.
100. კოლხიდა 1911დ: “ლიტერატურული საღამო”, გაზ. კოლხიდა, №144, 1911, გვ.4.
101. კოლხიდა 1911ე: “ლიტერატურული საღამო”, გაზ. კოლხიდა, №144, 1911, გვ.4.
102. კოლხიდა 1911ვ: “მცირე განმარტება”, გაზ. კოლხიდა, №145, 1911, გვ.3.
103. კოლხიდა 1911ზ: “მცირე განმარტება”, გაზ. კოლხიდა, №145, 1911, გვ.3.
104. კოლხიდა 1911თ: გაზ. კოლხიდა, №23, 1911, გვ.3.
105. კოლხიდა 1911ი: გაზ. კოლხიდა, №58, 1911, გვ.2.

106. კოლხიდა 1911კ: გაზ. კოლხიდა, №59, 1911, გვ.2.
107. კოლხიდა 1911ლ: გაზ. კოლხიდა, №67, 1911, გვ.2.
108. კოლხიდა 1911მ: გაზ. კოლხიდა, №82, 1911, გვ.2.
109. კოლხიდა 1911ნ: გაზ. კოლხიდა, №69, 1911, გვ.3.
110. კოლხიდა 1911ო: “მერეჟოვსკიდან”, გაზ. კოლხიდა, №138, 1911, გვ.3.
111. კოლხიდა 1911პ: “მერეჟოვსკიდან”, გაზ. კოლხიდა, №138, 1911, გვ.3.
112. კოლხიდა 1911ჟ: “არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა გამო”, გაზ. კოლხიდა, №138, 1911, გვ.2.
113. კოლხიდა 1912ა: გაზ. კოლხიდა, №89, 1912, გვ.2.
114. კოლხიდა 1912ბ: გაზ. კოლხიდა, №103, 1912, გვ.2.
115. კოლხიდა 1912გ: გაზ. კოლხიდა, №108, 1912, გვ.2.
116. კოლხიდა 1912დ: “მოკლე შენიშვნა”, გაზ. კოლხიდა, №71, 1912, გვ.2.
117. კოლხიდა 1912ე: გაზ. კოლხიდა, №71, 1912, გვ.2.
118. კოლხიდა 1912ვ: გაზ. კოლხიდა, №71, 1912, გვ.2.
119. კოლხიდა 1912ზ: გაზ. კოლხიდა, №71, 1912, გვ.2.
120. კოლხიდა 1912თ: “საპასუხო ბარათი”, გაზ. კოლხიდა, №72, 1912, გვ.2.
121. კოლხიდა 1912ი: გაზ. კოლხიდა, №71, 1912, გვ.2.
122. კოლხიდა 1912კ: “საპასუხო შენიშვნა”, გაზ. კოლხიდა, №71, 1912, გვ.2-3.
123. კოლხიდა 1912ლ: “საპასუხო შენიშვნა”, გაზ. კოლხიდა, №71, 1912, გვ.2-3.
124. კოლხიდა 1912მ: “შემოქმედება და სინამდვილე”, გაზ. კოლხიდა, №73, 1912, გვ.3.
125. კოლხიდა 1912ნ: “შემოქმედება და სინამდვილე”, გაზ. კოლხიდა, №73, 1912, გვ.3.
126. კოლხიდა 1912ო: “შემოქმედება და სინამდვილე”, გაზ. კოლხიდა, №73, 1912, გვ.3.
127. კოლხიდა 1912პ: “შემოქმედება და სინამდვილე”, გაზ. კოლხიდა, №73, 1912, გვ.3.
128. კოლხიდა 1912ჟ: გაზ. კოლხიდა, №72, 1912, გვ.2-3.

129. კოლხიდა 1912რ: გაზ. კოლხიდა, №82, 1912, გვ.2.
130. კოლხიდა 1912ს: გაზ. კოლხიდა, №93, 1912, გვ.2.
131. კოლხიდა 1912ტ: გაზ. კოლხიდა, №143, 1912, გვ.2.
132. კოლხიდა 1912უ: გაზ. კოლხიდა, №144, 1912, გვ.2.
133. კოლხიდა 1912ფ: გაზ. კოლხიდა, №151, 1912, გვ.2.
134. კოლხიდა 1912ქ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. კოლხიდა, №78, 1912, გვ.2.
135. კოლხიდა 1912ღ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. კოლხიდა, №78, 1912, გვ.2.
136. კოლხიდა 1912ყ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. კოლხიდა, №78, 1912, გვ.3.
137. კოლხიდა 1912შ: “გრიგოლ რობაქიძის ლექცია”, გაზ. კოლხიდა, №78, 1912, გვ.3.
138. კოლხიდა 1912ჩ: “ჩემი აზრი გრიგოლ რობაქიძის ლექციის შესახებ”, გაზ. კოლხიდა, №94, 1912, გვ.3.
139. კოლხიდა 1912ც: “საბრალო რეცენზენტი”, გაზ. კოლხიდა, №89, 1912, გვ.2.
140. კოლხიდა 1912ძ: “საბრალო რეცენზენტი”, გაზ. კოლხიდა, №89, 1912, გვ.3.
141. კოლხიდა 1912წ: “ვინ-ხანიანის პასუხის გამო”, გაზ. კოლხიდა, №112, 1912, გვ.2.
142. კოლხიდა 1912ჭ: “საბრალო რეცენზენტი”, გაზ. კოლხიდა, №89, 1912, გვ.3.
143. კოლხიდა 1912ხ: “ვინ-ხანიანის პასუხის გამო”, გაზ. კოლხიდა, №112, 1912, გვ.2.
144. კოლხიდა 1912ჯ: გაზ. კოლხიდა, №120, 1912, გვ.2.
145. კოლხიდა 1912ჰ: გაზ. კოლხიდა, №147, 1912, გვ.2.
146. კოლხიდა 1912ჰ2: “ახალ მწერალთა მიმართ”, გაზ. კოლხიდა, №30, 1912, გვ.3.



147. კოლხიდა 1912ჰჰ: “ასალ მწერალთა მიმართ”, გაზ. კოლხიდა, №68, 1912, გვ.3.
148. საქართველო 1915ა: “რაბინდრანატ ტაბორიდან”, გაზ. საქართველო, №3, 1915, გვ.3.
149. საქართველო 1915ბ: “რაბინდრანატ ტაბორიდან”, გაზ. საქართველო, №7, 1915, გვ.3.
150. საქართველო 1915გ: “რაბინდრანატ ტაბორიდან”, გაზ. საქართველო, №7, 1915, გვ.3.
151. საქართველო 1915დ: “რაბინდრანატ ტაბორიდან”, გაზ. საქართველო, №7, 1915, გვ.3.
152. საქართველო 1915ე: “რაბინდრანატ ტაბორიდან”, გაზ. საქართველო, №3, 1915, გვ.3.
153. საქართველო 1915ვ: “რაბინდრანატ ტაბორიდან”, გაზ. საქართველო, №7, 1915, გვ.3.
154. საქართველო 1917ა: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №241, 1917, გვ.2.
155. საქართველო 1917ბ: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №243, 1917, გვ.2.
156. საქართველო 1917გ: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №243, 1917, გვ.2.
157. საქართველო 1917დ: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №244, 1917, გვ.2.
158. საქართველო 1917ე: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №244, 1917, გვ.2.
159. საქართველო 1917ვ: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №245, 1917, გვ.2.
160. საქართველო 1917ზ: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №246, 1917, გვ.2.
161. საქართველო 1917თ: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №247, 1917, გვ.2.

162. საქართველო 1917ი: “დიონისოს კულტი და საქართველო”, გაზ. საქართველო, №250, 1917, გვ.2.
163. საქართველო 1917კ: “კიტა აბაშიძე”, გაზ. საქართველო, №278, 1917, გვ.2.
164. საქართველო 1917ლ: “ირაკლი წერეთელი”, გაზ. საქართველო, №222, 1917, გვ.2.
165. საქართველო 1917მ: “მოქანდაკე ნიკოლაძე”, გაზ. საქართველო, №245, 1917, გვ.2.
166. საქართველო 1917ნ: “გრიგოლ ორბელიანი”, გაზ. საქართველო, №277, 1917, გვ.2.
167. საქართველო 1917ო: “ალექსანდრე ჭავჭავაძე”, გაზ. საქართველო, №271, 1917, გვ.2.
168. საქართველო 1917პ: “ბესიკი”, გაზ. საქართველო, №263, 1917, გვ.2.
169. საქართველო 1917ჟ: “ჰელლენები და ქართველები”, გაზ. საქართველო, №267, 1917, გვ.2.
170. საქართველო 1917რ: “მიზანი არსებობისა”, გაზ. საქართველო, №51, 1917, გვ.1.
171. საქართველო 1917ს: “რუსეთის ტრაგედია”, გაზ. საქართველო, №234, 1917, გვ.2.
172. საქართველო 1917ტ: “რუსეთის ტრაგედია”, გაზ. საქართველო, №234, 1917, გვ.2.
173. საქართველო 1917უ: “რუსეთის აჯანყება”, გაზ. საქართველო, №237, 1917, გვ.2.
174. საქართველო 1917ფ: “ფანტასმების ქალაქი”, გაზ. საქართველო, №239, 1917, გვ.4.
175. საქართველო 1917ქ: “სოციალისტური იმპერიალისტები”, გაზ. საქართველო, №273, 1917, გვ.2.
176. საქართველო 1917ღ: “სოციალისტური იმპერიალისტები”, გაზ. საქართველო, №273, 1917, გვ.2.

177. საქართველო 1917ჟ: “სოციალისტური იმპერიალისტები”, გაზ. საქართველო, №273, 1917, გვ.2.
178. საქართველო 1917ზ: “სოციალისტური იმპერიალისტები”, გაზ. საქართველო, №273, 1917, გვ.2.
179. საქართველო 1917ჩ: “ქართული რენესანსი”, გაზ. საქართველო, №257, 1917, გვ.2.
180. საქართველო 1917ც: “ისტორიული წამები”, გაზ. საქართველო, №260, 1917, გვ.2.
181. საქართველო 1917ძ: “პატრონები და მოქალაქენი”, გაზ. საქართველო, №232, 1917, გვ.2.
182. საქართველო 1917წ: “გურია და სოციალიზმი”, გაზ. საქართველო, №269, 1917, გვ.2.
183. საქართველო 1917ჭ: “ფანტასმების ქალაქი”, გაზ. საქართველო, №239, 1917, გვ.4.
184. საქართველო 1917ხ: “ქართველ მწერლებს”, გაზ. საქართველო, №228, 1917, გვ.2.
185. საქართველო 1917ჯ: “ქართველ მწერლებს”, გაზ. საქართველო, №228, 1917, გვ.3.
186. საქართველო 1918ა: “გიორგი შარვაშიძე”, გაზ. საქართველო, №45, 1918, გვ.2.
187. საქართველო 1918ბ: “სოციალისტების სახელმწიფოებრივი უძღურება”, გაზ. საქართველო, №24, 1918, გვ.2.
188. საქართველო 1918გ: “სოციალისტების სახელმწიფოებრივი უძღურება”, გაზ. საქართველო, №24, 1918, გვ.2.
189. საქართველო 1918დ: “სოციალისტების სახელმწიფოებრივი უძღურება”, გაზ. საქართველო, №24, 1918, გვ.2.
190. საქართველო 1918ე: “ანარქიის სტიქიონი”, გაზ. საქართველო, №13, 1918, გვ.2.
191. საქართველო 1918ვ: “ანარქიის სტიქიონი”, გაზ. საქართველო, №13, 1918, გვ.2.

192. საქართველო 1918ზ: “პროგრამა – მინიმუმი და მაქსიმუმი”, გაზ. საქართველო, №16, 1918, გვ.2.
193. საქართველო 1918თ: “კლასიური და ეროვნული”, გაზ. საქართველო, №18, 1918, გვ.1.
194. საქართველო 1918ი: “აგრარული ანარქია”, გაზ. საქართველო, №29, 1918, გვ.2.
195. საქართველო 1918კ: “დამაფიქრებელი”, გაზ. საქართველო, №70, 1918, გვ.2.
196. საქართველო 1918ლ: “დამაფიქრებელი”, გაზ. საქართველო, №70, 1918, გვ.2.
197. საქართველო 1918მ: “რაინდული საქართველო”, გაზ. საქართველო, №52, 1918, გვ.2.
198. საქართველო 1918ნ: “პასუხი გრიშაშვილს”, გაზ. საქართველო, №211, 1918, გვ.3.
199. საქართველო 1918ო: “სონეტი საქართველოში”, გაზ. საქართველო, №214, 1918, გვ.3.
200. საქართველო 1918პ: “სონეტის გარშემო”, გაზ. საქართველო, №221, 1918, გვ.3.
201. საქართველო 1918ჟ: გაზ. საქართველო, №225, 1918, გვ.3.
202. საქართველო 1918რ: “სონეტის გარშემო”, გაზ. საქართველო, №221, 1918, გვ.3.
203. საქართველო 1918ს: “ქართული ლექსი”, გაზ. საქართველო, №5, 1918, გვ.2.
204. საქართველო 1918ტ: “ქართული ლექსი”, გაზ. საქართველო, №5, 1918, გვ.2.
205. საქართველო 1918უ: “ქართული ლექსი”, გაზ. საქართველო, №5, 1918, გვ.2.
206. საქართველო 1918ფ: “აისი”, გაზ. საქართველო, №55, 1918, გვ.2.
207. საქართველო 1920ა: “სიზმრების ახსნა”, გაზ. საქართველო, №116, 1920, გვ. 4.

208. საქართველო 1920ბ: “პასუხად”, გაზ. საქართველო, №102, 1920, გვ. 3.
209. საქართველო 1920გ: “პასუხად”, გაზ. საქართველო, №102, 1920, გვ. 3.
210. საქართველო 1920დ: “ქართული რიტმიული”, გაზ. საქართველო, №82, 1920, გვ.2.
211. საქართველო 1920ე: “ქართული რიტმიული”, გაზ. საქართველო, №82, 1920, გვ.2.
212. საქართველო 1920ვ: “ქართულის გარშემო”, გაზ. საქართველო, №123, 1920, გვ.3.
213. საქართველო 1920ზ: “ქართულის გარშემო”, გაზ. საქართველო, №128, 1920, გვ.3.
214. საქართველო 1920თ: “ბიბლიოგრაფია”, გაზ. საქართველო, №55, 1920, გვ.2.
215. საქართველო 1920ი: “ბიბლიოგრაფია”, გაზ. საქართველო, №93, 1920, გვ.3.
216. საქართველო 1920კ: “პოეტები ბოლშევიზიაში”, გაზ. საქართველო, №86, 1920, გვ.3.
217. საქართველო 1920ლ: “პოეტები ბოლშევიზიაში”, გაზ. საქართველო, №86, 1920, გვ.3.
218. საქართველო 1920მ: “პოეტები ბოლშევიზიაში”, გაზ. საქართველო, №86, 1920, გვ.3.
219. საქართველო 1920ნ: “პოეტები ბოლშევიზიაში”, გაზ. საქართველო, №86, 1920, გვ.3.
220. საქართველო 1920ო: “კანალოვის საღამო”, გაზ. საქართველო, №106, 1920, გვ.4.
221. საქართველო 1920პ: “სეზონის გახსნა”, გაზ. საქართველო, №124, 1920, გვ.3.
222. საქართველო 1920ჟ: “დრამატული სტუდია”, გაზ. საქართველო, №226, 1920, გვ.3.
223. საქართველო 1920რ: “მაღარმე და ნოვალისი”, გაზ. საქართველო, №106, 1920, გვ.3.

224. საქართველო 1920ს: “მაღარმე და ნოვალისი”, გაზ. საქართველო, №106, 1920, გვ.3.
225. საქართველო 1920ტ: “მაღარმე და ნოვალისი”, გაზ. საქართველო, №106, 1920, გვ.3.
226. საქართველო 1920უ: “რუსთაველის მსოფლიო მზერა”, გაზ. საქართველო, №112, 1920, გვ.3.
227. საქართველო 1920ფ: “რუსთაველის მსოფლიო მზერა”, გაზ. საქართველო, №118, 1920, გვ.2.
228. საქართველო 1920ქ: “რუსთაველის მსოფლიო მზერა”, გაზ. საქართველო, №112, 1920, გვ.3.
229. საქართველო 1921ა: “ხელოვნება №3”, გაზ. საქართველო, №19, 1921, გვ.4.
230. საქართველო 1921ბ: “ხელოვნება №3”, გაზ. საქართველო, №19, 1921, გვ.4.
231. საქართველო 1921გ: “სამშობლო”, გაზ. საქართველო, №25, 1921, გვ.3.
232. საქართველო 1921დ: “ქართული რომანი”, გაზ. საქართველო, №9, 1921, გვ.2.
233. საქართველო 1921ე: “ქართული რომანი”, გაზ. საქართველო, №9, 1921, გვ.2.
234. სახალხო გაზეთი 1910ა: გაზ. სახალხო გაზეთი, №2, 1910, გვ.2.
235. სახალხო გაზეთი 1910ბ: “ლიტერატურული საღამო”, გაზ. სახალხო გაზეთი, №3, 1910, გვ.3.
236. სახალხო გაზეთი 1910გ: “ლიტერატურული საღამო”, გაზ. სახალხო გაზეთი, №3, 1910, გვ.3.
237. სახალხო გაზეთი 1913ა: გაზ. სახალხო გაზეთი, №849, 1910, გვ.2.
238. სახალხო გაზეთი 1913ბ: “ფოთლები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1016, 1910, გვ.3.
239. სახალხო გაზეთი 1913გ: “ფოთლები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1016, 1910, გვ.3.

240. სახალხო გაზეთი 1913დ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1016, 1910, გვ.3.
241. სახალხო გაზეთი 1913ე: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1022, 1910, გვ.3.
242. სახალხო გაზეთი 1913ვ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1022, 1910, გვ.3.
243. სახალხო გაზეთი 1913ზ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1028, 1910, გვ.3.
244. სახალხო გაზეთი 1913თ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1028, 1910, გვ.3.
245. სახალხო გაზეთი 1913ი: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1028, 1910, გვ.3.
246. სახალხო გაზეთი 1913კ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1055, 1910, გვ.3.
247. სახალხო გაზეთი 1913ლ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1055, 1910, გვ.3.
248. სახალხო გაზეთი 1913მ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1056, 1910, გვ.2.
249. სახალხო გაზეთი 1913ნ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1056, 1910, გვ.2.
250. სახალხო გაზეთი 1914ა: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1094, 1910, გვ.3.
251. სახალხო გაზეთი 1914ბ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1094, 1910, გვ.3.
252. სახალხო გაზეთი 1914გ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1094, 1910, გვ.3.
253. სახალხო გაზეთი 1914დ: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1094, 1910, გვ.3.
254. სახალხო გაზეთი 1914ე: “ფოთლეები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1100, 1910, გვ.3.

255. სახალხო გაზეთი 1914ვ: “ფოთლები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1100, 1910, გვ.3.
256. სახალხო გაზეთი 1914ზ: “ფოთლები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1100, 1910, გვ.3.
257. სახალხო გაზეთი 1914თ: “ფოთლები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1100, 1910, გვ.3.
258. სახალხო გაზეთი 1914ი: “ფოთლები”, გაზ. სახალხო გაზეთი, №1100, 1910, გვ.3.
259. სახალხო საქმე 1918ა: “რობაქიძესათვის”, გაზ. სახალხო საქმე, №379, 1918, გვ.3.
260. სახალხო საქმე 1918ბ: “რობაქიძესათვის”, გაზ. სახალხო საქმე, №379, 1918, გვ.3.
261. სახალხო საქმე 1918გ: “სონეტი საქართველოში”, გაზ. სახალხო საქმე, №385, 1918, გვ.2.
262. სახალხო საქმე 1918დ: “სონეტი საქართველოში”, გაზ. სახალხო საქმე, №385, 1918, გვ.3.
263. სახალხო საქმე 1920ა: “რობაქიძიადა”, გაზ. სახალხო საქმე, №926, 1920, გვ.2-3.
264. სახალხო საქმე 1920ბ: “რობაქიძიადა”, გაზ. სახალხო საქმე, №926, 1920, გვ.2-3.
265. ფასკუნჯი 1908: ქ.ფასკუნჯი, №5, 1908, გვ.12.